ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 11 ივნისი 2010 №12(116)



პაატა ჩხეიძის ალუდა

დავით წერედიანის ლექსები

ოთარ ჭილაძე ოთარ ჩხეიძეზე

ინგა მილორავას პუბლიცისტური ესეი

დეშილ ჰემეტი — მკაცრი დეტექტივისტი

მერაბ კალანდაძე ალექსანდრე ორბელიანზე

ზურაბ ლავრელაშვილის ახალი რომანი

ნანა კუცია მარიამ წიკლაურზე

ერიკ-ემანუელ შმიტის ნოველა

უტილიტარული სიბრიყვენი

ნანა გასვიანის ლექსები

შინაარსი

ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	2	ინგა მილორავა ქარავანი მიდის
დეტექტივის მაგიერ	5	ნიკა თევზაძე დეშილ ჰემეტი — მკაცრი დეტექტივის ფუძემდებელი
ექსპრეს-ინტერვიუ	9	გიორგი დათუნაშვილი „დავტოვო კვალი“ (მოამზადა ნატა ვარადამ)
მწერალი მწერალზე	10	მიხეილ კოპალეიშვილი „არ დავჰსცხე ვირე ვიყო“ (ოთარ ჭილაძის სიტყვა ოთარ ჩხეიძეზე)
პროზა	12	ზურაბ ლავრელაშვილი ქალაქი მტვერში
პოეზია	26	დავით წერედიანი მეგრული მოტივი
	27	ნანა გასვიანი რეპორტაჟი ტაძრიდან და სხვა ლექსები
ესეისტიკა	30	ბენჯამინ დიზრაელი უტილიტარული სიბრიყვენი
დაუვიწყარი სახელები	33	მერაბ კალანდაძე ალექსანდრე ორბელიანი ახალი ისტორიის საკითხებზე
რეპორტაჟი	35	ეკა ბუჯიაშვილი აი, ასეთი როგერტ სტურუა
გამოხმაურება	38	ნინო ჩხიკვიშვილი სად დაისვას წერტილი (ზვიად კვარაცხელიას ახალი ნოველის გამო)
ერთი ლექსის სივრცე	39	ნანა კუცია „სევდის ფარვანებით შეგურვილი“ (მარიამ წიკლაურის „მეფარნე“)
სპორტი	42	გივი გამრეკელი ანანდი: დიახ, ჭადრაკი ინდოეთში გამოიგონეს
სემინარი: სამი ისტორია	44	პასუხისმგებლობა და მოვალეობა
ეპისტოლე	47	ნუნუ კუპრეიშვილი „მძივი“, როგორც ცხოვრება (ღია ბარათი კოტე კაკიტაძეს)
კრიტიკა	48	მარინე ტურავა შინაგანი სიტყვა (ზაზა ბიბილაშვილის „წელიწადი, როგორც ერთი დღე“)
ისტორიის თეთრი ლაქები	49	ნინო ვახანია ...რათა ტრაგედია აღარ განმეორდეს (ფოტოგამოფენა საბჭოთა რეპრესიების ისტორიიდან)
პერსონაჟი და მკითხველი	50	პაატა ჩხეიძე და სხვა „ალუდა“...
უცხოური ნოველა	52	ერიკ-ემანუელ შმიტი დაუპატიჟებელი სტუმარი
ნაკვესები	61	მახვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	უწიგნური შექსპირი

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 32) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**

სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **რობერტ სტურუა, ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი**
წმინდა ნიკოლოზის ეკლესია დუშეთში, ბაბუა ალუდაურის ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 25 ივნისს

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

ინგა მილორავა

ქარავანი მიდის...

როგორც თითოეული ადამიანი, ცალკეული პიროვნება, ისე მთელი ერი თავის ჭეშმარიტ არსს მხოლოდ და მხოლოდ ექსტრემალურ ვითარებაში ავლენს. დღეს, ფასეულობათა ტოტალური გადაფასების ეპოქაში, როცა ჩვენც რეალურად დაგვემუქრა ეროვნული ნიჰილიზმის მოძალების საფრთხე, ეროვნულისა და კაცობრიულის საზღვრების და კუთვნილი სფეროების ნათლად დანახვა და გააზრება შეიძლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯიც კი გახდეს ეროვნული ცნობიერების (სულიერების, შემოქმედების, ზნეობის) შენარჩუნებისა და განმტკიცების გზაზე. არადა, აქ ზომიერების დაცვა ძალიან ძნელია.

ერთი მხრივ, იგივე ნიჰილიზმი და პრაგმატიზმი, გადაწნული კარგად დაგეგმილ კოსმოპოლიტურ შემოტევებთან და, მეორე მხრივ, უკიდურესი ფანატიზმი, თვითტკბობით გატაცება და შეზღუდულობა, საკუთარი – თუნდაც არასრულყოფილი – თავით ღრმა კმაყოფილება. ამ ორ უკიდურესობას შორის ყველა ერის გასავლელად ბეწვის ხიდია გადებული. ყველა ერი, ხალხი, თავისი ტრადიციისა და კულტურის ტვირთით ზურგდამძიმებული დგება ამ ხიდზე, თავისი გამორჩეული პრობლემები ექმნება მისი გავლისას და ასევე საკუთარი ხერხების გამომუშავებაც უხდება.

„მე მტკივა ესპანეთი!“ – მიგელ დე უნამუნოს ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავს თავისი სამშობლოს ბედით შეწუხებული იმ ადამიანის გრძნობას, რომელიც ამავდროულად ჩაბმულია მარადიულ ორთაბრძოლაში, რომელსაც ეწევა მოაზროვნე, მშვენიერი იდეებით ანთებული კაცობრიობის ნაწილი ბნელი, უხეში, ანგარებიანი და უვიცი ძალების წინააღმდეგ. სიტყვა „ესპანეთის“ ნაცვლად ნებისმიერმა შეიძლება ჩასვას თავისი ქვეყნის სახელი და მაშინ უკვე გასაგები იქნება უნამუნოს იდეების ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული მნიშვნელობა, სწორედაც რომ ერთდროულად თან ღრმად ეროვნული და თან ზოგადსაკაცობრიო, რაც ჭეშმარიტი ეგზისტენციური წვდომით, სიღრმეში ჩამალულის, უნივერსალურისა და ირაციონალურის ძიებით და უკიდურესად ახლობლად გარდაქმნით მიიღწევა.

მისი ფილოსოფიური სისტემის ცენტრში დგება ადამიანი. იგი უნდა იყოს პიროვნება, ინდივიდი – განუმეორებელი და ერთადერთი, და მხოლოდ მაშინ შეძლებს გადაიქცეს ხალხად, ერად, კაცობრიობად. სწორედ ერად გარდაქმნილი ადამიანების მიერაა შექმნილი უნამუნოსეული ე.წ. „ინტრაისტორია“, რაც არსებითად განსხვავდება ქვეყნის ისტორიის, კულტურის ისტორიის, ლიტერატურის ისტორიის და ა.შ. ერთად აღებული ან ცალ-ცალკე ისტორიისაგან.

ეს არის მატერიალურისა და სულიერის ურთიერთშეღწევით შექმნილი მყარი ველი, რომელიც გარს ეხვევა და იცავს ერად ქცეული ადამიანების თაობების ჯაჭვს დროში (მიგელ დე უნამუნო, „სულის სიღრმეში“).

დაახლოებით იმავეს გულისხმობდა ნიკოლაი ბერდიაევი, როცა წერდა: „ერი არ არის ესა თუ ის კლასი, არ არის ემპირიული რაოდენობა ამჟამად მცხოვრები ადამიანებისა. ერი არის მისტიკური ორგანიზმი, რომლის იდუმალ სიცოცხლეს ჩვენსავე სიღრმეში ვწვდებით, როცა ჩვენ თავს ვანებებთ ზედაპირულ ცხოვრებას, გარეშე ინტერესებით ცხოვრებას, როცა ჩვენ ვთავისუფლდებით იმ გარსთაგან, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთისაგან აშორებენ... თავის ყველაზე სრულყოფილ და უმაღლეს გამოხატულებას ერი გენიაში აღწევს. გენია ყოველთვის ხალხურია, ეროვნულია, მასში ყოველთვის ისმის ხმა წიაღიდან, ეროვნული ცხოვრების სიღრმიდან. ერის სული ყოველთვის გამოიხატება პიროვნებათა თვისობრივი შერჩევით, რჩეული პიროვნებების მეშვეობით. არავითარი ეროვნული დემოკრატია თავისი რაოდენობრივი მექანიკით არ შეიძლება იყოს ერის სულის გამომხატველი. ერის ნება გამოუთქმელია არითმეტიკულ რაოდენობებში, იგი არ არის უმრავლესობის ნება. ერის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხალნი, არამედ გარდაცვლილნიც. მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მომავალი. ერში შედიან არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა, სასახლეთა და კარმიდამოთა ქვებიც, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები და წიგნები და იმისათვის, რომ მივწვდეთ ერის ნებას, უნდა ვუსმინოთ ამ ქვებს, წავიკითხოთ გაცრეცილი ფურცლები“ („ერი და კაცობრიობა“).

როცა მამულის, კერიის შეგრძნებას გადმოსცემს, სწორედ ე.წ. „ინტრაისტორიის“ არსებობას ამყარებს ნიკო ლორთქიფანიძეც: „უმრავლესობისთვის მხოლოდ სამწუხაროა ოჯახის, მამულ-დედულის გაყიდვა, კერიის დანგრევა, – მექნება და შევიძენ უკეთესსო, ინუგეშებენ თავს. მაგრამ ვისაც სახლ-კარ-მიდამოში მთელი გვარის ლეგენდები, ზღაპრები, წინაპრების ტანჯვა და სიხარული ჩამარხული ეჩვენება, სახლის გაყიდვასთან, წარსულის დაშორებასთან ეკარგება მომავალიც. წინ აღარაფერია ჩვენთვის, თუ უკანიდან არ შემოგვყურებს წინაპრის მკაცრი ულმობელი სახე – ტრადიცია, თუ ისა გვყავს, კიდევ ბევრი რისთვისმე ვვარგივართ, რაც საჭიროა ქვეყნისთვის“.

აშკარაა, რომ ერის, მასში ცალკეული ინდივიდის სრულფასოვანი არსებობისათვის და მომავლის დადგომის შეგრძნებისთვის აუცილებელია საკუთარი „შიდა ისტორიის“ – მატერიალურის, ხილულის და სულიერის, უხილავის მთლიანობაში წარმოდგენა, დაცვა, გადარჩენა, განვითარება და დროთა კავშირის უზრუნველყოფით მისი სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცება. ამ პროცესში კი, ჩემი ღრმა რწმენით, უდიდესი ვალი აძევთ იმ ადამიანებს, რომელნიც თავის სულში ატარებენ წიგნისმიერ სამყაროს – ვინც ქმნის, ვინც იმეცნებს, ვინც სხვას გადასცემს, თუ რაღაც ფორმით უკავშირდება და ემსახურება ლიტერატურას. ეს პროცესი კი, როგორც ბევრი რამ ჩვენს ქვეყანაში, ძალიან დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა დროს ლიტერატურის განსაცდელზე ლაპარაკია, როცა დაკარგულია ქართული მინა, როცა უამრავ ადამიანს ასე უჭირს, ბევრი გახიზნულია თავისი ქვეყნიდან, ბევრმა ისიც არ იცის, რა ქნას, რითი უშველოს თუნდაც ყოველი ახალი დილის გათენებისას თავის შვილს, დედ-მამას, საკუთარ თავს.

მაგრამ „შინაგანი ისტორია“ სწორედ მატერიალურის და სულიერის იმგვარ კავშირს წარმოაჩენს, რომელიც ნათელს ჰფენს ერის არსებობის უმთავრეს შესაძლებლობას – მხოლოდ ფიზიკურის და სულიერის ჰარმონიული განვი-

თარების შემთხვევაში შეიძლება ყოფნა აწმყოში და წარსულისა და აწმყოს გავლით გადასვლა მომავალში. ცალ-ცალკე, ნაწილ-ნაწილ რაიმეს გადარჩენა შეუძლებელია. და აქ არის ლიტერატურაც! ისიც შეიძლება, კარგად მყარი არგუმენტი, ჩემი აზრით კი აუტანელი ფრაზა – „ყველამ თავისი საქმე აკეთოს“ – მოვიხმოთ, მაგრამ რას ნიშნავს საქმის კეთება, ან როგორ? ვწეროთ, ვიკითხოთ, შევეცადოთ „მოვერგოთ“ დროს და დაველოდოთ, რომ რაღაც შეიცვლება, თავისით, ან უცებ უწიგნურობისთვის განწირულ თაობებს თავისთავად გონება გაეხსნებათ და ბიბლიოთეკებს შეესევიან? თუმცა ისიც მართალია, რომ დღეს საყოველთაოდ გამეფებული ვირტუალური ბედნიერების ფონზე იქნებ მართლაც დონ-კიხოტის ქარის წისქვილებთან ბრძოლის ტოლფასია ხმის ამოღება, თუნდაც მოკრძალებული დაწუწუნებაც კი? მითუმეტეს, რომ წისქვილებთან ბრძოლაში დალეწილ დონ-კიხოტს ერთი სანჩო პანსა მაინც ჰყავდა თანამგრძნობელი და მომასულიერებელი, ჩვენი საზოგადოება კი ისეა შეშინებული თუ შერყვნილი, რომ წაქცეულს არც მიეკარებიან და, თუ მიეკარნენ, ისიც წიხლის მისაყოლებლად.

ინგა მილორავა

მაგრამ როცა გულისტკივილი გაუსაძლისი და შემაწუხებელია, ალბათ, სჯობს, გამოითქვას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ხედავ, როგორ ნელ-ნელა იჩვრიტება და მერე კი იხევა ის უფაქიზესი სიტყვიერი ქსოვილი, რომელიც ამდენი ხანი გარს ეხვია იმ ხილულ სხეულებს, რომელიც დრომ შეინახა და ამ ნაჩვრეტების მიღმა მომზირალ სიბნელესა და სიცარიელეში ნელ-ნელა მიედინება ის, რასაც ჩვენი „ინტრაისტორია“ ჰქვია.

ცხადია, არ შეიძლება თქმა, რომ ყველაფერი უკვე დაინგრა. ეს მკრეხელობა იქნებოდა, ადამიანები წერენ, ქმნიან, იბრძვიან, როგორ და რა შედეგით, სხვა საკითხია. ლიტერატურული პროცესი კუნძულ-კუნძულ შემონახულია და ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების უდიდესი ძალისხმევით აკავებს და ინარჩუნებს ბევრ რამეს, შემოაქვს სიახლე და როგორც შეუძლია, წინ მიიწევს. ბოლოსდაბოლოს ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ ძალასა და სიცოცხლეს შესწირავენ იმას, რაც ძალიან უყვართ, ამ შემთხვევაში, ლიტერატურას! მაგრამ საქმე არა ინდივიდებსა ან ჯგუფებში, არამედ მთელ სისტემაშია, ტენდენციაში, რომელიც ამ ინდივიდებსა და ჯგუფებს მთელ ერთან ორგანულ შერწყმასა და დროში კავშირის გაბმაში უშლის ხელს.

ლაპარაკი არ არის საყოველთაო განათლებაზე. კომუნისტებს რომ უყვარდათ, ისეთი ქოხ-სამკითხველოების ჩამოყალიბებასა და მასობრივი წიგნიერების დანერგვაზე. თავისთავად ეს არაბუნებრივი და შეუძლებელიცაა და ისიც კარგად დავინახეთ, რა ამაზრზენი შედეგი მოიტანა მწერლობისა და, ზოგადად, სულიერებისათვის, ადამიანის აზროვნებისა და გრძნობების ჩარჩოში მოქცევის, ადმინისტრირების საბჭოურმა გამოცდილებამ. მაგრამ დღეს, XXI საუკუნეში, როცა ერთი შეხედვით ღია საზოგადოებაში ვცხოვრობთ, როცა ხელმისაწვდომია ყველაზე გამაოგნებელი ფილოსოფიური სისტემები, როცა სადღაც, ყრუ კედლის იქით აღარაა ის სამყარო, რომელშიც პიროვნული თავისუფლება და პასუხისმგებლობა ყველაზე მეტად ფასობს, ვფიქრობ, ტრაგედიაა, რომ თითქმის ყველაფერი ისევ მეორდება, ხდება ფასეულობების პროფანაცია, გაყალბება და ის, ვისაც შეეძლო სულიერი განვითარების, შემოქმედების გზაზე დადგომა, ვერ შეძლებს ამას, რადგან ირგვლივ გამეფებული ტენდენცია – უპასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმის, ნიჭიერების, შინაგანი თავისუფლების უარყოფა – სასტიკად და დაუნდობლად უშლის ხელს.

რატომ შორდებიან ადამიანები წიგნს? კავშირს იმ სულიერ, ფაქიზ, უხილავ, მხოლოდ შეგრძნებებში იმ სამყაროსთან, ურომლისოდაც მიწიერი, ხორციელი არსებობა დაუკმაყოფილებელ, უსაზღვრო სურვილების ასპარეზად, ანგარების ზეიმად, ამაოების ბაზრად და შედეგად „მეობის“ დაკარგვად იქცევა? ალბათ ათასობით წვრილმანის და მსხვილი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება. უმთავრესი კი, ვფიქრობ, მაინც უზნეობაა.

უზნეობაა, როცა გაღატაკებულ და ღირსებაშელახულ მასწავლებელს იმის ნაცვლად, რომ წიგნის მშვენიერ სამყაროში სამოგზაუროდ წაუძღვეს მოსწავლეს, ხვალინდელ დღეზე შიშით ფიქრში ეკუმშება გული. უზნეობაა, რომ ყოვლად უგვანი კონკურსების შედეგად სტუდენტს ისეთი ლექტორი ჰყავს, რომელსაც „მობი დიკი“ მელვილის კი არა, მელვინის დაწერილად მიაჩნია (სავარაუდოდ, ალბათ, ყველა სიკეთესთან ერთად რუსიც ჰგონია) და თავისი „მჭევრმეტყველების“ შედეგად ისეთ დასკვნას გამოატანინებს, რომ მარკ ტვენის დროს მისისიპიზე არგონავტების გემები დაცურავდნენ. უზნეობაა, როცა გასაცოდავებულ მკვლევარს გრანტის მოლოდინში ეწურება გული და, თუ მოხერხდა და მიიღო, ძალიან ხშირად იმას წერს, რაც არც მას და არც ქვეყანას, არც დღეს და არც მომავალში არაფრად გამოადგება. და თუ ვერ მიიღო, ჩნდება უსამართლობის განცდა, ეჭვი, შური, ერთმანეთის ათვალისწუნება, ჯიბრი, გათითოკაცება და, სადაც ეს ხდება, იქ ხომ უკვე ყველაფერი დამთავრებულია, მითუმეტეს შემოქმედებით ზრდასა და რაიმე ფასეულის შექმნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ასე დაბეჩავებული და სახედაკარგული ადამიანები რანაირად მოემსახურებიან ლიტერატურას. დიახაც, მოემსახურებიან, რადგანაც ეს სამსახური ყველაზე საპატიო და მშვენიერია. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო. „შენია-

ნი-ჩემიანის“ პრინციპით დაჯგუფებული, თავისუფლება და მორალურსახედაკარგული ადამიანების ხელში ჩავარდნილი წიგნი ვერ იცოცხლებს, ვერავის სულის კარს ვეღარ შეაღებს და მერე სრულიად ფუჭი და ამაოა ახალგაზრდების უწიგნურობაზე ჩივილი და ყველაფრის კომპიუტერზე გადაბრალება. თანაც კომპიუტერი მხოლოდ უწიგნურობის შემთხვევაშია საშიში, თორემ ისე ინფორმაციის შესანიშნავი წყაროა და, გონივრულად გამოყენებით, შემეცნებისთვის დიდი სიკეთის მოტანაც შეუძლია.

ჩვენ ვხედავთ, ყოველ შემთხვევაში, თუ თვალებს ძალით არ ავიხვევთ, უნდა ვხედავდეთ, როგორ ნელ-ნელა, მეთოდურად „აჩოჩებენ“ გვერდზე იმათ, ვინც რაღაც ჩარჩოებში არ ჯდება, ვინც იმას და ისე არ წერს, რაც „საჭიროა“. ჩვენთვის, საბჭოთა ეპოქის გამოცდილების მქონეთათვის, ეს რა გასაკვირი უნდა იყოს, მაგრამ ახალი ტექნიკა უფრო დახვეწილია და შემპარავი, ნელი და უცებ ვერშესამჩნევი. დღეს, XXI საუკუნეში, კედელთან ვეღარავის მიაყენებენ და დახვრეტენ, სამაგიეროდ, დიდი წარმატებით ხორციელდება არასასურველის თარაშ ემხვარის ან თეიმურაზ ხევისთავის ბედთან ზიარება, იგნორირება, გასაქანის მოსპობა, მატერიალური გაჭირვებით სულიერი ძალების დათრგუნვა და შემოქმედებითი იმპულსების ჩახშობა. აი, ეს შეგვრჩა იმ დასავლური, ევროპული ღირებულებების სანაცვლოდ, რომელთაკენაც მთელი არსებით მივისწრაფოდით და რომლებიც სწორედ პიროვნებისა და შემოქმედების თავისუფლებას, მიუკერძოებლობას, თავისუფალ კონკურენციას ეფუძნება, ყოველ შემთხვევაში, დიდწილად მაინც. რა თქმა უნდა, ეს თითოეული ამ ადამიანის ტრაგედიაა, მაგრამ საბოლოოდ უფრო დიდი უბედურებაა ერისთვის, მისი „შინაგანი ისტორიისთვის“, წიგნისთვის, რომლის გამოც ვწუხვართ ახლა.

ბოლოსდაბოლოს ყველა ადამიანმა იცის (უნდა იცოდეს), რომ სიცოცხლე წარმავალია. რა ტკივილს, სევდასაც უნდა ითმენდეს გული, დღეს თუ ხვალ მაინც ყველაფერი დამთავრდება, მაგრამ რა ეშველება საერთო საქმეს, იმას, რამაც საუკუნეებს გაუძლო და არასოდეს არ უნდა დასრულდეს?

გასაგებია, რომ ამგვარი ვითარება მხოლოდ ვიღაცის კარგი ცხოვრების სიყვარულის, ვერდაძლეული გვაროვნულ-თემური წყობილებისდროინდელი მენტალიტეტის ან მარტივი უპასუხისმგებლობის ბრალი არაა. რა დასამალია, რომ არსებობს გარკვეული იდეოლოგია და მისი მსახურები, რომლებიც ხელს უწყობენ ასეთი მდგომარეობის შექმნას. შეიძლება გასაკვირი იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ არაფერი საწინააღმდეგო თუნდაც უკიდურესად ლიბერალური ან კოსმოპოლიტური იდეოლოგიისა არა მაქვს. არც გლობალიზაციაა ისეთი საფრთხობელა, როგორც ბევრს ეჩვენება.ის გარდაუვალია და ჯანსაღი პატრიოტიზმის პოზიციიდან სწორი მიდგომის ჩამოყალიბების შემთხვევაში დიდი სიკეთის მოტანაც შეუძლია. საერთოდ, ყველა იდეოლოგიას, როგორც ყველაფერს და ყველას ამქვეყნად, აქვს არსებობისა და განვითარების უფლება, მაგრამ არსებობის და არა ძალმომრეობით ბატონობის!

იყვნენ, იფიქრონ, წერონ, გაავრცელონ თავიანთი ნააზრევი, ოღონდ თანაბარ პირობებში და ერი ბრბო არ არის და მისი შვილები თვითონ აირჩევენ, რა გზას დაადგნენ, რა მიიღონ და შეიყვარონ.

სხვათა შორის, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტად თავისუფალ საზოგადოებაში ყველანაირ ტენდენციას გამოუჩნდება მხარდამჭერი და მიმდევარი და ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ არა ძალმომრეობით. თუ ოდესმე ვინმე რაიმეს დაჩაგვრას ან აკრძალვას გაბედავს, თუნდაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელ ნააზრევს საფრთხე დაემუქრება, მის დასაცავადაც უნდა დავდგეთ, რადგან როცა სხვას გასაქანს არ აძლევ, იდებ ცოდვას მომავლის წინაშე, ისეთივეს, როგორიც თავის დროზე ბოლშევიკებმა და ნაციონალ-სოციალისტებმა იტვირთეს.

რაც შეეხება ცოდვას, როგორც ჩანს, ადამიანი მართლა ბოლომდე ჩაფლულია ჭაობში და, თუ თავის ზემოთ, უსაზღვრო სივრცეში არ გრძნობს იმას, ვინც ყველაზე და ყველაფერზე მეტია, არცა აქვს ამ ჭაობიდან ამოსვლის არავითარი საკუთარი ძალა.

ძნელი სათქმელია, ვინ არიან ეს ადამიანები, რწმენის თვალსაზრისით, მართლმადიდებლები, კათოლიკეები, პროტესტანტები, თუნდაც იეღოველები, ან, შესაძლოა, ისე „გაფართოვდა“ მათი თვალსაწიერი, რომ ბუდიზმსაც ეზიარნენ, მაშინ კარმის კანონიც ეცოდინებათ, რომ ჩადენილი ცოდვისთვის შეიძლება ვირთხად, კობრად ან რაღაც სხვა უბედურებად მოევლინო ხელახლა ამ ქვეყანას – ნებისმიერ შემთხვევაში, თუ რაიმე რწმენა არსებობს, იქვეა დანაშაულისა და სასჯელის შეგრძნებაც და, თუ ათეისტებთან გვაქვს საქმე, ეს მაინც არაფერს შეცვლის მათთვის: როცა დრო მოვა და მათი თანამზრახველი და კოლეგა ეშმაკები კუპრის ქვაბში ჩააყურყუმალავებენ, არა მგონია, „არ არსებობს!“, „არ მწამს!“ ძახილმა რამე უშველოთ.

ძალიან ძნელია ასეთი სიტყვების თქმა. მითუმეტეს, რომ თავი უცოდველი არ მგონია და ისე არ ვესვრი სხვას ქვებს. საკუთარ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ, თუნდაც იმიტომ, რომ არ ვიცი, როგორ მოვიქცე, მარტო ლაპარაკი კი ვერაფერს შველის, მაგრამ არც გაჩუმება ვარგა. ჩვენ, ადამიანებს, არაჩვეულებრივი ნიჭი გვაქვს საკუთარი თავის ისევ საკუთარი თავის წინაშე გამართლებისა: პასუხისმგებლობა ოჯახის წინაშე, შიში სოციუმში იმ ადგილის დაკარგვისა, რომელიც ასე თუ ისე კიდევ გიკავია, და, შესაბამისად, საყვარელი საქმის კეთების საშუალების მოსპობისა, მორიდება, რომ არ აწყენინო უცნობ თუ ნაცნობ ადამიანებს, რომლებიც, თუ არ გიყვარს, ნამდვილად არ გძულს. და თანაც ადამიანური ურთიერთობები სიცოცხლის მარილია და, თუ ის აღარ არის კეთილი და ლამაზი, ყველაფერს ეკარგება აზრი...

ამ საფრთხეების შეგრძნება გვაიძულებს შევიმალოთ სოროებში და ყური მივუგდოთ, როგორ ირყევა ჩვენი ერის შენობა, მისი სხეული, ღმერთმა არ ქნას, ყველამ ერთად (სწორედაც რომ ერთად) ისე მოვარყიოთ, რომ ჩამოინგრეს, და მაშინ ყველას და ყველაფერს ერთიანად ჩაიტანს და აღარც სულის ისტორიის კვალი დარჩება, აღარც ფიქრი და აღარც იმედი.

შესაძლოა, ძალიან უხეშად და მძიმედ ჟღერდეს ის, რაც ითქვა, მაგრამ გავბედავ და მიგელ დე უნამუნოს სიტყვას ჩვენებურად ვიტყვი: „მე მტკივა საქართველო!“ (მე-ში არ ვგულისხმობ საკუთარ თავს, კონკრეტულ ერთ ადამიანს, არამედ ყველას, ვინც ასეთ ტკივილს ატარებს გულში). მეტიც – „მე მტკივა მომავალი!“ და აწმყოც კი მტკივა, რადგან აწმყოში დაჭრილ და შეშინებულ წარსულს ვხედავ. არცერთი ჩვენგანის ბედნიერება არ ღირს იმად, რომ ერმა დაკარგოს თავისი „შინაგანი ისტორია“, სულისა და სხეულის ჰარმონია,

რომლის ერთ-ერთ უზრუნველმყოფელ ძალად ამ შემთხვევაში მწერლობა, ლიტერატურა ჩანს. ნურავინ დაგვჭყივლებს ფარშევანგივით თავზე, ახლა პოსტმოდერნიზმის ეპოქაა, ყველა საზღვარი გადალახულია, ყველა თხრილი ამოვსებულიაო (ჯერ ერთი, აღარ არის, აღარ! დამთავრდა უკვე), ანუ ზნეობა და უზნეობა, პასუხისმგებლობა და ზერელობა, სიძულვილი და სიყვარული არეულია, გადაზელილი და, აი, ეს არის ეს სამყარო, სულ ეს არისო! არ არის და რომც იყოს, მაშინ მაინც ყველაფერს ჰქონია არსებობის უფლება და მიეცით სინათლესაც, სიყვარულსაც, სამართლიანობას, სისუფთავეს, არჩევანის თავისუფლებასა და მშვენიერებასაც. ნუ გადაიქცევით სოცრეალიზმის ავისმომასწავებელ მონუმენტურ მონსტრებად და შეხედეთ, თავისუფალ ქვეყანაში, თავისუფალი ადამიანებისაგან შემდგარი თავისუფალი ერი თვითონ რა გზას აირჩევს, შეინახავს თუ არა თავის მაცოცხლებელ ერთადერთ სუბსტანციას – „შინაგან ისტორიას“.

ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი ტონი აქვს ამ წერილს. ჯობდა სხვანაირად, მაგრამ ალბათ უნდა თქვა ის, რასაც გული გიკარნახებს. თუმცა, სამწუხაროდ, ისიც ნათელია, რომ ჩვენი ეპოქის დევიზი – „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ ძალიან ძლიერია და, შესაბამისად, მე ძაღლი გამოვდივარ, რაც სრულებით არ მეთაკილება.

ნეტა კი შემაძლებინა ძაღლივით ერთგული (ვიმოწმებ სულხან-საბას), პატიოსანი, კეთილი და მოსიყვარულე ვიყო. ეს კი ყეფა კი არა, მხოლოდ გულმოკლული წკავწკავია მაშინ, როცა ხედავ, როგორ ტაატით მიქანაობს ქარავანი

ნიკა თევზაძე

დეშილ ჰემეტი – მკაცრი დეტექტივის ფუძემდებელი

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დეტექტიური ჟანრის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ჩაცხრა. დეტექტიური ლიტერატურა კვლავ დიდი ტირაჟით გამოდიოდა, მკითხველიც საკმაოდ ჰყავდა, მაგრამ სერიოზული ლიტერატორები ხმამაღლა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, სომერსეტ მოემი წერდა:

— დეტექტივმა ამოწურა თავი. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ დეტექტიური რომანები აღარ გამოვა და მათ აღარ წავიკითხავ. დეტექტივი სამუდამოდ გადაიქცა მეორე ხარისხის ლიტერატურად, სადაც არაა ასახული რეალური ცხოვრება, სადაც არც სოციალური პრობლემებია და არც პერსონაჟთა ხასიათებია ნაჩვენები. ყველა დეტექტიურ ნაწარმოებში ერთი და იგივე სქემა მეორდება საიდუმლოებით მოცული დანაშაული და გენიალური მაძებარი, რომელიც წარმატებას აღწევს იქ, სადაც ოფიციალური პოლიცია უძლურია, მაძებარს მუდამ ჰყავს მოსულელო, მაგრამ ერთგული მეგობარი, თუმცა გაუგებარია, რა ფუნქციებს ასრულებს, რადგანაც ხელის შეშლის მეტი არაფერი ძალუძს. სიუჟეტი თითიდანაა გამოწოვილი. ზღაპარს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე რეალობას.

მალე მოემის შეხედულება გაბათილდა და ეს ამერიკელი მწერლის სამუელ დეშილ ჰემეტის სახელთაა დაკავშირებული.

ბედნიერი კაცი

— იგი ბედნიერი კაცი იყო, იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება დაუცხრომელ შემოქმედებით ძიებაში გაატარა, – ასე ახასიათებს ჰემეტს დეტექტივის მეორე ოსტატი რაიმონდ ჩენდლერი.

დაიბადა 1891 წელს. მამამისი ბიზნესმენი იყო, დედა ფრანგული არისტოკრატიული გვარის დე შიელის წარმომადგენელი. მომავალი მწერალი ცამეტი წლისა იყო, როდესაც მამა გაკოტრდა. შვილმაც მიატოვა ბალტიმორის კოლეჯი და მუშაობა დაიწყო. იგი ადგენდა რეკლამებს სავაჭრო ფირმებისათვის და ეს სამუშაო ძალიან მოსწონდა.

— რეკლამის შედგენა ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის ჩემს პირველ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს, — იგონებდა შემდგომ ჰემეტი.

საინტერესო სამუშაო მუდამ კარგად როდი ანაზღაურდება ხოლმე. ჰემეტმაც მიატოვა ფირმა და რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო. ანაზღაურება არც აქ აკმაყოფილებდა, ამიტომ ოფიციანტობა ამჯობინა. ეს კარგად ანაზღაურებად სამუშაოდ ითვლებოდა და მასზე მოწყობა იოლი როდი გახლდათ.

— მომიხდა პროტექტორის მოძებნა, რათა ოფიციანტად მივეღე, — იგონებდა ჰემეტი.

თუმცა დიდხანს არც ამ სამუშაოზე დარჩენილა. როდესაც რესტორნის ერთ-ერთი მთვრალი კლიენტი აუხირდა, ჰემეტმა უწმაწურობაზე უწმაწურობით უპასუხა. გაიმართა ჩხუბი, რაც სტუმრისათვის სავალალოდ დასრულდა.

— თავშეკავება დავკარგე და მთელი ძალით ვთხლიშე, მგონი ყბა მოვტეხე, – იგონებს ჰემეტი.

ამას სამსახურიდან მოხსნა მოყვა. ერთხანს უმუშევარი იყო. შემდეგ პინკერტონის სახელგანთქმულ კერძო სააგენტოში დაიწყო მუშაობა. ასე გახდა კერძო მაძებარი. ეს იყო უაღრესად მძიმე და საშიში სამუშაო. ჰემეტს პირადად უწევდა მკვლელობების გახსნა, განგსტერებთან ხელჩართულ შეტაკებებსა თუ სროლებში მონაწილეობა.

— ამ დროს ხელთ ჩამივარდა ერთი ინგლისური დეტექტიური რომანი. მისი ავტორი წერდა, თუ რაოდენ რო-

მანტიკულია კერძო მაძებრის სამუშაო. ერთი გვარიანად შევიკურთხე და წიგნი მოვისროლე. გავიფიქრე, ნახევარი თვე მაინც გამუშავა პინკერტონის სააგენტოში, მაშინ ნახავდი, რა რომანტიკაცაა მაძებრის პროფესიაში-მეთქი.

მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ჰემეტი მასში მონაწილეობს როგორც სანიტარი. ამ დროს შეხვდა კიდეც თავის მომავალ მეუღლეს. შეკითხვაზე, რა პროფესიისა ხარო, ჰემეტმა მიუგო:

— კერძო მაძებრად ვმუშაობდი პინკერტონის სააგენტოში, მაგრამ მინდა მწერალი გავხდე!

— როდის გადაწყვიტე?

— აქ, ფრონტზე.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი დაქორწინდნენ, ჰემეტი კვლავ დაუბრუნდა პინკერტონის სააგენტოს. იმავდროულად აქვეყნებდა კრიტიკულ სტატიებს „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტში". სტატიებმა დადებითი გამოხმაურება ჰპოვეს. მალე ჰემეტს ლიტერატურული რუბრიკის წაყვანაც დაევალა.

— ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მახსოვს, რომ გეუბნებოდი, მინდა მწერალი გამოვიდე-მეთქი? ახლა ჩემს პირველ მოთხრობაზე ვმუშაობ.

— რაზეა მოთხრობა?

— კერძო მაძებრებსა და დამნაშავეებზე.

— გონს მოდი, დეშილ! წიგნის ბაზარი დეტექტივებითაა გაჯერებული! შენ ვის რაში სჭირდები?!

— მინდა ახალი მიმართულება შევქმნა. აქამდე დეტექტივი ზღაპარივით იყო. მე რეალობა მსურს ავსახო.

— ბედნიერი კაცი ხარ! – ხელი ჩაიქნია ცოლმა.

ჰემეტმა არაფერი უპასუხა. იგი ბევრს და დაუღალავად მუშაობდა. კერძო მაძებარიც იყო, თავისუფალ დროს კი მოთხრობას აშალაშინებდა.

მსოფლიო აღიარება

1922 წელს ჟურნალ „ბლექ მესქში" გამოქვეყნდა ჰემეტის მოთხრობა „მიწებებული". კრიტიკოსთა გამოხმაურება დადებითი იყო:

„მისტერ ჰემეტმა ასახა რეალური ცხოვრება, რაც დეტექტიურ ჟანრში მანამდე არ გვხვდებოდა"

წარმატებამ ფრთები შეასხა, ჰემეტმა მიატოვა პინკერტონის სააგენტო და მთლიანად გადაერთო ლიტერატურაზე. ახლა რომანზე მუშაობს, რომლის სათაურიცაა „წითელი მკა". ის 1929 წელს გამოიცა. წარმატება გრანდიოზული იყო:

— რევოლუცია დეტექტიურ ლიტერატურაში! მისტერ ჰემეტმა შექმნა ახალი მიმართულება! – ასეთი გახლდათ კრიტიკოსთა ერთსულოვანი აზრი.

რომანის მოქმედება აშშ-ს ერთ პატარა ქალაქში ხდება. კერძო მაძებარი იძიებს ადგილობრივი მაგნატის უილსონის ვაჟის მკვლელობის საქმეს. ქალაქში ჩამოსულ მაძებარს თვალწინ სავალალო სურათი გადაეშლება; მთელი ქალაქი განგსტერთა ხელშია, რომლებიც საკუთარ ჭკუაზე ათამაშებენ პოლიციასაც, პროკურატურასაც, სასამართლოსაც. რაშია საქმე? თურმე აქ მუშათა გაფიცვამ იფეთქა. უილსონმა დახმარებისათვის განგსტერები მოიწვია. მათ მშრომელთა პროტესტი ჩაახშეს, მაგრამ შემდეგ მთელი ქალაქი დაიპყრეს. ამრიგად, კერძო მაძებარი მარტო აღმოჩნდა მთელი ბანდის წინაშე. თამაშდება ამერიკული სათავგადასალო ლიტერატურისათვის ტიპური სქემა: ერთი გმირი ყაჩაღთა მთელი ბანდის წინააღმდეგ.

ჰემეტი რეალისტია. მისი გმირიც მარტოხელა კეთილშობილი რაინდი როდია. დიახ, ის მამაცია და უკან არ იხევს, მაგრამ დაუნდობლობაში, ვერაგობასა თუ სისასტიკეში განგსტერებს არ ჩამოუვარდება.

— სისხლი სისხლის წილ! ვერაგობა ვერაგობის წილ! – ასეთია მისი ფილოსოფია.

კერძო დეტექტივი იყენებს მეთოდებს, რომლებიც განგსტერთა ხრიკებისაგან დიდად როდი განსხვავდება. იგი დეტალურად აანალიზებს შექმნილ მდგომარეობას და იწყებს სხვადასხვა კლანებს შორის ომის პროვოცირებას. შედეგად იწყება საშინელი ომი. წესრიგის დასამყარებლად ქალაქში ნაციონალური გვარდიის შემოყვანა ხდება საჭირო. მოსავალი მართლაც სისხლიანი გამოვიდა. აქედანაა კიდეც სათაური: „წითელი მკა".

შთამბეჭდავია რომანის ფინალი. მკვლელობა გახსნილია, განგსტერები განადგურებულნი არიან, მაგრამ დაუსჯელი რჩება ადგილობრივი მაგნატი უილსონი, ვისი გამოისობითაც დატრიალდა მთელი ეს სისხლიანი ქარბორბალა. უილსონის დასასჯელად წყობილების შეცვლაა საჭირო. ეს კი კერძო მაძებრის ძალებს აღემატება. ამრიგად, „წითელ მკაში" არა გვაქვს ტრადიციული ჰეფი-ენდი, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს ნაწარმოების რეალიზმს.

„წითელი მკა" მყისვე ითარგმნა გერმანულად, ფრანგულად, ესპანურად, ოდნავ მოგვიანებით იაპონურად და იტალიურად.

ლუი არაგონი წერდა:

„ჰემეტმა დაგვიხატა რეალისტური სურათი, შემთხვევითი როდია, რომ მისი გმირები იყენებენ სლენგს, ანუ ლაპარაკობენ ისე, როგორც განგსტერებსა და მაძებრებს სჩვევიათ. ჰემეტის გმირი ენერგიული და აგრესიული ახალგაზრდა კაცია, რომელსაც არ ეშინია ძალადობის. იგი ძალადობის ატმოსფეროში ცხოვრობს, ანუ აკეთებს იმას, რასაც აკეთებს დღეს ნამდვილი კერძო მაძებარი".

ბუალო და ნარსეჟაკი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ჰემეტი იყო პირველი, ვინც ასახა კერძო მაძებრის ნამდვილი და არა მოგონილი ყოფა.

„მან გვიჩვენა, რომ მაძებრის პროფესია სულაც არაა რომანტიკული. ჯერ ერთი, ყოველ წამს ტყვიას ეთამაშება, მეორეც, მაძებარი არავის არ უყვარს. დამნაშავეებს გასაგებ მიზეზთა გამო სძულთ, პოლიციას კონკურენტად მიაჩნია, უბრალო მოქალაქეებიც ამრეზით უყურებენ, რადგანაც სხვის ჭუჭყიან საცვლებში იქექება. ამრიგად, მაძებრობა რთული, უაღრესად საშიში და არაპრესტიჟული პროფესიაა, რაც ჰემეტმა აქნობამდე არნახული მხატვრული სიძლიერით გვიჩვენა" .

„წითელ მკაში" დახატული მაძებრის ტიპი ჰემეტის ყველა რომანში მეორდება. ეს არაა შერლოკ ჰოლმსივით მოცლილი და სამართლიანობაზე თავგადადებული კაცი, რომლისთვისაც დანაშაულის გახსნა ერთდროულად გართობაცაა და ბოროტებასთან ბრძოლაც. ჰემეტის გმირი პროფესიონალია, რომელიც მაძებრობით არსობის პურს შოულობს. სწორედ ეს ამოძრავებს მას და არა გართობა, ან სა-

მართლიანობის აბსტრაქტული გრძნობა. როგორც ყველა პროფესიონალს, ჰემეტის გმირსაც სათაკილოდ მიაჩნია განგსტერებთან გარიგება, მისთვის უცხოა შიში და უკან დახევა, იგი პროფესიონალია, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოს, რომელიც ჯუნგლებში ცხოვრობს და ჯუნგლის კანონებით მოქმედებს. ამიტომაც მიმართულებას, რომელიც შექმნა ჰემეტმა, „მკაცრი დეტექტივი" ეწოდა. ამერიკელმა კრიტიკოსმა ტრენტმა იხმარა ტერმინი „მაგრად მოხარშული". ეს განსაზღვრა არა მხოლოდ ჰემეტის, არამედ მკაცრი სკოლის ყველა წარმომადგენელის მიმართ გამოიყენება.

„წითელ მკას" მოჰყვა რომანები: „დეინთა საგვარეულო წყევლა", „მალტიური შევარდენი", „მინის გასაღები". ყველა მრავალ ენაზე ითარგმნა და ეკრანიზებულ იქნა. ჰემეტს საგანგებოდ იწვევენ ჰოლივუდში, სადაც თვითონვე წერს სცენარს ამ ფილმებისთვის. განსაკუთებით დიდი იყო : „მალტიური შევარდნის" წარმატება.

— მკითხველი აღტაცებული დარჩა მისი მთავარი გმირით სპეიდით, — წერს იულიან სემიონოვი.

დეშილ ჰემეტი

მისი სახით ჰემეტმა მართლაც შექმნა ამერიკელი კერძო მაძებრის კოლორიტული სახე, თუმცა სპეიდმა მარტოოდენ ამერიკელთა გული როდი მოინადირა. სპეიდი თბილად მიიღეს ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ისეთ ქვეყნებშიაც კი, სადაც იმჟამად დეტექტიური ლიტერატურა არ ყოფილა განვითარებული (ესპანეთი, შვეცია). მალე ეკრანებზე ტრიუმფით გავიდა ფილმი „მალტიური შევარდენი", რაც დღემდე ე.წ. „შავი კინოს" კლასიკადაა მიჩნეული.

ბესტსელერად გადაიქცა რომანი „მინის გასაღებიც". მისი მოქმედება აშშ-ს ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში ხდება. მოკლულია სენატორ ჰენრის ვაჟიშვილი ტეილორი. ეჭვმიტანილია ქალაქის პოლიტიკური ბოსი პოლ მედვიგი. მისი მეგობარი ნედ ბომონტი დარწმუნებულია, რომ ეს განზრახ კეთდება. ნედი კერძო ძიებას იწყებს. მართლაც, ბომონტის კონკურენტი შედ ო'რორი დაინტერესებულია მისი ჩაძირვით და ყველაფერს აკეთებს, რათა მედვიგი გაასამართლონ. თუმცა ო'რორი არაა მკვლელი. ბომონტის დაჟინებული ძიება ბოლოს გამოიღებს შედეგს, მკვლელი მხილებულია. იგი ტეილორ ჰენრის მამა სენატორი ჰენრი აღმოჩნდება. დანაშაული გახსნილია, თუმცა ამას როდი მოჰყვა სამართლიანობის დამკვიდრება. პირიქით, უამრავი ადამიანი გაუბედურდა, სენატორის კეთილშობილი სახელი შებღალულია და მისი ოჯახიც ინგრევა. ჰენრის ქალიშვილი ჯანეტი, რომელიც პოლ მედვიგს უნდა შეერთო, ნედ ბომონტს მიყვება და ქალაქს ტოვებს. ამან სამუდამოდ დააშორა ერთმანეთს აქნობამდე განუყრელ მეგობრები ნედი და პოლი. ამრიგად, ტრადიციული ჰეფი-ენდი აქაც ცხოვრებისეული რეალობითაა გაფერმკრთალებული.

„შემთხვევითი როდია რომანის სახელწოდება „მისნის გასაღები", – წერს ბოგომილ რაინოვი, — ესაა ბედნიერების გასაღები, რომელიც კარის გაღების მცდელობისთანავე ტყდება. მართლაც, საზოგადოებაში, რომელიც აღწერა ჰემეტმა, ბედნიერება შეუძლებელია."

წინამორბედთა მსგავსად „მინის გასაღები" ეკრანიზებულ იქნა და მრავალ ენაზე ითარგმნა. ასევე მსოფლიო ბესტსელერებად გადაიქცა მოთხრობები „ას ექვსი ათასად შეფასებული თავი", „დიდი თავდასხმა", „დაუპატიჟებელი სტუმარი" და ა. შ. ზოგიერთი კრიტიკოსი ჰემეტს ახალ გენიას უწოდებს. ამან მწერალი აღაშფოთა:

— ვინც ასეთ რამეს ლაპარაკობს, ან დამცინის, ან სულელია!

პოპულარობის ზენიტშიც კი ჰემეტს რეალობის გრძნობა არ ღალატობდა.

ჰემეტი – საზოგადო მოღვაწე

ამრიგად, ჰემეტი ცნობილი მწერალი და მილიონერი გახდა. მან მტკიცედ დაიმკვიდრა თავი ამერიკის მაღალ საზოგადოებაში. მისი წიგნები მთელს მსოფლიოში დიდი ტირაჟით გამოდიოდა. უდიდესი წარმატება ხვდა მათ მიხედვით გადაღებულ ფილმებსაც, რომელთა სცენარის ავტორიც თვითონ ჰემეტი გახლდათ. დიდების ზენიტში მყოფმა მწერალმა გამოსცა რომანი „გამხდარი კაცი". ზოგიერთი საბჭოთა კრიტიკოსი ამტკიცებდა, თითქოს ჰემეტმა ამის შემდეგ წერას თავი დაანება. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ჰემეტი განაგრძობდა აქტიურ მოღვაწეობას ჰოლივუდში როგორც სცენარისტი. იმავდროულად გამოსცა მემუარები („კერძო დეტექტივის მოგონებანი"), ნოველების კრებული, პიესები და ა. შ.

იწყება ჰემეტის, როგორც საზოგადო მოღვაწის, კარიერაც. სახელმოხვეჭილმა მწერალმა ახლაც გააოცა საზოგადოება. დაუახლოვდა მემარცხენეებს, გამოვიდა ესპანეთის რესპუბლიკის დასაცავად. ჰემეტი ხმამაღლა აცხადებს, რომ მხარს უჭერს კომუნისტებს. მეორე მსოფლიო ომის დროს, მიუხედვად იმისა, რომ მსოფლიოში ცნობილი მწერალი და მილიონერია, მოხალისედ მიდის ფრონტზე.

— ნაციზმი კაცობრიობის მტერია და მასთან ბრძოლა ყველა პატიოსანი ადამიანის მოვალეობაა! — აცხადებს ჰემეტი.

ომის შემდეგ ჰემეტი კვლავ განაგრძობს მემარცხენეებთან თანამშრომლობას და ხმამაღლა აცხადებს კომუნისტებისადმი თავის სიმპათიებს. მაკარტიზმის ხანაში ჰემეტს ეს გატაცება ძვირი დაუჯდა. მწერალი საპატიმროში მოათავსეს. ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოითხოვდა:

— ჰემეტის წიგნები უნდა აიკრძალოს!

ამის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა საზოგადოებამ. ხელისუფლებამაც უკან დაიხია. ჰემეტის წიგნების აკრძალვაზე უარი თქვეს. მეტიც, მათ წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ მათი პოპულარობა, შესაბამისად ტირაჟიც, გაზარდა. თუმცა მწერალმა ციხის კედლები ნახევარი წელი ხეხა.

ჰემეტის წიგნების ბედი სსრკ-ში

ჰემეტი მემარცხენე და სსრ კავშირის მეგობარი გახლდათ. პარადოქსია, რომ მისი წიგნები სსრკ-ში დაიწუნეს. მთელს მსოფლიოში მწერლის რომანები დიდი ტირაჟით გამოდიოდა. სსრკ-ში კი აიკრძალა:

— საოცარია, ჰემეტი ამათრახებს ამერიკას, მაგრამ აშშ-ში მისი წიგნები დიდი ტირაჟით გამოდის, მათი მიხედვით იღებენ ფილმებს, სსრკ-ში კი ჰემეტის გაგონებაც არ უნდათ, თუმცა ეს მწერალი აშკარა მემარცხენე და სოვეტოფილია! – წერდა ცნობილი ფრანგი მწერალი მორანი, ავტორი გახმაურებული პამფლეტისა "მე ვწვავ მოსკოვს".

მორანი ამტკიცებდა, რომ ჰემეტის რომანების გამოცემაზე უარი სტალინის მითითებით ითქვა, რომ თითქოს სტალინს სძულდა დეტექტიური ლიტერატურა, რადგანაც მას თავისი რეჟიმისათვის საშიშად მიიჩნევდა:

— დეტექტიური ლიტერატურა ავითარებს მკითხველში ლოგიკურ აზროვნებას. მკაცრი დეტექტივი განაპირობებს არსებული რეალობის კრიტიკულ აღქმას, ხელს უწყობს მკითხველში დემოკრატიული იდეალების დამკვიდრებას. სტალინს ხელს არ აძლევს ასეთი ლიტერატურა – მკაცრი დეტექტივი, თუნდაც მისი ავტორი სოვეტოფილი ჰემეტი იყოს!

ამ მოსაზრებას იზიარებდა დეტექტიური ჟანრის კლასიკოსი ინგლისელი მწერალი ჯონ დიქსონ კარიც:

— მკაცრი დეტექტივი აჩვენებს ამერიკული ცხოვრების ჩრდილოვან მხარეს, მაგრამ ის არ ჯდება ე.წ. „სოციალისტური რეალიზმის" ჩარჩოებში. ეს დეშილ ჰემეტის რომანებსაც ეხება, სადაც „ამა ქვეყნის ძლიერთ" მარტოხელა გმირი და არა კომუნისტური პარტია უპირისპირდება. „ასეთი ფილოსოფია საბჭოელთათვის მიუღებელია, ამიტომაც სსრკ-ში ჰემეტი დაიწუნეს

მორანის სტატიამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ანრი ბარბიუსმა, რომელმაც სტალინს მთელი წიგნი უძღვნა, მოსკოვში ყოფნისას დიქტატორს ასეთი შეკითხვა დაუსვა:

— ბატონი სტალინ, დასავლეთში ზოგიერთები ამტკიცებენ, თითქოს თქვენ კრძალავთ დეტექტიურ ლიტერატურას, რადგანაც ამას სახელმწიფოსათვის საშიშად მიიჩნევთ.

— დეტექტიური ლიტერატურა არ მიყვარს, ეს მართალია, – მიუგო სტალინმა, – მაგრამ ის, რომ ამას სახელმწიფოსათვის საშიშად მივიჩნევ, აბსურდია. არასდროს ვკრძალავდი რაიმეს და არც მომავალში ვაპირებ, მითუმეტეს, რომ კანონითაც არა მაქვს ამისი უფლება.

— თქვენ განაცხადეთ, რომ დეტექტიური ლიტერატურა არ მოგწონთ, რატომ?

— იმიტომ, რომ არ ასახავს რეალურ ცხოვრებას, სიუჟეტები თითიდანაა გამოწოვილი, მოქმედი პირები ცოცხალ ადამიანებს კი არა, გამოპრანჭულ მანეკენებს ჰგვანან. ასეთი ლიტერატურა მხოლოდ ამახინჯებს მკითხველის გემოვნებას, ქმნის ყალბ წარმოდგენებს, ამკვიდრებს ყალბ ფასეულობებს.

— ახლა დასავლეთში ძალზე პოპულარულია დეშილ ჰემეტის რომანები, სადაც ნაჩვენებია რეალური ცხოვრება.

— ჰემეტის წიგნებს არაფერი აქვთ საერთო ლიტერატურასთან. ესაა ბილწსიტყვაობის, ძალადობისა და გარყვნილების ნაზავი. ესაა დაბალხარისხოვანი გასართობი მაკულატურა, რაც მკითხველთა გონებაზე მხოლოდ მავნე ზეგავლენას ახდენს.

— მაგრამ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ჰემეტს მკითხველთა ფართო აუდიტორია ჰყავს...

— გილიოტინასაც მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე შექსპირის თეატრს, მაგრამ არავის მოუვა თავში განაცხადოს, რომ გილიოტინა ხელოვნების ნიმუშია, — მიუგო სტალინმა.

მეორე მსოფლიო ომის დროს კვლავ ცდილობდნენ გამოეცათ სსრკ-ში ჰემეტის წიგნები. ამას ისეთი ავტორიტეტული მწერალი ლამობდა, როგორიც ილია ერენბურგი გახლდათ. არაფერმა გაჭრა. არც ერენბურგის ავტორიტეტმა, არც იმან, რომ ჰემეტი მემარცხენე და საბჭოთა კავშირის მეგობარი იყო. ომის შემდეგ ერენბურგმა კვლავ სცადა „გაეთრია" ჰემეტი. ამაოდ. სტალინზე არც იმან იმოქმედა, რომ მწერალი კომუნისტებისადმი სიმპათიის გამო მაკარტიზმის დროს ციხეში მოხვდა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ვითარება შეიცვალა „კომსომოლსკაია პრავდაში" ქვეყნდება სტატია „დაე იცოცხლოს დეტექტივის რომანტიკამ!" ამით დეტექტიური ლიტერატურის გავრცელებას „ზემოდან" მწვანე შუქი აენთო. დაიწყო დასავლელ ავტორთა თარგმნაც. თუმცა ჰემეტის გამოცემა არც ახლა გახდა შესაძლებელი. საბჭოთა ფუნქციონერები ჯიუტად ამტკიცებდნენ:

— დეშილ ჰემეტის თხზულებანი საბჭოთა ადამიანებისათვის უცხო და მიუღებელია!

„ხრუშჩოვის ხანამ" ისე ჩაიარა, რომ სსრკ-ში ჰემეტის ნაწარმოებები არ გამოცემულა. დისკუსიამ "გვჭირდება თუ არა ჰემეტი" ე.წ. „უძრაობის პერიოდშიც" გადაინაცვლა. აქ გადამწყვეტი ახალი საბჭოთა ლიდერის ლეონიდ ბრეჟნევის პოზიცია გამოდგა. მოხდა ისე, რომ ბრეჟნევს ძალიან მოეწონა ფილმი „ას ექვს ათასად შეფასებული თავი", რომელსაც საფუძვლად ჰემეტის მოთხრობები დაედო. ამის შემდეგ კრებულში „მათი ცხოვრების წესი" დაიბეჭდა ჰემეტის მოთხრობა „ადამიანი, რომელმაც მეტისმეტად ბევრი იცოდა". იდგა 1971 წელი, ჰემეტი უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო.

„უძრაობის ხანაში" რუსულად გამოსცეს რომანი „მინის გასაღები" აგრეთვე მოთხრობა „კაცი, რომელსაც ერქვა სპეიდი". მალე ტალინფილმმა „მინის გასაღების" მიხედვით გადაიღო მხატვრული ფილმი „ხროვა". რომანები „მალტიური შევარდენი", „წითელი მკა" და „დეინთა საგვარეულო წყევლა" კი უკვე „პერესტროიკის" ხანაში გამოიცა.

ეპილოგი

დეშილ ჰემეტი გარდაიცვალა 1961 წელს. მწერალი არლინგტონის სასაფლაოზე დაკრძალეს, იგი ხომ ორი მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ.

„მკაცრმა სკოლამ" კი, რომელიც ჰემეტმა შექმნა, წარმატებით დაიმკვიდრა თავი მსოფლიო წიგნის ბაზარზე.

გიორგი დათუნაშვილი

„დავტოვო კვალი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც ადამიანი უსინათლოა და არ შეუძლია იმ სილამაზის დანახვა რაც უფალმა შექმნა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ჩემს მშობლიურ ქვეყანაში. საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ვიყო საკუთარი თავის წინაშე ყოველთვის მართალი და ვიცხოვრო ისეთი ადამიანების გარემოცვაში, ვისთანაც თავს სულიერად მშვიდად ვიგრძნობ.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— დათა თუთაშხია, ზვიადაური.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— გიორგი სააკაძე და ცოტნე დადიანი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მოდილიანი და ნიკო ფიროსმანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— გამორჩეულად არავინ მყავს. თუმცა ბევრს ვაფასებ.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ვაჟკაცობას და თავმდაბლობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— პატიოსნებას და ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიკეთის კეთება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ლექსების წერა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არასდროს მქონია სურვილი სხვა ვინმე ვყოფილიყავი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიალალე და გულახდილობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას და გასაჭირში გვერდში დგომას

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიზარმაცე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როდესაც გვერდით გყავს საყვარელი ადამიანი და ბევრი შვილები. არაფერი გიჭირს და ბედნიერი ხარ.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— საყვარელი ადამიანების უდროოდ გარდაცვალება, რომელიც სამწუხაროდ უკვე განვიცადე.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მაგაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ სჯობდა უკეთესი ვყოფილიყავი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მწვანე.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ილია ჭავჭავაძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— შოთა ნიშნიანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ნიზამი განჯელი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოთარაანთ ქვრივი და სანათა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ყველა ის ადამიანი, ვინც სამშობლოსათვის თავს გასწირავს ყველა გმირია ჩემს გულში.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— შუშანიკი.

— საყვარელი სახელი?

— ნინო, დავითი, თორნიკე, თამარი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ტყუილს და ღალატს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა.

— არც ისტორიაში და არც რეალურ ცხოვრებაში ადამიანები ზიზღს არ იწვევენ ჩემში. უბრალოდ, უბრალოდ მიუღებელია მათი მხდალი საქციელი ჩემთვის.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— იქ, სადაც ადამიანების სისხლი იღვრება, ზედმეტად მიმაჩნია აღტაცებაზე საუბარი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— მომავალ თაობაში სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ამითაც მადლობელი ვარ, რაც ღმერთმა მომცა.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— „არ მიფიქრია მე ჯერ სიკვდილზე, არ დამიკარგავს სიცოცხლის ფასი, ისე, მეფური, ამაღლებული ტაბიძისა და ნიკალას მსგავსი“. და კიდევ: „წავიდე ისე ზეცა სტიროდეს, ამაყად ვიდგე ცოდვილი ღმერთთან, დავემშვიდობო ბოლო მზის სხივებს და ჩემი კვალი დავტოვო ყველგან“.

— თქვენ სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მშვიდი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ისეთს არაფერს ვაკეთებ, რომ ვინმეს შემწყალებლობა დამჭირდეს.

— თქვენი დევიზი?

— „დავტოვო კვალი გამხმარ მიწაზე, დროს დავეწიო და ვიქცე იმად, ვინც სამშობლოსთვის თავი გასწირა და გამხმარ ფესვებს მოედო წვიმად“.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მოგეტეოს ყველა შენი შეცოდებანი.

მიხეილ კოპალეიშვილი

„არ დავჰსცხრე ვირე ვიყო“

ოთარ ჭილაძის სიტყვა ოთარ ჩხეიძეზე

იმ წელს ბატონ ოთარ ჩხეიძის წიგნიც წარადგინეს აკაკი წერეთლის პრემიაზე.

როგორც მოგეხსენებათ, სიის გამოქვეყნების შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, მასმედიაში ქვეყნდება მასალები, სადაც საუბარია წარდგენილ ნაწარმოებებზე, მათ ავტორებზე, შემოქმედებასა და ღვაწლზე ქართულ ლიტერატურაში.

რა თქმა უნდა, პრეტენდენტები სხვებიც იყვნენ, მაგრამ კონკურენტებში მისი უპირატესობა, მისი დამსახურება ისე ცხადი იყო, რომ იოტისოდენა ეჭვიც არ შეგეპარებოდათ ბატონ ოთარის გამარჯვებაში. ალბათ ამიტომაც ვიჩქარე (ეს შემდეგ გამოჩნდება!), გავბედე და შევეხუმრე: ლაურეატობა ყელქცეულში უნდა აღვნიშნოთ-მეთქი. სათვალიდან ღიმილით აციმციმებული სხივიანი თვალებით გამომხედა. ოღონდ, როცა დავუკვირდი, შევამჩნიე, რომ ამ თბილ გამოხედვას ერთგვარი ირონიული დაეჭვებაც ახლდა. ჰქონდა კიდეც საამისო საფუძველი: ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების გზაზე უსამართლო კრიტიკისა და დაუფასებლობის მეტი რა შეხვედრია, რა ენახა, მაგრამ მაინც... ბედი ერთხელაც გამოსაცდელი იყო!

„ამჯერად მაინც უნდა გავიმარჯვოთ!“ — ჩავითქვი და რადიოს პირველი არხისათვის გადაცემის მზადებას შევუდექი. გეგმა შევადგინე. მერე ლიტერატურა შევარჩიე და იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ ვის უნდა მიეღო მონაწილეობა გადაცემაში. უპირველესად ოთარ ჭილაძეს დავურეკე, რადგან ვიცოდი მისი აზრი თავის უფროს კოლეგაზე, მაგრამ ეს მისთვის მაინც იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თავიდანვე უდროობა მოიმიზეზა: — რომანის დასასრული მაწვალებს, ვერაფერს ვუხერხებ. გარდა ამისა, ბატონი ოთარი ის მწერალი არ არის, მის პიროვნებასა და ღვაწლზე ასე ნაუცბათევად და მოკლედ დავწეროო.

მართალია, ფრიად საპატიო მიზეზები დაასახელა, მაგრამ, როგორც ინტონაციაში (ფსიქოლოგიაში დადასტურებულია, რომ ინტონაცია იძლევა ინფორმაციის ორმოც პროცენტს!) შევამჩნიე, კატეგორიულ უარს არ ამბობდა, ამიტომ ადრევე მოფიქრებული უწყინარი, ე.წ. „ჟურნალისტური ტყუილი“ შევაპარე: — ვაიმე, შენი სახელით ბატონ ოთარს უკვე ვუთხარი და ახლა როგორმე უნდა მიხსნა-მეთქი...

ტელეფონი საეჭვოდ დადუმდა.

ნამდვილად არ გვქონია ისეთი ურთიერთობა, ყურმილი უბრად დაედო, ამიტომ მოთმინებით ვუცდიდი...

— იცი, რა, — გაისმა ბოლოს, — დღეს ხომ ოთხშაბათია, იმ კვირის პარასკევს მოდი, თორმეტ საათზე...

შეხვედრა მის სამუშაო ოთახში საყვედურით დაიწყო: შემდეგში ჩემი სახელით ნურავის დაპირდები რაიმესო. საქმე ის გახლდათ, რომ რამდენიმე წლით ადრე, როდესაც ვამზადებდი გადაცემას საქართველოს სახალხო მხატვარზე გიორგი ოჩიაურზე, ოთარს ვთხოვე, გაეხსენებინა, როგორ წაიყვანა სულ პირველად, 1951 წლის ზაფხულში, მშობლიურ სოფელ ახიელში — ხევსურეთში — ის და მისი მეგობრები: გურამ რჩეულიშვილი, გურამ თიკანაძე, ანზორ სალუქვაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ერლომ ახვლედიანი, და მაშინაც ეს ფანდი გამოვიყენე...

თაბახის ორი ხელნაწერი ფურცელი გამომიწოდა: — აბა, წაიკითხე!

— მე კი არა, შენ უნდა წაიკითხო-მეთქი, — გავეხუმრე და ხმის ჩამწერი აპარატის გამართვას შევუდექი.

დიდ ადამიანებს, დიდ მწერლებს თავიანთი უცნაურობები ახასიათებთ. მე, მოკვდავმა ჟურნალისტმა, ჩაწერამდე, წინდაწინ უნდა შევაფასო, რას ფიქრობს ერთი სახელოვანი შემოქმედი თავის ასევე სახელოვან კოლეგაზე. მისაღები იქნება თუ არა მისი აზრი თანამოკალმისათვის, საზოგადოებისათვის. გარემოებამ დააკავშირა ისინი ერთმანეთს. ერთ დროში უხდებოდათ ცხოვრება. ქვეყნისა და ერის სატკივრით ცხოვრობდნენ და წერდნენ. ერთი თავისებურად, მეორეც თავისი სტილით. ღრმად წვდებოდნენ ადამიანის გარეგან და შინაგან სამყაროს. ჯიუტად ეძებდნენ მათ ადგილს ამ მოუწყობელ და მოუწესრიგებელ წუთისოფელში, ან უფრო უკეთ, ამ უკიდეგანო სამყაროს ერთ პაწაწკინტელა წერტილში — თავიანთ სამშობლოში: „გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ“. ასე აღწერდნენ მათ ხასიათებს, დამოკიდებულებას პიროვნებასთან, საზოგადოებასთან მიმართებაში. ზედაპირზე ამოჰქონდათ დაფარული, ქართულ პროზაში აქამდე ნაკლებად გამოკვეთილი თუ ვერშემჩნეული ვნებები, ხინჯი (ოთარ ჭილაძისა არ იყოს, მაინც რა ისეთი ზადი შეჰყვა უფალს მოზელილი თიხით ადამიანის შექმნისას, რომ დღემდე ვერ მოუცილებია) თუ ღირსება, ისეთ მხატვრულ ყალიბში აქცევდნენ, რომ თითოეულის კერძო, პირადული ნიშან-თვისება ზოგადის ხასიათს იძენს და ვიწრო ეროვნულობის ფარგლებს სცილდება.

ოთარ ჭილაძე განსაკუთრებით გამოარჩევდა თავისი უფროსი კოლეგის ადამიანურ თვისებებს, პრინციპულ დამოკიდებულებას წერის თავისებური, საკუთარი მანერისადმი — სტილისადმი. აღნიშნავდა, რომ, ამ მხრივ, ქართულ ლიტერატურაში არც ერთ მწერალს, გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას გარდა, არ შეხვედრია იმდენი კრიტიკა და წინააღმდეგობა, რამდენიც ოთარ ჩხეიძეს. მას კი არასოდეს, ერთი მისხალითაც არ დაუთმია თავისი პოზიცია, მრწამსი, და შემოქმედების დასაწყისში იმგვარადვე წერდა, როგორც იმჟამად. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ არ იხვეწებოდა ფრაზის, წინადადების შინაგანი კონსტრუქცია. ამის დასტურია მთლიანად მისი პროზა და პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც წამოჭრილია თანამედროვე ლიტერატურული თუ საზოგადოებ-

რივი ცხოვრების უმწვავესი სადღეისო და, აქედან გამომდინარე, სამერმისო პრობლემები. საუბრის დასასრულს კი, აჯამებდა რა თავის გამოსვლას, ასკვნიდა, რომ მთელი ცხოვრებითა და შემოქმედებით ოთარ ჩხეიძე უდავოდ იმსახურებდა აკაკი წერეთლის პრემიას.

თუმცა გამოხდა ხანი და, როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, საპატიო ჯილდო „ჩაწყობის საქმეში გამობრძმედილმა“ მწერალმა ირგუნა.

და ამას მოჰყვა ის, რომ თითქოს განგებ-სპეციალურადო, წაიშალა რადიოს, ე.წ. „ოქროს ფონდისათვის“ განკუთვნილი ჩანაწერი და, მაშასადამე, მთელი ტექსტი.

ოთარ ჩხეიძე

როგორც ჩანს, ასეთი „უცნაური“ შემთხვევები, მოულოდნელობები საკმაოდ ხშირი იყო ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. აი, თუნდაც, ერთი მაგალითი: 1990 წლის თებერვლის ბოლოს რადიოს პირველი არხის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ პროგრამაში „დროება“ გადაიცა სიუჟეტი იმის შესახებ, რომ ქართველმა მწერალმა (მოდით, ვინაობას ნუ გავამხელთ, რა მისი ბრალია) გამოსცა რომანი, რომელშიც ასახულია ორმოცდათექვსმეტი წლის 9 მარტის ტრაგიკული დღეები (ლაპარაკი იყო რომანზე და არა სხვა ფორმის ნაწარმოებებზე). შეიძლება, ყურადღება არ მიგექცია იმისათვის, რომ ავტორს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო, დიდხანს არ უცხოვრია საქართველოში, კარგად არ იცოდა მშობლიური ენა, რომანი რუსულად დაწერა და შემდეგ ითარგმნა ქართულად, მაგრამ, როდესაც „დროების“ წამყვანმა მსმენელს წარუდგინა ნაწარმოები, წინასიტყვაობაში აღნიშნა: ეს არის პირველი რომანი, რომელშიც, გარემოებათა გამო, აქამდე მივიწყებული ცხრა მარტის მოვლენებია ასახულიო. შემდეგ კი მსახიობმა წაიკითხა შერჩეული ნაწყვეტი. საეთერო ვიზას ამ გადაცემას მეც ვაძლევდი, რადგან იმჟამად რედაქციის მთავარი რედაქტორი გახლდით. გულახდილად რომ ვთქვა, წინასიტყვაობა არ წამიკითხავს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მაინც ვერაფერს შევცვლიდი, რადგან არ ვიცნობდი ოთარ ჩხეიძის რომანს „გამოცხადებაი. Apokalipsis“.

ბატონი ოთარი თურმე, როგორც იტყვიან, „დროების“ აქტიური მსმენელი ყოფილა. უფრო ზუსტად, რაც უნდა დაკავებული ყოფილიყო, არ გამორჩებოდა მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების უწვრილმანესი დეტალიც კი. რა თქმა უნდა, მოუსმენია ეს გადაცემაც. ყველა დამეთანხმება, და სავსებით ბუნებრივიც არის, ძალიან გულნატკენიც დარჩენილა. რა ვიცოდი, თორემ იმ დროს მასთან შეხვედრას მაინც მოვერიდებოდი! არადა, ერთი სატელევიზიო გადაცემის გამო სახლში ვეწვიე. ყოველთვის პირდაპირ და პირში მთქმელ ადამიანს წყენა არ დაუმალავს. გაფუჭებულ საქმეს რაღა ეშველებოდა, მაგრამ მაინც გულწრფელად ვუთხარი, რაშიც იყო საქმე. ეტყობოდა, მაინც და მაინც მის მიმართ ამდენი, ნებით თუ უნებლიეთ, დაშვებული შეცდომა გულს იოლად ვერ უმრთელებდა, შებრუნდა, წიგნის კარადასთან მივიდა, ერთი შავყდიანი წიგნი შეარჩია და გამომიწოდა:

— აჰა, გადაათვალიერეთ მაინცა!

თუ არ წაიკითხავთ, თქვე მამაცხონებულებო, „გადაათვალიერეთ მაინცა“-ო.

„ოთარ ჩხეიძე. გამოცხადებაი“.

თვალი მოვკარი შავ ფონზე მსხვილი, თეთრი ასოებით გამოყვანილ წარწერას. ვიდრე გამოვართმევდი, მუნჯურად, მარჯვენა ხელით ვანიშნე — რაიმე მიაწერეთ-მეთქი. ერთი კი გადმომკრა თვალი, მაგრამ, ეტყობა, ხელსაყრელი დრო შევურჩიე, მაგიდასთან მივიდა, ყდა გადაშალა, ორი ფურცელიც ზედ მიაყოლა და, შერიგების ნიშნად, თავფურცელზე წვრილი, თითქოს სათუთად გამოყვანილი ასობგერებით დააწერა:

„ბატონ მიხო კოპალეიშვილსა. პატივისცემითა.

ოთარ ჩხეიძე. 3.III.90.“

რომანის წერა მშობლიურ ყელქცეულში 1973 წელს გაუსრულებია. როგორც სარედაქციო მინაწერი გვაუწყებს: „საჯაროობამ და დემოკრატიის ვითარებამ ხელი შეუწყო ოთარ ჩხეიძეს გამოეცა პირუთვნელი და მართალი წიგნი 1956 წელს თბილისში, სანაპიროზე, ახალგაზრდობის გამოსვლების გამო“.

დიახ, „საჯაროობამ და დემოკრატიის ვითარებამ“. თორემ, როგორც თვითონ წერს ერთგან: „ჩვენი გამომცემლობების დამოკიდებულება ჩემდამი ყოველთვის ამგვარი იყო: გეგმიდან გეგმაში გადაჰქონდათ ჩემი წიგნები და ათ-თხუთმეტ წელიწადს მაინც ანდომებდნენ. ახლაც დევს ჩემი „ვენეციური ჭაღი“ გამომცემლობებსა თუ სტამბაში ამდენი ხანია, ხოლო „ამაღლება“, „მნათობში“ რო დაიბეჭდა, აღარც არსად წარმიდგენია“. ამიტომაც არის, რომ გამომცემლობა „მერანმა“ რომანი ასე დაგვიანებით — 1989 წელს დაბეჭდა.

ჰოდა, აგერ, წინ მიძევს წიგნი, სადაც, თავიდან ბოლომდე, თითქმის დოკუმენტურად და ჩხეიძისეული დიდი მხატვრული ოსტატობით არის ასახული მარტის ის დღეები. მაშინ 21 წლის სტუდენტი გახლდით. ცხადია, იმ ამბების ჩემებურად აქტიური მონაწილე და, როგორც ფართო

პანოზე ცოცხლად დახატულ სურათს, ისე ვუცქერი რომანში აღწერილ ეპიზოდებს, მოვლენებს.

რომანის დასასრულიდან, ამჯერად, აქ ერთ პატარა ნაწყვეტს მოვიტან. ის მე შემდგომ ამბავზე გადასასვლელადაც მჭირდება: „პირველი ტყვიაც მაშინ გავარდა, გავარდა, ოღონდ ჯერ იქვე არა, ზევით გავარდა, რუსთაველზედა, ჯორჯიაშვილის ქუჩის თავშია, კავშირგაბმულობის სახლი რო დარქმევია, იქიდან გავარდა პირველიცა და უამრავიცა, იქიდანაცა და სასტუმრო „თბილისის“ სახურავიდანაცა, ჯვარედინი ცეცხლი ჩაიბა; იწვიმა ტყვიამა თუ ცეცხლმა, იწვიმა, გადმოიფრქვა და დიოდა, დიოდა, ადიოდა სისხლიცა რაღა თქმა უნდა, ავარდა მტვერიცა, სისხლი და ცეცხლი მტვერში გამოეხვია, ხოლო ხალხი — მტვერშიცა, სისხლშიცა, ცეცხლშიცა ცხადია“...

აი, ზუსტად ამ კავშირგაბმულობის სახლის შესასვლელთან დავინახე ბატონი ოთარი. 1991 წლის, მგონი, ნოემბრის შუა რიცხვები იყო. ჯგუფ-ჯგუფად შეყრილიყვნენ ეროვნული ხელისუფლების მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ერთმანეთს ხმის ჩახლეჩამდე ყვირილით (ჯერჯერობით, ყვირილით. ცოტა ხანში აქ ქვემეხიც აქუხდებოდა და ავტომატის ტყვიის წვიმაც წამოვიდოდა) უმტკიცებდნენ თავიანთ სიმართლეს. სწორედ აქვე, ახლო იყო მათი გამყოფი ხაზი. უეცრად დავინახე: წრედ შემდგარი ერთი ჯგუფის განაკიდეს ბატონი ოთარი იდგა. ღიანაცრისფერი ლაბადა ეცვა, ხელები უკან დაეწყო, წელში წახრილიყო და გულისყურით, დაძაბული უსმენდა მოჩხუბარ-მოკამათეებს. ზოგჯერ ვიღაც მოვარდებოდა, უხეშად მიწევ-მოწევდა ადამიანებს, წრეში შევარდებოდა და ის დაიწყებდა თავისი ანუ სრული ჭეშმარიტების მტკიცებას. ზოგჯერაც იქედან გამოარღვევდა ხოლმე ვიღაც წრეს. მწერალს უხეშად, დაუდევრად ხან აქეთ მიაგდებდნენ, ხანაც იქეთ. ის კი, ვითომც არაფერიო, ადგილს შეირჩევდა, სათვალეს გაისწორებდა, ხელებს კვლავ უკან დაიწყობდა, წინ გადაიხრებოდა და გაფაციცებით უგდებდა ყურს ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ თანამემამულეებს. ვიღას ახსოვდა აქ, ამ ადგილზე (მართალია, სხვა მიზნითა და ვითარებით) დატრიალებული ტრაგედია, 35 წლის წინანდელი ისტორია. თუმცაღა ისტორია ხომ არაფერსაც არ გვასწავლის... თუ ჩვენ არ ვსწავლობთ არაფერს?

ყური მივუგდოთ მწერალს. ის უკეთ აგვიხსნის ყველაფერს: „ნუ გეგონება თითქოს ესაოდა ძველი ამბავიაო, თითქოსდა ამა და ამ დროს ესა და ეს რო მოხდა, მას მერე შეიცვალა ყველაფერიო. ნუ გეგონება, ადვილადაც არაფერი იცვლება ამა ქვეყნადა, ყოველშემთხვევაში, ჩვენ რა ისტორიაც ვიცით კაცობრიობისა, არცრა შეცვლილა, არც პირი უჩანს შეცვლილებისა, ადამიანები სჭამენ ერთმანეთსა, სჭამდნენ და სჭამენ, სჭამენ და შესჭამენ, ჰოდა ნუ გეგონებამეთქი, ყმაწვილკაცი სჩანხარ, ყმაწვილკაცურად ნუ გეგონებამეთქი; ხელისუფლება არ გაგიმხელს ამნაირადა. არ გაგიმხელს, რად გაგიმხელს?..“ („გამოცხადებაი“)

და ბოლოს. წიგნისათვის ავტორს ეპიგრაფად შეურჩევია ანტონ პირველის სიტყვები: „არ დავჰსცხრე ვირე ვიყო“. ამ დევიზში ჰქონდა ჩაქსოვილი თავად ოთარ ჩხეიძეს საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების დედააზრი და ბოლომდე ერთგულად, თავდადებით, გაუბზარავად ემსახურა მას!

ზურაბ ლავრელაშვილი

ქალაქი მტვერში

და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ და არა შეგიწყნარონ
თქუენ, გამო-რაჲხვდოდეთ უბანთა
მისთა, არქუეთ მათ: აჰა, ესერა მტუერი რომელ
აღეკრა ფერხთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა,
განვიყრით თქუენ ზედა. გარნა ესემცა უწყით,
რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.
ლუკა, 10, 10:11

მანჯურიელი გან ბაოს დუქანი ხიდის ყურში იდგა. ხიდქვეშ შარდისფერი ღელე მიილეოდა. ზაფხულობით ღელე ჭაობდებოდა და გარშემო ხაშმიან სიმყრალეს ავრცელებდა. ღელეს ორივე ნაპირას ნაგავი ეყარა. სიმყრალე ბაზრის მოედნამდე უწევდა, რომლის მიღმაც ცემენტის ქარხნის თითქოს ცამდე აჩაჩხული მილები ჩანდა. დილიდანვე ბოლავდა ეს მილები სქელი, მღვრიე კვამლით, მძინარესავით გასუდრულ ქალაქს ხრილივით ეფინებოდა და თითქოს ეს როდი კმაროდა საიმისოდ, რომ ტრამალზე გაფენილი ქალაქი გაჩხიბულს დამსგავსებოდა — ღარტაფის ირგვლივ შემოჯარული ცარცოვანი ბორცვებიდან თუ უნაყოფო, ბერწი ტრამალიდან წამოხვეტილ მტვრის ბურს კუდიანი ქარი რუხ, ნაცრისფერ შუკებსა თუ მოედნებზე დააჯირითებდა და ქალაქიც მტვრის ბურუსში უჩინარდებოდა — უსახო, მიმქრალი, თითქოსდა ჯადოქრის კვერთხის აქნევას დამორჩილებული და აღარაფერი იხილვოდა მტვრის ამ განუწყვეტელ მოფენაში; მტვრის ცახე კრაწუნებდა კბილებში, ცარცის უწვრილესი დანაფიფქი ედებოდა გამვლელებს თავსა და მხრებზე, ბოლივით მოძრავი კირქვის ბოლქვები აღწევდა ყოველ ღრიჭოსა თუ ნასვრეტში და მართლაც საოცარი იყო, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები მტვრის ნისლეულში... თუმცა ზოგჯერ, უქარო, წყნარ ამინდში, როცა თეთრი ფარდა აიწეოდა, ქალაქი ცოცხლდებოდა და ამოძრავდებოდა. მოქალაქეები გარეთ გამოეფინებოდნენ, რათა გამოხუნებული ცისთვის თავიანთი სახლებისა თუ ქოხმახების პარმაღიდან ეთვალთვალათ. მოლოდინით საეჭვოდ აფუსფუსებულ ქალაქს ზოგჯერ მართლაც ხსნასავით მოევლინებოდა ხოლმე შხაპუნა წვიმა და ფანჯრებს მომდგარი მოქალაქეებიც ხედავდნენ, თუ როგორ მიჰქონდა ქუჩებში დაქანებულ ნიაღვარს სახლის სახურავებიდან თუ კედლებიდან ჩამორეცხილი ცემენტის აქაფებული ხსნარი. წვიმის დროს ღელეც დიდდებოდა და ნაპირებიდან მოხვეტილი ნაგავი ხიდის რკინის ბურჯებს ედებოდა. გაცოფებული წყალი მაღლა იწევდა, მანჯურიელის დუქანს თითქოს წალეკას უქადდა, მაგრამ რაღაც საოცრად, ჩამპალი ფიცრებით შეკრული ხუხულა უვნებელი რჩებოდა — ალბათ დუქნის პატრონის გამოუცნობი, ფარული ძალმოსილების გამო. ქალაქში ჭორად დადიოდა განბაოს მჩხიბაობისა თუ ჯადოქრული უნარის ამბავი; ისიც იოლად ერწმუნათ, მანჯურიელს სტიქიონის დამორჩილება ძალუძსო. ხიდის ყურში მიყუჟული დუქანიც თითქოს საკრ-

ძალავ ადგილად ქცეულიყო. იშვიათად თუ ვინმე შეივლიდა მოხუც მანჯურიელთან, რომელიც არასოდეს სჩვენებია მუშტარს. დუქანი ორად იყო გაყოფილი: წინა ოთახში საავაჭრო იყო, უკანა ოთახში კი თავად დუქნის პატრონი ცხოვრობდა. წინა ოთახის კარი ზამთარ-ზაფხულ ღიად ეგდო, მომსვლელი საჭირო ნივთს იღებდა, კრძალვით იჭვრიტებოდა უკანა ოთახისაკენ, სადაც განურჩეველი ბინდი იდგა, ფულს დახლზე სტოვებდა და წასვლას ჩქარობდა.

ტრამალის მხრიდან წამოსულ მტვერს დუქანი წისქვილივით გაეთეთრებინა. სინესტისაგან დამპალ ფიცრებზე ლაქებსა და ხავსს გაუგებარი ნიშნები აღებეჭდა. დრო-ჟამის დინებისგან გამორიყული კიდობანივით იდგა დუქანი უკაცრიელ ალაგას, თუმცა ქალაქის სტუმარი მას გვერდს ვერ აუქცევდა. ჩინური კერპივით უძრავად იჯდა მანჯურიელი სიბნელეში და თითქოს სიკვდილსაც დაჰვიწყებოდა — არავინ იცოდა რა ხნის იყო ან როდის მოსულიყო ამ მხარეში; ქალაქელმა ჭორიკანებმა ვერც ეგ დაადგინეს, ვინ ამარაგებდა მანჯურიელს საბაყლო თუ წვრილმანი საქონლით — ნივთები თითქოს თავისით ჩნდებოდნენ არარადან, ოდენ მოხუცის ნებითა თუ სურვილით და დუქნის სიბნელესავით განუჭვრეტელი, გონისთვის მიუწვდომელი ეს ყოფა, მიწისქვეშა დინებასავით უხილავი და უგრძნობი, მანჯურიელს ზღაპრულ, საარაკო შარავანდედში ხვევდა. განბაოს ხსენებას ერიდებოდნენ და თუ ვინმე მაინც ახსენებდა, უმალვე პირჯვარს გადაისახავდა ან ავი თვალისგან დამცავ ლოცვას წაიბუტბუტებდა. მტვრის საფარქვეშ მოქცეულ ქალაქს სხვა საჭირბოროტო საქმეებიც ულევი ჰქონდა და მოხუცისთვის არავის ეცალა. ისიც უხმოდ იფერფლებოდა დუქნის ბინდბუნდში, თითქოს განილეოდა და პატარავდებოდა და ბნელშიც ნელი-ნელ მქრქალდებოდა ცვილივით ყვითელი სახება მანჯურიელისა, ჭერიდან ჩამოღწეული მთვარის სხივი უფრო მეტად რომ აყვითლებდა ზღვის ფსკერიდან ამოღებულ ქარვასავით.

ერთხელ, ერთადერთხელ გამოღღოდა მანჯურიელი დუქნიდან და ისიც იმ დროს, როცა თავსდატეხილმა უბედურებამ მთელი ქალაქი ააფორიაქა. უბედურების მაცნე კი უცხო კაცი იყო, ქალაქში რკინიგზის ბაქნიდან რომ მოვიდა და აქ ორი კვირა დაჰყო.

* * *

აგვისტოს დამდეგს ქალაქს გამომძიებელი ეწვია. შუახნის კაცი იყო, სასიამოვნო შესახედაობისა; მაღალს, გამხდარსა და მხრებში შესამჩნევად მოხრილს რუხი სერთუკი ეცვა, ნაცრისფერი კარტუზი ეხურა. ხელში საკვოიაჟი ეჭირა და მიხრა-მოხრით, იერითა და ქცევით კომივოიაჟერს უფრო ჰგავდა, ვიდრე საგანგებო დავალებით მოვლინებულ პირს. დილის მატარებელს ჩამოჰყვა ქალაქში, ბაქანზე სხვებზე გვიან გადმოვიდა და იქვე გაჩერდა, ყური მიუგდო სადგურის უფროსისა და შავი ანაფორით მოსილი მღვდლის საუბარს.

— მიბრძანდებით, მამაო? — სადგურის უფროსს ხელი ზარის თოკზე ეკიდა, მღვდელს პირისპირ ედგა, მსუქან სხეულზე ფორმის ტანსაცმელი შემოსალტვოდა. პატარა და ხნიერი მღვდელი ვაგონებს თვალს აყოლებდა, ამიტომაც უკანმოუხედავად უპასუხა:

— მივდივარ

— გვტოვებთ? — სადგურის უფროსმა თოკი მძაფრად შეარხია და ზარის რეკამ უცებ გადაურბინა ბაქანს, სივრცეში გაიჭრა.



— დავიღუპებით, — აჩქარებით თქვა მღვდელმა და ისე აქლოშინდა, თითქოს დიდი მანძილი გაერბინოს, — ამ ქალაქში ეშმას დაუბუდია.

— თქვენც თუ მიდიხართ, ვინღამ უნდა გვიხსნას ბოროტისაგან? — სადგურის უფროსს მოწყენილი სახე ჰქონდა, მღვდლის მხარს ზემოთ დაძრულ მატარებელს უყურებდა.

მღვდელი მკვეთრად შემობრუნდა მისკენ.

— აქამდეც უნდა წავსულიყავი. დიდი ხანია აქაურობა ღვთის სიტყვამ მიატოვა, — მან ანაფორიდან მტვერი ჩამოიბერტყა და ქოლგა გაშალა.

სადგურის უფროსმა ამოიხვნეშა.

— რა გაეწყობა... — თქვა მოწყენით, — გზა მშვიდობისა, მამაო...

მიბრუნდა და სადგურის შენობაში შებაჯბაჯდა. ბაქანზე დარჩენილმა მღვდელმა ქოლგა წამოიხურა თავზე და ახლაღა შენიშნა უცხო კაცი, მას რომ ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა. მღვდელი შეცბა, ოდნავ მიბრუნდა. გამომძიებელმა ქუდი მოუხადა. მღვდელმა თავი დაუქნია.

გამომძიებელმა კარტუზი დაიხურა, საკვოიაჟს დასწვდა და გასასვლელისკენ გაალაჯა. ბაქნის კიდესთან შედგა, სადგურის შენობას მოხედა, მზერით თითქოს ნაცნობს ეძებდა, მაგრამ ბაქანზე აღარავინ იყო — მღვდელიც კი გამქრალიყო. გამომძიებელმა თვალი შენობას ააყოლა. ლავგარდანზე ბათქაში ამოუნგრია და უჩვეულო ძალმოსილებით ჰყვაოდა ნაცარქათამა. გამომძიებელმა შენობიდან მზერა ქარხნის მილებზე გადაიტანა. იქიდან უხვად ამოდიოდა სქელი კვამლი. ულურჯეს ცაზე გველეშაპივით გაწოლილი თეთრი ბაირაღი კაცს ვაგონის ფანჯრიდანვე შეენიშნა, მაგრამ ბაქანზე მდგარი მაინც შეაკრთო მტვრის ღრუბლის ხილვამ, ერთდროულად მოძრავიც რომ იყო და უძრავიც. უცხო კაცმა მის წინ გაშლილ ქალაქს გახედა, მერე კიბე ჩაიარა და ხიდისკენ წალასლასდა.

მთვარეულივით მიაბიჯებდა და მისი ყვითელი შტიბლეტები ფართო ნაკვალევს სტოვებდა მტვერში. მანჯურიელის დუქანთან კვლავ შეჩერდა, ცნობისმოყვარედ მიაჩერდა დუქნის იქით-აქეთ დაკიდულ ორ წითელ ფარანს, რომლებზეც პირაშკმული დრაკონები გამოესახათ. საკვოიაჟი მტვრიან გზაზე დადო, უბიდან წიგნაკი და ფანქარი ამოიღო და რაღაც ჩაინიშნა. ბლოკნოტზე თავწახრილს არ დაუნახავს, როგორ გაილანდა დუქნის ღიობში მოხუცი მანჯურიელი. გამომძიებელმა ბლოკნოტი დაკეცა, ისევ უბის ჯიბეში შეინახა და მაშინღა შეხვდა მისი მზერა განბაოს.

მანჯურიელი კარის წირთხლს ეჭიდებოდა, ვაცის წვერივით თხელი და უფერული ბალანი ერხეოდა ნიკაპზე. ცალი ხელი ხიდისკენ გაიშვირა და რაღაც ჩაიჩიფჩიფა.

გამომძიებელმა იმასაც თავაზიანად მოუხადა კარტუზი.

მანჯურიელი რაღაცას დაჟინებით ანიშნებდა შემართული უძლური მარჯვენით, ბოლოს ხელი ჩაიქნია და დუქანში შებრუნდა. გამომძიებელმა კი ხელი მოიფათურა სერთუკის გვერდითა ჯიბეში, ახლა ლუპა ამოიღო და წითელ ფარანთან სათითაოდ მიიტანა. ერთმანეთის მსგავსი ფანრები იყო, არაფრით გამორჩეული— ისეთები, როგორსაც საწვრილმანოების მოსართავად ჰკიდებენ ხოლმე; რაკი დარწმუნდა, საეჭვო არაფერიაო, გამომძიებელმა ლუპით ახლა მტვრიანი შტიბლეტები დაითვალიერა, საკვოიაჟს დასწვდა და გზა განაგრძო.

ხიდის გავლით ბაზრის მთვლემარე მოედანზე გავიდა და აქ ისევ შედგა. მოედანი უკაცრიელი იყო. არავის დაუნახავს უცხო კაცი, არავის შეუნიშნავს ბაზრის აგურის გალავანზე თავმიდებულ ლოთსაც კი, შუადღის ხვატში რომ ხვრინავდა გასუნთქული. ღელეს გასწვრივ საპარიკმახერო, სახაბაზო და სახელოსნო დუქნები იყო. მოედნიდან გზა ორად იყოფოდა. გამომძიებელი ერთხანს შეყოყმანდა და მერე მარჯვნივ წავიდა, ბაზრის გალავანს გაჰყვა. ბაზარს იქით პატარა სკვერში ჭლექიანი ხეები და დამღიერებული ნარგავები ჩანდა. ხეებს სქლად ეფინა მტვერი. გამომძიებელმა ქუჩა გადაჭრა და საკრებულოს შენობასთან კვლავ მარჯვნივ შეუხვია. მოკირწყლულმა გზამ საპატიმროსავით უშნო სასტუმროსთან მიიყვანა. ქუჩის აქეთ-იქით ქვის შენობები ებმოდა ერთმანეთს პირველ სართულზე მაღაზიებითა და სახელოსნოებით. მოსულმა მსუბუქად აირბინა ქვის კიბეები, სასტუმროს ვესტიბიულში გაუჩინარდა.

იქიდან ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა, ოღონდ საკვოიაჟი აღარ ჰქონდა თან. სერთუკის საყელო აეწია და კარტუზიც ღრმად ჩამოეფხატა შუბლზე, თითქოს ვინმეს ემალებაო. ჩქარი ნაბიჯით ისევ ბაზრის მოედანზე დაბრუნდა, მაგრამ ხიდისკენ აღარ წასულა. იქვე ჩაუხვია და უცებ მის წინ უფსკრულივით განიხვნა ტრამალი — ლეგა, უსიცოცხლო, უძრავი მიწა. გამომძიებელი კოლბოხებს ახტებოდა და ჯუჯა კატაფშატებს შორის წინ მიიწევდა. ნიავი გამხმარ ღოლოს ღერებს აზუზუნებდა. შტიბლეტების ქვეშ ხმელი ბალახი იფშვნებოდა. ნარეკალი შარვლის ტოტებზე ედებოდა.

შორი, უსასრულო მწკრივივით იწვა ტრამალზე რკინიგზის ლიანდაგი. კაცი ვაკისზე ავიდა და ყვითელი, თითქოსდა მტვრიანი მდინარე ახლოდან დაინახა. მდინარის იქით ცარცის კლდეები ალანდულიყო. კაცი სათითაოდ ტრიალდებოდა ოთხივ მხრივ, მაგრამ უსასრულო ტრამალისა და ამ ტრამალზე მიკარგული პატარა ქალაქის მეტი არაფერი დაუნახავს. სიო ყურში უწიოდა, შარვლის ტოტებს უფართხუნებდა. გამომძიებელმა ლიანდაგს გადააბიჯა და რკინა-ბეტონის ნანგრევებთან მივიდა. სანახევროდ ამოყვანილი კედლები და ეზოში მიმოფანტული ვეება ჩანები მოწმობდა, რაოდენ გრანდიოზული უნდა ყოფილიყო ეს ნაგებობა. გამომძიებელმა დინჯად შემოუარა ნანგრევებს, ზოგჯერ წაიკუზებოდა, ხელით მოფშვნეტდა გოროხს, დასუნავდა. მერე ისევ დააგდებდა და წელში მოხრილი მიუყვებოდა მესერს. გვერდით ჩრდილი მისდევდა.

მზე გადაიხარა. ნიავმა მიმართულება იცვალა. ჩირგვებში ჩიტუნიები აწრიპინდნენ. ყვითელი მდინარეც გაბაცდა და წყლის პირს ჟრუანტელივით გადაურბინა კეჟომ. ნანგრევების ჩრდილი დაგრძელდა და ღამის მდინარეს უწია. გამომძიებელმა უკან, ქალაქისაკენ მიიხედა. მისი საკუთარი ჩრდილიც დაგრძელებულიყო, გადაჩოჩებულიყო, გვერდით კი აღარ მოჰყვებოდა, უკან ასდევნებოდა და თითქოს ემალვოდა, რათა კაცს არ დაენახა. გამომძიებელს ლუპა მოემარჯვებინა, სხარტი ნადირივით მიჰყვებოდა უცნობ ნაკვალევს. ბოლოს, დაღლილი, მდინარის პირას ჩაცუცქდა, ხელები თბილ წყალში ჩაჰყო; ფხიზლად ზვერავდა მიდამოს, ზოგჯერ გაღმაც გაიხედავდა კირქვის კლდეებისაკენ და უცებ მოძრავი წერტილი შენიშნა მათ ძირას...

კაცი ზამბარასავით წამოვარდა ზეზე, შუბლი მოიჩრდილა. მოეჩვენა, რომ კლდის ძირას პანაწკინტელა ფიგურა იძვროდა, ადგილს ინაცვლებდა. კაცი იყო თუ ნადირი? როგორ არ ძაბავდა მზერას გამომძიებელი, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერი გაარჩია...

ვიღაც შეეხო ფეხზე. გამომძიებელი უნებურად გვერდზე გახტა და სწრაფად შემობრუნდა. ჭრელი, კუდმოკლე ლეკვი გაუგორდა ფეხებთან. მხიარულად შეჰყეფა და კუდი გაუქიცინა.

— მომშორდი! — კუშტად დაუტია კაცმა, როცა ლეკვი წვივებზე გაეგლასუნა, მაგრამ ონავარ ცხოველს აინუნშიც არ ჩაუგდია კაცის გაბრაზება, კვლავ შეჰყეფა და შარვლის ტოტებზე დაეჯაჯგურა.

გამომძიებელი უცებ დასწვდა და ლეკვი ქეჩოთი აიყვანა, სახესთან მიიახლოვა. ლეკვი სასაცილოდ იმანჭებოდა, თათებს აქნევდა, სველი დრუნჩიდან ლოპრი ეწვეთებოდა.

— გაგტყიპავ იცოდე! — დაემუქრა კაცი და დრუნჩზე მსუბუქი წკიპურტი გაჰკრა. ლეკვი ასხმარტალდა, კუდი აამოძრავა, თითებით ჰაერს ეჭიდებოდა. კაცმა მსუბუქადვე შემოსცხო გავაზე ხელისგული და დასვა. ლეკვი გაგულისებული გაერიდა, მოშორებით ჩაცუცქდა და ყეფა ასტეხა...

გამომძიებელმა სერთუკის ჯიბეში ჩაიყო ხელი. ორცხობილა ამოიღო და ლეკვს ნატეხები მიუყარა... დაფიქრებული დაჰყურებდა, რა მსუნაგად ჭამდა ლეკვი და რა სასაცილოდ ერხეოდა ჯოხივით გაფშეკილი ჭრელი კუდი...

* * *

ქალაქში შემოვლითი გზით დაბრუნდა და ახლა აქედან დაუყვა შუკებს ბაზრის მოედნამდე. სწორედ ამ სიარულისას აღმოაჩინა, რომ ცემენტის ქარხნის გარდა ამ პატარა ქალაქში კიდევ იყო საავადმყოფო, აბანო, სახანძრო, საპატიმრო, რამდენიმე შადრევანი და გაუსაძლისი მოწყენილობა. გამვლელები კანტი-კუნტად ხვდებოდა. გამომძიებელი სწრაფად მიაბიჯებდა. ქუდი უწინდებურად შუბლზე ჩამოეფხატა. გვერდით ლეკვი მოჰყვებოდა. ანცი ცხოველი ზოგჯერ წინაც გაუსწრებდა, ჩირგვებში მოფართხალე ბეღურებს მიუხტებოდა ან გზაზე გადარბენილ კატას გაეკიდებოდა. ხანდახან დაყუნცდებოდა და კაცს ელოდა, მაგრამ გამომძიებელი ყურადღებას არ აქცევდა ლეკვის სუნსულს, ფხიზლად ათვალიერებდა შენობებს. რამდენიმეგან შეჩერდა და ლამის აბრაზე ცხვირმიდებულმა წაიკითხა წარწერები. ერთგან კი საკმაო ხანი შეყოვნდა. წარწერა მუქ აბრაზე იუწყებოდა, რომ ეს აფთიაქი იყო, სადაც სელტერის წყალიც იყიდებოდა.

კარაპანში, ბოძებს შორის, სარწეველა სავარძელში აფთიაქის პატრონი იჯდა, ფეხები აივნის რიკულზე შემოედო. გამომძიებელმა ის უცებ ვერ შენიშნა, რაკიღა კარა-

პანში სანახევროდ ბინდი იყო და მეაფთიაქეს ბოძიც ეფარებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა მოჭუტული თვალები აბრას მიუახლოვა, აფთიაქარი მოულოდნელად წამოხტა და წინ აეტუზა.

გამომძიებელი შეცბა, ქუდი მოიხადა.

„მერცხლები დაბლა დაფრინავენ... იწვიმებს“, — ფარმაცევტი გამოიწია, ბოძის გვერდით გაჩერდა. ჟილეტის იღლიებში ცერა თითები ჩაეყო და გამომძიებელს ღიმილით უყურებდა, მისი შეცბუნებით ტკბებოდა.

„სასტუმროს ვერ მიმასწავლით?“ — გამომძიებელი ჯერ ისევ ხელში ჭმუჭნიდა ქუდს და გრძნობდა, ხელისგული უოფლიანდებოდა.

„დილის მატარებელს ჩამოჰყევით?“ — აფთიაქარი გადმოიხარა და გამომძიებელს მოკაკული საჩვენებელი თითით ანიშნა, მომიახლოვდიო. გამომძიებელიც მისკენ დაიხარა.

„იწვიმებს“, — შეთქმულივით გაუღიმა აფთიაქარმა, მერე მოულოდნელად წელში გასწორდა და ბოხი, მგრგვინავი ხმით დაატანა, — სანაძლეოს ვდებ, დილის მატარებლით ჩამოხვედით“.

გამომძიებელი ეგრევე მოკუზული იდგა კარაპანის წინ, აფთიაქარს ქვემოდან აჰყურებდა. ფარმაცევტი საშუალო სიმაღლის მსხვილკისერა კაცი იყო, გაურკვეველი ასაკისა. სახე სიჯანსაღით უღვიოდა. შავი თმა გაფშეკოდა. ყავისფერი ჟილეტი ეცვა. პერანგის საყელო გაეღეღა და ჭრელი ყელსახვევი გვერდზე დაუდევრად მოჰქცეოდა.

„გელოდით“, — კვლავ შეთქმულივით გაუღიმა მან და გამომძიებელმა უსიამო ოფლიანობა ახლა ზურგზე, ხერხემლის გასწვრივ იგრძნო. წელში გაიმართა და ქუდი მეორე ხელში გადაიტანა.

„რა იცით ვინა ვარ და რისთვის ჩამოვედი?“ — ჩახრინწული ხმით იკითხა.

„როცა ქალაქში უცხო კაცი ჩამოდის, დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ ჩვენს თავს რაღაც ხდება, — აფთიაქარი კვლავ იღიმოდა, მაგრამ გამომძიებელს გამსჭვალავად უყურებდა. მერე მზერა ლეკვზე გადაიტანა, ქუჩაზე რომ დაყუნცულიყო.

„ვხედავ, მეგობარი გაგიჩენიათ, — აფთიაქარმა ახლა შარვლის ჯიბეებში ჩაიყო ხელები და კარაპნის კარში გადმოდგა, ლეკვს დაუწრუპუნა. ლეკვმა შეჰყეფა.

„გულისხმიერი ცხოველი ჩანს, — დაასკვნა ფარმაცევტმა და გამომძიებელს კარაპნიდანვე გაუწოდა ხელი, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ქალაქში!.. ჩემთან მოგასვენებდით, მაგრამ ვიწროდ ვდგავარ“...

„სასტუმრო გკითხეთ... ნუ შეწუხდებით,“ — გამომძიებელი ქუდს ორივე ხელში ატრიალებდა და წასვლას აყოვნებდა. ბოლოს მაინც მიბრუნდა და აფთიაქარის ხმაც მოესმა: დიდი ხნით ჩამოხვედითო, ეკითხებოდა.

გამომძიებელი სწრაფად შემობრუნდა.

„ეგ იმაზეა დამოკიდებული, საქმეს რამდენად სწრაფად მოვილევ“.

„თუკი საქმე საერთოდ არ გამოგივიდათ, მაშინ რას იზამთ: სამუდამოდ აქ დარჩებით?“

„როგორ თუ სამუდამოდ?“

აფთიაქარმა ტუჩები ისე მომუწა, თითქოს ისევ ლეკვს უნდა დაუწრუპუნოსო.

„ზოგჯერ კაცს ჰგონია, იმდენად იოლ საქმეს შევეჭიდე, მალევე მოვილევ და შინაც მშვიდობით დავბრუნდებიო, — ფარმაცევტს სახეზე სარკასტული ღიმი დააჩნდა და გამომძიებელი მიხვდა, მოსაუბრე დასცინოდა, — საქმის სირთულეს არ გეკითხებით... ჩვენს ქალაქში ცხოვრებას თუ ისურვებდით-მეთქი, ეგ მინდოდა გამეგო“.

„სასტუმროში წავალ, — გამომძიებელმა ქუდი დაიხურა, — აქ ახლო უნდა იყოს“...

„ჰო, — უგულოდ გამოეხმაურა აფთიაქარი, — ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მთელი ქალაქია სასტუმრო“...

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა.

„ნართაულები გყვარებიათ, — ის შებრუნდა და ძაღლს გასძახა, გადადგა ბიჯი, — სამწუხაროდ, უნდა წავიდე“.

მიბრუნდა და გაალაჯა, თუმცა ზურგსუკან აფთიაქარის მბურღავ მზერას გრძნობდა — გრძნობდა მაშინაც, როცა შუკა ჩაათავა და სასტუმრომდე მივიდა. აქ შედგა, ჯიბიდან ორცხობილა ამოიღო, შუაზე გატეხა, ნახევარი ლეკვს მიუგდო და როგორც წეღან, მდინარის პირას, დაფიქრებული უყურებდა, რა სხაპუნით ყლაპავდა ლეკვი ორცხობილას ნატეხებს.

* * *

ფარმაცევტის ვარაუდი არ გამართლდა — დილა ისევე ცხელი და სულისშემხუთველი გათენდა, როგორიც წინა დღე იყო. გამომძიებელი მაინც ხალისიანად ადგა, ისაუზმა, მერე საგარეოდ ჩაიცვა და ქალაქში წავიდა.

იმ დილით საქმიანი ვიზიტით თანამდებობის ორ პირს ეწვია: პოლიცმეისტერსა და ქალაქის თავს. ნაშუადღევისთვის უკვე თავისუფალი იყო და გუშინდელივით დაუყვა ქუჩას ბაზრის მოედნამდე, გუშინდელივით ჩაუხვია მარჯვნივ ისე, რომ კვლავ არ გასულა ხიდზე მანჯურიელის დუქანთან (თითქოს უფრთხოდა კიდეც იქ მისვლას!), უფსკრულივით განხმულ ტრამალზე გავიდა და ქარხნის ნანგრევებსაც გუშინდელივით შემოუარა, თუმცა კვალს მაინც ვერ მიაგნო; ეგ კია, დანამდვილებით თავადაც არ იცოდა, ვის ან რის კვალს დაეძებდა. ცოტა ხანს ასე იდგა, უძრავად, ხელები ზურგსუკან შემოეწყო, თითებს ათამაშებდა, მერე რიყეს აუყვა აღმა ფონის საძებრად.

ხრეშის ქვა ღრჭიალებდა ფეხქვეშ. ნაწრეტებში მუმლი და კოღო ირეოდა. ნიავი აღარ იძვროდა და გამომძიებელი მალე გაოფლიანდა. პაპანება ხუფივით დასწოლოდა ვრცელ ღარტაფსა და ყვითელ მდინარეს. აქა-იქ, ფშანებთან, სადაც ხასხასა ბალახი ხარობდა და მიწაც შავი იყო, მდგნალებს დაეხარათ ტოტები წყალზე. გამომძიებელი ბკემოკიდებულ გუბეებს ახტებოდა და გამუდმებით იყურებოდა აქეთ-იქით.

ვიწრო ისარაზე, თავთხელში, საქონლის ჩლიქით აჭიჭყნილ სველ ქვიშრობზე, კაცმა შტიბლეტები გაიხადა, შარვლის ტოტები აიკვალთა და ფონი გატოპა. ზვირთი მუხლამდე შემოადგა. ფსკერის ქვებზე ფეხი უცურდებოდა. ამ ადგილას მდინარე განიერი იყო და მოვაკებულ ნაპირებს შორის გაშლილიყო. გამომძიებელი გრძნობდა წყლის სუნს — ლპობის, თევზის ქერეჭისა თუ სველი ბალახის ცნობისწამღებ სუნს, გულს რომ უჩქროლებდა, და უეცრად შეშინდა: ფეხქვეშ რაღაც გაუძვრა. კაცი შეჩერდა და გაბრაზებით დაჰკრა ხელისგული წყალს; ცასა და წყალს შორის გაბმულიყო უსასრულო სივრცე და თავად ამ სივრცეში გამოკიდებულს ჰგავდა. მაინც მშვიდობიანად ააღწია ნაპირს და ფეხშიშველი გაემართა მახლობელი კლდეებისაკენ, ვაკის-

ზე საგანგებოდ გაყვანილი გზით, რომლითაც, ეტყობა, ნედლეული გამოჰქონდათ ცემენტის ქარხნისათვის.

და მართლაც, აქ კარიერი იყო: კლდეები ერთიანად გამოეშიგნათ კირქვის მოსაპოვებლად. გამომძიებელი პირისპირ იდგა აყუდებულ მთასთან და რაღაცას ფიქრობდა. მერე ვაკისზე ავიდა, მთას მარცხნივ შემოუარა. ფეხშიშველი მიაბიჯებდა კირქვის ხვინჭაზე და ტერფები ეშაშრებოდა. ჭინჭარივით მსუსხავი მზე უწვავდა კისერსა და მხრებს. წეროსავით კანჭაწეული მიაბიჯებდა კირქვის ნაყარზე და როგორც ყოველთვის, ჩრდილი ერთგული ლეკვივით მისდევდა გვერდით.

ნაყარიდან თხების გაკვალულ ბილიკზე გავიდა, შტიბლეტები ჩაიცვა მტვრიან ფეხებზე და შამბზე ხელმოჭიდებით წავიდა ფერდობზე. მზერა გაუფაციცდა, თითქოს რაღაცას მოელისო და ბოლოს, დაინახა რაც უნდოდა: ფერდობის შუაწელში გვირაბს დაეღო ხახა. კაცმა შესასვლელს ააღწია და შიგ შეიჭვრიტა. ქვაბულში სანახევროდ ბნელოდა. გამომძიებელმა ჯიბიდან ასანთი ამოიღო, მოუკიდა და გაანათა იქაურობა. ქვაბული იმხელა იყო, რამდენიმე კაცს დაიტევდა. გამომძიებელი დაიხარა და მიწურზე დაგებული თივა, ტყაპუჭი და სასთუმლად დადებული სიპი ქვა შენიშნა. ლაჭანის ახლო თიხის პირმომტვრეული დოქი და ძონძებში გამოხვეული ხის პატარა ზარდახშა იდო. კაცმა ხელი შეახო კრკილისაგან დაჭმულ ყუთს. სახურავი მოათვალიერა, რომელიც ბოქლომით ჩაეკეტათ. გამომძიებელმა ხელი მოაფათურა მიწურზე, და რომ ვერაფერი იპოვნა, კართანაზე გამოვიდა, დაზვერა მიდამო. მახლობელ ჩირგვში ღაჟო კუთავდა. სადღაც კალია იხერხებოდა. ქვემოდან მდინარის დუდუნი ისმოდა. კაცი მაინც ოტებული ნადირივით ზვერავდა გარემოს, მერე ისევ ქვაბულში შებრუნდა და ზარდახშა იღლიაში ამოიდო. ერთხანს შედგა ბინდში, თითქოს ვინმეს დასტურს ელისო, მერე ზე აიხედა და ახლაღა შენიშნა ქვაბულის კედელზე ცარცით დაჩხაპნილი უცნაური წარწერა. კაცმა კისერი წაიგრძელა, წარწერას დააშტერდა, როცა უეცრად ხმაურმა შეაკრთო, ქვაბულის შესავალს გაეკრა უცებ და წელში მოხრილი გასხლტა გარეთ, ტყის კაცივით გაიქცა ბილიკ-ბილიკ, ბერყენას ბებერ ბუჩქს ამოეფარა და ქვემოთ გაიხედა. ქვაბულისკენ უცნაური არსება მოდიოდა: მაღალი იყო, ჯაგარა, თხისური ემოსა, კომბალს ებჯინებოდა. მელოტ თავზე მზე დაჰნათოდა, კეფაზე შერჩენილი ჭაღარა თმა ტყაპუჭის ბეწვს შერთვოდა. დაკონკილი შარვლის ტოტებიდან მსხვილი, ჟანგიანი კანჭები მოუჩანდა. ბუჩქს უკან დაცუცქული გამომძიებელი დაჟინებით უყურებდა განდეგილს, ვისაც ეჭვიც არ აუღია, რომ მის სადგომს უცხო კაცი სტუმრობდა... როგორც კი განდეგილი ქვაბულში შეიმალა, გამომძიებელი წამოხტა და კისრისტეხით დაეშვა მდინარისაკენ...

თავქვე დაქანებულს უკან ჩაშვავებული კენჭების ხრიალი და კალიების გნიასი მოსდევდა. ყურებში ქარი უწიოდა, იღლიაში ზარდახშა ამოედო, მალი-მალ რომ სინჯავდა და ისე მირბოდა, თითქოს ყვითელ მდინარეს ზედ გადაახტებაო, მაგრამ რიყეზე გასული მოულოდნელად შედგა და დინჯად წავიდა ბორნისაკენ...

* * *

მზე ისევ მწვავედ აცხუნებდა, თითქოს აქაურობის აგიზგიზება სწადიაო. მხოლოდ წუთით წამოეფარა მნათობს ღრუბლის თხელი ლეჩაქი — მერე კვლავ გამოიხედა ცეცხლოვანმა დისკომ და არმური აცახცახდა ხვინჭით მოკენჭილ რიყეზე.

გამომძიებელი დაღლილი მიაბიჯებდა ბორნისაკენ. წყალთან მივიდა, ფეხსაცმელი გაიწმინდა, შარვალი გაიფერთხა, თმა სველი თითებით გადაივარცხნა, რუხ სერთუკზეც ჩამოისვა სველი ხელისგული და უბის ჯიბიდან გაზეთების თხელი დასტა ამოიღო. სათითაოდ შლიდა და კეცავდა საგულდაგულოდ ერთმანეთზე დაწყობილ გაზეთებს. აქა-იქ სათაურს თუ ჩაჰკრავდა ხოლმე მზერას და ახლა სხვა გაზეთს გაშლიდა, იმასაც გადასდებდა გვერდზე.

სათაურები კი, რაც მან წაიკითხა (და რაც მანამდე არაერთხელ წაეკითხა) ამას იტყობინებოდნენ:

„ანომალია პროვინციულ ქალაქში“...

„ღვთის რისხვა თუ ანგელოსთა წყალობა?!“...

„ქალაქში მოჩვენებები დასახლდნენ“.

„როდის აშენდება ახალი ბაბილონის გოდოლი?“

„პატარა ქალაქი უცხო ძალამ მოაჯადოვა“.

ნელმა სიომ დაუბერა და ქაღალდები ააშრიალა, მაგრამ გაზეთების ფურცვლით გართულ გამომძიებელს თითქოს დავიწყნოდა, სად იყო და რატომ იყო — კვლავ მონდომებით კეცავდა ათასჯერ გადაკეცილ ნაბეჭდ გვერდებს, სანამ იმას არ მიაგნო, რასაც ეძებდა — პირველ გვერდზე დაბეჭდილ სტატიას, ალაგ-ალაგ წითელი მელნით რომ გაეხაზათ.

„უკვე ვიუწყებოდით, თუ რა უცნაურობა დაატყდა თავს ჩვენი მაზრის პატარა პროვინციულ ქალაქს, — უხმოდ კითხულობდა გამომძიებელი, — მერამდენე კვირაა, აქაურებს მოსვენებას უკარგავს ფარული ძალა, რომელიც ანგრევს და საძირკველშივე სპობს ყველა ახლადაგებულ საზოგადოებრივ შენობას... ამ მოვლენის მიზეზი ვერავინ შეიტყო, თუმცა მთავრობამ უკვე გაგზავნა იქ სწავლული კაცები უცნაური მოვლენის გამოსარკვევად... საინტერესოა, რომ იდუმალი ძალა ერჩის და ანადგურებს მხოლოდ საზოგადო ნაგებობებს, იმათ, რომლებსაც ქალაქის კეთილდღეობისათვის აქვთ მნიშვნელობა... მათ რიგშია ცემენტის დიდი ქარხანა, რის აგებასაც შვედური კომპანია ეპირებოდა, თუმცა კი კედლები ფუნდამენტს ვერ ააცილეს... უცნაურმა მოვლენამ თუ სტიქიამ თვალის დახამხამებაში მოსპო საავადმყოფო, რამდენიმე სასტუმრო, პოლიციის ყაზარმა და თვით საყდარიც კი, რომლის კურთხევაც დღედღეზე უნდა მომხდარიყო... ქალაქის გამგეობა იმდენად შეშფოთებულია ამ ამბებით, რომ უკვე არზაც შეიტანა საოლქო კანცელარიაში ნებართვის სათხოვნელად, რათა აქაურ მცხოვრებთ სხვა ალაგს მისცენ საცხოვრისი...“

გამომძიებელმა გაზეთი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, სხვები კი დაახვია და მდინარეში ჩაყარა. წყალმა აიტივტივა ნაბეჭდი ქაღალდები, წაიღო და მორევში ჩაიხვია. გამომძიებელი ისევ ზარდახშას დასწვდა, კვლავ იღლიაში ამოიდო, ოღონდ ამჯერად სერთუკის ქვეშ, და ბორნისკენ გასწია... საბორნეს უახლოვდებოდა, როცა მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ქალიშვილი დაინახა. ქალს თეთრი სამოსი ეცვა, სახე თხელი, აბლაბუდას ქსელივით მსუბუქი შავი პირბადით მოებურა. პრუნელის თეთრი ფეხსაცმელები ეცვა, რომელზეც სქლად წაჰყროდა მტვერი. ხელში ბაბუაწვერა ეჭირა. კაცს გვერდით ჩაუარა და ბორანთან მივიდა. გამომძიებელმა უხმოდ გააყოლა თვალი, სალამიც კი

გადაავიწყდა. უხერხულობა იგრძნო, მოშორებით გაჩერდა ნაპირზე და იქ იცდიდა, სანამ მებორნე მგზავრებს შეაგროვებდა, თუმცა, როგორც ჩანს, მათ მეტი გაღმა გასვლის მსურველი არც არავინ იყო... მებორნის ქოხს ზურგით მიყუდებული გამომძიებელი ქვეშ-ქვეშ გახედავდა ხოლმე უცნობ ქალიშვილს, ვისაც მოთმინება უკვე დალეოდა და მალი-მალ ფეხს ინაცვლებდა.

„გამიგონეთ, — მიეჭრა მერე მებორნეს, — გადაგიხდით რაც გიღირთ, ოღონდ გამიყვანეთ გაღმა...“

მებორნე — ტლუ, ნახშირივით შავი კაცი, წამოიზლაზნა და ბორანზე ავიდა, ორთაყვირს დასწვდა. გამომძიებელმაც შედგა ფეხი ბორანზე, ქალიშვილი კი ისევ კუთხეს მიაწყდა, თითქოს ვინმეს ემალებაო... ხელში კვლავ ნერვიულად ატრიალებდა ბაბუაწვერას ღეროს და ეს წრიალი ამხელდა მის ფორიაქს...

მხატვარი სოფო ელიაშვილი

გამომძიებელმა თავი დაუკრა, მაგრამ ქალმა პირი მიიბრუნა.

„სეირნობისთვის მეტისმეტად ცხელა, — ნაძალადევი მხიარულებით გასძახა კაცმა და ხმაში მოულოდნელი ხრინწი გაერია, — თუმცა, ვხედავ ბუნება გყვარებიათ...“

ქალმა წამით მოაბრუნა მისკენ ვუალით დაფარული სახე, მაგრამ არ უპასუხა. გამომძიებელმა მისკენ გადადგა ბიჯი, — ამ დროს ბორანიც დაიძრა და კაცი შეტორტმანდა, მიეახლა ქალიშვილს, რომელიც შველივით გახტა გვერდზე.

„მაპატიეთ, — მოუბოდიშა გამომძიებელმა და სერთუკის ქვეშ ზარდახშა შეიმაგრა თავისუფალი ხელით, — არ მინდოდა შემეწუხებინეთ ჩემი უტიფრობით, მაგრამ ვერაფრით ვხვდები, მაინცდამაინც ეგ უცნაური ყვავილი თაიგულისთვის რად შეგირჩევიათ?“

„მიყვარს ბაბუაწვერა, — დაიჟღურტულა ქალიშვილმა, — ჩემს ბედს მაგონებს...“

„ბედს?“

„სულს შეუბერავ და გაქრება, ვითომც არც ყოფილა ოდესმე...“

„მეტისმეტი პესიმისტი ბრძანებულხართ, — გამომძიებელი კვლავ თავის შემაგრებას ცდილობდა, რაკი ბორანი ირყეოდა და ტლუ მებორნესაც ვერ მოეხერხებინა ორთაყვირის ისე მოსმა, ბორანი დაჩქერებისთვის აერიდებინა, — მე ალბათ ყაყაჩოსა და გვირილას ვამჯობინებდი...“

ქალიშვილმა არც ამჯერად უპასუხა და გამომძიებელიც თავის ადგილს დაუბრუნდა.

ბორანი წყალზე მისრიალებდა.

გამომძიებელმა თავი ჩაქინდრა, თითქოს ზეზეულად ჩაეძინა, ნამდვილად კი ქალიშვილს ქვეშ-ქვეშ უთვალთვალებდა. პირბადის იქით მის სახეს ვერ ხედავდა და ვერ ხვდებოდა, ქალიც უცქერდა თუ არა... ვინ იყო და რად დაიარებოდა მარტო იმ ადგილებში, სადაც სასეირნოდ არავინ დადის? ენის წვერზე ადგა კითხვა, მაგრამ უცნობი ქალიშვილის მდუმარებით შებოჭილს, თქმა ვერ გაებედა...

ბორანი კი ისევ მშვიდად მიცურავდა თიხისფერ წყალზე.

„მისმინეთ, ქალიშვილო, — ხმა გაიღო ბოლოს გამომძიებელმა, — ამ ქალაქში უცხო კაცი ვარ, აქაურობის არაფერი ვიცი... დახმარება რომ გთხოვოთ, ვიღაც-ვიღაცები გამაცანით-მეთქი, ნუთუ უარს მეტყვით?“

პირბადიანი სახე კვლავ მისკენ შემობრუნდა, მაგრამ ქალიშვილს არც ამჯერად უთქვამს რამე, არაფრით გაუმჟღავნებია, უსმენდა თუ არა...

გამომძიებელმა მისკენ გადადგა ბიჯი... ქალიშვილი არ გარხეულა...

„აი, იქ, გაღმა, — გამომძიებელმა კარიერისკენ გაიშვირა ხელი, — უცნაური კაცი ვნახე... მგონი, განდეგილია... ვერ მეტყვით, ვინ არის და რა ჰქვია?“

„იონა“.

„იცნობთ?“

„ჩვენს ქალაქში ყველა ერთმანეთს იცნობს“.

„მომიყევით, რა იცით“.

„რად გაინტერესებთ?“

„უცნაურ კაცად მეჩვენა... ამ ქალაქში უცხო ვარ და მინდა მეგობრები გავიჩინო... ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ მეგობრად გამომადგეს-მეთქი...“

გამომძიებელმა იგრძნო, როგორ დაიჭიმა ქალიშვილი, თითქოს მისი ვუალიც უფრო ჩაშავდა. მან კიდევ გადადგა ბიჯი.

ქალიშვილმა ბაბუაწვერა მდინარეში მოისროლა.

„ტყუით, — თქვა მერე, — მეგობრების შესარჩევად კი არა, გამოსაძიებლად ხართ ჩამოსული“.

„ვინ გითხრათ?“

„ეს ამბავი ყველამ იცის. ტყუილად მალავთ. მანამდეც იცოდნენ, სანამ ჩამოხვიდოდით“.

„ჰო, მაგრამ როგორ მიხვდით, რომ მაინცდამაინც მე ვარ გამომძიებელი?“

„თვალთმაქცობა არ გეხერხებათ. არც გჭირდებათ... სულ ერთია, ვერაფერს გახდებით“...

„ასე რად ფიქრობთ, კარგო ქალიშვილო?!.. ნუთუ ყველაფერს უიმედო თვალით უყურებთ?“

„არც ქალებთან საუბარი გეხერხებათ, — თქვა ისევ ქალიშვილმა, — მეტს ნუღარ მკითხავთ“...

„ის მაინც მითხარით, თქვენ რა გქვიათ?“

„დაინახეთ, ბაბუაწვერა რომ გადავაგდე? ჰოდა, ნუღარაფერს მკითხავთ!“

გამომძიებელმა უიმედოდ ჩამოუშვა ქვედა ტუჩი და ისევ თავის კუთხეში მიდგა. მარცხიან ფეხზე თუ იყო ამდგარი... ბორანი წყალზე მისრიალებდა. მერე გაჩერდა. გამომძიებელი ნაპირზე გადავიდა და ქალიშვილს ხელი გაუწოდა, მაგრამ უცნობი ქალიშვილი ქურციკივით გადახტა ფიცარნაგზე და თითქმის გაიქცა. გამომძიებელმა თვალი გააყოლა, მერე ზარდახშა მოისინჯა ხელით და პირში შაბის გემო იგრძნო, თითქოს ენა დაუშაშრესო...

* * *

ვიწრო ქუჩაზე, აფთიაქის წინ, აფთიაქარი იდგა და ჯიბეებში ხელებჩაყოფილი, ცას აჰყურებდა. გამომძიებლის დანახვისას არ განძრეულა, ოღონდ ცალი თვალით გამოხედა და ასე უმზერდა, სანამ გამომძიებელი მიუახლოვდებოდა.

„ისევ აქ ხართ? — ჰკითხა მერე, — ნუთუ არ წასულხართ?“

„გეგონათ, გავიქცეოდი?“

აფთიაქარმა მის სამოსს ჩააყოლა მზერა და ფეხსაცმელებზე დახედა.

„ფეხსაცმელები გაგმტვრიანებიათ, — თქვა მერე, — სად იყავით?“

„ქალაქს ვეცნობი“, — გამომძიებელს რატომღაც აფთიაქარის ასე დგომა აღიზიანებდა და მალი-მალ სინჯავდა სერთუკქვეშ ზარდახშას. — „თქვენ კი ისევ ამინდის გამოცნობას ცდილობთ? რას იტყვით, იწვიმებს?“

„იქნებ იწვიმოს კიდეც, — აფთიაქარმა ხელები ჯიბიდან ამოიღო და გაშალა, — იქნებ წარღვნაც მოვიდეს... გირჩევთ, აქედან გაასწროთ“.

„ვერ წავალ, — თქვა გამომძიებელმა, — პატაკი მაქვს დასაწერი“.

აფთიაქარმა ჯიქურ გადმოხედა და გაშლილი ხელები მომუშტა.

„შინ შემოდით, სელტერის წყალს დაგალევინებთ“, — მან უკანმოუხედავად გაალაჯა აფთიაქისაკენ. გამომძიებელი მიჰყვა. აფთიაქის წინა ოთახში გრილოდა და ბინდბუნდი იდგა. ოთახიდან პირდაპირი ღია კარი ლაბორატორიაში გადიოდა. მარჯვნივ წამლის შესანახი თაროები იყო, რომლის წინ აფთიაქარს დახლი გაემართა. მან უხმოდ მიუთითა გამომძიებელს ღრმა სავარძელზე, თავად დახლს შემოუარა, თაროდან ბოთლი გადმოიღო და მინერალური წყალი ჭიქაში ჩამოასხა.

„რა საზიზღრობაა! — წამოიძახა უცებ გამომძიებელმა, ცნობისმოყვარედ რომ მისჩერებოდა დახლზე შემოდებულ სითხით სავსე მინის მრგვალ ჭურჭელს. ჭურჭელში თეთრი წრუწუნა ცურავდა. — ეს რა არის?“

„ქალაქელებს ჰგონიათ, ვითომ ჩემს ლაბორატორიაში ჰომუნკულუსს ვქმნი, — მეაფთიაქემ სელტერის წყლით სავსე ჭიქა დახლს იქედან გამოიტანა, — ყმაწვილკაცობისას ანატომიით ვიყავი გატაცებული. პატარ-პატარა ცდებს ახლაც ვატარებ ხოლმე... დალიეთ, გაგრილდებით!“

გამომძიებელმა ჭიქა ჩამოართვა და მოსვა.

„არ გეცოდებათ განა ეს პაწია ცხოველები?“ — ჰკითხა მერე.

„პროგრესს მსხვერპლი სჭირდება, — აფთიაქარმა კიდევ დაუსხა წყალი, — თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამქვეყნად ყოველი სულიერი მსხვერპლია“...

„ეგ არ გამართლებთ, — შეიჭმუხვნა გამომძიებელი, რომელსაც უცებ თვლემა მოერია, — პროგრესიც არის და პროგრესიც... თქვენ მხოლოდ ადამიანური თვალთახედვით მსჯელობთ...“

აფთიაქარს გაწვდილი ბოთლი გაუშეშდა. წახრილმა შემოხედა გამომძიებელს, თითქოს მზერით სცდისო.

„ადამიანური თვალთახედვით? — იკითხა შემდეგ, — იცოდეთ, ეგ სიტყვა სანანებელი გაგიხდებათ... გაფრთხილებთ“.

„რატომ?“

გამომძიებელს უფრო და უფრო ერეოდა თვლემა, ლამის სკამიდან გადმოვარდნილიყო.

„იმიტომ, რომ თქვენც მარტო ადამიანური თვალთახედვით ცდილობთ ჩვენს ქალაქში მომხდარი ამბები გამოიძიოთ“.

„რატომ გგონიათ, რომ მიკერძოებულად ვიძიებ საქმეს? — გამომძიებელი უკვე ყვინთავდა, თვალი ეკიჟებოდა, ირწეოდა და ქანაობდა, მაინც არ უშვებდა ხელიდან სერთუკის ქვეშ დამალულ ზარდახშას... ჯერ რა იცით, რას ვაპირებ?! მე ხომ ჯერ ფაქტებს ვაგროვებ“.

„მიზანი დაგავიწყდათ... მიზანი, რისთვისაც ძიება წამოიწყეთ, — აფთიაქარმა სელტერის ბოთლი დახლზე დადგა და თავადაც ზედ ჩამოეყრდნო დახლს, ფეხი ფეხს გადაეჯვარედინა ზეზეურად მდგარმა და აგრე დიდრაჯულად უმზერდა მოსაუბრეს, თითქოს მისი წვალებით ერთობაო. გამომძიებელს კი მართლა ცუდი დღე ადგა: სიცხეში სიარულს მოეთენთა და დაღლილობისაგან ქუთუთოები ებლიტებოდა, კინწმოწყვეტილივით ირწეოდა სკამზე, გეგონება სადაცაა ძირს გაიშხლართებაო. აფთიაქარის სიტყვები სადღაც შორიდან მოესმოდა.თითქოს გვირაბის ბოლოდან აღწევდა შორეული ექო.

„მიზანი? — იკითხა მერე, — რას გულისხმობთ?“

„ძველი ვითარების აღდგენას, სტატუს ქვოს დაბრუნებას, — გამოეხმაურა აფთიაქარი, — განა იმისთვის არ ირჯებით, რომ ქალაქში ისევ კეთილდღეობამ დაისადგუროს? სხვა შემთხვევაში თქვენს ვიზიტს რა აზრი ექნებოდა!.. თქვენი ჩამოსვლის მიზანი ხომ იმ ანომალიის აღმოფხვრაა, რამაც ჩვენი ქალაქის კეთილდღეობა შეაფერხა!.. აპრიორი იგულისხმება, რომ ქალაქის კეთილდღეობა კარგი და მოსაწონი რამაა, თორემ სხვამხრივ რად მოიწადინებდით ანომალიის გაქარწყლებას?“

„მე მხოლოდ ფაქტებს ვაგროვებ, — თავი იმართლა გამომძიებელმა, რომელსაც უკვე კამათის ნიათიც აღარ ჰქონდა, — ვინ თქვა, რომ კეთილდღეობას ვამართლებ?“

„თქვენ ქალაქმა დაგიქირავათ. ჰოდა, მისთვის ჩვეული ყოფის აღდგენისათვის უნდა გაისარჯოთ... განა ასე არ არის?“

„ფაქტებს ვაგროვებ, — დაუჟინა გამომძიებელმა, — ეს წმინდა წყლის ლოგიკური საქმეა... რომელიმე საბუნებისმეტყველო ცდის მსგავსი... განა თქვენც ცდას არ ატარებთ ამ თქვენს ლაბორატორიაში?“

აფთიაქარი ახლა ორივე იდაყვით დაეყრდნო დახლს და თავი უკან გადასწია.

„ნუთუ მართლა გჯერათ, რაც თქვით? ცდას თქვენ კი არა, ისინი ატარებენ, — მან თითი ჭერისკენ აიშვირა და გამომძიებელი მიუხვდა, ვისაც გულისხმობდა, — ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენც მსხვერპლი ხართ“...

„მსხვერპლი?“

„იმის უფლებას არავინ მოგცემთ, ქალაქს წინ აღუდგეთ, — აფთიაქარი კვლავ ირიბულად უმზერდა სტუმარს, ფეხის წვერებს ათამაშებდა, — გგონიათ, ეს საქმე გამოგივათ? რაც თქვენ ფაქტად მიგაჩნიათ, იქნებ ეგ წინასწარ მოფიქრებული გეგმის ნაწილია... თქვენ კი ფიქრობთ, ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას შევძლებო...

„პატაკი მაქვს დასაწერი, — თქვა ძილბურანში გამომძიებელმა, — ეგ არის და ეგ“.

აფთიაქარი უცებ გასწორდა და სელტერის ბოთლი დახლიდან აიღო.

„წყალი აღარ გინდა?“

გამომძიებელმა ჭიქა გაუშვირა.

„დამისხით, ოღონდ არ მომწამლოთ... ამ თქვენი წრუწუნასავით“.

აფთიაქარმა სელტერი დაუსხა.

„ჩემი ხელით როდი მოკვდებით, — თქვა სერიოზულად, — თქვენივე შინაგანი წინააღმდეგობა მოგიღებთ ბოლოს, რაკიღა ადრე თუ გვიან მიხვდებით, რომ აქ არ უნდა ჩამოსულიყავით“...

„კიდევ დამისხით, — თქვა გამომძიებელმა, რომელიც უცებ გამოფხიზლდა, — მწყურია!“

* * *

აფთიაქში ბუზმა გაიფრინა და დუმილი გაფხაჭნა. ოთახში გრილოდა, ბინდ-ბუნდი იდგა და წამლების მძაფრი სუნი იყნოსებოდა. თაროების სიახლოვეს აფთიაქარი დაფათურობდა, წამლის ქილებს ანაცვლებდა, თაროდან თაროზე გადაჰქონდა.

გამომძიებელი მდუმარედ უყურებდა მასპინძლის საქმიანობას. თვლემამ გაუარა და უსიამოვნოდ ხვდებოდა სმენას მინას შეხლილი ბუზის ბზუილი.

„კარიერზე ვიყავი მდინარის გაღმა, — თქვა მერე ზარმაცად, — უცნაური კაცი ვნახე... იონა რქმევია... რა კაცია, ვერ მეტყვით?“

აფთიაქარი მისკენ შემობრუნდა.

„ძველად ცნობილი ანარქისტი და ტერორისტი იყო. ახლა გიჟია, თუმცა, მე რომ მკითხოთ, ვერც მანამდე დაიკვეხნიდა დიდი ჭკუით... რად გაინტერესებთ?“

გამომძიებელი დუმდა. ბოლოს თქვა:

„ვალდებული ვარ, ყველა ვერსია შევამოწმო“.

აფთიაქარმა დახლს შემოუარა და წინ დაუდგა.

„ის კაცი გიჟია... ამბობენ, ვიღაც ქალი უყვარდა და უიმედო ტრფობამ შეშალაო ჭკუიდან... სანამ ქალაქში ცხოვრობდა, მეზობლები ძალით ბანდნენ და ძალითვე კრეჭდნენ თმა-წვერს... მერე გაიქცა და კარიერზე დასახლდა“.

„დიდი ხანია იქ ცხოვრობს?“

მასპინძელმა გაიცინა.

„ტყუილად ფიქრობთ, თითქოს მაგ სულელს რაიმე კავშირი ჰქონდეს ჩვენს ქალაქში მომხდარ ამბებთან. აკი გითხარით, ერთი საბრალო გიჟია და თანაც უწყინარი... არავის ერჩის“...

„კარიერი რად ირჩია საცხოვრისად?“

აფთიაქარმა უცებ არ უპასუხა. დარბაზში გაიარ-გამოიარა. მერე სკამი მოიჩოჩა და სტუმარს წინ დაუჯდა. უკუღმა იჯდა სკამზე, ხელები საზურგეზე ჩამოეყრდნო და გამომძიებელს პირისპირ უყურებდა.

„თქვენს ადგილას ეგ მეც დამაეჭვებდა, მით უმეტეს, თუკი მის წარსულს გაიხსენებთ, მაგრამ ახლა სრულიად უწყინარია... დამერწმუნეთ, არც ღირს მაგ კაცზე ფიქრი...“

„აგრე დაჟინებით რატომ იცავთ?“

აფთიაქარი წინ გადმოიხარა და სკამმაც მისი სიმძიმისაგან დაიჭრიალა. ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

„მინდა მცდარ გზას აგარიდოთ“...

„თქვენ რა იცით, მცდარი გზა რომელია?“

აფთიაქარი ისევ აბორგდა სკამზე, თითქოს ეკალი შეესოო. გამომძიებელს გამსჭვალავად უყურებდა და ღრმად სუნთქავდა. ბოლოს, სკამზე შესწორდა და წამოისროლა:

„გამაგებინეთ ერთი, რას იძიებთ: ფაქტს, დანაშაულს თუ ანომალიას?“

„ჯერ არ ვიცი“, — მშვიდად უპასუხა გამომძიებელმა.

„მაშ, რატომ ფიქრობთ, ვითომ ქარხანა ტერორისტმა ააფეთქა... კვალი ნახეთ?“

„არაფერი მინახავს, მაგრამ ვალდებული ვარ, ყველა ვერსია შევამოწმო“.

„მე კი გეუბნებით, რომ მცდარ გზას ადგახართ“.

გამომძიებელი ადგა.

„სელტერისთვის დიდი მადლობა“.

აფთიაქარი დაჟინებით უყურებდა სერთუკის ქვეშ გამობურცულ ადგილზე.

„ვხვდები, სადაც ყოფილხართ, — თქვა იდუმალი ხმით, — მაგრამ ვაითუ ვარაუდმა გიმტყუნოთ“...

„მაშინ სხვა ვერსია უნდა გამოვძებნო... გმადლობთ მასპინძლობისათვის“.

აფთიაქარიც ადგა.

„მეცოდებით, — თქვა ხმამაღლა, — იწრო ბილიკით მოგიწევთ სიარული“.

გამომძიებელმა გაუცინა.

„ვერავის დავაბრალებ... პროფესია მაქვს ეგეთი“.

აფთიაქარი ეჭვით უყურებდა.

„ვითომ თქვენი ნებით ირჩიეთ ეს საქმე? უფროსებს რომ არ დაევალებინათ, განა ჩვენს ქალაქში ჩამოხვიდოდით?“

გამომძიებელმა თავი გააქნია და ისევ გაიცინა — მსუბუქად, მორიდებით.

„მართალი გითხრათ, მე დივანზე კოტრიალი და გაზეთის კითხვა მერჩია, მაგრამ რას ვიზამ, სამსახური სამსახურია“.

„მეც სწორედ მაგას გეკითხებით, უფროსებს რომ არ დაევალებინათ, ოდესმე ამ საქმეს ხელს თუ მოჰკიდებდითმეთქი?“

ახლა გამომძიებელმაც შეხედა მასპინძელს ეჭვის თვალით.

„რა უნდა გიპასუხოთ?.. რას ელით ჩემგან?“

აფთიაქარი გადმოიხარა და ყურადღებით დააცქერდა. მერე უკან დაიწია.

„იქნებ მართალიც ხართ და ყველაფერი დივერსიის ბრალია... თავდებად ვერავის დავუდგები... ეგ იონა კი დიდი ოინბაზი ვინმეა... იცით, რა ჰქნა ყმაწვილკაცობისას? ტაძარში შეიპარა და საკურთხეველზე თავისი შედგენილი ხელშეკრულების პროექტი დადო“...

„მკრეხელია?“

„ვინ იცის... იქნებ იმასაც ფიქრობდა, მეორე დღეს ხელშეკრულებას ხელმოწერილს ვნახავო“...

„მერე, მიიღო აღთქმა?“

„მაგ კაცს სხვისი აზრი არ აინტერესებს... აღთქმაც თავის თავს დაუდო... ტაძარში კი იმიტომ შეიპარა, ეგონა, ჩემი ხელშეკრულება სხვისას სჯობსო“...

„ვითომ აგრე ცუდი იყო მისი პროექტი?“

„იქნებ ცუდიც არ იყო... იქნებ კარგიც იყო, მაგრამ ხელმოუწერელი კი დარჩა, — მეაფთიაქემ კვლავ აღმართა თითი ჭერისაკენ, — იმისი, იმ მეორის ხელმოწერა აკლდა...“

გამომძიებელი ცოტა ხანს ჩუმად იყო და რაღაცას ფიქრობდა.

„ყველაფერი გასაგებია, — თქვა მერე, — ჩემი ვერსიის სიმცდარეც სწორად დაგინახავთ... გამოდის, რომ მეც იმ მეორის კვალს უნდა მივყვე“...

აფთიაქარმა თითქოს შვებით ამოისუნთქა.

„ანომალიის არსიც ეგ არის — მინიშნება რაღაცაზე... ფაქტი კი არ შეიძლება ანომალიური იყოს... ფაქტი არაფერს მიანიშნებს... ის ხდება და მეტი არაფერი“...

„იმასაც ამაოდ დავძებნით, რაც ფაქტს მიღმაა?“

აფთიაქარი რაღაცნაირად გაიზმორა, სხეული გაეშალა, თუ გადიდდა. სახეზე გაურკვეველი ღიმილი მოეფინა.

„ფაქტის მიღმა მხოლოდ ფაქტია, — მკაფიოდ, დამარცვლით თქვა, — საცთურიც ეგაა, ანომალიის მიღმა ისევ ანომალიას რომ ვეძებთ“...

გამომძიებელმა უცებ შეხედა მასპინძელს და თვალი აღარ მოაშორა. აფთიაქარს თითქოს ისევ ღიმი ემჩნეოდა სახეზე, მაგრამ ნაკვთები გაჰქვავებოდა და თაბაშირისაგან ჩამოსხმულს უგავდა. ჟილეტქვეშ შეეყო ხელები, უძრავად იდგა.

„ეგრე როგორ ცხოვრობთ? — ხმა გაიღო გამომძიებელმა, — არ გიმძიმთ განა?“

აფთიაქარმა გაიცინა.

„ანომალიური იქნებ ჩვენი ცხოვრება იყოს... როგორც ამ ბუზისა, თავს რომ დაგვბზუის და მის ბზუილშიც ანომალიის ექო ისმის... რა გგონიათ, ვინმეს რომ სკალპელით სამყაროს გაკვეთა მოეხერხებინა, მსგავსი სამყაროს სახით ისევ ანომალიას არ წააწყდებოდა?..“

ახლა გამომძიებელმაც გაიცინა.

„სახალისო მეტაფიზიკას კი ქადაგებთ, მაგრამ უნდა წავიდე“.

„სად გეჩქარებათ?“

„პატაკი მაქვს შესადგენი. უფროსები ჩემს ანგარიშს ელოდებიან“.

„იმათ სადღა ეჩქარებათ?“

„ვერაფერს გეტყვით იმის გარდა, რომ განაწესს უნდა დავემორჩილო და მოხსენება დროულად შევადგინო... ნახვამდის“.

გამომძიებელი კარისკენ გაემართა. აფთიაქარი მიჰყვა.

„ხვალ შემოგივლით, რაღაც მაქვს დასაზუსტებელი, — გამომძიებელი ღია კარში შემოტრიალდა, ცალი ხელი სახელურზე ედო.

„როცა გენებოთ მობრძანდით. შუაღამეც რომ იყოს... უძილობა მჭირს, თანაც, როგორც ნახეთ, ცდებს ვატარებ. დღისით ამისთვის ვერ ვიცლი, ღამით კი ხელს არავინ მიშლის“.

„იმ თეთრი თაგვივით ჩემზეც ცდის ჩატარებას ხომ არ აპირებთ?“

აფთიაქარმა თავი გადააქნია.

„აკი გითხარით, სხვისგან არაფერი დაგემართებათ. თქვენივე ეჭვიანობა მოგკლავთ“.

გამომძიებელს სახე შეეჭმუხვნა.

„ძიება მართლა საეჭვოდ მიგაჩნიათ?“

აფთიაქარმა ნიკაპი მოისრისა.

„ეგ თქვენვე უნდა გადაწყვიტოთ... სხვებისთვის თუ არა, თქვენთვის თუ არის აუცილებელი“...

გამომძიებელი ჩაფიქრდა, მერე კარი ბოლომდე გამოაღო, ზღურბლი გადაიარა. კარაპანიდან რომ ჩადიოდა, აფთიაქარი აივანზე გამოვიდა, მოაჯირს გადმოეყუდა და ხმამაღლა დაუძახა:

„იცით, ის გოგო ვინ იყო, თქვენ რომ შეგხვდათ?“

გამომძიებელი შემობრუნდა.

„პოლიცმეისტერის ქალიშვილი, — აფთიაქარი წელში გაიმართა და გამომძიებელს გამარჯვებული მთავარსარდალივით ზემოდან დაჰყურებდა, — როგორც ხედავთ, ძიებით მარტო თქვენ როდი ხართ დაინტერესებული“...

გამომძიებელმა თავი დაუქნია.

„ხვალ შემოგივლით... ვისაუბროთ“.

მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა სასტუმროსაკენ. აფთიაქარმა თვალი გააყოლა, მერე ცას ახედა, წაუსტვინა და ისიც შინ შებრუნდა.

* * *

დარკილული ზარდახშის ფსკერზე მედალიონი და წაბლისფერი თმის კულული იდო. გამომძიებელი დიდხანს სინჯავდა ლუპით მედალიონში ჩაწებილ ქალის ფოტოს. შავგვრემან ქალს მბრძანებლური, ამპარტავნული სახე ჰქონდა, ფოტოზე პროფილით აღებეჭდათ და ისე ჩანდა, თითქოს ვინმე უხილავს უმზერდა მომნუსხავად, თუმცა ის მეორე ფოტოზე არ ჩანდა. მედალიონის მინის ხუფზე ინიციალები ამოეკაწრათ. გამომძიებელმა რამდენჯერმე უანგარიშოდ ახსნა და დაახურა ხუფი მედალიონს, თან ხუფის ტკაცანს უსმენდა, მერე ზარდახშაში ჩაიხედა, ფსკერს ხელი მოუფათურა — ასეთ ზარდახშებს ხშირად უკეთებდნენ ორმაგ ფსკერს, რომელთა შუაც იოლად შეიძლებოდა საიდუმლო ქაღალდი დაგემალა, მაგრამ ძველი ზარდახშა ისე დაეჭამათ ჭიებს, ფსკერზე ნახვრეტები ილანდებოდა... გამომძიებელმა ფანჯრისკენ შეაბრუნა იგი და ჩამავალი მზის შუქზე გახედა ფსკერს... ზარდახშა მართლა არაფერს მალავდა იმის მეტს, რაც ხელთ ჰქონდა უკვე — მედალიონს და თმის კულულს, თუმცა არც ეს იყო ურიგო ნივთმტკიცება... გამომძიებელმა კიდევ ერთხელ ახსნა ხუფი მედალიონს და ფოტოს თითქმის სინანულით დააცქერდა. ვინ იყო ეს ქალი? ცოცხალია თუ არა? ...თავი გადააქნია და მედალიონი მაგიდის უჯრაში შეინახა, სადაც სამსახურებრივი ქაღალდები ჩაეწყო უკვე. მერე სამოსი გამოიცვალა, ზარი დარეკა და სასტუმროს ბიჭს სადილი მოატანინა... ცოტა ხანს გაზეთის კითხვით ერთობოდა, შემდეგ გაზეთი მაგიდაზე მიაგდო და პატაკს ჩაუჯდა. შეღამებამდე წერდა და არ გაუგია, როგორ ჩამობნელდა. დაისი ჩაქრა თუ არა, თითქოს ამას ელოდაო, ტანსაცმელი გაიძრო და ლოგინში შეძვრა. დაქანცულს მაშინვე ჩაეძინა და შუაღამემდე გაუნძრევლად ეძინა, თითქოს ბანგმა კინწი მოსწყვიტაო.

* * *

შუაღამისას წვეთების ტკაპუნმა გააღვიძა — წვიმა ხმაურობდა მეზობელი სახლის ყავარზე. გამომძიებელი ადგა და ფანჯარაში გაიხედა. ობობას ქსელივით გაბმულიყო წვიმის ფარდა ცასა და მიწას შორის. ნელი დგანდგარი ისმოდა და შორეული გუგუნის ექო... ქალაქი თითქოს ჩამკვდარიყო. სულიერის ჭაჭანება არ ისმოდა... ძაღლებიც კი არ ყეფდნენ. მარტო ორჯერ გაუფრინა სარკმელს რომელიღაც დამფრთხალმა ღამის ფრინველმა და ფარვანა აფათურდა რაფაზე... გამომძიებელი კისერგაწვდილი იყურებოდა ბნელში იმ იმედით, რომ ქალაქს ცვლილებას შეამჩნევდა, მაგრამ ღამის უბეში მიმალული სახლები მტკიცედ მალავდნენ საიდუმლოს...

„ამოწყდნენ თუ რა არის?..“ — ხმამაღლა გაიფიქრა გამომძიებელმა, შემცივნულმა ხელები გააქნია და ისევ ლოგინში შეძვრა. წვიმა უფრო გამეტებით არაკუნდა სახურავზე, დგანდგარი კი ღრიალად იქცა და გუგუნიც მოძლიერდა... გამომძიებელი გატრუნული უსმენდა სტიქიის ხმაურს, არაფერზე ფიქრობდა... მერე ჩაეძინა და დილამდე აღარაფერს შეუშფოთებია. ახალშობილივით უსიზმროდ ეძინა, უსხეულმყოფელად, თითქოს სიცარიელეში ისროლეს და სადღაც მიექანებოდა, თუმცა ნაპირი და მიჯნა არსად ჩანდა...

* * *

წვეთები ცრემლივით ბრჭყვიალებდა ფოთლებზე, როცა ქარმა წამოუბერა და ხეებს წინწკალი დააყრევინა. მთელი დღე ქროდა უსიამო ჭალიკონი, დაუზარებლად რომ მოჰქონდა კირქვისა და ლპობის სუნი მდინარის მხრიდან. ქუჩებსა და მოედნებზე ისევ იდგა ხაშმიანი გუბეები, რომლებშიც დამჭკნარი ყვავილის ფურცლები დაცურავდა... ფარდულებისა და სახლების სახურავები გადაერეცხა წვიმას, ყორეებისა და კედლებისთვის ფერი ეცვლევინებინა, ბაზრის მოედანსა და მანჯურიელი გან ბაოს დუქანს შორის კი, ხიდქვეშ, ადიდებული ღელე მოედინებოდა. მერეხს მოხუცი მანჯურიელის დუქანიც გვარიანად შეელანძღა — დამპალი ფიცრები ძნელად შრებოდა მზეზე. ქალაქის თავზე თვალით შეუმჩნეველი ოშხივარი დაცურავდა. ხასხასა ჰაერში სირთა გაუთავებელი გნიასი იდგა და მკაფიოდ ისმოდა ქალაქის მინავლული ხმაურიც — ეტლის რახრახი თუ ურმის ჭრიალი, ძაღლის ყეფა და შეშის ჩეხის ექო... ქალაქი თითქოს გამოხსნოდა ღეთარგიულ ძილს, მაგრამ წამოუბერა ქარმა და ისევ მოგრაგნა ღრუბლები ცაზე; ქალაქსაც თითქოს მრუმე ჩრდილი დააწვა, ჰაერი ჩაბნელდა და ჩალუსკუმდა, თითქოს ადამიანთა ეს საცხოვრისი ხუფის ქვეშ მოექცაო.

გამომძიებელი გუბეებს ახტებოდა და ბაზრის მოედნისკენ მიალაჯებდა. სერთუკის საყელო წამოეწია, კარტუზი შუბლზე ჩამოეფხატა, წელში მოხრილი ისე მიაბიჯებდა, თითქოს ვინმეს გაურბის ან ემალებაო. მოედანზე რომ გავიდა, შეჩერდა და აქეთ-იქით მიმოიხედა, მერე ხიდისკენ გასწია. მოდიდებული ღელე მიექანებოდა მის ფეხქვეშ. კაცი ჩაფიქრებული უცქერდა მღვრიე, ჭუჭყიან წყალს, სიბინძურე რომ მოეხვეტა და მდინარისკენ მიჰქონდა. ხიდიდან მანჯურიელის დუქანთან გავიდა და ტალახიან ორღობეში შეუხვია. ყურადღებით აკვირდებოდა ჭიშკრებს, რამდენჯერმე შეჩერდა და გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ სულიერი არ შეხვედრია. კაცმა უფრო ღრმად ჩამოიფხატა კარტუზი, მხრები აიწურა და სწრაფად გაალაჯა.

ქეჩერუხზე, ქუჩის ბოლოს, ბაღში მიმალულ ორსართულიან სახლთან შეჩერდა. ბაღს ქვის მაღალი გალავანი ერტყა. გამომძიებელმა გალავანს შემოუარა და კუტიკარი შეაღო. ბაღი სანახევროდ ვაზის ხეივანს დაეფარა. ვაზებს შორის ჟოლო და ხურტკმელი ჩაერგოთ. შრამელებს შორის ბეტონის ბილიკით გამომძიებელი უხმოდ მივიდა სახლამდე, თან ფრთხილად იყურებოდა გარშემო. ვაზის ხეივანქვეშ ნაგვიანევად ჰყვაოდნენ ასტრები, ჭანჭურისა და ქლიავის ხეებს კი კვლავაც ედო კირქვის მტვერი, წვიმასაც რომ ვერ ჩამოერეცხა. შეულესავ კედელთან ტახტი იდგა. ბაღისკენ მიქცეულ მხარეს სახლს კიბე ჰქონდა. გამომძიებელი შეჩქვიფული შედგა კიბესთან. მეორე სართულის ღია ფანჯრიდან უცებ გრამოფონი ახრიალდა — ვალსს უკრავდნენ. გამომძიებელმა აიხედა და ფანჯრიდან გადმოყუდებული პირბადიანი ქალი დაინახა. ქალიშვილი ისე გადმოიწია რაფიდან, თითქოს გადმოვარდნა სწადიაო, კაცს ხელი დაუქნია და მოუთმენლად შესძახა ისე, რომ გრამოფონის ხმა დაეფარა:

„ამოდით, რას დგახართ?“

გამომძიებელმა მსუბუქად აირბინა კიბე, ოთახის კარი შეაღო. მაღალჭერიან, დარბაზივით დიდი ოთახის შუაგულში პოლიცმეისტერის ქალიშვილი იდგა: თეთრი სამოსი ეცვა და შავი ვუალით დაეფარა სახე. გამომძიებელმა წამიერად შეავლო მზერა ოთახის მორთულობას, მაგრამ ქალიშვილმა აღარ აცალა — მიეჭრა და კუთხეში მდგარი დივნისკენ უბიძგა. ცალი ხელით კი კარი გადარაზა.

„იჩქარეთ, დრო ცოტა გვაქვს!“ — წასჩურჩულა და ახლა გრამოფონისკენ გაექანა, სახელური გადაატრიალა. ვალსის ხმაც უფრო ძლიერ გაისმა. გამომძიებელი დივანზე დაჯდა დორსა და ბალიშებს შორის, ფეხი ფეხზე გადაიდო და მასპინძელს მიაჩერდა. ქალიშვილი ისევ გრამოფონს დასტრიალებდა, მისკენ ზურგით იდგა. მერე შემობრუნდა და ხელებჩამოშვებული გაჩერდა გამომძიებლის წინ.

„მოიტანეთ?“ — იკითხა ჩამწყდარი ხმით.

„რა?“

„წერილები“.

„წერილები?“

ქალიშვილმა ანჩხლად დააბაკუნა ფეხი იატაკზე.

„მდინარის გაღმა კარიერზე ხომ იყავით?“

„ვიყავი. აკი იქ გნახეთ პირველად“.

„განდეგილის წერილებიც ხომ წამოიღეთ იქიდან... ის წერილები მჭირდება“.

გამომძიებელი შეინძრა და ზურგსუკან დორი შეისწორა. ამ ოთახში ავეჯიც და დგამიც კომფორტული იყო.

„თქვენი მოსაწვევი რომ გადმომცა სასტუმროს მსახურმა, მეგონა უფრო სერიოზულ თემაზე სასაუბროდ მიბარებდით... როგორც ჩანს, შევცდი... ფრიად ექსცენტრული ბრძანებულხართ“.

„თქვენ ხომ არ იცით, ეგ წერილები ჩემთვის რაოდენ მნიშვნელოვანია“.

გამომძიებელი მოიღუშა.

„ქურდობას მწამებთ. წერილები რომ მენახა კიდეც, გგონიათ, უკითხავად წამოვიღებდი?“

მასპინძლის თვალებმა ავად გაკვესა.

„ნუ თვალთმაქცობთ. დაგინახეთ, სერთუკის ქვეშ რასაც მალავდით“.

გამომძიებელმა ჩაიცინა.

„კარგით, გნებდებით... ფასზე შევთანხმდეთ“.

„ფასზე?“

„ჰო, ფასზე... გეგონათ, მუქთად დაგითმობდით?... გამომძიებელი დორს გადანვა და ქალიშვილის შეცბუნებით აშკარად ერთობოდა, — ისეთი კაცისაგან, ვინც სხვის წერილებს იპარავს, ალტრუიზმს ტყუილად გამოელით“.

ქალიშვილმა კიდევ ერთხელ დასცა ფეხი იატაკს.

„სულმდაბალო არსებავ, რას ითხოვთ ჩემგან?“

„აკი თქვით, რომ ეგ წერილები თქვენთვის ძვირფასია?..“

მასპინძელმა კისრიდან ბრილიანტის ფარღული შეიხსნა და კაცს გაუწოდა.

„თქვენნაირი ხარბი ადამიანიც ვერ იტყვის, რომ მცირე საფასურს გთავაზობთ... აიღეთ და წერილები მომეცით“.

გამომძიებელმა ფარღული ჩამოართვა, ხელში შეატრიალა, მერე სართუკის ჯიბეში უბოდიშოდ ჩაიჩურთა.

„მიდიხართ?“ — შესძახა ქალიშვილმა, როცა დაინახა, რომ გამომძიებელი დივნიდან ადგა და კარისკენ გაემართა, — იცოდეთ, აქედან ვერ გახვალთ, სანამ წერილებს არ გადმომცემთ“.

ის უცებ მოსხლტა და კარებს აეფარა.

„ნუ ღელავთ, კარგო ქალიშვილო, — გამომძიებელმა სახელურისკენ გაიწოდა მარჯვენა ხელი, —ერთი, რომ არაფერი ვიცოდი, რისთვის მიბარებდით, ამიტომაც, ბუნებრივია, წერილები არ წამომიღია; რომც წამომეღო, ასე ნაუცბათევად არც გადმოგცემდით, რადგან ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობთ. თუ ბორანზე ექსცენტრულ შეხვედრას არ ჩავთვლით; უმთავრესი კი ისაა, რომ თქვენი საფასური წერილებისთვის უკმარია“...

„დედაჩემის ნაჩუქარი მარგალიტები გეცოტავებათ? იცით კი, რა ღირს?“

„მაგ ფარღულით ქვეყნიერების ყიდვაც რომ შეიძლებოდეს, წერილების დასაბრუნებლად მაინც არ გეყოფათ... მე სხვა რამეს ვითხოვ“, — გამომძიებელმა სახე ახლოს მიუტანა და იმ ადგილას ჩააშტერდა ქალიშვილს, სადაც პირბადით დაფარული თვალები ეგულებოდა. გოგო მის წინ აჰკრობოდა კარს, ღრმად სუნთქავდა.

ერთხანს დუმდნენ, ბოლოს ქალიშვილმა ხმა გაიღო:

„შეღამებისას გაუქმებულ ქარხანასთან მოდით... ვერავინ დაგვინახავს, — მან კარის საკეტი ახსნა და სანახევროდ გამოაღო, მერე კაცს მაჯაში მისწვდა, — ფარღული დამიბრუნეთ“.

„ვერა, ვერ მოგცემთ, — მტკიცედ თქვა კაცმა, — ვაითუ მოსვლა გადაიფიქროთ“.

ქალიშვილი შეყოყმანდა. მერე ზურგში უბიძგა.

„წადით, თვალით აღარ დამენახოთ“...

გამომძიებლის ზურგს უკან კარი გაჯახუნდა. მან ჯიბეში ჩაიყო ხელი, მარგალიტების აცმა მოსინჯა და კიბეზე ღიმმორეული დაეშვა.

* * *

მთავარანგელოზის მახვილივით წაგრძელებული ღრუბელი დადგა საკირეების თავზე და მისი ჩრდილი მდინარეს დაეფინა. ქარი ისევ უბერავდა, ოღონდ ჭალიკონმა მიმართულება იცვალა და ახლა სამხრეთიდან ქროდა. მიწა სწრაფად შრებოდა. გუბეთა პირას კი ბალღის ამონასუნთქივით ცახცახებდა ნაწვიმარი წყლის ანაორთქლი.

გამომძიებელი იმავე გზით ბრუნდებოდა ბაზრის მოედანზე. სანამ ხიდთან მივიდოდა, მანჯურიელის დუქანთან შედგა და შიგ შეიჭვრიტა. დუქნის უკანა ოთახში განბაო იჯდა და სახეზე იდიოტური ღიმილი ეფინა. გამომძიებელმა თავი დაუქნია მისალმების ნიშნად, მაგრამ მოხუცმა, როგორც ჩანს, ვერ შენიშნა სტუმარი, იჯდა და გამომძიებლის მხარს იქით უხილავს უღიმოდა.

დუქნის წირთხლებზე ისევ წითლად ღაღანებდა ორი ფარანი და ყალყზე შემდგარი დრაკონებიც ისე მკვეთრად ჩანდნენ, სადაცაა გაცოცხლდებიანო. გამომძიებელმა წკიპურტი ჰკრა ერთ-ერთ მათგანს, თითქოს ამოწმებს, მართლა სულიერი ხომ არ არისო და მერე თავის ქნევით გაეცალა იქაურობას. ის იყო ხიდზე ფეხი შედგა, დუქნის უკნიდან ჭრელი ლეკვი გამოძვრა და ფეხებში გაუგორდა. გამომძიებელი დაიხარა და ლეკვი ქეჩოთი აიყვანა.

„სად იყავი, შე წუწკო?“ — დრუნჩზე წკიპურტი გაჰკრა და, რაკი ლეკვმა ყეფა ატეხა, დასვა მიწაზე. — ვიცოდე მაინც, სად დაძვრებოდი?“

ლეკვი კვლავ ყეფდა და გამომძიებელსაც ღიმილი უნათებდა სახეს. ის სწრაფად მიაბიჯებდა მოედანზე. უკან ჭრელი ლეკვი მისდევდა. ბელურები ჟივჟივებდნენ ჩირგვებში. ქარი კისერში უძვრებოდა. გამომძიებელი ხალისიანად მიაბიჯებდა და დროდადრო სერთუკის ჯიბეში მარგალიტის ფარღულს სინჯავდა — ეს მორიგი ნივთმტკიცება იყო, არიადნეს გორგალივით რომ მიჰყავდა მიზნისაკენ...

სადალაქოს კარს ნაცნობი ფიგურა მოსცილდა და გამომძიებელმა აფთიაქარი დაინახა. როგორც სჩვეოდა, ის შუა ქუჩაზე გაჩერდა და ჯიბეებში ხელებჩაყოფილი, ისე იდგა, თითქოს კორიდაზე ხარის გამოვარდნას ელოდებაო.

„წარღვნასაც მოვესწარით!“ — ისე შეჰყვირა აფთიაქარმა, სადალაქოს სახურავზე შეყრილი ბელურები დააფრთხო, — ხომ გაფრთხილებდით, ასეც მოხდება-მეთქი“...

გამომძიებელი შედგა და თავის დაკვრით მიესალმა.

„რაც გიცნობთ, აფთიაქს გარეთ არ მინახიხართ, — თქვა მერე, — საღამო მშვიდობისა“.

„ძველი მეგობარი გიპოვნიათ, — მეაფთიაქემ ლეკვს გვერდულად გახედა, — თანაშემწედ წვრთნით, თუ“...

„ამ ქალაქში ვინმე მაინც მჭირდება, ვინც სწორ კვალზე დამაყენებს... ვინმე, სულიერი“, — ახლა გამომძიებელმაც მოუხედა ლეკვს და დაუწრუპუნა.

ლეკვმა შეჰყეფა.

„ნამდვილი ცერბერია, — აფთიაქარი დაიხარა და ლეკვს მოურიდებლად სწვდა კუდში, — თქვენ ის თქვით, ჯოჯოხეთში ჩასვლას თუ ისურვებდით“...

მან კუდით აიტაცა ლეკვი და ჰაერში ააპროწიალა.

„გაუშვით, ნუ აწვალებთ, — გამომძიებელი მხრებაწურული იდგა, აფთიაქარის საქციელმა შეაცბუნა, — თუ ესეც საცდელი ცხოველი გგონიათ?“

„აკი გითხარით, ცდას ისინი ატარებენ-მეთქი, — აფთიაქარმა ლეკვი დასვა და გაშლილი მკლავი ცისკენ გაიშვირა, — თუკი იქ, ზემოთ, ვინმე მართლა არსებობს, იმაზე დიდი ოხუნჯი არავინაა“.

„რამე გაიგეთ?“ — პირდაპირ ჰკითხა გამომძიებელმა.

„განდეგილი იონა დაუჭერიათ... პოლიცმეისტერის ბრძანებით, — აფთიაქარი გვერდულად ედგა გამომძიე-

ბელს და ისე აკვირდებოდა. გამომძიებელმა ნელა შეხედა მოსაუბრეს. აფთიაქარმა ტუჩი მოილოკა. — არ დამიჯერეთ, როცა გარწმუნებდით, მაგ კაცის ბრალეულობის ვერსია მცდარია-მეთქი“...

„მაშ, მე მბრალდება ეგ ამბავი?“ — გამომძიებელმა რატომღაც ისევ მოსინჯა ჯიბეში ფარღული.

„ყოველ შემთხვევაში, მიზეზი თქვენ ხართ... კარიერზე რომ არ დაგეწყოთ სიარული, ვინ იცის, ის საბრალო გიჟი ახლაც თავისუფალი ყოფილიყო“.

„ახლა რა უნდა ვქნა? პოლიცმეისტერთან მივიდე და ვთხოვო, ის კაცი გამოუშვას?“

„პირადი მტრობა აქვთ. ვერაფერს გახდებით“.

„როგორ თუ პირადი მტრობა?“

აფთიაქარმა გაიხედ-გამოიხედა და მერე მისკენ გადმოიხარა.

„ხომ გახსოვთ, გითხარით, ეგ იონა სატრფოს ღალატის შემდეგ შეცდა-მეთქი ჭკუაზე... ჰოდა, ის ქალი პოლიცმეისტერის ცოლი იყო“...

„იყო?“

„მოკვდა ის ქალი, თუმცა ამბობენ, გათხოვების შემდეგ იონასთვის რამდენჯერმე წერილი მიუწერიაო... პოლიცმეისტერი გამწარებული დაეძებს იმ წერილებს, რაკი ჰგონია, რომ შიგ მისი მამხილებელი კომპრომატებია... ქალს ცუდად ექცეოდა და იმანაც ყოფილ მიჯნურს სთხოვა შველა“...

„ჩემს ჩამოსვლას უცდიდნენ? აქამდე სად იყო ის მამაცხონებული პოლიცმეისტერი?“

აფთიაქარმა გაიღიმა.

„ვერც კი წარმოიდგენთ, ქალაქი როგორ ააფორიაქეთ... ეგრეა, ზოგჯერ გგონია, ჩვეულ წესს მივდევ და სამსახურებრივ მოვალეობას აღვასრულებო, მაგრამ წინ ვის გადაეღობებით, ამას ვერ გამოიცნობთ... ჩვენი სულელი იონა კი დღემდე ჩუმად იმიტომ იყო, შემწე არავინ ჰყავდა. გუშინ კი კარიერის მუშებისთვის უთქვამს, გამომძიებელს, როგორც მხსნელს, ისე ველოდი და ყველაფერს გავუმხელო... პოლიცმეისტერმაც აღარ დაახანა და საკანში გამოკეტა, ბევრი რომ არ ილაპარაკოს“.

„თუ გიჟია, მის ჩვენებას ძალა არა აქვს“, — დაფიქრებით თქვა გამომძიებელმა

„წერილები დაგავიწყდათ... პოლიცმეისტერს ჰგონია და ასეც უნდა იყოს, რომ იქ იოლად იპოვნით კომპრომატებს“.

„ჰო, მაგრამ მე ხომ კერძო საქმის გამოსაძიებლად არ ჩამოვსულვარ! ჯანდაბაშიც წასულა თქვენი პოლიცმეისტერი თავის კომპრომატებიანად... მისი სამხილი არად მჭირდება. მე სხვა ნივთმტკიცებებს ვეძებ“...

აფთიაქარმა ისევ გაიღიმა.

„მაპატიეთ და გამოუცდელი ყოფილხართ... განა ყველა ფაქტი სამხილი არ არის? ფაქტებს თუ ეძებთ, ყველაფერი, თვით უმნიშვნელო წვრილმანიც კი, ნივთმტკიცებად გამოგადგებათ... რაც ერთი შეხედვით კერძო საქმე გგონიათ, იქნებ უმთავრესი ის იყოს მაგ თქვენი ძიებისთვის... სხვანაირად კვალს როგორ მიაგნებთ?“

გამომძიებელმა ქუდი მოიხადა და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა.

„თქვენი ვერაფერი გამიგია... ჯერ იყო და განდეგილის ბრალეულობის ვერსიას მცდარი უწოდეთ, ახლა კი მარწმუნებთ, ძიება სწორედ მისგან განვაგრძო... რაღაც შეუსაბამობა გამოდის“...

აფთიაქარი მისკენ გადმოიხარა და სახეში ნაზად ჩააცქერდა.

„შეუსაბამობად იმიტომ გეჩვენებათ, რომ ძიებას დანაშაულისა და ბრალის მიხედვით უდგებით!.. თქვენი შეცდომა ის არის, ფაქტებს რომ ჩვეული პოზიციიდან განიხილავთ, თუმცა ეს იმდენად შეცდომა როდია, რამდენადაც ადამიანური გონის ბუნებრივი ცთომილება... ამიტომაც ფიქრობთ, თუკი დანაშაული მოხდა, დამნაშავეც აუცილებლად უნდა იყოსო... ეს სამყაროს თეოლოგიურ ახსნას ჰგავს, როცა ივარაუდება, რაკი სამყარო არსებობს, შემქმნელიც უნდა ჰყავდესო... პირიქითაც ხომ შეიძლება ვიფიქროთ: დამნაშავე არსებობს, მაგრამ დანაშაული — არა“...

„თქვენი კალამბური მაინც ვერ გავიგე, — გამომძიებელი შუბლს იმშრალებდა ხელში მოჭმუჭვნილი კარტუზით, როგორც მთიბავებმა იციან ხოლმე სიცხეში, — პოლიცმეისტერის საქმესა და ჩემი ძიების საგანს შორის კავშირს ვერ ვხედავ... კომპრომატები კიდეც რომ არსებობდეს, ანომალიასთან რა კავშირი აქვს?“

აფთიაქარმა სინანულით გადააქნია თავი.

„შეთქმულების ვერსია დაგავიწყდათ. ისიც გაიხსენეთ, რომ ამქვეყნად შემთხვევით და უმიზეზოდ არაფერი ხდება“.

„ძიების მეთოდს მიწუნებთ?“

„სრულიადაც არა... თქვენი პროფესიონალიზმი იოტისოდენაც არ მაეჭვებს, მაგრამ მაინც გაკვალულ გზას მიჰყვებით, — აფთიაქარმა ნიკაპი მოიფხანა, — თქვენამდე აქ ინჟინრები და გეოლოგები იყვნენ და ყოველი წვრილმანი შეისწავლეს, მაგრამ ნგრევის მიზეზს კი ვერ ჩასწვდნენ... არა მგონია, მათ მიერ მოკვლეულ ფაქტებს ბევრი რამ მიუმატოთ. ამიტომაც დაგიჟინეთ, ძიება სხვა მხრივ უნდა წარმართოთ-მეთქი“...

„ესეიგი დანაშაულისა და ბრალის ცნებებზე უარი ვთქვა“...

„ეგ თქვენი გადასაწყვეტია... მე იმას მიგანიშნებთ, რომ მიზეზს ტყუილად ეძებთ... უფრო სწორად, ამ საქმეში ყველაფერი მიზეზია“...

გამომძიებელს უმწეობა დაეტყო სახეზე.

„დავიბენი, — თქვა მერე, — მარტო იმას ვხვდები, ჩემი პროვოცირება გინდათ, მაგრამ ანომალიისა და ქურდბაცაცა პოლიცმეისტერის გაიგივება მიჭირს“...

აფთიაქარმა ისევ გადააქნია თავი.

„როგორ ვერ ხედავთ, თუკი ყველაფერი ამას მიანიშნებს? ცოტა სხვა თვალით რომ ჩაკვირვებოდით დეტალებს, მაშინვე მიხვდებოდით, რატომ არ შენდება ჩვენს ქალაქში საზოგადოებრივი შენობები და რატომ უწოდებენ ამას ანომალიას“...

„სხვა რაღა შეიძლება ეწოდოს?“ — გამომძიებელი ისევ შეცბუნებული იდგა და ეტყობოდა, დაძაბული ფიქრობდა. ქუდი ხელში შერჩენოდა, დახურვა არც გახსენებია. ვერც მოსაუბრეს ამჩნევდა თითქოს, თუმცა კი მის ნაუბარს ძალზე დაეფიქრებინა.

„ანომალიად იმას მივიჩნევთ, რაც ჩვენი ადამიანური გონის შესაძლებლობებს სცდება, — თქვა მეაფთიაქემ, — რაკი ყველაფერი მყარად დადგენილი გვგონია, იმიტომაც ვფიქრობთ, თუ ბუნებრივი კანონზომიერება ირღვევა,

ანომალიაც ეგაარ... თქვენი კარგად მესმის... თუ მოვლენის ან ფაქტის ზებუნებრიობას ვაღიარებთ, მაშინ ძიების ჩვეულ მეთოდებზეც უნდა ვთქვათ უარი... მიზეზ-შედეგობრივი კვლევა ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, მაგრამ ანომალია მარტო ნგრევა როდია... აი, მაგალითად, დანგრეული ქარხანა რომ თავისით შენდებოდეს, ეს თუ იქნებოდა ანომალია, როგორ ფიქრობთ?“

„ეგ ჯოხის მეორე ბოლოა და თეოლოგიურ ახსნამდე მივყავართ“, — გაეპასუხა გამომძიებელი.

„რაც გინდათ თქვით, ეს მაინც მწყობრი ვერსიაა, რომლის გათვალისწინება არ გაწყენდათ“, — აფთიაქარი ახლა გვერდულად უმზერდა მოსაუბრეს, როგორც სჩვეოდა, ჯიბეში ხელები ჩაეწყო და სახეზე უდარდელობა ემჩნეოდა, — განა უფრო იოლი არაა ვიფიქროთ, რომ ღმერთი გვსჯის ჩვენი ცოდვებისათვის, ვიდრე ამოუცნობი მოვლენის არსში წვდომას ვცდილობდეთ?“

გამომძიებელი თავდაღუნული უსმენდა. ქუდი ორივე ხელით ეჭირა.

„ღმერთი თუ გვსჯის, ყველას თანაბრად უნდა გვსჯიდეს, რადგან ყველანი ცოდვილნი ვართ... ასე გვარწმუნებენ თეოლოგები... თქვენს ვერსიას ლოგიკა აკლია... სხვა შემთხვევაში მარტო თქვენს ქალაქს რად მოუვლენდა სასჯელს?“

აფთიაქარმა ტუჩები მომუწა, თითქოს დასტვენას ცდილობსო.

„სოდომ და ღომორა გაიხსენეთ... განა რა ისეთი ცოდვილნი იყვნენ მათი მცხოვრებნი, მაგრამ ღმერთმა მაინც უწყალოდ დააქცია ეს ქალაქები... ეგრეა, ღვთის ქმედების მოტივს ვერასოდეს ამოვიცნობთ... ამიტომაც გირჩიეთ, ძიებას სხვა მხრივ შეხედეთ-მეთქი“.

„უკან გავბრუნდე? — იკითხა გამომძიებელმა, — თუ ამ მოვლენებში ღვთის ხელი ურევია, აქ აღარაფერი მესაქმება“...

„უფროსებს რომ უნდა წარუდგინოთ, იმ მოხსენებაში რაღას ჩასწერთ: ძიებაზე ხელი ვინ ამაღებინაო. რას ეტყვით?“

გამომძიებელმა ქუდი დაიხურა.

„სადაც ღვთის განგება მოქმედებს, იქ ადამიანი უძლურია, — თქვა მერე, — გამოდის, ეგ საქმე თეოლოგებისთვის დამილოცნია“.

„თქვენ ვინღა ხართ? — ცნობისმოყვარედ ჩაეკითხა აფთიაქარი, — ბრძოლის ველიდან ისე გარბიხართ, არც კი გინდათ შეიტყოთ, რა დაგავალეს და რა აღასრულეთ?“

გამომძიებელმა ნერვიულად მოისრისა ცხვირი.

„მაგას უკვე დიდი მნიშვნელობა როდი აქვს... დიდი-დიდი სამსახური დავკარგო... კრიმინალისტობა მაინც არ მიტაცებს... უფრო უსაქმობა მირჩევნია, — ის შეეცადა გაეღიმა, მაგრამ ღიმილი როგორღაც დაბნეული გამოუვიდა.

აფთიაქარი მისკენ გადმოიხარა და მოულოდნელად ორივე მხარში სტაცა ხელები. ისე ახლო იდგნენ, გამომძიებელს მისი სუნთქვა ესმოდა.

„გახსოვთ, გკითხეთ, უფროსებს რომ არ დაევალებინათ, ეგ საქმე თუ დაგაინტერესებდათ-მეთქი?.. ისიც თუ გახსოვთ, რა მიპასუხეთ? ანომალიის ძიებას დივანზე წოლა და გაზეთების კითხვა მირჩევნიაო, აგრე თქვით... ჰოდა ახლა ამას გეკითხებით: როგორ გგონიათ, აქ თქვენი ნებით ჩამოხვედით?“

„მივლინებით ვარ, — თქვა გამომძიებელმა, — ჩვეულებრივი სახაზინო მივლინებით“...

აფთიაქარმა ხელი უშვა და უკან დაიწია.

„ნუ ჯიუტობთ, იმის აღიარება მაინც მოგიწევთ, თქვენს აქ ჩამოსვლაშიც განგების ხელი რომ ურევია“.

„მეტისმეტად შორს შესტოპეთ, — გამომძიებელმა კარტუზი შუბლზე ჩამოიფხატა და თითქოს ჩვეული სიმტკიცე დაიბრუნა, — მე მხოლოდ ფაქტებს ვაგროვებ, მათი მორალური შეფასება კი თეოლოგების საქმეა“.

„კარგით, ეგრე იყოს, — აფთიაქარს უკვე გაღიზიანება დაეტყო, მაგრამ, ჩანს, თავს იკავებდა, — მე ისიც გკითხეთ ჩამოსვლისას, ჩვენს ქალაქში ცხოვრებას თუ ისურვებდით-მეთქი“...

„მე მგონია, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, — გამომძიებელი გვერდზე იყურებოდა, თითქოს გასაქცევს ეძებსო, — ამქვეყნად ყველა სადღაც ვცხოვრობთ“...

„სიტყვას ბანზე მიგდებთ, — მეაფთიაქე ცდილობდა, მოსაუბრისთვის თვალებში შეეხედა, მაგრამ გამომძიებელი კვლავ განზე იყურებოდა, — თქვენი ნებით თუ დარჩებოდით აქ, ამას გეკითხებით?“

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა.

„ვერაფერს შეცვლი, — თქვა მერე, — დანგრეულს ვერ ააშენებ“...

მეაფთიაქემ შვებით ამოისუნთქა.

„მადლობა ღმერთს, რომ თქვენგან სწორი პასუხი გავიგონე... ჩემთან წავიდეთ, რაღაც მინდა გაჩვენოთ!“

* * *

ღამე ჩამოდგა — ბნელი, უმთვარო. ნაწვიმარი დღის შემდეგ გრილოდა და ჰაერშიც უცხო სურნელება იყნოსებოდა. ღამის ხავერდსაც სხვანაირი ელფერი გადაჰკრავდა: მუქ-ლურჯი, ცინცხალი, თითქოს იმქვეყნიური ფერადებით შეზავებული. ბნელი სულიერივით იშმუშნებოდა, იძვროდა, ძლივს გასაგონ ბგერას გამოსცემდა და საყოველთაო დუმილში თითქოს ვიღაცის ხითხითი ისმოდა. გამომძიებელი დაძაბული აყურადებდა ღამეს, ცდილობდა ამოეცნო, სად გაქრა მთვარე ან ვინ იცინისო აქვე ახლო, მაგრამ ღამე ისეთივე განუჭვრეტელი იყო, როგორც უფსკრულის წიაღი. გამომძიებელიც ალალბედზე მიიკვლევდა გზას რიყეზე. ერთი-ორჯერ ქვას წამოედო, ორმოშიც ჩაუცდა ფეხი, ფშანშიც ჩააჭყაპუნა, მაგრამ არ შეჩერებულა, სანამ ნანგრევთა ჩონჩხი არ აელანდა. კაცმა ხელის ცეცებით შემოუარა ყორედ შთენილ კედლებს, შესასვლელს ეძებდა. ბოლოს, იპოვნა და ქარხნის ეზოში შევიდა. ამ დროს დაკარგულმა მთვარემაც ამოაშუქა გორმახებიდან და ნანგრევთა ჩრდილი ეზოს დაეფინა. გრილი სიო მოელამუნა კაცს სახეზე და ჩურჩული შემოესმა: მას უხმობდნენ. გამომძიებელი წაიკუზა და ხელგაშვერილი წავიდა ნანგრევებისაკენ. ბრმად მიდიოდა, შეხების უნარს დანდობილი, წეროსავით ფრთხილად ადგამდა ფეხს, რათა კედელს არ დასჯახებოდა; ეგონა, სიცარიელეში მივაბიჯებო.

„აქ შემოდით!“ — მოესმა კვლავ და ისიც უფრო მოიხარა, კედელს მოუფათურა ხელი, გამონგრეულ კაზემატში შეძვრა. ვიღაცის ნაზი მკლავი შეეხო კისერზე და კვლავ განმეორდა ჩურჩულიც, წეღან რომ უხმობდა. კაცმა მძაფრი სურნელება იგრძნო, გაუპარსავ ლოყაზე თბილი კანი

მოელამუნა და ვიღაც აეკრო მთელი ტანით. გამომძიებელმა უნებურად ხელები გაიწოდა — ცხელსა და შიშველ სხეულს შეეხო. გაოცების შეძახილი აღმოხდა კაცს, დამხვდურს უგანა, მაგრამ კედელს შეეჩეხა და მიხვდა, ვეღარსად გაიქცეოდა. ავაზასავით ფიცხლად ეკვეთა ქალი, კედელს გააკრა, უსურვაზივით შემოეხვია და კაცს ლოყა და ტუჩები აუწვა ცხელმა კოცნამ. მაგრამ ხელებჩამოყრილი იდგა კვლავ, ამ მოულოდნელი თავდასხმით გაოგნებული.

„რას აკეთებთ?“ — იკითხა ბოლოს მძიმედ და ცალი ხელით მოიცილა ქალი.

„განა ამას არ ითხოვდით საფასურად?“ — ქალიც უცებ შეჩერდა, მკლავები ჩამოუცვივდა.

„ჩაიცვით, გაცივდებით, — კაცმა სერთუკი გაიძრო და ქალს მოახურა, — თქვენ რა იცით, რას ვითხოვდი!“

„მე კი მეგონა“... — ქალმა ვეღარ დაამთავრა, მოულოდნელმა სირცხვილმა დაუდუმა ენა.

„საფასური ისედაც არ მეკუთვნის, — თქვა კაცმა, — წერილები არ მომიტანია“.

„მომატყუეთ?“

„ქვაბულში სხვა რამ ვნახე, — მან სერთუკის ჯიბეში ჩაყო ხელი და ქალს ფარღული გაუწოდა, — აიღეთ თქვენი მარგალიტები და კარგად შეინახეთ... როგორ თქვით, დედაჩემის ნაჩუქარიაო?“

„ჰო“, — ნაღვლიანად გაეპასუხა ქალი.

„ეს ხომ არ იყო დედათქვენი?“ — გამომძიებელმა ასანთს გაჰკრა და კაზემატში სუსტმა შუქმა გაიელვა. კაცს ხელში ახდილი მედალიონი ეჭირა, რომლის ფსკერზეც უცნობი ქალის პორტრეტი ჩანდა. ასანთის შუქი დასთამაშებდა ფოტოს, ნაჩრდილებს ჰფენდა.

პოლიცმეისტერის ქალიშვილმა მედალიონი გამოსტაცა.

„ვინ მოგცათ?“

„განდეგილის ქვაბულში ვნახე... ამას ეძებდით?“

„წერილებს... ამასაც... კიდევ რა ნახეთ?“

„თმის კულული... სავარაუდოდ, ისიც დედათქვენისაა ალბათ“.

„წერილები არ გინახავთ?“

„არა“.

ქალმა ნერვიულად მოუჭირა მაჯაზე სუსტი თითები.

„მატყუებთ, ჩემი წვალება გინდათ. წერილები მომეცით და რასაც გინდათ შეგისრულებთ”.

მან სერთუკი გაიძრო და კაცის მარჯვენა მკერდზე დაისვენა. გამომძიებელმაც ხელისგულით შეიგრძნო ქალწულის მკვრივი ძუძუსთავი, ხელი დამდუღრულივით გამოსწია.

„არ მოგწონვართ?“ — ჟინიანად დაეკითხა ქალიშვილი.

„მე სულ სხვა რამ მაინტერესებს: სახეს რატომ იფარავთ?“

პოლიცმეისტერის ქალიშვილი დუმდა.

„წერილებს რატომ დაეძებთ ასე გამწარებით?..“

ქალიშვილი კვლავ დუმდა და გამომძიებელმა იგრძნო, როგორ კანკალებდა გოგო. კაცი დაიხარა, სერთუკი აიღო და ქალიშვილს ისევ მოახურა.

„ამბობენ, იმ წერილებში მამათქვენის მაკომპრომეტირებელი სამხილებიაო... დედათქვენს მიუწერია ერთ დროს განდეგილისათვის, თუმცა ვერ ვხვდები, ერთმანეთთან რა აკავშირებდათ?“

„დანიშნულები იყვნენ“.

„მამათქვენმა იცოდა ეს ამბავი?“

„კომპრომატებს რომ სწერდა ძველ შეყვარებულს?“

„დედათქვენს რომ შეყვარებული რომ ჰყავდა, სანამ ცოლად მოიყვანდა“...

„იცოდა“.

„ისიც იცოდა, მერეც რომ ჰქონდათ ურთიერთობა?“

„ვინ გითხრათ? ტყუილია!“ — შესძახა გოგომ.

„ასე ამბობენ, — ორჭოფულად მიუგო გამომძიებელმა, — იმასაც ამბობენ, განდეგილს რამდენჯერმე შეუთავაზებია დედათქვენისთვის აქედან გაქცევა, მაგრამ უარი მიუღია... ალბათ თქვენს გამო, — გამომძიებელმა ჩაახველა და ხმას დაუწია, — განდეგილიც მას მერე გადამცდარა ჭკუიდან და ანარქისტობაზეც ხელი აუღია... იცოდით ეს ამბები?“

„ქალაქში ჭორიკანებს რა გამოლევს, — ზიზღით თქვა გოგომ, — ათას სისაძაგლეს იტყვიან... ხალხს პირს ვერ აუკრავ“.

„რასაც მამათქვენზე ამბობენ, ეგეც ტყუილია?“

„რას ამბობენ?“

„მექრთამე და ფლიდი კაცია, თანამდებობას ბოროტად იყენებს და უდანაშაულოთა სისხლშიც ხელი ურევიაო... განდეგილი იონა და მამათქვენი ძველი მტრები რომ არიან, ესეც იცით?“

გოგომ არ უპასუხა.

„ალბათ იმიტომაც დააჭერინა, თქვენ კი წერილებს ტყუილად დაეძებთ“, — წყნარად თქვა გამომძიებელმა.

„იონა დაიჭირეს? — ქალიშვილი აღელდა, — ვინ გითხრათ?“

„ნუთუ მამათქვენმა ეს ამბავი დაგიმალათ?“ — გამომძიებელი წყნარი ხმით ლაპარაკობდა და მისი ხმა დუდუნივით ისმოდა ღამის სიბნელეში, — დღეს დილით დაუპატიმრებიათ... მას შემდეგ, რაც მე მნახეს კარიერზე... შემთხვევით თქვენ ხომ არ გითქვამთ მამათქვენისთვის, იქ რომ მნახეთ?“

ქალიშვილი დუმდა. მერე სერთუკი გაუწოდა კაცს.

„აიღეთ თქვენი სერთუკი... წავიდეთ აქედან“.

გამომძიებელმა სერთუკი გამოართვა და კაზემატიდან ეზოში გამოვიდა. დაუცადა, სანამ პოლიცმეისტერის ქალიშვილი ჩაიცვამდა. მთვარე ისევ ანათებდა ქარხნის ეზოსა და ნანგრევებს. ქვემოდან მდინარის დუდუნი ისმოდა. წვრილფეხა ნადირი დაშლიგინებდა ჯაგებში. გაიფრინა ღამურამ და სადღაც ბაყაყმაც დაიყიყინა. გამომძიებელი გატრუნული უსმენდა ღამეულ ხმებს, იდუმალ ფუსფუსს, გრძნობდა ჰაერის უმცირეს რხევას და გული განუცდელი სიამით ევსებოდა. ქარხნის ნანგრევები უტყვი განაჩენივით აღმართულიყო მის წინ, მაგრამ გამომძიებელი ღვთის რისხვას როდი დაეფიქრებინა — მდინარის ბუბუნს წარეტაცა მისი სმენა; ეს ბუბუნი თითქოს უხმობდა, თავის წიაღში იპატიჟებდა და გამომძიებელსაც თავბრუ დაახვია ამ წყნარმა, შეუშლელმა ხმამ, თითქოს მისივე არსებიდან რომ მოესმოდა.

მან ასანთი გაკრა და კაზემატს მიაშუქა.

„ახლა მივხვდი, რატომ არ იხსნით პირბადეს, — თქვა უცებ, როცა გოგოს სახე დალანდა სუსტ სინათლეზე, — ადრეც უნდა მივმხვდარიყავი, მაგრამ თქვენმა სიტყვებმა თავგზა ამიბნია... ხელი მომეცით, აქედან გაგიყვანთ!“

დავით წერედიანი

მეგრული მოტივი

ჟამი მოკლე, ჟამი გრძელი,
მხარზე მადევს უფლის ხელი.
მოყვარენო შინ და გარეთ,
ვის რა გსურდეთ, დამაბარეთ,
ხვალ მივდივარ ცად.

ალის ქალი, ღელის პირი,
პირი ელვა, ცოდვის ძირი,
მზის კალო და მთვარის ბანი,
წვიმის თმა და ნისლის ტანი.
ხვალ მივდივარ ცად.

ფოთოლცვენა

საიდან ისმის, კაცი ჩაღმა ჩაექანოს, იმგვარი ხმაა,
„ა-ა“ და მეტი არაფერი, განწირული, გაბმული „ა-ა“.
საკვირველია, არა ნაღველს არ ედება, არც არას ამღვრევს.
ხვალ ფოთოლცვენა კორომიდან ამოაჩენს გალავნის ნანგრევს.
ხმობა? მისნობა? უეცარი გაღვიძება ჟამთუწინარის?
მწუხარე სიყრმე? დაკარგული სახელები? ვინ ხართ? ვინ არის?

მწირმა აკეცა მზის საათი, ოქტომბერი ჩატეხა სხივში.
ხვალ ფოთოლცვენა კენწეროდან მოაშიშვლებს ჩიტების ჟივჟივს.
გზა ლაქაშებში ჩაფურცლულა, სამი სარკით ახლოა ფსკერი.
მე რა? ჭავლიდან გაზაფხული დაბრუნდება, გაზაფხულს ვმღერი.
მწირმა ქვის კიბე ჩაიარა, ჩრდილებს დახრის, აგროვებს ყვითელს.
მე სიხარული არ მჭირდება, ხელისგულზე მარჯანი მიდევს.

ჩიტი მზეგაღმით მოფრენილა, ცალად დაკრთის, გუნდი გზად არი,
დამწივის: ჩქარა! სული მოგვეც! რა დარია, ნახე, რა დარი!
ჩიტო, რად გინდა ჩემი სული, ყველა ჩქამზე ხმას იცვლის, ჩიტო,
„ა-ა“ და მეტი არაფერი როგორ გინდა ნისკარტით ზიდო!
ქარი შებრუნდა, მეუბნება, ჩქარა, ჩქარა, სანამ დარია,
ამოგიკემსავთ, მზეზე გავფენთ, მეუბნება, ჩვენ გვაბარია.

მაგრამ ღამეში, როცა ნელი ფოთოლცვენა გახსნის დარაბას,
ირღვევა ლამბი, ძილ-ღვიძილის შრიალია, სიზმარს არა ჰგავს.
სანთლებით ხელში — გესმის? — თეთრი მოხუცები მიდიან წყებად,
გესმის ფეხისხმა? გამჭვირვალე ტალანებში სიჩუმე დგება.
არაფერია, ალბათ ჩემი წუხილია, დაეძებს ყალიბს,
არაფერია, უფურცლებო სათავისკენ ბრუნდება წყალი.

მწუხარე სიყრმეც, დაკარგული სახელებიც, ჟღალით და მრეშით,
განმეორდება, წამისწამად შემოსული სინათლის წრეში,
განმეორდება გაცრეცილი ოქრომკედით, ოქტომბრის ხელრთვით.
ვინ ხართ? ვინ არის? მორიალე ლანდები ვართ, კაბადონს ვერთვით.
კაბადონს ვერთვით, ლანდები ვართ მორიალე, გავქრებით დილით, —
და მხოლოდ ჭავლზე ღამეული საგალობლის ირწევა ჩრდილი.

დავით წერედიანის ლექსებს განსაკუთრებული ყურადღებით ვკითხულობთ. არის ამ ყურადღებაში თაყვანისცემაც, მორიდებაც, მოლოდინიც, დაფასებაც და შესაძლოა რაღაცნაირი ჩასაფრებაც – როგორ იტყვის, როგორ გაგვაკვირვებს, როგორ შეძლებს შეუძლებელს. კაცმა რომ თქვას, ავტორიტეტებს სხვაგვარად არც კითხულობენ.

კარგა ხანია დავით წერედიანი ლიტერატურის მეტრად ითვლება და მის ყოველ გამოჩენას პრესის ფურცლებზე ისე ვხვდებით, როგორც მოვლენას.

მოვლენას, როგორც ფაქტს, როგორც კლასის დადასტურებას, ერთობლივად ქმნიან ავტორი და მკითხველები.

დავით წერედიანს გახსნილი აქვს თავისი „კლასი“, სადაც მკითხველები კლასიკური მორჩილებით დადიან.

ეს არის აკადემიური სკოლა, რომელშიც საგნებად „ისწავლება“ გემოვნება, სტილი, ესთეტიკური ხედვა, რეფლექსია, ფანტაზია, ვირტუოზობა, უშუალობა, მასშტაბურობა, ინდივიდუალობა და ის რაღაც, თითქმის ხელშესახები, რასაც ფილოსოფოსები ობიექტურ სულს უწოდებენ.

დავით წერედიანის ლექსებში განსაკუთრებული ხასიათი იგრძნობა, ხასიათი პიროვნული და ხასიათი შემოქმედებითი.

მის ხელში სიტყვა ჯადოსნურ საფანელს იძენს და პოეტური ზემოქმედების „იარაღად“ გადაიქცევა. საგნები ქმნიან პოეზიას – შენ თვალწინ, შენი თანდასწრებით. სასაუბრო ინტონაციაც როგორ შემპარავად, საყვარელი მელოდიასავით აღვიძებს ფანტაზიას. ყველაფერი გესმის, მაგრამ ახსნა გიჭირს, რადგან ეს არის აზრის მუსიკა:

გესმის ფეხისხმა? გამჭვირვალე ტალანებში
სიჩუმე დგება.
არაფერია, ალბათ ჩემი წუხილია, დაეძებს ყალიბს

აქ ცნება არის იმდენად მყარი, რამდენადაც საგანია მთლიანი და ცოცხალი. თითქოს ესწრები სიცოცხლისა და თვითშეგნების, ცნობიერებისა და თვითცნობიერების საწყისთა გამთლიანების აქტს.

სადღაც აქვე ერთდება მატერია და სული, გარემომცველი სამყარო და ფანტაზია.

ამიტომ ყველაფერი მოძრაობს, ბორგავს, ეძებს, ხმიანობს.

ასეა ყოველთვის. სხვანაირად დავით წერედიანი ჩვენთან არ მოდის.

ფერები ირევა, მუსიკის ხმები სმენას აყრუებს, ცოდვილი სული ბორგავს და კანკალით მოელის გათენებას.

იშლება ნაღდი, ჩნდება ნაღლს მიმსგავსებული.

ნანა გასვიანის ლექსების ლირიკულ გმირს ნამდვილზე ფიქრი არ ასვენებს, წუხს და განიცდის იმას, რაც წარიხოცა, დრო და ჟამმა წაიყოლა. არადა, მათში სიწრფელე იყო, ბუნებრიობა დასადგურებულიყო, გულს გული ერქვა, ცრემლს ცრემლი, სიხარულს სიხარული, ტკივილს ტკივილი და ა.შ

ტკივილით იკემსება ფიქრი.

იწერება ლექსები, იქმნება შთამბეჭდავი პოეტური სახეები, რომლებიც გულგრილს არ ტოვებენ მკითხველს, რადგანაც მათში სიწრფელეა, სინედლეა, ხალისიანი განწყობილებაა.

სიხალისე და სინედლე ნანა გასვიანის ლექსების თანამდევი თვისებაა.

ამით გვხიბლავს, გვაწონებს თავს და მკითხველსაც ამ განწყობითა და სურვილით ვთავაზობთ მისი ლექსების ამ ახალ რკალს.

ნანა გასვიანი

* * *

გადავუარეთ მარტოობის სეფე-ქალაქებს
[რა საუცხოოდ მაშინ დარობდით],
ნისლის აკვანში მონანავე დედო-ალაგი
აგვიფორაჯდა – შორიაო ელდორადომდე,
გადავუარეთ მარტოობის სეფე-ქალაქებს.

ჟამი ბელავდა ყველა ცდუნებას,
ფარმუბის თვეში ნაქურდალი თოვლის იები
ფეხად ჩამოჭკნენ, მანამდე კი ბასრი ცულებით
აჩეხეს ჩვენი ვარდისფერი არტერიები,
ჟამი ბელავდა ყველა ცდუნებას.

გუშინ გათოვდა რა უნებურად,
სტუმრად წავიდა ქოლგიანი ნაზი მუსიე,
რომელსაც სდევდა მისტერია; ალფრედ მიუსე
და ბრეტანული კაეშანი მუდამ ებურა,
გუშინ გათოვდა რა უნებურად.

ვუსმენდით სენ-სანსს. [მინორულ ქარებს
მთებმა სიჩუმის ახსნეს ურდული.]
და ვიხსენებდით; მარტოობის სეფე-ქალაქებს
გადავუფრინეთ როგორ ქურდულად,
ვუსმენდით სენ-სანსს.

გუდამაყართან დაგვეწია სიცილი ლოთის,
[გუდამაყარში საუცხოოდ აღარ დარობდით]
ვზი. ენკენისთვე იჩქითად მოდის
და შორი არი, შორი არი ელდორადომდე,
გუდამაყარში დაგვეწია სიცილი ლოთის.

იუბილე

მოდი, ჩვენს სიყვარულს იუბილე გადავუხადოთ:
მე მარტოობას მოვიტან ფორთოხლის ტორტივით,
სიშორეს,
ლოდინს,
ეჭვების ნესტიან კრიალოსანს უბეში დავმალავ
და დაბნეულ ღიმილს ოჯალეშივით შემოვდგამ
მაგიდაზე;
შენ მოიტანე სიტყვები:
„ყველა“,
„სხვები“,
ღალატი, მკერდზე ბროწეულივით რომ გიყვავის
და ნატიფად დაალაგე ჩემი უნიჭო ერთგულების
გვერდით.
სტუმრად დღეები და რიცხვები მოვიპატიჟოთ.
შენ, ძვირფასო,
შენ შეეგებე კარებში მათ
და სათითაოდ შემოუძეხი,
მე ვერ ვიქნები ყველასათვის გულგახსნილი
მასპინძელი.
2 ოქტომბერს და 17 ივნისს ნუ წარმომიდგენ,
ეგ 2 ნოემბერიც, სადმე სუფრის ბოლოში დასვი.
თუმცა შავ ფრაკებში ლაზათიანად გამოწყობილან,
მაინც სიკვდილის ნაზი სურნელი ასდით.
მე უფაქიზეს 1 აგვისტოსთან დავჯდები,
შენ ბობოქარ და კადნიერ 7 ივლისს ჩასჭიდე ხელი
და როცა დარბაზში ბოშა ქალივით უტიფარი
მუსიკა დაირხევა ——
მომძებნე,
ამდენ უსახურ დღეთა შორის
როგორმე გამოიკვლიე გზა
და მოდი ჩემთან.
თებერვალი პირბასრი ცულია,
დამალობანა ვითამაშოთ ცულებით იქ,
სადაც ტბა მგზავრივით დგას
და შუადღეს ხელები ჩრდილებივით დაგრძელებია.
შუაღამისას,
მთვარე რომ ბეჯითად ამოვა არავის ცაზე,
მუხის ტყეში გავიდეთ
და საკუბოედ ჯიშიანი ხეები შევიგულოთ.
. . . . . .
მანამდე კი...
იქნებ როგორმე ჩვენს სიყვარულს
იუბილე გადავუხადოთ.

ჯანყი

ივანობისთვემ მოგვიწყო ჯანყი,
შეეკრა დემონს, ქაჯს და მაცილებს—
ნაღველის ლორწო, იჭვების ჯანღი
წარსულს ლიბრივით რომ გავაცილეთ.
გადახრილია სიზმრების დისკო,
კამარებს ქარი არწევს ბორიო,
დილაა, როგორც მაღალი რისკი,
როგორც ღალატის შავი სქოლიო.
ხომლი გაკენკავს ფიქრების წენგოს,

ქიმერებიდან ნესტი გაჟონავს,
ჩვენ ამ უნიჭო დრამაში გვერგო
უარყოფითი პერსონაჟობა.
თითქოს ზეფირი ჭინჭრით დასუსხეს,
ან ცა თალხ მთებზე რისხვით გაწელეს,
ჩვენი ცხოვრება იყო ლაფსუსი
და ფრაზა, კედელს რომ წავაწერეთ.

მაღალი ნოტი

რას უყვებიან ჩრდილები ჩრდილებს?
ჩრდილებზე ჩრდილი მიცოცავს, მარი,
ენკენისთვის მზე გულს აგიჩვილებს,
თმაგაწეწილი შეგეყრება გზად ლამარია.
ჭყალ— ჭალის მწვანეს დაატყდა ბაცი,
მთოვარე რაღაც შიშნეულს ბლანდავს,
ცხენისწყლისპირას ბაკუნებს ვაცი,
ბაკუნებს ნერბიც და კანონადა
ჭრიჭინობელთა ქუხს. ცხრაკლიტული
უფლის პრინცესავ, ცხრავე განახვე,
იაგუნდს იხდენს მჭლე ცისკიდური,
გაგანებივრებს ქრისტე, იახვეც.
რას უამბობენ ჩრდილები ჩრდილებს?
ჩრდილებზე ჩრდილი დაცურდა, მარი,
თვინიერი მზე გულს აგიჩვილებს,
მთვარის ბილიკზე შემოგხვდება გზად ლამარია.

მელანქოლიური მონოლოგი მარტის თვეში

ზეთისხილისფერ შემოდგომის თრიაქს
დასწაფებია მზე— მემთვრალე და მრუში.
შენი ხელები კვაზარებივით თრთიან,
ჩემს შუბლზე ობი ჰყვაოდა გუშინ.
გაუთელიათ ღობე კუნელის წნელის,
ვიდრე ხსოვნაში ჰალიკარნასებს ათოვს,—
საუკუნეთა გამოიარე სკნელი,
გელი მადათოვს.
ზოდიაქოთა გადმოგიდენი ფარებს,
სად მთვარის ნავი ცის გულისპირში ჩახმა,
რაისთვის უმტრე შენს ერთგულ პირის ფარეშს,
რად მიაბჯინე თითი შემართულ ჩახმახს?
წყვდიადებიდან ეჭვის ბუხარი ბოლავს,
გამრიდებიხარ უსაჩინოო მტერი,
მო, შეაჩერე დღეთა შლეგური სრბოლა,
გალაქტიკების შემომაყარე მტვერი.
რად გვიანდები გადავიწყების ზაფრად,
რად გეკეცება ჟღალი მიმინოს ფრთები,
ის ღვინობისთვე ჰგავდა ჩამომჭკნარ ზაფრანს,
ატუზულიყვნენ მთები.
უუნოტიეს ცას აუტეხე ურვა,
ვიდრე სასახლეს დაამშვენებდეს ვალსი,
მომასმენინე იმ ვასაკების კრულვა,
შავი ვარდები გამომატანე ვალში.
ჰორიზონტამდე სულთათანაა ყოფნის,
ქარში ვკარგავდით ფარშევანგების კუდებს,
მარმარილოს შუბლს მახსოვს შემსკდარი ოფლი,—
აგვისტოს მზეზე ასეირნებდი პუდელს.
შენს ნასახლარზე მწუხრის სიმშვიდე ჰგიებს,
გაცხადებულხარ და საძვალეებს ალტობ,
მომიკითხავდე თმენის გათელილ იებს,
ჭრელ განთიადებს შემოჰყვებოდე მარტოდ.
ნითელფეხება დაკლეს ქაღალდის ყანჩა,
ნუ გაშფოთებენ სირინოზების ხმები,
ცისკიდურს მიღმა ნისლის კარეტა დამრჩა,
ვდარდობ და ვხმები.
დაეხეტება მთვარე— მამალი ფოთრი,
ო, ჰარპიები მოგაყივლებენ სისხამს,
მშვიდობით, ღამეს სუნი აქვს შქერის ფოთლის,
მშვიდობით, ჟამი სისხლის ვარსკვლავებს ისხამს...

რეპორტაჟი ტაძრიდან

(მეორე რეპორტაჟი)

შენს მზერაში წამით მშიერი ავაზები და
მელანქოლიური გედები
გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ.
ჩემი თვალების ზიმზიმა ჭაობში ობოლი კონკია
მიტოპავდა
თუ ჯადოსნური ოქროს თევზი ღაფავდა სულს?
დამალევინე ტაძრის კედლებზე დადენილი
ჩამავალი მზის მჟავე სუნი
ბალახიანი ეზოც დამალევინე
აბეზარი ბავშვებით და დალით მოყიჟინე.
ეს ხეები ეს ტაძარი ეს სამყარო **დალიაო...**ამბობ.
შენი თვალების ლივლივა ტბებში ახლა მხოლოდ
მელანქოლიური თეთრი გედები დაცურავენ
სად გაუჩინარდნენ მშიერი ავაზები ჩემო?
ჭკუასუსტი დალის ბნედიან როკვაში განფენილა
მწიფე მიწა და შეღამების მწველი სურვილიც
ჩვენ აქ მოვედით უფლისა და ჩვენივე ნებით
სად მერცხლებს სველი ნისკარტებით
მოდარაჯე ზეცა ეჭირათ
და სად მკათათვე ყვავილობდა ფერებად ფითრის.
დაიმახსოვრე უცოდველი ჩემი ტუჩები
მე კი შენს ტუჩებს დავიმახსოვრებ
ცოდვილს და მშიერს
ჩემი სისხლიდან ვით მიწიდან გახაფხულზე
ლორთქო ბალახი—
ამოზრდილია ყოფნის სევდა.
იქნება შენ ხარ
ვინაც უნდა დაითმინოს ჩემი ხმა და ჩემი ხელები
ვინაც მარცხიან ღამეთა და ბალახოვანი
ჩემი თმების სურნელი ზიდოს
ვიტყვი სიჩუმეს
დუმილს ვიტყვი
წამოვდგები
მოგიძებნი
მოგისაკლისებ
აკივლებული ჩემი ფესვიდან
ჩემი გულიდან
ჩემი ტანიდან
მოდიდდებიან მდინარეები
და სიტყვად მოვალ

იქნება მე ვარ
ჩამოისვენონ ვის ხელისგულზეც
ფრთაქათქათა შენმა გედებმა
ვინც უნდა შენი ავაზების დააცხროს ხვატი.
მიედინება ყველაფერი ამ ცისქვეშეთში
იფრქვევა და მიედინება
და რაც იფრქვევა
სისხლი
წყალი
ნაღველი
ფრაზა
დედის რძე თუ უწმაწური გინება კახპის
მინდა მეც ჰენრი მილერივით მიყვარდეს
და დასაწყისთან მაბრუნებდეს ყოველცისმარე
ეს დღე კი ოდნავ რომ გავაკვირვეთ
და უბიდან ოჯალეშის სუნი რომ ასდის
ჩემს ხსოვნაში აწი მრავალგზის გამოიზამთრებს
აწი მრავალგზის დამიხსნის და
გულგატეხილს მოლოდინად გამეფოთლება
ჩვენ კიდევ მოვალთ
ტაძრის კედლებზე დადენილი
ჩამავალი მზის მჟავე სუნი მოგვიყვანს ისევ
ჩვენ კიდევ მოვალთ
მერცხლებს რომ სველი ნისკარტებიდან
მოთვალთვალე ცა რომ არ გაუვარდეთ
ცა რომელიც **დალის** ეკუთვნის
რომ ჯაჭვის ხიდქვეშ არხეინად მიმავალ რიონს
არ ეუცხოოს ჩვენი ფეხის ხმა.

წერილი მეგობარს

ვარსკვლავთვმრიცხველობ, ჩვილ განთიადებს ვითვლი,
სისხლის აკვნებში თვალგახელილებს, ჩემო,
და ხეჭეჭურზე აყვავებული ფითრის
მახურავს ბრიყვი და მოზუზუნე ჩერო.
მოთანდათანდა სინანულები მწუხრის,
ქარიშხალები და ნეტარება მალვის,
რა სისადავით თიბათვის ორბებს ვწუხდით,
ვიშით, ვაებით გავაკვირვებდით ან ვის?
უუთვალავი წელიწადების ჭრიალს
ვაკრიალოსნებ, ელვის პანტერებს ველი,
ბალდახინების რად შემატოვე ბრჭყვიალს,
პილატესავით რად დაიბანე ხელი?
ნოემბერდება. ფოთოლცვენების თქეშში
მეხრჩობა მთვარე — პელაზგის ცხენის ნალი,
გახსოვს? ფარმუბის იმ გადარეულ თვეში
ჭმუნვის კუბოებს ვეზიდებოდით მალვით.
დასალიერზე მუხლად ჩამომწყდარ ფიჭვებს
ვითვლი და ვიცი ვერ გადაგიხდი ამაგს,
ყოფიერების სევდა ყულფივით მიჭერს
და გული თეთრი ბაირაღივით დამაქვს.
ისევ მოადგეს იქნებ ნაპირებს არგო,
საწმისიც გვქონდეს იქნებ იმ გრძნეულ დროში,
შაგრენისხელა დღეს ჩვენს მამულში, კარგო,
ზეობს ლიქნა და ფარისეველთა როში.
ვარსკვლავთმრიცხველობ,
ჩვილ განთიადებს ვითვლი,
სისხლის აკვანებში თვალგასახელებს, ჩემო,
და ხეჭეჭურზე აყვავებული ფითრის
ისევ დამბზუის თავს ის ჩურჩუტი ჩერო.

ძახილი

ეჰეი!..— ვყვირი გალაქტიკების თქორში,
სად ხარ!— მოვარწევ კვაზივარსკვლავურ ბორანს
და პლანეტების ევდემონიზმურ ქოშინს,
ქორონიკონი გლახის კვარივით ბოლავს.
სად ხარ!— მოვდენი ცაზე ცეცხლოვან ვერძებს,
მინას მთოვარის ჭუტი ციაგი კალავს,
დალიონების შარავანდედში მეძებ,
მარგალიტების მთებშუა მიშლი კარავს.
დამბადებელო, რისთვის კეისრის წილი?
კაფავ და ჩეხავ ჩემი სიზმრების ახოს,
იქნებ მოხვიდე გზააბნეული მწირი
და ერთხელ ჩემი წყალდიდობები ნახო.
პატრიარქალურს დაგახვედრებდი საფარს,
ბამბუკის ქოხს და ქოხთან ვენერას ტბორებს,
დროის ცხენების ჩაფრენილი ხარ ფაფარს
და გზებზე სისხლის ედელვაისებს ტოვებ.
მე კი — ეჰეი!..— გალაქტიკების მიღმა
ისევ გიხმობ და მოვერეკები აწმყოს
და რიგრიგობით ყველა მიწიერ ნიღაბს
მდუმარედ ვიხდი და შენს ფეხებთან ვაწყობ.

ძველი სახლის ბინადარი ბებიის ნამზითვი

(კომოდის ტექსტი)

წაბლის კომოდი ვარ, ართვალი, გლეხური
და იმის მაგივრად, დროდადრო მლაქავდეს,
ეს ჩემი პატრონი, ჟამით გალახული,
დარდს მიაკაკუნებს ფილაქანზე.
მაჯაგ ტანს ტიალი გამიხრავს ჩრჩილი,
მაინც ვინ შემელევა სახლის მატიანეს
და უუთვალავი უჯრების ჩრდილში
წლებს მიჯრით ვალაგებ, ოღონდ ნაკიანებს.
კი, წვრილად დავიტევ ამათ მონაგარებს—
თეთრეულს, პიჯაკებს, სულებს და ავსულებს,
მეწვევა ამ სახლის უჟმური ასული
დღიურებს, წერილებს, ლექსებს მომაბარებს.
სიძველის სურნელის გაალხობს ალაო,
მზითვთან რომ თან მოჰყვათ უიღბლო ბებიებს.
ჩუმად გაიოცებს: „მაინც რა ამაოდ...“
მე გულში გავივლებ: „უნებლიეთ...“
ძილად ეწერში ვშრიალებ ატოტილი
(მუხთლები ვიდრემდე მაქცევდნენ მორებად),
ჩემს ნუგბარ ნაყოფს კი სოფლის ტილიანი
ღრუჩუნით ტკვირავენ ღორები.
ასული, თვალები რომ ექცა სანთლებად,
მერე ჩირაღდნებად, მოვა, დამიბარებს:
„კუბოდ თუ შენი გვარისა გამეთლება...“
ვდუდუნებ: „სძალო უსძლო, დაიფარე!“

ბენჯამინ დიზრაელი

უტილიტარული სიბრიყვენი

კარიერის გზაზე, აღმასვლის დროს, 1835 წელს, დიზრაელიმ გამოაქვეყნა წიგნი „გამართლება ინგლისური კონსტიტუციისა". მან პრემიერმინისტრის თანამდებობამდე სწორედ თავისი შემოქმედებისა და მჭევრმეტყველების შედეგად მიაღწია. ამ ადრეულმა წიგნმა კი სერიოზული მოაზროვნის სახელი მოუპოვა. წინამდებარე ესეი ნაწყვეტებია ამ წიგნის I, II, და III თავებიდან. აქ დიზრაელი ანგრევს რადიკალურ უტილიტარიანიზმს, რაც საფრთხეს უქადდა ინგლისურ კონსტიტუციას.

ასპარეზზე გამოჩნდა ერთი პოლიტიკური სექტა, ახდილად დაპირისპირებული სამეფოს სამფლობელოებს და, ცხადია, კანონიერი გზებით მიზნად ისახავს დააქციოს უმრავლესი ამ სამფლობელოთაგან. ეს ანტიკონსტიტუციური მწერლები, ყველა სხვა ახალი შეგირდივით, გამოირჩევიან მიზანსწრაფულობითა და აქტიურობით; ხელიდან არ უშვებენ საკუთარი კრედოს გავრცელების შემთხვევას; ძალზე მონდომებული მისიონერები არიან; არ არსებობს საჯარო პრესის არც ერთი საშუალება, თავიანთ სასარგებლოდ რომ არ გამოიყენონ; აქვთ ყოველდღიური და ყოველკვირეული გაზეთები, ჟურნალები და მიმომხილველები. მაჩანჩალა პრესა მათ მისდევს კუდში და პარლამენტში მსხდომი პარტიის წევრები შემთხვევას არ გაუშვებენ ხელიდან, მსჯელობა განავრცონ სასიამოვნო თემებზე ამომრჩევლებთან შეხვედრისას...

სახელმწიფო მოღვაწეთა ეს ახალი სექტა აშკარად ისახავს მიზნად სარგებლიანობის (Utility) გამოცდა ჩაუტაროს სახელმწიფო ინსტიტუტებს და ჩამოაყალიბოს ახალი კონსტიტუცია თეორიული მეცნიერების აბსტრაქტული პრინციპებით. მგონი, ვოლტერი ამბობდა, არაფერია ისეთი ჩვეულებრივი, როგორც კითხვა და სახეცვალებაო; და ისტორიაში, ზნეობასა და ღვთისმეტყველებაში უნდა მოვერიდოთ **ორმაგ ტერმინებსო**. არა მგონია, პოლიტიკა გამონაკლისი იყოს ამ კეთილმოქმედი წესიდან; მაინც მგონია, რომ ტერმინი Utility ისეთივე ორაზროვანია, როგორც ყველა სხვა, რომლებიც მოყოლებული ნომინალისტებიდან და რეალისტებიდან, ჩვენი არ იყოს, წინააღმდეგობრივ და განუსაზღვრელ დღეებამდე, კვლავაც თავისუფლად კვებავენ სექტებს და აურზაურსა და ყაყანს წარმოშობენ ადამიანთა შორის. მატერიალური ობიექტის შესაბამისობა მატერიალურ მიზანთან არის გამოცდა მისი სარგებლიანობისა, რისი ხორცშესხმაც ჩვენს გრძნობებსა და მოთხოვნილებებს შეუძლია; მაგრამ არის სხვა გამოცდაც ზნეობრივი და პოლიტიკური სარგებლიანობისა, რომლის დროსაც იმდენი განსხვავებული და მრავალფეროვანი შეხედულებები ჩნდება კაცთა შორის, რომ გარკვევა მიჭირს; და რომ ეს ყველაფერი სრულიად უკმარი და არადამაკმაყოფილებელია, ვგონებ, ყველანი დამეთანხმებით.



აქამდე მართლაც რომ ტყუილად დავშვერი, უტილიტარული სექტის თხზულებებში მათი ფუნდამენტური ფრაზის განსაზღვრას რომ ვცდილობდი, რითაც მათთან შებრძოლებას შევძლებდი. უაზრობა იქნებოდა დაგვემალა, რომ თავი მოაქვთ, თითქოს განსაზღვრებას გვაწვდიდნენ, და ვიცით, რომ Utility (სარგებლიანობა) არის „პრინციპი, რითაც იქმნება უდიდესი ბედნიერება უდიდესი უმრავლესობისათვის". განა აქედან რაიმეს გავიგებთ? ვინ უნდა გადაწყვიტოს თუ რა არის უდიდესი ბედნიერება უდიდესი უმრავლესობისათვის? პრინც მეტერნიხის მიხედვით, ავსტრიის მთავრობა უზრუნველჰყოფს უდიდეს ბედნიერებას უდიდესი უმრავლესობისათვის; სავარაუდოა, რომ ავსტრიული განათლების ნაყოფმა ავსტრიის მოსახლეობის უმრავლესობას იგივე აზრი უნდა შთააგონოს. და მაინც, ამ ჩვენს ანტიკონსტიტუციურ მწერლებს ავსტრიის მთავრობა გულზე არ ეხატებათ. გადამეტებულმა ცრურწმენამ შეიძლება უზრუნველჰყოს უდიდესი ბედნიერება უდიდესი უმრავლესობისათვის, როგორც ეს ესპანეთსა და პორტუგალიაში მოხდა; სამხედრო იმპერიას შეუძლია უზრუნველჰყოს უდიდესი ბედნიერება უდიდესი უმრავლესობისათვის, როგორც ეს მოხდა რომსა და საფრანგეთში; უხეშმა და ულმობელმა დესპოტიზმმა შესაძლოა უზრუნველჰყოს უდიდესი ბედნიერება უდიდესი უმრავლესობისათვის, როგორც დღემდე ხდება აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ყოველი — ამქვეყნად არსებული მთავრობა — ხანგრძლივი ძალაუფლებით რომ მოუწონებია თავი, ამ „დიადი ბედნიერების პრინციპზე" უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, რადგან თუ უმრავლესობა არ იფიქრებდა ან არ იგრძნობდა, სწორედ ეს არის, რაც გვჭირდებაო, მთავრობა ვერაფრისდიდებით ვერ გადარჩებოდა. იყო დრო, და არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, როცა უდიდესი ბედნიერება ქრისტიანი ერებისათვის უზრუნველყოფილი იყო რელიგიური რწმენისათვის კოცონზე ადამიანთა ცოცხლად დაწვით; და მანამდე, სანამ დავიჟინებთ, რომ ყველა, ჩვენგან განსხვავებულ, რელიგიას სინამდვილეში სრულებითაც არ ეთაყვანებიან მისი მიმდევარნი, უნდა შევიგნოთ, რომ უდიდესი ბედნიერება უმრავლესობისათვის იმითაც შენარჩუნდება, რომ სიყალბე გავიგოთ და დავიჯეროთ. ამიტომ, თუ უდიდესი ბედნიერება უმრავლესობისათვის ერთადერთი გამოცდაა პოლიტიკურ ინსტიტუტთა ბრწყინვალებისა, გამოდის, რომ ბრალს ვდებთ ამ ინსტიტუტებს, რომლებიც, განსაკუთრებით უტილიტარული სექტის თვალსაზრისით, აბსურდულია და მახინჯი; და თუ ამ დასკვნის თავიდან ასაცილებლად დავიჟინებთ, უმრავლესობა ვერ განსჯის სწო-

რად თუ რა არის უდიდესი ბედნიერებაო, ამით მხოლოდ განდეგილ ფილოსოფოსთა განყენებულ მოსაზრებას მოვიტანთ, ანდა, საუკეთესო შემთხვევაში, სექტური უმცირესობის საკუთარ თავზე შეყვარებული აზრი გამოგვივა. თვითონ UTILITY უბრალო სიტყვაა, რასაც კაცი მიაწერს ნებისმიერ მნიშვნელობას, ნაკარნახევს საკუთარ ინტერესთა თუ მბრძანებლობის ვნებით. ამ ბრალდებას თუ ავყვებით, ერმა შეიძლება საჭიროდ სცნოს ქრისტიანულ მუზეუმებში გაფანტულ ძეგლთა მოგროვება ერთ დედაქალაქში და დაამხოს ქრისტიანობა იმით, რომ მისი საქმე თვითონ იტვირთოს; და იმავე ბრალდების ძალით, რომელიმე იკონოკლასტური მტერი ხვალ ომს გამოუცხადებს დილეტანტების ერს და გააცამტვერებს მის კოსმოპოლიტურ კოლექციას.

თუ მხოლოდ სამთავრობო მეცნიერებასთან მიმართებით განვიხილავთ, სარგებლიანობაში გამოცდის შედეგი, ისეთი, როგორც ჩვენ აღვიქვამთ, ალბათ უვნებელი უნდა იყოს და მისი პრაქტიკული ტენდენცია, თუკი მოეპოვება, უფრო შენახვისა და ოპტიმიზმის განცდამდე მიგვიყვანს, ვიდრე უთანხმოებასა და ცვლილებამდე. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ოპტიმიზმი უტილიტართა სისტემის ნაწილი არ არის: ისინი სრულებითაც არ ფიქრობენ, ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდისო, პირიქით, ფიქრობენ, ყველაფერი უარესდებაო. ამიტომაც რათა მათ მიერვე მოგონილმა გამოცდამ სარგებლიანობისა, სასურველ მიზნამდე მიიყვანოს, მთავრობის თავისებური სისტემა ზნეობის თავისებურ სისტემას მოარგეს და ჩვენი მსჯელობაც სწორედ ამ კავშირის შესახებ უნდა წარიმართოს. ამ ბრძენმა გამომგონებლებმა, რომელთაც მთელი პოლიტიკური მეცნიერება სარგებლიანობაზე (Utility) დააფუძნეს, ზნეობრივი მეცნიერება საკუთარ ინტერესებს მოარგეს და მერე განაცხადეს, მთავრობის სისტემა უნდა დაეფუძნოს ადამიანისა და მხოლოდ ადამიანის ბუნებრივ ინტერესებსო. თუ ადამიანები შეთანხმდებიან და განსაზღვრავენ საკუთარ ინტერესებს, სიამოვნებით ვაღიარებ, რომ დიდი დრო არ დასჭირდებათ სარგებლიანობის (Utility) განსაზღვრების მოსაძებნად. მაგრამ რას გულისხმობენ უტილიტარები ტერმინში საკუთარ ინტერესს? უყოყმანოდ გეთანხმებით, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარ ინტერესთა თანახმად მოქმედებს, მაგრამ ინტერესებში მეც ვხედავ და მგონია, რომ ყველა ფრთხილი მოაზროვნე უნდა ხედავდეს ყოველ მოტივს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანზე. თუ ყველა მოტივი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანზე, საკუთარ ინტერესებში შედის, მაშინ შეუძლებელია მეცნიერება დავაფუძნოთ უაღრესად დაპირისპირებული მოტივებით სავსე პრინციპზე. თუ უტილიტარელები არ მიიღებენ ყველა მოტივს და მხოლოდ ზოგიერთს ამოარჩევენ, მაშინ მთავრობის მათეული მეცნიერება ადამიანის ბუნებაზე კი არ ყოფილა დაფუძნებული, არამედ მხოლოდ ნაწილზე ადამიანის ბუნებისა და, ამრიგად, შედარებით არასრულყოფილია. მაგრამ უტილიტარელები აღიარებენ მხოლოდ ორიოდე მოტივს, რაც ადამიანზე ზემოქმედებს: ძალაუფლებასა და საკუთრების სიყვარულს; და ამიტომაც დაასკვნიან, ადამიანის ინტერესს შეადგენს ტირანია და ძარცვაო.

ზნეობისა და პოლიტიკის უტილიტარული სისტემის ნაზავი ამგვარად მიემართება: ადამიანს წარმართავს მხოლოდ საკუთარი ინტერესი; ადამიანს სურს იყოს ტირანი ან მძარცველი; ადამიანი არ იცვლის ბუნებას, რადგან მეფეა; ამიტომაც მეფე ტირანი და მძარცველია. თუ ერთი კაცის წადილია, იყოს ტირანი და მძარცველი, მაშინ ორმოცდაათასაც და ხუთი ათასსაც აინტერესებს ტირანობა და მძარცველობა; ამიტომ, მეფისა არ იყოს, არისტოკრატიასაც ვერ ვენდობით. მაგრამ ადამიანური ბუნების მარადიული პრინციპია — ყოველთვის სიკეთის მოხელთება. არისტოკრატია მუდამაც პრივილეგირებული კლასია, ხუთი ათასი იქნება თუ ორმოცდაათი ათასი, ეს გახლავთ ჯგუფი კეთილშობილთა ან წარჩინებულთა სექტა; ამიტომაა, რომ ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს ყველას; ამიტომაც ერთადერთი ჭეშმარიტი და გამოსადეგი მთავრობა წარმომადგენლობითია, დაფუძნებული საყოველთაო არჩევნებზე. ასეთია ზნეობისა და მთავრობის უტილიტარული სისტემა, ამოკრებილი მათი „დიადი ნაშრომიდან" ისეთი კაცის მიერ, ვისაც არა სურს მცდარად წარმოაჩინოს ისინი. დროებით კიდევაც რომ დავეთანხმოთ მათ წანამძღვრებს, მაინც ვერ ვხედავ მათი დედუქციის სისწორეს. შესაძლოა წარმოვიდგინოთ იმ საზოგადოების მდგომარეობა, სადაც მთავრობა უპირატესობამინიჭებული უმრავლესობის ხელში იქნება — ხუთმილიონიანი თემი, სამმილიონიანი პრივილეგირებული კლასით. განა ასე არ ვაღწევთ უდიდეს ბედნიერებას უდიდესი უმრავლესობისათვის? და თუ ასე მოხდება, მისივე თეორიის თანახმად, სამართლიანად მოიქცევა თუ არა უტილიტარელი, თუკი ხელს შეუშლის ასეთ პრაქტიკას? თუ იგი წინ აღუდგება ამგვარ კომბინაციას, თავისივე თეორიის უკუგდება მოუწევს; ხოლო თუკი დათანხმდება, მისი თეორია ტირანიასა და ძარცვა-გლეჯას დაამკვიდრებს.

აღარ გავაგრძელებ ამ მიმართულებით; საკმარისია იმის ჩვენება, რომ მათი მეტაფიზიკა არ შეიძლება პრაქტიკაში დაინერგოს. დაე უტილიტარელმა დაამტკიცოს, საკუთარი ინტერესი ყოველთვის უბიძგებს ადამიანს ტირანიისა და მძარცველობისაკენო. მაშინ ვაღიარებ, რომ საყოველთაო არჩევნები აუცილებელი და სასარგებლო ინსტიტუციაა. ერი, რომელიც მსოფლიოს დაიპყრობს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს; ერი, რომელიც დამორ-

სამშაბათს, 15 ივნისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა

ქსოვრელებთან
რუსუდან ბოლქვაძესა
და
მურმან ჯინორიასთან

ქალაქური ლექსები
და
სიმღერები

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ჩილდება დამპყრობს, მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. საკუთარ ინტერესთა თანახმად მოქმედებენ მფლანგველიცა და ძუნწიც; იგივე პრინციპი ამოქმედებდა მესალინასა და ლუკრეციას, ბაიარდსა და ბინგს. გამოდის, რომ თუ ვიტყვით, კაცი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებსო, ვგულისხმობთ, რომ თუკი კაცი მოქმედებს, ესე იგი მოქმედებს. აი, უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტება, დიადი აღმოჩენა, რაც მიგვანიშნებს წინასწარმეტყველთა ან თუნდაც აჩრდილთა გამოჩენაზე. მაგრამ იმის გამოცხადება, რომ როცა კაცი მოქმედებს, მოქმედებს საკუთარი ინტერესით და ყოველ ადამიანს ინტერესი კარნახობს, ტირანი და მძარცველი იყავიო, ეწინააღმდეგება ადამიანური ბუნების გამოცდილებას; რადგანაც ყოველდღიურად და ყოველ საათში ვხედავთ, რომ არსებობს ათასობით სხვა მოტივი, რაც წარმართავს კაცის ქცევას, გარდა ძალაუფლებისა და ქონების შეძენის იდეისა; ამ მოტივებიდან თვითეული უნდა მოვაქციოთ საკუთარი ინტერესის ტერმინში, რადგან ყოველი — მათი გავლენით მოქმედი — კაცი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საკუთარი ბედნიერებისათვის იღვწის და ამიტომაც მოქმედებს საკუთარი ინტერესით. სარგებლიანობა (Utility), ტკივილი, ძალაუფლება, სიამოვნება, ბედნიერება, საკუთარი ინტერესი მხოლოდ ფრაზებია, რასაც ყოველი კაცი მიაკერებს იმ მნიშვნელობას, რაც მოეპრიანება და საიდანაც ყოველი მახვილგონიერი და გამოცდილი მოპაექრე სილოგისტურად გამოიყვანს, როგორსაც მოისურვებს, ისეთ თეორიას. „ასეთი სიტყვები", ამბობს ლოკი „ისევე ვერაფერს შესძენს ჩვენს შემეცნებას, როგორც ალმების ფრიალი ვერ ამოგვივსებს კუჭს". მახვილგონიერების უაზრობაზე ფლანგვა უთანასწორო კავშირსა ჰგავს, რაც ხანდახან ხდება ხოლმე სუფთა სისხლის ულაყსა და პამპასთა გრძელყურა, კოხტა ბინადარს შორის; მდაბალი და ფანტასტიკური შერწყმა მხოლოდ უნაყოფო ჯორულ შთამომავლობას გვაძლევს.

ოდესღაც გვქონდა კოსმიური მექანიკის a priori სისტემა და მისმა მიმდევრებმა ჯერ ტრიუმფალურად გააცამტვერეს და მერე სილოგისტური მტკიცებით ჯურღმულში ჩააგდეს გალილეო. ოდესღაც გვქონდა მეტაფიზიკის a priori სისტემა, მაგრამ სადღაა ერიგენას, ოკამის, სკოტუსის, რაიმონდ ლაელის ოქროს ტომები? ამჟამად კი პოლიტიკაში შემოვიდა a priori სისტემა, სქოლასტიკოსები აღორძინდნენ მეცხრამეტე საუკუნეში, ვინც სახელმწიფოს შეკოწიწებას აპირებენ თავიანთ უგზოუკვლო განსაზღვრებებით, უნაყოფო ლაქლაქითა და ბერნი დიალექტიკით.

ჩემი აზრით, ყოველი უტილიტარული ბრძენი შეურაცხყოფილი დარჩებოდა, თუკი — თომა აქვინელივით — ანგელოზურ დოქტორს ვუწოდებდი; და მწარე გამოცდილება მკარნახობს ვწუხდე, რომ ჯერ ისე არ დაშვებულან დაბლა, კომპოზიციის ხელოვნება ესწავლათ, რათა შემძლებოდა უოლტერ ბერლის მსგავსი მკაფიო დოქტორი მეწოდებინა.

ეს განაზრებანი ბუნებრივად მიმიძღვის დიდი ობიექტის, ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეთა ახალი სკოლის ზოგადი განხილვისაკენ, სკოლისა, რომელიც პოლიტიკურ ინსტიტუტებს თეორიული მეცნიერების აბსტრაქტულ პრინციპებზე აგებს, ნაცვლად იმისა, რომ დააცადოს მოვლენათა დინებიდან გადმოდინდეს, და ბუნებრივად შეიქმნას ერის საჭიროებისდა მიხედვით. აღმოჩნდება, რომ ეს სქემა წარმოშობილია შეცდომის შედეგად, როცა ვარაუდობენ, თეორიები განაპირობებს ვითარებასო, მაშინ, როდესაც სრულიად საპირისპირო რამ ხდება და სწორედ ვითარება განაპირობებს თეორიებს. თუ თვალს გავადევნებთ პიროვნების კარიერას, აღმოვაჩენთ აშკარა თანმიმდევრულობას მის ქცევაში; თუმცა არავითარი შესაძლებლობა არ ყოფილა, რომ მას ორგანიზებული ფილოსოფიის მიხედვით ემოქმედა, რასაც **სისტემას** ვუწოდებთ. მაშ რამ წარმოშვა მისი თანმიმდევრულობა? რამ განაპირობა მისი ჰარმონია მიზანთან? მისმა პიროვნულმა ხასიათმა. ერებსაც აქვთ ხასიათი, როგორც პიროვნებებს, და სწორედ ეროვნული ხასიათია ის, რისი გადახევა ან უარყოფა სურს სახელმწიფო მოღვაწეთა ამ ახალ სექტას თავისი სქემებითა და შეხედულებებით. ჟინი მმართველობისა, რაც ორგანიზაციის შედეგია, წარმართავს პიროვნების კარიერას, ვინც ემორჩილება მასზე მაღლამდგომ მოვლენებს იღბალისა, რომლის მეორადი გავლენაც კი ძნელად თუ დაემორჩილება პიროვნების ბუნების იმპულსებს. ბუნებისა და იღბალის გავლენის ნაზავი აყალიბებს პიროვნების ხასიათს; ასევე ემართებათ ერებსაც. არის მნიშვნელოვანი მოვლენები პიროვნების კარიერაში, რაც ადამიანს ჩააფიქრებს წარსულის გამო, და ამ შესწავლისას, გამოცდილებისა და თვითგანათლების მცდელობისას იგი ითვისებს გარკვეულ პრინციპებს ქცევისა, რაც მას გარდასული წარმატების მიზეზად მიაჩნია, და მოელის, რომ მომავალშიც განაპირობებს მის წინსვლას: გარდა ამისა, უძველეს ხალხთა ბედ-იღბალს ახლდა დიდი კრიზისები, რაც აგულიანებდათ, შეემოწმებინათ ბუნება იმ ინსტიტუტებისა, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩნდებოდა მათ შორის. ამ დიდი ეროვნული მიმოხილვისას ბრძნულად და სათანადოდ გაიმიჯნებოდა ხოლმე მათი ისტორიის არსებითი ხასიათი იმისაგან, რაც პირწმინდა შემთხვევითობა იყო, და ამ დროს პოულობდნენ გარკვეულ პრინციპებს წინაპართა ქმედებისა, რასაც მიიჩნევდნენ იმ წარმატებულ ინსტიტუტთა შემორჩენის მიზეზად; და მათ მომავალ კარიერაში, ცვლილებების, რეფორმების, გარდაქმნების პროცესში, რაც მათივე აზრით მიზანშეწონილი გახლდათ, ფიქრობდნენ, რომ ძველი პრინციპები მათი წარმმართველი და დამმოძღვრავი უნდა ყოფილიყო. ამ შემოწმებით უფრო ახლოს მიდიოდნენ თავის ეროვნულ ხასიათთან, რაც ზრდიდა მათ ცოდნას და რის გამოც ამგვარი მოქმედება ბრძნულად მიაჩნდათ. ამას ვაღიარებ, ჩემო ბატონო, უდიდეს თეორიად, რაც ოდესმე არსებულა იმ პოლიტიკურ ინსტიტუტებში, რომლებიც თავისი მარადიულობის გამო უნდა გაითვალისწინოს ფილოსოფოსმა სახელმწიფო მოღვაწემ; და ეს ზომიერი, კეთილგონივრული, გამჭრიახი და აშკარად პრაქტიკული მიმართებაა ქცევის პრინციპებისადმი, რაც კი ძველი დროის ბრწყინვალე ინგლისელ პოლიტიკოსთაგან გადმოგვცემია.

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

მერაბ კალანდაძე

ალექსანდრე ორბელიანი ახალი ისტორიის საკითხებზე

ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ალექსანდრე ორბელიანის ზოგიერთი საინტერესო გამონათქვამი დ მოსაზრება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ცალკეულ თემებზე, რომელთაც იგი უმთავრესად საქართველოს ისტორიასთან კონტექსტში წამოჭრის.

ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში ყურადღებას იპყრობს ინგლისის პრემიერ-მინისტრის, ლიბერალთა პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ჩარლზ-ჯეიმზ ფოქსის (1749-1806) მოხსენიება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ჩვენს მიერ უკვე განხილული ალექსანდრე ორბელიანის მრავალმხრივ საინტერესო, ანალიტიკური მუხტით გაჯერებული წერილი „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა“.

მის პოლემისტურ წერილში „პლატონ იოსელიანსა“ ერთ ადგილას მოხსენიებულია ინგლისის პარლამენტი. ეს, რა თქმა უნდა, საინტერესოა.

წერილში „ქართველების ძველი დრო“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს, იგი ეხება საკმაოდ აქტუალურ თემას - ნაპოლეონის მიერ 1804 წლის 21 მარტს ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯას. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ საინტერესოა და მისი უყურადღებოდ დატოვება გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

ბუნებრივია, ადვილი გასაგებია, რომ ალექსანდრე ორბელიანის დაინტერესებას დასავლეთ ევროპის ისტორიის ამ საკითხებით ქართული სინამდვილე განსაზღვრავს. მას, პირველ რიგში, საქართველოს სვე-ბედი აღელვებს და ამ რთული მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში ყურადღებას მიაპყრობს ევროპის ისტორიას. ცდილობს გაიაზროს ევროპის გამოცდილების პოზიტიური მნიშვნელობა.

სავსებით მართლზომიერია, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის თემატიკაზე, და ეს მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მისთვის სასურველი პასუხები სწორედ აქ ეგულება. ალექსანდრე ორბელიანი სავსებით მართალი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ დასავლეთ ევროპის ისტორიაში მიმდინარე პროცესები ძირითადად დასრულებული სახით არის წარმოდგენილი. ანალოგიური ან სხვა მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიაში, ხშირად დაუსრულებელი სახისაა, რაც უპირატესად განუწყვეტელი საგარეო აგრესიით იყო გამოწვეული, რომლის მნიშვნელობასაც საბჭოთა ისტორიოგრაფია ჯეროვნად არ აფასებდა და სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების და კლასობრივი ბრძოლის ჩრდილში მიუჩენდა ხოლმე ადგილს.

დავიწყოთ ფოქსით: „აქ მე ინგლისელი ფუკსის მართველობას არ გაურევ, ამისათვის, რომ იგი მშვიდობასა და ნაპოლიონის მეგობრობას ეძებდა და არა კაცობრიობის სისხლის დაღვრას“. პირველ ყოვლისა, მარადიული თავსატეხი ტერმინოლოგიის, მართლწერის საკითხი. უფრო სწორი იქნებოდა ფოქსი და არა ფუკსი, როგორც ამას ალ. ორბელიანი წერს. ეს რუსიციზმის გამოძახილია. ფოქსის მოღვაწეობაზე აქცენტის გაკეთება საინტერესოა და აქედან კარგად ჩანს, რომ ალექსანდრე ორბელიანი საკმაოდ ინფორმირებული იყო ამ ეპოქის ინგლისისა და საერთოდ ევროპის ისტორიაში. იცოდა კონკრეტული ფაქტები. საერთო ცოდნას უხამებდა კონკრეტულ მასალას. „მე ამათ დაწვრილებით განსაჯაში არ შევალ, ამიტომ რომ ვინცა ნაპოლიონისა და მაშინდელი ანგლიის მთავრობის გარემოება იცის ისტორიით თუ სხვა ზაპისკებით, მალე მიხვდება იმათ საქმეს“.

ალექსანდრე ორბელიანის დაინტერესება XIX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწით, ლიბერალთა ლიდერით ჩარლზ-ჯეიმზ ფოქსით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად იმით იყო განპირობებული, რომ ფოქსს, უილიამ პიტ (უმცროსთან) ერთად, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც ეტყობა, ალ. ორბელიანის გამჭრიახ მზერას შეუმჩნეველი არ დარჩენია.

რაც შეეხება ალექსანრე ორბელიანის მიერ ფოქსის მოღვაწეობის შეფასებას, იგი ინგლისელი პოლიტიკოსის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილი ჩანს და ამის გასაღები ფოქსის პოლიტიკურ კურსში ძევს.

იგი ნაპოლეონის წინააღმდეგ უფრო ლიბერალურ მოქმედებათა მომხრე იყო. ფოქსისადმი ალექსანდრე ორბელიანის კეთილგანწყობა ნაპოლეონისადმი დამოკიდებულებამ განსაზღვრა. შესაძლოა ალ. ორბელიანი აიდეალებდა ფოქსს, რაც მნიშვნელოვანწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ლიბერალთა პოლიტიკა ფოქსის მეთაურობით ძალიან კარგად მიესადაგებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს და მას საფუძვლად ნაპოლეონისადმი დიდი სიმპათია ედო. ალ. ორბელიანის მიერ ფოქსის მოღვაწეობის დადებითი შეფასება, ცხადია, სავსებით სწორი იყო, მაგრამ მისი განდიდება არ ღირს, ზედმეტია.

ფოქსისადმი ალ. ორბელიანის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება კიდევ ერთი გარემოების გამო იპყრობს ყურადღებას და საინტერესოა. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, რომ მასში ძალიან კარგად მოჩანს უილიამ პიტისადმი (1759-1806) მისი უარყოფითი დამოკიდებულების ირიბი ანარეკლი. აქ აისახება რეალური ვითარება. საქმე ისაა, რომ უილიამ პიტი გახლდათ საფრანგეთის და ნაპოლეონის დაუძინებელი მტერი და მთელი თავისი პოლიტიკური მოღ-

ვაწეობის მანძილზე თავგამოდებით იბრძოდა მის წინააღმდეგ. ალექსანდრე ორბელიანის ღრმა რწმენით — და ამაში არის რაღაც რაციონალური მარცვალი — ინგლისისა და უილიამ პიტის პოლიტიკა მკვეთრად კონსერვატულ ხასიათს ატარებდა და არ შეესატყვისებოდა იმ ლიბერალურ ღირებულებებს, რომელზეც ალ. ორბელიანი იყო ორიენტირებული. მას ინგლისის და უილიამ პიტის პოლიტიკა პროგრესულად არ ესახება. ამაში ალ. ორბელიანი სავსებით მართალია. ინგლისის პრემიერ-მინისტრის უილიამ პიტის მოღვაწეობის უარყოფით დამოკიდებულებას ალ. ორბელიანის მიერ ნაპოლეონის განდიდება უდევს საფუძვლად. ნაპოლეონისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს მის კეთილგანწყობას ფოქსისადმი და უარყოფით მიდგომას უილიამ პიტის მოღვაწეობისადმი. ამ შეხედულებას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ვგულისხმობ, რომ უილიამ პიტის მთლიანად მიწასთან გასწორება მეტისმეტი ხომ არაა?

ალექსანდრე ორბელიანი შორსაა უილიამ პიტის განდიდებისაგან, რაც, სხვათა შორის, დომინირებს XIX—XX საუკუნეების ინგლისურ ისტორიოგრაფიაში. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი სხვა უკიდურესობაში ვარდება და, ჩვენი აზრით, შეიძლება ამუქებდა საქმის ვითარებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინგლისის გადარჩენის საქმეში, ადმირალ ნელსონთან ერთად, უილიამ პიტის წვლილიც ერია [1.490].

ალექსანდრე ორბელიანის საინტერესო, პოლემისტური ხასიათის წერილში „პლატონ იოსელიანსა“ ყურადღებას იპყრობს ინგლისის პარლამენტის მოხსენიება.

აი, რას წერდა ალექსანდრე ორბელიანი: „რაო რათ ქუხდა, რას იძახდა, რა ანბავი ჰქონდა ჭაბუა დივანბეგსა, იმ კრებაში? – ინგლისის პარლამენტი ხომ არ ჰგონია პლატონს მეფე ირაკლისთან ის თავაზიანი თათბირი?“

აქ საგულისხმო ჩანს ალექსანდრე ორბელიანის დადებითი დამოკიდებულება ინგლისის პარლამენტისადმი. ადვილი შესაძლებელია, რომ ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც უმთავრესად პროგრესულ ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, თანაუგრძნობდა ინგლისის პოლიტიკურ წყობას და სიმპათიით იყო გამსჭვალული ინგლისის პარლამენტისა და კონსტიტუციური მონარქიის მიმართ [2].

ალექსანდრე ორბელიანი სტატიაში „ქართველების ძველი დრო“ ეხება ერთ აქტუალურ საკითხს. თუ სახელმწიფოში არაა წესრიგი, არის თუ არა ამაში დამნაშავე მთავრობა, მეფე.

ამ თემისადმი ალ. ორბელიანის დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანია. მეფე პასუხისმგებელია ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე. ამის საილუსტრაციოდ ის ყურადღებას მიაპყრობს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიას, კერძოდ კი რესტავრაციის ხანის ინგლისს, ჯეიმზ II-ის მმართველობის დროს – 1685-1688 წლებში და 1804 წლის 21 მარტს ნაპოლეონის მიერ ენგიენის ჰერცოგის დახვრეტას.

ორივე შემთხვევაში ის სწორ დასკვნას აკეთებს და არსებულ უწესრიგობაში მთავრობას ადანაშაულებს. „მაკოლეის ისტორია ანბობს რა ანბავი ყოფილა ანგლიაში იაკობ II-ის დრო... ნაპოლეონმა ღერცოგი ენგიენსკი, რომ მოაშთობინა სიმართლე იყო“. აღსანიშნავია, რომ ენგიენის ჰერცოგის დახვრეტას იგი გმობს თავის წერილში „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა“. აქ რამდენიმე გარემოება იპყრობს ყურადღებას. პირველ რიგში კარგად ჩანს, თუ რაოდენ ჩახედული და ინფორმირებული იყო ალექსანდრე ორბელიანი ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. მისი საქმიანობა ზოგადად კი არა, დეტალებში იცის. ცხადია, ეს ძალიან კარგია და ალ. ორბელიანის დიდ პლიუსს წარმოადგენს. მეორე, მიუხედავად ნაპოლეონისადმი კეთილგანწყობისა, ძნელია ალ. ორბელიანი მის ბრმა აპოლოგეტად მივიჩნიოთ. ენგიენის ჰერცოგის დახვრეტისადმი მისი ნეგატიური დამოკიდებულება ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ის აშკარად არ ამართლებს ნაპოლეონის ამ ნაბიჯს. აქ კიდევ ერთი გარემოება ჩანს საგულისხმო. იგი გმობს ხელისუფლების ძალმომრეობას და იცავს პიროვნების ინტერესებს. ეს საინტერესოა და ალექსანდრე ორბელიანს ევროპული აზროვნების დონემდე ამაღლებს. ადამიანზე ძალმომრეობა მან თვით სათაყვანებელ ნაპოლეონსაც კი არ აპატია. აქ, ალბათ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტი იქნებოდა. სხვათა შორის, ალექსანდრე ორბელიანის ჩახედულება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებში კარგად გამოჩნდა 1832 წლის შეთქმულების დროს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი პასუხები დაკითხვის პროცესზე, როდესაც მას თავის დაცვის მიზნით მოჰყავს არგუმენტები დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიიდან, მაგრამ ეს ძალზე ზოგადია და მსჯელობის ფართოდ გაშლის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

...ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ამგვარი სურათი იკვეთება. რა თქმა უნდა, ალექსანდრე ორბელიანის ცალკეული გამონათქვამები მეტად მწირ მასალას გვაწვდის, მაგრამ ეს მცირე ინფორმაცია, ვფიქრობთ, საინტერესოა და მისი წაყრუება, მიჩუმათება, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. მისი მნიშვნელობა ისაა, რომ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის და საშუალებას გვაძლევს ვცადოთ განვსაზღვროთ, თუ როგორი იქნებოდა ამ საკითხებისადმი მისი მიდგომა.

ალექსანდრე ორბელიანის კეთილგანწყობა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ფოქსისადმი და ნეგატიური დამოკიდებულება უილიამ პიტისადმი, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და უწინარესად მისი პროფრანგული ორიენტაციით, პირველ რიგში კი ნაპოლეონისადმი სიმპათიებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ალექსანდრე ორბელიანის მიერ ინგლისის პარლამენტის დადებით კონტექსტში მოხსენიება საგულისხმო ჩანს. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ მას მოსწონდა ინგლისის პოლიტიკური წყობა და თანაუგრძნობდა კონსტიტუციურ მონარქიას. გასაკვირი არაფერია. ის უმთავრესად ევროპულ რეალიებზე იყო ორიენტირებული და ფრანგული განმანათლებლობის ფარვატერს მიუყვებოდა.

ცხადია, სავსებით მართალი იყო ალექსანდრე ორბელიანი, როდესაც ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯაში ნაპოლეონს ადანაშაულებს, თუმცა „მოაშთობინა“ მთლად ზუსტი ფორმულირება არ გახლავთ. იგი დახვრიტეს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის მცირე ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ.

---

1. ჩ. ჯ. ფოქსის და უ. პიტის შესახებ არსებობს მეტად მდიდარი ლიტერატურა. История XX века, под редакции Е. Лависса и А Рамбо т. 2. М. 1938.

2. Р. Гнейст. Историй государственных учреждении Англии. М. 1885. Дж. Грин. История Английского народа т. 4. М., 1892. Дж. Тревельян. Социальная история Англии, обзор шести столетний от Чосера до королевы Викротии. М., 1959.

3. Талеиран Мемуары М., 1959. Наполеон. Избранные произведения. М., 1956. Э. Тарле. Наполеон. М. 1957. А Манфред. Наполеон Бонапарт. М. 1973. ე. ტარლე, ტალეირანი, თბ., 1965, დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, ნაწილი 1. თბ., 1994. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005.

ეკა ბუჯიაშვილი

აი, ასეთი რობერტ სტურუა

რეპეტიცია აქვს და აგვიანებს...

ეს ჩვეულებრივი მოვლენაა მის ცხოვრებაში, რადგან როცა მუშაობს, დრო მისთვის არ არსებობს. ახლაც ისე ჩართულა თავის საქმეში, არც მეტი, არც ნაკლები, გადაავიწყდა, რომ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში უკვე შეკრებილან და ელიან მის გამოჩენას.

ის კი... აგვიანებს.

ის – ჩვენი დროის ერთ-ერთი სახელოვანი რეჟისორი, რომელმაც არაერთი შედევრი აჩუქა არა მხოლოდ ქართველ მაყურებელს და ბევრწილად განსაზღვრა ბოლო ათწლეულების ქართული თეატრალური ხელოვნება.

რობერტ სტურუა რეპეტიციაზეა...

„ჩვენი მწერლობის“ სალონში შეკრებილ საზოგადოებას კი მოუთმენლობა ეტყობა, ბორგავს, ხმაურობს, ღელავს...

აი, ცოტაც, კიდევ ცოტაც და... დარბაზის დამშვიდებას ცდილობს როსტომ ჩხეიძე, დასახმარებლად გურამ ბათიაშვილსაც რომ უხმობს და მთავარი გმირის გამოჩენამდე ახლა ის ცდილობს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას.

ბატონი რობერტი მოგვიანებით შემოგვიერთდება, მანამდე კი არაერთი საინტერესო რამ ითქმება მის შესახებ და რაკი ეს ყველაფერი შემცირებისა და ფრაგმენტებად დაშლისთვის დაგვენანა, ამ შეხვედრის ამსახველ მასალას ორ ნაწილად ვყოფთ: რას ამბობდნენ რობერტ სტურუას შესახებ და როგორი იყო დიდი რეჟისორის პასუხები სალონში შეკრებილთა კითხვებზე.

მაშ ასე:

რეჟისორის მოლოდინში

– იყო ასეთი დროც – ვიდრე ფილმი დაიწყებოდა, ორკესტრი უკრავდა კინოდარბაზში, მღეროდა ერთი მოდიდან გასული მომღერალი რომელიმე მოსაწყენ სიმღერას და ასე ცდილობდა მაყურებელთა გართობას დარბაზის შეკრებამდე. აი, ეს ფუნქცია მაკისრია ახლა, თორემ მე რომ რობერტ სტურუა არ ვარ, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდებაო, – ამბობს **გურამ ბათიაშვილი** და საუბარს რეჟისორის შესახებ ერთი ამბის გახსენებით იწყებს:

* * *

აშშ-ში, შექსპირული დრამატურგიის ფესტივალზე მარჯანიშვილის თეატრიც მონაწილეობს. მეც იქ ვარ, როგორც თეატრალური ჟურნალის რედაქტორი. ერთ საღამოს მომიახლოვდა ახალგაზრდა ქალბატონი და მეკითხება:

– თქვენ საქართველოდან ბრძანდებით? გია ყანჩელი თუ გაგიგიათ?

– ცხადია, – ვპასუხობ, – ვიცნობ კიდეც. ჩემი პიესა რომ დაიდგა (რუსთაველის თეატრში) მუსიკის ავტორი გია ყანჩელი იყო-მეთქი.

ის აღელვებული უხმობს ვიღაცას და ეუბნება:

– იცით, ეს ბატონი გია ყანჩელს იცნობს...

და მე ვგრძნობ, როგორ ვმაღლდები მათ თვალში. ცოტა ხანში ისევ მეკითხება:

– სტურუას? – თან ვგრძნობ, რომ ამის იმედი აღარ აქვს, – რობერტ სტურუასაც ხომ არ იცნობთ?

– სტურუა ჩემი მეგობარია-მეთქი, – ვეუბნები.

ის კი გაოცებული მიყურებს და მთხოვს...

ვუამბო იმაზე, თუ როგორია რობერტ სტურუა.

* * *

მაშინ ქიაჩელზე ცხოვრობდა.

ჩვეულებრივი ადამიანი იყო – ერთი თეატრის ერთ-ერთი რეჟისორი.

ფეხით დადიოდა, ჯერ უცნობი სახელი და გვარი ჰქონდა და არ მახსოვს უწიგნებოდ მენახა, – თხრობას აგრძელებს ბატონი გურამი.

მოგვიანებით, სწორედ ასეთს, იღლიაში წიგნებამოჩრილს გაიხსენებს რობერტ სტურუას **ნანა დემეტრაშვილი:**

– ის მაღაზიაში თავისი სტიპენდიით ყიდულობდა ახალ-ახალ გამოცემებს. მე მაშინ ქირით ვცხოვრობდი, „პური არსობისაც“ საფიქრალი მქონდა, ამიტომ წიგნის შეძენას ვერ ვახერხებდი. ვუყურებდი მაღაზიიდან მომავალ რობერტს, კეთილი შურით მშურდა მისი და ფიქრით ვათვალიერებდი მის მდიდარ ბიბლიოთეკას.

გავიდა წლები და სწორედ რობერტ სტურუას ვუმადლი იმას, რომ მერე, როცა უკვე აღარც ქირით ვცხოვრობდი და აღარც საინტერესო გამოცემების ყიდვა აღარ მიჭირდა, ვიჯექი და ვკითხულობდი წიგნებს, იმ წიგნებს, რომელთაც კეთილი შურით შევცქეროდი წლების წინათ, – იტყვის ქალბატონი ნანა, მაგრამ ეს იქნება ცოტა მოგვიანებით, ჯერ კი... ბატონი გურამი დგას ავანსცენაზე და ასე აგრძელებს საუბარს:

– საერთოდ, ქართულ თეატრალურ სამყაროში ორი ძალზე კარგი მკითხველი მეგულება. პირველი რობერტ სტურუაა – ის კითხულობს ყველაფერს განურჩევლად,

* ნაწილი პირველი

გულდასმით და ინტერესით – გვერდს ვერ ნახავთ, მის მიერ რამე არ იყოს ჩანიშნული. არადა, გასაოცარია პირდაპირ, ის არის კაცი, რომელიც თეატრიდან არ გამოდის – რეპეტიცია დილით, შუადღით, საღამოს... გათენებამდისაც მუშაობს... და ვერ გეტყვით როდის ასწრებს კითხვას.

მეორე ასეთი მკითხველი კი გიგა ლორთქიფანიძეაო, – ამბობს და იხსენებს რობერტ სტურუას იმ სპექტაკლებს, დიდი ხმაური რომ მოჰყვა, მათ შორის „ყვარყვარეს“, რომლის შესახებაც გურამ ბათიაშვილმა, თავის დროზე, შესანიშნავი დიალოგი გამოაქვეყნა სპექტაკლის რეჟისორთან და ამ საუბარში აიხსნა, თუ რა საჭირო იყო ამ თხემით ტერფამდე ძალიან ქართული ნაწარმოების ასეთი განზოგადება.

გავიდა დრო, რომელსაც სპექტაკლმა გაუძლო და ბევრ კითხვას თავად გასცა პასუხი.

იმ დიალოგს კი... დღესაც ხშირად იმოწმებენ რობერტ სტურუას შემოქმედების მიმოხილვისას.

* * *

– ისრაელში ცნობილია კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის სახელი. წლების წინათ ის საქართველოდან წავიდა, მუშაობდა პროდუქტების მაღაზიაში და მოკრძალებულად, უსახელოდ ცხოვრობდა. და აი, ჩადის ისრაელში სპექტაკლის დასადგმელად რობერტ სტურუა. მას და იოსებ ბარდანაშვილს თბილისშიც მოუწიათ ერთად მუშაობა შვარცის „დრაკონზე“, ამიტომ იქაც მოძებნა და დადგეს სპექტაკლი, რომელმაც არაჩვეულებრივი წარმატება ჰპოვა მაყურებლებში. რობერტ სტურუა თბილისში ბრუნდება, იოსებ ბარდანაშვილი კი არავინ იცის, ჰგონიათ საქართველოდან ჩაჰყვა რეჟისორს და ისევ მასთან ერთად დაბრუნდა სამშობლოში. უეცრად, ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი მაღაზიაში შენიშნავს, იცნობს და გამოაქვეყნებს სტატიას – თუ როგორ ცხოვრობს მათ გვერდით ძალზე ნიჭიერი კომპოზიტორი.

ასე იწყება მისი აღმავლობის გზა და დღეს მისი სახელი უკვე კარგად იციან ისრაელის თეატრალურ სამყაროში.

თვითონ რობერტ სტურუას კი სახელი და ჯილდოები არასოდეს აკლდა.

აი, თუნდაც სულ ახლახან ტოვსტონოგოვის პრემიაც მიიღო, მაგრამ სულ სხვაა, როცა ეს ყველაფერი ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება – ამ რამდენიმე ხნის წინათ, რეჟისორს, ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის საგურამოს პრემია მიანიჭეს.

ეს ჯილდო, საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორის **ანდრო ბედუკაძის** თქმით, წელს მეშვიდედ გაიცა. მისი ლაურეატები არიან: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, ანზორ ერქომაიშვილი, ოთარ ჩხეიძე, ანა კალანდაძე, ბიძინა კვერნაძე, თამაზ ჩხენკელი.

– ზოგჯერ ასეც ხდება, – აღნიშნავს ბატონი ანდრო, – დაწესებულ პრემიას სახელები სჭირდება პრესტიჟის მოპოვებისა და დამკვიდრებისათვის, აქ კი ის შემთხვევაა, როცა პრემია და ლაურეატები ერთმანეთს ავსებენ და განადიდებენ, ერთ მნიშვნელოვან მთლიანობას ქმნიან. აი, ასეთი რამ მოხდა წელსაც, როცა ეს ჯილდო ბატონ რობერტს მიეკუთვნა.

მაშინ ის საქართველოში არ იმყოფებოდა და არ ჰქონდა საშუალება, ნობელის პრემიის ლაურეატების მსგავსად, სეფე-სიტყვა წარმოეთქვა, მხოლოდ მადლიერების გამოხატვას კი არა, შემოქმედებითი კრედოს ჩამოყალიბებასაც რომ გულისხმობს და შეკრებილებიც, როცა შეხვდებიან, უწინარესად სწორედ ამ სიტყვის წარმოთქმას სთხოვენ რეჟისორს, ოღონდ ჯერჯერობით ის ისევ არ ჩანს და საუბარი მის შესახებ ასე გრძელდება:

* * *

– ქართულ თეატრალურ სამყაროში რობერტ სტურუას სახელი უკავშირდება სპექტაკლებს: „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ მესამე“, „სეილემის პროცესი“, „მეფე ლირი“... და რატომღაც დაიჩრდილა „ას ერგასის დღე“, ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი და ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება იმ მასალის საფუძველზე დაიდგას სპექტაკლი, – ამბობს **როსტომ ჩხეიძე**, – მას საფუძვლად უდევს მიხეილ კვესელავას თავისთავად შესანიშნავი წიგნი ნიურნბერგის პროცესის შესახებ, დოკუმენტური წყაროებით სავსე, თუ როგორ მოხდა ფაშიზმის გასამართლება. სულ სხვა ყაიდის წიგნია. მის მიხედვით ყველაფერზე შეიძლება იფიქრო, გარდა სპექტაკლის დადგმისა, რადგან აბსოლუტურად არადრამატურგიულია და, თუ მაინც გარისკავ, ალბათ ისიც უნდა იცოდე, რომ განწირული იქნება მარცხისთვის, მაგრამ... აი, ხელს კიდებს რობერტ სტურუა და... შესანიშნავ შედეგს იღებს. რატომღაც ეს სპექტაკლი დაუმსახურებლად მიივიწყეს, მე კი ის ერთ-ერთი საუკეთესო მგონია რობერტ სტურუას შემოქმედებაშიო.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ როცა თეატრალური ხელოვნების ასეთმა დიდოსტატმა გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ დადგმა, საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდებოდა შედეგს და ხმაურიც ატყდა რობერტ სტურუას ინტერვიუს გამო, ერთ-ერთ გაზეთში რომ გამოქვეყნდა. სწორედ ამ აურზაურს გაიხსენებს შეკრებაზე **იოსებ ჭუმბურიძე** და იტყვის:

– ჩემი აზრით, მაშინ სწორად ვერ გაუგეს ბატონ რობერტს. ვფიქრობ, მას ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა: ჰყოლოდა პერსონაჟი, რომელიც მთელი სპექტაკლის მანძილზე სცენიდან გააკრიტიკებდა „ვეფხისტყაოსანს“, მაყურებელთან ერთად გაჰყვებოდა ტექსტს და თანდათანობით შეუყვარდებოდა ნაწარმოები. მორალი კი, სპექტაკლისა, იქნებოდა ის, რომ ჩვენ მხოლოდ ვსაუბრობთ „ვეფხისტყაოსანზე“ და არ ვკითხულობთ, არ ვიცით, ვერ ჩავწვდით მის სიღრმეებს.

რობერტ სტურუას ჰყავს ოპონენტები, რომლებიც ამბობენ, რომ ის ძალიან ნიჭიერია, მაგრამ მსოფლიო მოქალაქეობისკენ მიისწრაფის და ეროვნული არ არის, მაგრამ... ჩემი აზრით, მან ყველაზე მძიმე წლებში დაამტკიცა თავისი ერთგულება ეროვნული ღირებულებებისადმი“.

მანანა გაბაშვილი გაიხსენებს, რა ლიტერატურას კითხულობდა რობერტ სტურუა „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ ამ ნაწარმოებზე მუშაობისას: ბევრი რუსთველოლოგიც ვერ დაიკვეხნის ასეთ ცოდნასო...

...მაგრამ სპექტაკლი არ დაიდგა.

თუ რატომ, ამაზე ბატონი რობერტი თავად გვეტყვის და ვრცელი და საინტერესო საუბრითაც გაგვანებივრებს შეკრებილებს.

* * *

მაკა ჯოხაძე ასე მიმართავს რობერტ სტურუას:

„ადამიანები ხანმოკლე დღესასწაულებს ვაწყობთ. ვბრუნავთ, ვტრიალებთ თარიღების გარშემო, როგორც ხელჩაკიდებული ბავშვობის წრეში. წლიდან წლამდე ლოკალური, ოჯახური, ნათესაური თუ მეგობრული გუნდებით ერთმანეთს ვეხლებით (ვეახლებით), ვუბრუნებთ, ვუნათებთ ასაკს, წარმატებებს, მნიშვნელოვან დღეებსა თუ აღმოჩენებს. პატარებივით ვაფერადებთ შავ-თეთრი კონტურებით შემოსაზღვრულ ტერიტორიებს, პირადად ჩვენთვის, თითოეული ჩვენთაგანისათვის მკაცრად მონიშნული დროისა თუ სივრცის ფრაგმენტებს. და ასე თანდათან, ასე ნელ-ნელა შევდივართ ხანში. სიბერის ჟამს კი ვიგონებთ ერთადყოფნის იმ განცდას, იმ საყოველთაო დღესასწაულებს, რომელსაც ძირითადად ხელოვნება იმეტებს ჩვენთვის. დღესასწაულებს, რომელსაც გვჩუქნიან პოეტები, პროზაიკოსები, მხატვრები, რეჟისორები.

ჩვენ ყველას გვახსოვს გლობალური დღესასწაული — „კავკასიური ცარცის წრე“, რომელიც რობერტ სტურუამ ჯერ საქართველოს, მერე მთელს თეატრალურ სამყაროს მოუწყო. მაგრამ სანამ რუსთაველის თეატრი მსოფლიოს მოივლიდა და ტრიუმფატორი დაუბრუნდებოდა სამშობლოს, მანამდე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა უშუალოდ რობერტ სტურუას თეატრისადმი. ამბობდნენ, რომ ის დიდი ტალანტია, გამორჩეული რეჟისორია, მაგრამ ეროვნული რეჟისორი არ არისო, მისი სპექტაკლები პოლიტიკური სპექტაკლებიაო, კოსმოპოლიტიაო, და ა.შ. და ა.შ.

მე ახლა წლების წინანდელი პრესიდან ჩემი წერილის ამონარიდი მინდა წაგიკითხოთ, რადგან, ვფიქრობ, რომ როგორც აუდიტორიისთვის, ისე პირადად თქვენთვის, ბატონო რობერტ, საინტერესო იქნება თუ რას ფიქრობდა მაშინდელი ახალგაზრდობა ამ საკითხის შესახებ:

„თეატრის სცენაზე შესიებული, მოქუფრული ღრუბელივით ისევ ფორიაქობს, ისევ ცოცხლობს და ისევ წინ მიიწევს საქართველო... „ცარცის წრიდან“ „მეფე ლირამდე“ მხოლოდ ერთი რეჟისორის კი არა, ანდა ერთი თეატრის, არამედ, საერთოდ, ჩვენი საუკუნის ქართული ცნობიერებისა და ყოფიერების დიალექტური პროცესია გადმოცემული. ამ გზის თავსა და ბოლოში ორი უზარმაზარი, ორი ტოლფასი განცდა, ორი მოშუღლე მტერი დგას — ოპტიმიზმი და პესიმიზმი, სიკეთის გამარჯვება და...

მიუხედავად იმისა, რომ ერთის ავტორი ბრეხტია, მეორისა კი — შექსპირი, ეს მაინც ეროვნული, ქართული თეატრია. რადგან ჩვენი ეროვნული ცნობიერება სწორედ ამ მასშტაბების მოვლენებზე გადის; რადგან თუ პირველ შემთხვევაში ჯერ ისევ ხელშეუხებელი, ეჭვმიუტანელია დედაშვილობის ინსტინქტები (ამის ხორცშესხმულ ხატად გრუშე ვაჩნაძე გვევლინება. სწორედ ამ შეურყვნელი ინსტინქტის წყალობით ზეიმობს არა მარტო დედაშვილობა, არამედ საერთოდ სამართალი ამ სპექტაკლში), მეორე შემთხვევაში კი, ჭკუიდან გადამცდარი მეფის წყალობით შეშლილობისა და გონიერების ზღვარაღრეული, აპოკალიფსური ცნობიერებით შეპყრობილი მეოცე საუკუნე დაგვანახა ქართველმა რეჟისორმა; სამყარო, რომელშიც მთელი საუკუნის ე.წ. „პროგრესირებული დეგრადაციაა“ წარმოჩენილი. ჩვენ, ქართველები, ამ პროცესში ჩვენი ვნებებით, ემოციებით, უგონობით თუ გონიერებით, ჩვენი ცოდო-ბრალით ვმონანილეობთ...

ამიტომაა, რომ მაყურებელი ორივე სპექტაკლში სულგანაბული უყურებს არა მხოლოდ აზდაკისა და ლირის მიერ გამოტანილ განაჩენს, არამედ თანამედროვე ხელოვანის მიერ გამოტანილ განაჩენსაც თავისი ეპოქის, თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს მიმართ, და ეს იმიტომ, რომ ეროვნული თეატრი ქართველი ხალხისათვის დღესაც რჩება კათარზისის, თავისუფლების სიმბოლოდ. რადგან იმ ავადმყოფისა და პატიმარისა არ იყოს, ქართველ მაყურებელს მედიცინასა და სამართალთან ერთად თეატრიც ნამდვილ ქომაგად უნდა რომ ეგულებოდეს სულიერი ჭრილობების მოსაშუშებლად, ენერგიის გასაძლიერებლად, იმედის მომცემად, და დგას ქალაქში გასული თეატრი, თავისუფლების პაწია მაკეტი...“

ძირითადად პროზაზე ვმუშაობ, მაგრამ იყო ჩემს ცხოვრებაში პერიოდები, როცა სათქმელი სწორედ პიესის ფორმას ითხოვდა. სამი პიესა მაქვს სულ დაწერილი. მათ შორის ბოლო — „სასოწარკვეთილთა თეატრი“ — 1996 წელსაა შექმნილი. ამ პიესას მიძღვნა ეწერა, მაგრამ მერე რიდის გამო მოვხსენი. პირველად სწორედ ახლა ვამბობ, რომ ეს პიესა რობერტ სტურუას ეძღვნებოდა. მთავარი მოქმედი გმირი რეჟისორია, ჩემი თვალსაწიერიდან დანახული ბ-ნი რობერტი.

როცა „საკანში“ გამოჩნდით, საგანგებოდ გიყურეთ, დადარაჯებულიც კი ვიყავი და გამიხარდა, რომ არ უმტყუნია ჩემთვის გუმანს წლებისწინანდელი შეფასებისას. საქართველოში დიდი პიროვნებების და ხელოვანების დეფიციტი არასოდეს ყოფილა, მაგრამ როცა ეს ორი რამ ერთმანეთს ემთხვევა, ნამდვილი ბედნიერებაა. ჩემთვის სიმბოლურია ისიც, რომ რობერტ სტურუა თეატრიდან არ გამოდის და ციხესიმაგრესავით იცავს მას. თითქოს ფიზიკურადაც უფრთხილდება იმას, რაც არ შეიძლება წარმავალი იყოს, დროებითი იყოს. შემოქმედებითმა ენერგიამ, შემოქმედებითმა წარმოსახვამ მარადიულად უნდა იარსებოს. გაამდიდროს და გააფერადოს სამყარო, მარადიულად უნდა დაუპირისპირდეს რეალობას თავისი დღესასწაულებით“.

ლია სტურუა კი აღნიშნავს, რომ ბატონმა რობერტმა ისე მაღლა ასწია თეატრალური ხელოვნების თამასა, ძალზე კრიტიკულ მაყურებლად აქცია და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისას იშვიათად თუ აღაფრთოვანებს უცხოელი რეჟისორების ნამუშევრები, თვით ინგლისის სცენაზე გაცოცხლებული შექსპირიც კი... და ამიტომაც **ლევან ქურციკაშვილი,** საღამოს დასასრულს, თავის წიგნს – „შექსპირი და მედიცინა“ – რომ გადასცემს საჩუქრად რეჟისორს, ასე წააწერს: „შექსპირი რომ ცოცხალი ყოფილიყო, თავისი პიესების ვირტუოზ რეჟისორად რობერტ სტურუას დაასახელებდა“.

ქალბატონი ლია კი თავის დამოკიდებულებას ამგვარად ახსნის:

– ყველა დადგმას რობერტ სტურუას სპექტაკლებს ვადარებ. ამ ბოლო ხანს მისი „კაცია-ადამიანი“ მომეწონა. საერთოდ დიდი გულჩვილობა არ მახასიათებს, მაგრამ აი, რეფრენივით რომ გასდევს სპექტაკლს ჟანრი ლოლაშვილის ამოგმინვა – ალაზანოოო!.. – ცრემლი მომდის. დარე-

ჯანის სახე კი ისეთია, პირდაპირ საოცრებაა! ცვეტაევას აქვს ლექსი „ჩემი პუშკინი“. ასე ჰყავს თითოეულ ჩვენგანს თავისი ილია და რუსთაველი, ამიტომ ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, უბრალოდ წაგიკითხავთ ლექსს „გოდოს მოლოდინი“, რომელიც რობერტ სტურუას მივუძღვენიო, – იტყვის და, სულ ცოტა ხნით, თავისი პოეზიის სამყაროში გადაგვიყვანს, მაგრამ ესეც მერე იქნება...

ჯერ კი ბატონი რობერტი გზაშია, აგვიანებს. **როსტომ ჩხეიძე** კი „მეფე ლირს“ იხსენებს:

– ხომ გახსოვთ, იწყება სპექტაკლი, მაყურებელი მოუთმენლად ელის, როდის გამოვა სცენაზე მეფე ლირი, ის კი... არა და არ ჩანს... როდის-როდის აუსრულდებათ წადილი. რაღაც ასეთი გათამაშდა დღესაცო, – ამბობს და დარბაზს კარისკენ მიანიშნებს.

„ჩვენი მწერლობის“ სალონში რობერტ სტურუა შემოდის.

აი, ის რობერტ სტურუა, ბევრწილად რომ განსაზღვრა ჩვენი დროის ქართული თეატრალური ხელოვნება; ძალიან მაღლა რომ ასწია გემოვნებისა და ოსტატობის თამასა; არაერთი სპექტაკლი რომ აჩუქა სხვადასხვა ქვეყნის სცენებს; საქართველოს სახელი საერთაშორისო ასპარეზზე რომ გაიტანა, მსოფლიო მოქალაქეობისკენ რომ მიილტვის, მაგრამ ამავე დროს ძალიან კარგად იცის ეროვნული ღირებულებების ფასი და არაერთხელ დაუდასტურა თავის ხალხს, რომ ჭეშმარიტი ფასეულობების ერთგული დარჩა...

და ამიტომ...

და კიდევ ბევრი რამის გამო მას ფეხზე დაუდგება შეკრებილი საზოგადოება.

სად დასვას წერტილი...

ზვიად კვარაცხელიას ახალი ნოველის გამო

ზვიად კვარაცხელიას სახელი უკვე კარგად მოეხსენება თანამედროვე პროზის იმ შემფასებლებს, რომლებიც დღეს ქართულ მწერლობაში, როგორც იტყვიან, ამინდს ქმნიან.

მან უკვე მშვენიერი დებიუტით დაიმკვიდრა მისთვის განკუთვნილი ადგილი და, როგორც ვხედავ, წინსვლას განაგრძობს. როგორც ჩანს, სურს პროზის „სხვადასხვა სახეობაში“ მოსინჯოს ძალები და სითამამე რომელიც მას საზოგადოდ ახასიათებს, როგორც შემოქმედს, საინტერესოა და ხშირ შემთხვევაში გამართლებულიც, რადგან ზომიერების გრძნობა არ ღალატობს და ამავე დროს მაძიებელი, კირკიტა შემოქმედია.

როგორც ირკვევა, მხატვრულ-დოკუმენტური პროზისკენ იხრება ყველაზე მეტად და ეხერხება კიდევაც ამ ჟანრში მუშაობა. მისი „ილია სამეგრელოში“ ამ თვალსაზრისის ხელშესახები, შთამბეჭდავი დადასტურებაა.

ამის დასტურია ის ახალი ტექსტიც (რომ არაფერი ვთქვათ მის სხვა ნაწარმოებებზე), რომელიც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-10 ნომერში დაიბეჭდა და რომელმაც არც ამჯერად გამაწბილა.

„ბებოს წმინდა წერილი“ სათაური თავისთავად ტევადია, სიმბოლური. დედაშვილობის მადლზე გვაფიქრებს და თან, ამავე დროს, საზოგადოდ, ადამიანის, ქალის დანიშნულებაზეც ამქვეყნად, იმაზე, თუ რა უნდა იყოს მთავარი ორიენტირი ცხოვრებაში.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ზვიად კვარაცხელიას ყოველი ახალი მხატვრული ტექსტი გამოირჩევა კიდევ ერთი ნიშნით — სიტყვასთან განსაკუთრებული დამოკიდებულებით. მისი სიტყვები, რომლებიც მხატვრულ ქსოვილს ქმნიან, ცოცხალია და არა მკვდრად შობილნი. ამ ახალგაზრდა კაცს სიტყვის ისეთივე განცდა აქვს, როგორც ნამდვილ შეყვარებულს საყვარელი ადამიანის მიმართ. ამ მხრივ, ეტყობა, განგებამ დააჯილდოვა და ამიტომაც ის ერთგვარი შიში თუ სიფრთხილე, რომლითაც მის ყოველ ახალ ნაწარმოებს ვეცნობი, ტექსტის დასრულებისთანავე ქრება და მის ადგილს იკავებს სხვა განცდა — იმედი. ახლაც ასე მოხდა. არც ამჯერად მიუტყუებია რაღაც გამოგონილი ფოკუსებითა და ჟონგლიორობით მკითხველი თავისთან, როგორც ეს მისი თაობის — და არა მხოლოდ მისი თაობის — ბევრ მწერალს ახასიათებს.

ის არ არის ყალბი და ხელოვნური. არ ერიდება ექსპერიმენტს და უკვე ნაცადი გზით სიარულსაც ბედავს. ავიღოთ თუნდაც — „ბებოს წმინდა წერილი“ — ეს სტილი უკვე გაცვეთილია, საკმარისია სულ ცოტათი გადაჭარბებული სენტიმენტალიზმი და მორჩა, ყველაფერი დაკარგულია, ვინღა გააგრძელებს კითხვას?! მაგრამ მან იცის, სად უნდა დასვას წერტილი. ემოციური მუხტიც, რომელიც ამ ტექსტიდან მოდის, ბეწვის ხიდს გადის და ზღვარზე ჩერდება...

ის, რომ სიტყვის გრძნობა აქვს, მის მეტაფორულ აზროვნებაშიც მჟღავნდება. დაუსრულებლად ეძებს ახალ მეტაფორებს, რათა მკითხველს შეახსენოს ქართული სიტყვის დაულეველი შესაძლებლობანი და თვითონაც გამოსცადოს თავი მხატვრული სიტყვასთან ურთიერთობისას. ეს, ვფიქრობ, მისი, როგორც მწერლის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი თვისებაა. ამავე დროს ნიჭიერების დასტურიც.

ეს არის ის შთაბეჭდილება, რაც მინდოდა ორიოდე სიტყვით გამომეხატა ზვიად კვარაცხელიას პროზაული ტექსტების გამო... იმედია, იგი არც მომავალში გააწბილებს მისი შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველებს.

ნინო ჩხიკვიშვილი

ნანა კუცია

„სევდის ფარვანებით შებურვილი“

მარიამ წიკლაურის „მეფარნე“

მარიამ წიკლაურის უნატიფესი, ბიბლიური პარადიგმებითა და სიუჟეტებით განათებული ლექსების კრებულმა ***(„მეფარნე“)*** გურამ დოჩანაშვილის სიტყვები მომაგონა: „ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა. მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადი სიბრძნეები და გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდოს მკითხველს“.

ქართული მწერლობის უმკვიდრესმა ლიბომ — ჰაგიოგრაფიამ — თავისი უსაზმნო სიღრმით, „საღმრთოდ გასაგონის“ გზნებით იმთავითვე განსაზღვრა მხატვრული სიტყვის გეზი — აერეკლა სიტყვა-ლოგოსი, მეტაფორა-პარადიგმებს დაემარხა „უცნაური და უთქმელი“ — შეუცნობელ-გამოუთქმელი.

სიტყვა უნდა მიმსგავსებოდა ლოცვას — სიტყვათაგან ყველაზე მაღალს, განწმენდილს.

მწერლობის „განწვალვა“ „სასულიეროდ“ და „საეროდ“ ლიტერატურული პირობითობაა, ქრესტომათიული კლიშე, მაგრამ მაინც არსებობს ერთგვარი სამანი, უზენაესობის ნიშატით რომ გამოარჩევს სასულიერო სიტყვას: „ქრისტიანთა სულებისათვის განმზადებულ ტაბლაზე ***სამეუფო საზრდელს*** ღვთაებრივი სიტყვა ანუ სასულიერო მწერლობა წარმოადგენდა. უგულებელყოფილი და დაუფასებელი არასოდეს ყოფილა საერო მწერლობაც. მას ბასილი დიდი წყალში არეკლილ მზეს ადარებს, რომელსაც თვალი უნდა შევაჩვიოთ, რათა შემდეგ ნამდვილი მზის ჭვრეტა შევძლოთ“ ***(გვანცა კოპლატაძე, გრიგოლ რუხაძე, ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება)***.

„სამეუფო საზრდელი“ — იაკობ ცურტაველის, იოვანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, ათონელთა, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ჰიმნოგრაფთა დასის — ღვთიური სიტყვა (სახარების ეროვნულ ტრანსკრიფციასთან — „ვეფხისტყაოსანთან“ (გ. ასათიანი) ერთად) საუკუნეთა მანძილზე რჩებოდა სულის პურად, ციურ მანანად, საღმრთო გეზის იდუმალ მიმნიშნებლად.

ქართული მწერლობის უკეთესი ნიმუშები სწორედ „სამეუფო საზრდელის“ მადლს, სურნელს იმარხავს.

„წინ, მერჩულისაკენ!“ — კონსტანტინე გამსახურდიასეული, ფორმულად ჩამოწურული გეზი მწერლობისა უზუსტესად ირეკლავს ღირსეულთა დამოკიდებულებას ქართული მხატვრული სიტყვის თავანკარა ენგადისადმი.

მარიამ წიკლაურის ლექსები ამ თავანკარა ენგადიდან მოედინება, ბინულიდან, სადაც „სიტყუაი ჰეი ჰეა და არაი — არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს“ (მათე 5, 37).

ლექსთა ცრემლოვანი მარგალიტების თვალთაიში ყოველი ტექსტი მეტატექსტია, ზედაპირს მიღმა სიღრმეს რომ აღგითქვამს და არ გაწბილებს (კითხვისას არ გტოვებს განცდა, თითქოს მარგალიტის გრილ, ლიცლიცა, გლუვ კრიალოსანს მარცვლავდე და ლოცულობდე, ხელისგული ცრემლით — სულიწმიდის მადლით გენამებოდეს).

წიგნი უსარჩევოა და ეს სწორია — არჩევანი (ლექსისაც კი!) იმთავითვე გაიძულებს ჩხრეკას.

არც ფსალმუნსა აქვს ზანდუკი — ყოველი საგალობელი თვითკმარია, ცვარში სამყაროს ამრეკლავი.

მხოლოდ სათაურები — მხმობი, ყუჩად მომლოდინე: „დამიმახსოვრე“ (არაფრით რომ ჰგავს ლედი კაროლინა ლემის პრეტენზიულ-კაპრიზულ “Remember Me”-ს), „შროშანების მონასტერში“, „ჯუჯახე“, „ლექსის ნაჭრელა“, „ვიყო ყვავილი ველისა“, „ვითარცა ირემს“, „სინათლის ყვავილი“, „ვინ არის უფლის მესაიდუმლე?!“, „წვიმის ბატონები“, „მარადისობა წამს მემართლება“, „მზისფერი ქვიშა“, „მესევდე“, „მოვა საღამო“, „ჩიტის ბუდეში“...

თავისსავ ლექსებს ჰგავს მარიამ წიკლაურიც — ფოთოლივით, ბუმბულივით, ცრემლივით ქალი, პაწია კრებულს ცისნამივით რომ ჩამოგაწვეთებს, თითქოს სულის პურს შეგიზიარაო, ჩურჩულით გეტყვის — „ეს თქვენ“ — და ისე სწრაფად გაგეცლება, ნიავქარივით, მადლობის თქმასაც ვერ მოასწრებ, ბედნიერი და დაბნეული, რომ „ფრთათა საგრილთა“ სიგრილის ღირსგყო.

(უნებლიეთ წამოგაგონდება მარინა ცვეტაევასეული: «Давать нужно было бы на коленях, как нищие просят»).

საარაგვე პოეზიის ერთი ნაშალია მარიამ წიკლაურის ლექსები — პეპლის ფრთებივით, ყაყაჩოს ნაფერთალივით მსუბუქი, ცრემლივით მძიმე.

მთის საქართველოს მადლი ჩამოჰყოლია, ბალახივით უბრალოსი (ბრალის არმქონესი), ბალახივით მზისაკენ გაწოდებულისა.

მთის ნაშალით ცასთან ახლოს ქვითკირის კოშკებს იგებდნენ, სატრფოს ნაკვალევს სიყვარულის ღობეს ავლებდნენ მზექალ-აშექალ-პირიმზენი.

მთა ინახავდა დავიწყებულ, წანისლულ მისტერიას ერთსულერთხორცობისას, ცრემლი რომ პურად იქციო და უფლის ტაბლად გაშლილ საქართველოში გახსოვდეს: „რა ვქნისა“ ციხე ავაგე, ჯავრი შევაბი კარადა. საიქიოდან მოიდენ იმ ციხის სანახავადა. ბევრი უარეს ციხესა, კარ ვერ გატეხეს ძალადა, მერმე თქვეს, დრო რომ მოალის, კარ გაიღების თავადა.“

კარი ჯავრისა იღებოდა ჟამით-ჟამ: ფშავით — ვაჟა-ფშაველათი, ხევით — სანდრო ყაზბეგით, გუდამაყრით — გოდერძი ჩოხელით, თუშეთით — ეთერ თათარაიძით...

მზექალ-აშექალ-პირიმზეთა მემკვიდრე თუა მარიამ წიკლაური.

ციურ ნამად მჭვირვალებს მისი უჩვეულო პოეტური საბრძანისი, სულშესაფარი, „უცხო ნაპირი.“ მისი „სიტყუანი სულისანი“ არაგვითაა განწმენდილ-განსპეტაკებული. სიპი ქვისაა ნაშალი, „ნისლად მოვიდეთ საარაგვოზე“ („საარაგვოზე“) კი — პოეტის (თუ პოეტურ) ოცნებათაგან აღმატებული.

„აქა არს ქვა, რომელ აიყრების კლდისაგან ფიქალ-ფიქალად. სხდის მას ქვასა, ვითარცა ოქრო და ვერცხლი, ნარევი, მბრჭყვინავი ფრიად“, — იტყვის მემატიანე.

კლდის ანასხლეტია, ნისლის ფთილაა, არაგვის ზვირთის ანაშხეფია მარიამ წიკლაურის მუხლადი სიტყვაც, ოქროვერცხლიანი, ართქმულის მთქმელი.

კლდის ანასხლეტში, ნისლის ფთილაში, ზვირთთა ანაშხეფში ერთს ავირჩევთ, ცვარივით რომ ირეკლავს კრებულის მზიურ სათქმელს და თავად ავტორსაც მთელი წიგნის სათაურად აურჩევია — **„მეფარნეს.“**

ლექსზე ნაფიქრი არ იქნება არც „ანალიზი“, არც „კვლევა“ — „სულის ანატომირება“, როგორც დოსტოევსკი იტყოდა დაცინვითა და წუხილით (ერთდროულად), რომ „ღვთაებრივი ცრემლის წვეთები წუმპეში არ გადაგვეწუროს“ (ანა კალანდაძე).

მხოლოდ — მადლიერება სულის პურისთვის, „ფრთეთა საგრილისთვის“, შუქისთვის.

სულის ფარნის იმ ყუჩი სინათლისათვის, ლექსიდან რომ გეღვრება და, მიმოდაზრუნვით დაღალულს, გესალბუნება, გეიმედება.

მარიამ წიკლაურის ლექსთა კრებულის მხატვარი ნანიკო ბურდულია, დიზაინერი — ბაჩო გაგუა.

ღვთისმშობლის კვართივით მეწამული, შავნარევპორფირისფერი სასთუმლის წიგნის მარცხენა (გულისკენა!) კუთხეში ყუჩად ლიცლიცებს დაყურსული შუქი ფარნისა *[„ბაღის ფარნისა — ორიბესი“, — იტყოდა იასუნარი კავაბატა, **„ათასფრთიანი წერო“**].*

ეს მცხრალი, მოკრძალებული ნათელი არაფრითა ჰგავს „დღის უტიფარ ნათებას“ (ნოვალისი). იმ „უმიზეზო ნაღველს“ აღვიძებს, „არსაიდან რომ არაფრითაა ნაკარნახევი“, მაგრამ შუქად იღვრება სულის მღვიმეებიდან, რადგან „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“...

ანჩისხატიდან ორბელიანთა ბაღისკენ რომ ამოუხვევ, ფიროსმანის „მეეზოვეს“ გამოსცდები თუ არა, ირაკლი წულაძის „მეფარნე“ მოგტაცებს მზერას. ქანდაკი უცნაურად უხდება ძველ უბანს, მშვიდი სტატიურობით (და ექსტატიურობით!) მარადიულობის, წარუვალობის, სიმდოვრის განცდას გაღვრიდეს თითქოს.

მეფარნე ზეთს თუ უმატებს ლამპარს გონიერი ქალწულივით („ნუ ჩამიქრები და იქაც, შიგნით, სულში“ — უნებლიეთ წამოგაგონდება გალაკტიონისეულიც).

იქნებ მეფარნის ყუჩი ქანდაკით, ან სახარების იგავის ლამპრითაა ინსპირირებული მარიამ წიკლაურის ლექსი-პარაბოლა „მეფარნე“ — როგორც ყოველ ნამდვილ ლექსს, ვერაფრით რომ მოჰყვები, მხოლოდ რომ უნდა მიჰყვე — პოეზიის „მზიანი ჩრდილებისაკენ“?!.. იქნებ გალაკტიონისეული მესაფლავის ცინიკური ხატებაც გასხლტეს ხსოვნაში მეფარნის რეპლიკის გაგონებისას („სიბნელე ბევრად სჯობს სინათლეს, არ მოსჩანს მასშიო მისხალი ხინჯიც...“).

კონტრაპუნქტის პრინციპით იგება ლექსი, უფრო პოსტმოდერნისტულ ნოველას რომ წამოგაგონებს ამბავთა დაწურულობით, ან გობელენს, ლაქებად რომ ჩასწვნია ლექსის სტრიქონებად ჩამოღვრილი მოგონებები — დარდის მეწამული, სიხარულის ბაცი ლაჟვარდი (იგივე ფერები, რაც — წიგნის ყდისა) («Как пламенно в лазури» — ეს ცვეტაევაა).

კონტრაპუნქტში ერთიანდება დარდიანი, ტკივილიანი, ბედნიერი ამბები, მოგონებები, და პოლიფონიზმი წარმოჩნდება ლექსის „სტრუქტურულ ღერძად.“

ინტერვალით გაყოფილი ხუთი თორმეტსტრიქონედია ტექსტის მხატვრული ქსოვილი. ხუთივე ნაწილი მეფარნისადმი მიმართვაა, შუქის გამოთხოვა, ვედრება — ფსალმუნის კლიშე-მოდელი მეორდებოდეს თითქოს.

მესაიდუმლედ აღირჩევა მეფარნე, შუქის მფლობელი („ყუჩი მფლობელი“ (რ. ინანიშვილი).

აღსარებად გაიჟღერებს პირველი თორმეტსტრიქონედის ტაეპები:

მეფარნევ, მეფარნევ, აანთე ფარანი!
ღამის სიბნელეს ფრთა მოჰკვეთო, ეგებ,
რომ არსად გაფრინდეს და არ გაიყოლოს
ჩემი ნამზეური სიზმრების ნეფე.
სინათლის ბადეში გავაბათ ეს ღამე,
დამღალა, მეფარნევ, ფრენამ და სიბნელემ.
ვაითუ, სიყვარულს ტყუილად დავეძებ,
ვაითუ, სიცოცხლეს ტყუილად ვიფერებ.
სანამ დრო სამკვიდრო მიწის ფრთებს მომახვევს,
კისერს მტკენს სიზმრების უტკბესი ყულფი
და ბედნიერების ულუფის მონარჩენს
ცისკარზე მგალობელ ჩიტუნებს ვუყრი.

ნამზეური სიზმრების ნეფე უფლის პარადიგმა თუა, მხოლოდ მზიურ ხილვაში გამოცხადებული მეუფისა, გულით ნაგზნები. სინათლის ბადეში გაბმული ღამეც (მარიამ წიკლაურის სტრიქონი უცნაურად ეხმიანება გალაკტიონისეულს: *„წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“).*

„სიბნელეში ფრენის“ პარადიგმა „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეების“ ხატებასაც ამოიყოლებს მეხსიერებიდან და აღარც გაძრწუნებს შემაძრწუნებელი ეჭვი — „ვაითუ, სიყვარულს ტყუილად დავეძებო...“ ნესტან-დარეჯანის *[„ვისი მსგავსიც არ არის ქვეყნად“ — ასე ითარგმნება ეს სახელი]* მძებნელი ტარიელის სულიც რამდენგზის უღრღნია იმავ ეჭვს... უფალს დანატრული ყოველი სულიც!

იჭვი ეშმასეულია და დიდი სიყვარულის ციდა ანამცვრევები — სულის პურის მიწიერი ორანის ნამცეცები — არსობის პურისა — ცისკრის ჩიტუნებს ეწყალობება — გასცემ და შენია... ისე ძველია, ისე იოლი და ძნელი სიყვარულის ეს ძველთუძველესი დეფინიცია — გაცემული შენია...

მეფარნევ, მეფარნევ, ამინთე ფარანი!
უკუნი ღამეა. მარტო ვარ, ხედავ?
რომც მოვკვდე, სიზმარიც ვერ იგრძნობს. დილამდე
ღამის ანგელოზი ფრთებით გადამხვეტავს
ქუჩაზე, რომელზეც დარდიანს მივლია,
ბრახუნით ვიკლებდი ჩარაზულ სახლებს,
მაგრამ ის შენობა, რომელშიც მელოდნენ
არ მდგარა მიწაზე და ვერსად ვნახე.
განა თავს გაცოდებ, შემინდე, მეფარნევ,
ქარად მივებარე წვიმიან ქუჩებს,
შენ, ალბათ, ვერცა მცნობ ასე ცრემლით მორთულს,
ჭრელი გრიმისა და ცრემლების უჩვევს.

მეორე თორმეტსტრიქონედის პეიზაჟი გრაფიკაა. მხატვარი რომ ვიყო, დავხატავდი ქარიან ღამეში მეფარნის სუსტად მბჟუტავ ძეგლ-სანათურთან სასოწარკვეთით ატუზულ პოეტს, „ჭრელი გრიმის და ცრემლების უჩვევს“ (ან რა გრიმი გაუძლებს სულის ქარებს და წვიმებს?!), სველი კაბის კალთებს რომ უფრიალებს აბეზარი *[ვისთვის აბეზარი... ვისთვის — მესაიდუმლე... — „პოეტები იბადებიან ქარში და მიჰყვებიან ქარების ნაკვალევს“ (ტერენტი გრანელი)]* სტიქიონი და უნებლიე კითხვა — ეს ფარანია, თუ პოეტის სხეულიდან ამოფრენილი, ამოწურული, ქარის ნებაზე მოლივლივე გული ანათებს?! თუ გული თვითონვე იქცევა ქარად *[„ქარად მივებარე წვიმიან ქუჩებს“?!]*.

ტრაგიკულია და მშვენიერი ქარადქცეული ქალის პარადიგმა თუ პარაბოლა.

ჩარაზულია სახლები, ჩარაზულია გულები...

გულმოკლული ჩავა ჭუჭყიანი მატარებლიდან გრიგოლ რობაქიძის გმირი, რადგან [თანამგზავრის] გული [თანამგზავრის] გულს ვერ (თუ არ) გაეხსნა, მისტერია არ შედგა...

„შენობა, რომელშიც მელოდნენ, არ მდგარა მიწაზე და ვერსად ვნახე“ — კონსტატირდება ტრაგიკული მიუსაფრობა, თუ მიუსაფრობის ტრაგიზმი...

„საოცარი შენობა“ [გალაკტიონი, „დომინო“] უფლის სახლი თუა, ერთადერთი სახლი, სადაც ლოდინით დაღალული არსთაგამრიგე მაინც მარად ელის ყოფით დაღალულთ, „ირეკდით და განგეღებათო“...

მეფარნეც ისე ჰგავს წუთისოფლის ყიამეთში ასე მონატრებულ ნათელს, რომელსაც „ბნელი ვერ ეწია“...

„დევნილ ღათუ ვართ, არამედ არა დატევებულ ვართ“ — ისეთი შუქია ახალი აღთქმის სტრიქონ-ნამცვრევში...

მეფარნევ, მეფარნევ, ამინთე ფარანი!
აქ ჩემს შეყვარებულს ვხვდებოდი წინათ,
იმ სკამზე თამაშით დაღლილი კაცი ზის,
ხსნასავით მოელის მეძავთა წირვას.
მეფარნევ, ჩვენც ხომ სულ სინათლით ვთამაშობთ,
დალახვროს ეშმაკმა მომგონი დარდის!
ზურგსუკან ცერებზე დამყვება სიკვდილი,
ნაბიჯებს აყოლებს გულის რიტმს, მარტივს.
ნუ მეტყვი, სიბნელე ბევრად სჯობს სინათლეს,
არ მოსჩანს მასშიო მისხალი ხინჯიც!
აანთე, მეფარნევ, მახინჯს და ცრემლიანს
მიყურონ ნეტარი სიმართლის ჯიბრით.

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, სულისმოსაბრუნებელი, მაგრამ „ხანი უნდობარი“ ერთ მშვენიერ (რა ცინიზმია!) დღესაც იმ „სკამზე, „შეყვარებულს რომ ხვდებოდი წინათ“, თამაშით დაღალულ ნიღაბს შემოგაფეთებს.

„თამაში რიოში მარგალიტებით“ ჩაენაცვლება მაღალ ძიებას იმ მარგალიტისა, „ვაჭარნი სასუფევლისანი“ რომ მოინატრებენ, რადგან სპეკალის ლიცლიცა, ცრემლოვანი შუქია ფარანი ყოფის წკვარამში... მეძავთა წირვის ბაქანალია წამით გალაკტიონის „სილაჟვარდის“ პეიზაჟსაც გააცოცხლებს ხსოვნაში, მესაფლავის მეფისტოფელურ ხარხარსაც*(შდრ. მარიამ წიკლაურთან: „სიბნელე ბევრად სჯობს სინათლეს, არ მოსჩანს მასშიო მისხალი ხინჯიც!“ ან ბაირონისეული ეშმას ცინიკური თვითწარდგინება კაენისადმი — „მე ვარო იგი, ვინც სამყაროს შექმნიდა სხვაგვარს“).*

მარიამ წიკლაურის „მახინჯი და ცრემლიანი“ ორანი იგივ გალაკტიონისეული „ღამენათევი და ნამთვრალევი“ „სხუაი ჩემი“ თუა — პოეტის, კაცთაგან უკეთესის უკეთესი დეფინიცია, თვითგვემის (თუ „მაღალთა თავმდაბლობის“) სარკაზმით ნაკმაზი.

ნიღაბს ავტოპორტრეტი ჩაენაცვლება:

მე თავად ცეცხლის სულს მეძახდნენ, მეფარნევ,
ალის ფრთაც დამემტვრა... საშინლად მტკივა.
მელევა სინათლე და ცეცხლის სისხლი მდის,
ღამის პეპლები ცრემლებად მცვივა.
მაგ კვარს შეუკეთე, რაც ჩემგან დარჩება,
აანთე, აანთე ეს ბნელი ღამე.
ვინ იცის, ჩემსავით სხვებიც დაგეძებენ,
სანთლებად საკუთარ სიცოცხლეს წვავენ!
მაგრამ შენ მარწმუნებ, ბნელში ადვილია,
ტკივილი დავმალოთ სულში და გავძლოთ!
ღამის მონასტერში უნდა აღვიკვეცოთ,
სინათლის ჯვარცმა რომ ქვეყანას ვამცნოთ?!

ფრთებდამსხვრეულ ანგელოზს ემსგავსება პოეტი (ბოდლერის ალბატროსიც ფრთებდამსხვრეული ეთრევა გემბანზე, უბირ მეზღვაურთა უგვანი ჟივილ-ხივილით დაღალული).

კვლავ უზუსტესია მარიამ წიკლაურისეული მეტაფორა: „ცეცხლის სისხლი მდის“ — „სული სისხლშია“ [ლევიტელთა 17, 11] და „ცეცხლია სული.“

სანთლად საკუთარ სხეულს გაწირავს (უფალს შესწირავს) პოეტი („რაც არ იწვის, არ ანათებს“), მაგრამ, ტკივილით გათანგულს, წამით მეფარნეშიც, ვინც და ვისიც ასე ეიმედებოდა, ეჭვი შეეპარება („რად დამიტევე მე?!“ — რა ძველია და ძნელი სასოწარკვეთის ბასრი ფორმულა!), სულმოკლეობის პაროლად გასხლტება სტრიქონი: „ღამის მონასტერში უნდა აღვიკვეცოთ, სინათლის ჯვარცმა რომ ქვეყანას ვამცნოთ?!“

ელვად გაკრთება გაუსაძლისი ტკივილი ჯვარცმის...

მანათობელი, დამაბრმავებელი ტკივილი — აღდგომის შუქის წინამორბედი...

„ღამის პეპლები ცრემლებად მცვივაო“, დასცდება პოეტს. ფახრედდინ გორგანის იგავში ცეცხლის მაღალი არსი მხოლოდ იმ ფარვანამ უწყის, კოცონში რომ ჩაიფერფლა... მაგრამ ფარვანა ვერავის მოუყვება სიცოცხლის ფასად ნაგზნებს...

(სტრიქონი „სევდის ფარვანებით შებურვილი“ მარიამ წიკლაურის სხვა ლექსის ნამცვრევია. პოეტი უცნაურად გზნებს შამიფარვანიანის ტრაგიკულ ოქსიმორონს (სუფიზმში საღმრთო სიყვარულის ალეგორიული ხატებაა ფარვანას ბედისწერული ლტოლვა ალისკენ).

მეფარნევ, დაგიჯერო? ღამეს გავუყუჩდეთ?
ჩავქრეთ, ვერ გვიპოვნოს ფარვანა დარდმა?
იქნებ, ვიმყოფინოთ, რაც გულში გვინთია
და რაც სიყვარულის ცეცხლიდან დაგვრჩა?
ნათლის და სიბნელის სამართალს ვინღა სჭედს,
ღმერთო, გულების მეფარნევ, მანიშნე,
მაცოცხლე ცისკრამდე, სიყვარულს ვისიზმრებ,
ცეცხლის ფრთებს ტკივილით ზეცამდე ავიქნევ.
ისე გავთენდები, რომ გულის სინათლე
არასდროს,
არასდროს,
არასდროს ჩამიქრეს.

საწუთროს ქარების ხმაურში ღმერთს — სიყვარულს დაისიზმრებს პოეტი.

მაღალი სულისთვის ტკივილიც ჯილდოა, უფლის მაღალი ნების „ექსტატიური მოციქული“ *(ნაირა გელაშვილი).*

ცეცხლის ფრთებს *(ვაჟა იტყოდა — **„ფრთეებს“**)*ტკივილი დააქნევინებს ცეცხლოვან სულს — ზეცად უხმობს (გოდერძი ჩოხელის „ცასწავალას“ კათარსისიც წამოგაგონდება უნებლიეთ) — უფლისკენ — „გულების მეფარნისაკენ“, იმ მარადი შუქისკენ, „ბნელი რომ ვერასდროს ეწევა“...

უფლის მაღალი ნებისადმი მდაბალი მორჩილებით განიწმინდება, განათდება სული და მერე... თუნდ იკაროსის ფრთებივით დადნეს პოეტის ცეცხლოვანი ფრთები...

ასეთ ნათელში „დარდიც ფარვანაა“ — სხეულის წამიერი აბრიალება და... დაბრუნება შინ — მამასთან... შუქში...

P.S. რეზო ინანიშვილის ერთ ნოველაში („თებრო“) ახალგაცნობილი მეშუქურე და მევიოლინე საუბრობენ. თავისი ხელობის არსს ასე განუმარტავს მეშუქურე წვეულს — „გემებს რომ გზა არ აებნეთო.“

როდესაც მევიოლინემ რამდენიმე მელოდია დაუკრა, „მეშუქურემ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გადაუსვა ხელი ვიოლინოს და გაღიმებულმა თქვა: კარგი საქმე გცოდნია. ადამიანთა სულებს რომ არ აებნეთ გზა“.

მარიამ წიკლაურის „მეფარნეც“ იმისთვის თუ ჩამოიწურა პოეტის მაღალი წარმოსახვიდან, „ადამიანთა სულებს რომ არ აებნეთ გზა“...

„მეფარნის“ — ამ პატარა (დიდი!) წიგნის წაკითხვის შემდეგ გათბობს ბედნიერი (თუ ბედნიერების) განცდა *(გურამ დოჩანაშვილის სიტყვებით დაწყებულ წერილს მისივე სტრიქონებით დავასრულებ):* „ჩვენი პაწია საქართველო მსოფლიო პოეზიურ (!) რუკაზე ერთ-ერთი დიადი, ძლევამოსილი სახელმწიფოა“.

გივი გამრეკელი

ანანდი: დიახ, ჭადრაკი ინდოეთში გამოიგონეს

მას შემდეგ, რაც მანამდე უძლეველმა გარი კასპაროვმა ჯერ მსოფლიო ჩემპიონობა დათმო ვლადიმირ კრამნიკთან, ხოლო შემდეგ 2005 წელს საბოლოოდ გამოეთხოვა აქტიურ ჭადრაკს, „მწვერვალებზე“ დარჩა სამი დიდოსტატი: კრამნიკი, ანანდი და ტოპალოვი. მეოთხე დიდი მოჭადრაკე თითქოსდა აღარც არსებობდა, ყველა პრესტიჟულ ტურნირს ან ერთი იგებდა, ან მეორე და მესამე. ვინ იყო მათ შორის უძლიერესი? ეს უკვე მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლას უნდა გაერკვია. გასაოცარი ამბავია! 1886 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს გვირგვინს სულ 15 (!!) დიდოსტატი ფლობდა (ჩვენ ბედნიერად ვრაცხთ თავს, რომ 10 მათგანს პირადად ვიცნობდით), რაც ზოგიერთის უდავო გენიალობაზე მეტყველებს. ამასთან წელს დადგა დრო, რომ რიცხვით მეთხუთმეტე ჩემპიონს თავისი წოდების დაცვაზე უნდა ეზრუნა.

ვიშვანათან ანანდმა რომ 2008 წელს ღირსეულად მოიპოვა თავისი წოდება, ეს არავისათვის საეჭვო არ გამხდარა. მან ხომ კრამნიკს სძლია, დაახლოებით ისეთივე დამაჯერებლობით, როგორც თავის დროზე კრამნიკმა — კასპაროვს. მაგრამ შემდეგ კრამნიკს ხანგრძლივი ჩავარდნა ჰქონდა. ცხადი გახდა, რომ ინდოელის ახალი მეტოქე იგი ნამდვილად ვეღარ იქნებოდა.

მაშ ვინ?! ეს უკვე მთელ შესარჩევ სისტემას უნდა გამოევლინა, რომლის მიწურვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ახალი მეტოქე ან ვესელინ ტოპალოვი იქნებოდა, ან გატა კამსკი. ტოპალოვი კარგა ხანია მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან დიდოსტატად ითვლება (მსოფლიო ჩემპიონიც იყო ე.წ. ფიდეს სისტემით, ამ სისტემას კი ახლა „ხაზი გადაესვა“ და ბულგარელს, ისევე, როგორც დანარჩენ გამარჯვებულებს ილიუმჟინოვის მიერ ამ გამოგონილ შეჯიბრებაში „ცივი წყალი“ გადაასხეს და უწინდელი მიღწევა აღარ ჩაუთვალეს). სამაგიეროდ, ტოპალოვს ახლა შეეძლო მსოფლიოს „სრული“ ჩემპიონი გამხდარიყო, იმ შემთხვევაში, თუ ინდოელს სძლევდა. ჯერ კი საჭირო იყო კამსკის გზიდან ჩამოცილება.

გატა კამსკი ნამდვილად უცნაური ბედის ადამიანია. სრულიად ყმაწვილმა ჯერ სენსაციური გამარჯვებები იზეიმა, ვინღა აღარ დაამარცხა (ასე გასინჯეთ, თვით ანანდიც), რის შემდეგ მსოფლიო პირველობის მატჩში (დიახ, დღეს უკვე ყბადაღებული, ე.წ. ფიდეს სისტემით) ანატოლი კარპოვთან წააგო. ისე შეიცხადა, რომ ჭადრაკს მთელი ათი წლით თავიც კი დაანება, ამ რამდენიმე ხნის წინათ დაბრუნდა და მსოფლიო თასიც დაისაკუთრა.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ 2009 წლის მარტში ცხადი გახდა, რომ ტოპალოვი ამჟამად უფრო ძლიერია. კამსკის ძლევის შემდეგ კი ტოპალოვმა ორმილიონიანი ევროს ოდენობის ჰონორარი უზრუნველჰყო და ანანდსაც „ხელთათმანი

ესროლა“. ამ ორმა მილიონმა მას საშუალება მისცა უკვე საკუთარ „მინდორზე“, სოფიაში ეთამაშა. დიახ, მაგრამ აქვს კი ამას ჭადრაკში გადამწყვეტი მნიშვნელობა? ზოგი ფიქრობს, რომ აქვს, ზოგისთვის კი ეს, უბრალოდ, ცრურწმენაა.

აი, რასაც ცრურწმენა ჰქვია, ზოგი ექსპერტი ასეთად სწორედ დღეს მოქმედ სარეიტინგო სისტემას მიიჩნევს. გადავხედოთ რეიტინგთა მდგომარეობას, ვთქვათ, მაისის დასაწყისისათვის. აქ პირველ ადგილზე (2813 ქულით) იყო მაგნუს კარლსენი, ერთი ქულით ნაკლები (2812) ჰქონდა ტოპალოვს, 2790 — კრამნიკს, 2789 — ანანდს. ეს იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ ტოპალოვს აუცილებლად უნდა დაემარცხებინა ანანდი? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ პრეტენდენტის მთელ შერჩევით სისტემას აზრი ხომ ეკარგებოდა. რახან კარლსენი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ 20 წლის ნორვეგიელის დრო (როგორც თვითონ მიიჩნევს) ჯერ არ დამდგარა. ზოგი პირიქით ფიქრობს: ითვალისწინებს იმ ამბავს, რომ მაგნუსი იგებს ყველა იმ ტურნირს, სადაც კი მონაწილეობს, და მსოფლიოში უძლიერესად სწორედ მას აღიარებს. ვინ იცის?! ერთმა ცნობილმა მიმომხილველმა პარადოქსული აზრიც კი გამოთქვა: ანანდი და ტოპალოვი ახლა იმას არკვევენ, რამდენიმე წლის შემდეგ რომელი მათგანი უნდა შეხვდეს... მსოფლიო ჩემპიონ კარლსენსო (!!).

მატჩი მსოფლიო პირველობაზე: ანანდი და ტოპალოვი

რას ფიქრობდნენ მიმომხილველები ანანდ-ტოპალოვის ორთაბრძოლის დაწყების წინ? ყველა მოელოდა უაღრესად მწვავე ბრძოლას, არა მარტო იმიტომ, რომ ორივე დიდოსტატი შემმართებელი სტილით გამოირჩევა და ყაიმებს არა სცნობს (ყაიმთა „სერიის“ საშუალებას არც ახლანდელი ხანმოკლე, სულ 12 პარტიისაგან შემდგარი მატჩი იძლევა). თუ ადრინდელი, 24 პარტიისაგან შემდგარი ორთაბრძოლა „ლოდინის ტაქტიკას“ რამდენადმე გზასაც უხსნიდა, ახლა ასეთი თითქმის გამორიცხა. მეტოქეები იბრძოდნენ მანამდე, სანამ ამის შესაძლებლობა ოდნავ მაინც რჩებოდა. აი რამდენ სვლას გრძელდებოდა შეხვედრები: პირველი პარტია — 30 (ჩავთვალოთ, რომ ეს გამონაკლისი იყო), მეორე — 43, მესამე — 46, მეოთხე — 32, მეხუთე — 44, მეექვსე — 58, მეშვიდე — 58, მერვე — 41, მეცხრე — 83 (!), მეათე — 60, მეთერთმეტე — 65 და ბოლო, მეთორმეტე — 56 სვლა.

მატჩი დაიწყო ბულგარელის მოულოდნელი სწრაფი გამარჯვებით. გრიუნფელდის დაცვაში შავებით ანანდმა მიმართა სისტემას, რომელსაც თეორია სავსებით საიმედოდ მიიჩნევს. აქ ტოპალოვმა მეტოქეს „შესთავაზა“ ნაღმი მხედრის შეწირვით, რომელიც საგანგებოდ ამ ორთაბრძოლისთვის ჰქონდა მომზადებული, თეორეტიკოსები კი სახტად დატოვა. პირდაპირ საოცარია, როგორი უიმედო პოზიცია მიიღო ანანდმა, რომელსაც უდიდესი შეუპოვრობა კი აქვს, მაგრამ ახლა რაღას გააწყობდა! ისე, თავისი მარცხი შემთხვევითად ჩათვალა („უვიც“ თეორეტიკოსებს მიაწერა), მეორე პარტიაში ღირსეული რევანში აიღო, მესამეში უსიამოვნო პოზიცია გააყიმა, მეოთხე კვლავ ბრწყინვალედ მოიგო და მატჩის პირველი მესამედი თავის სასარგებლოდ დაასრულა: 2,5:1,5.

ამ მომენტისათვის ბევრი ექსპერტი ფიქრობდა, რომ ინდოელის გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ისინი აშკარად მოტყუვდნენ. ანანდი განერვიულდა, რამდენჯერმე მისთვის უჩვეულო ცაიტნოტში აღმოჩნდა (ჩვეულებრივ ხომ ძალიან სწრაფად თამაშობს), მომდევნო სამ შეხვედრაში სერიოზული შეცდომებიც მოუვიდა (ტოპალოვი ნაკლებად ცდებოდა და სულ უკეთესად გამოიყურებოდა). და აი, ზედიზედ სამი ყაიმის შემდეგ ტოპალოვმა გაიმარჯვა — 4,5:4,5. ერთი სიტყვით, თითქოს ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ბოლო მეცხრე პარტია ანანდმა იმდენად პასიურად ითამაშა, რომ მისი ჩემპიონობა საეჭვო გახდა. ტოპალოვის კიდევ ერთი შეტევაც და...

აი, აქ კი ექსპერტები კიდევ ერთხელ მოტყუვდნენ. მეათე-მეთერთმეტე პარტიების ყაიმით დამთავრების შემდეგ (კიდევ ერთი ყაიმიც და მატჩში „დამატებითი დრო“ დაინიშნებოდა) თითქოს მიძინებულმა ანანდმა გამოიღვიძა და ბოლო, მეთორმეტე პარტიაში მეტოქეს საშინელი ძალის დარტყმა აგემა. ეს პარტია, სადაც ინდოელი შავებით თამაშობდა (ე.წ. ლაზიერის გამბიტის მიღებული დაცვა, ლასკერის ვარიანტი) მატჩში საუკეთესოდ აღიარეს. ეს უკვე ადრინდელი ანანდი იყო, როგორ არ გავიხსენოთ კლასიკური გამოთქმა: ზოგჯერ მოხუცებულ ჰომეროსსაც ჩამოეძინება ხოლმეო.

მაშ ასე, 6,5:5,5 — საბოლოო ანგარიშით, ჩემპიონის დამსახურებული გამარჯვება. გამართლდა ის პროგნოზი, ორთაბრძოლის დაწყებამდე რომ გამოითქვა.

მაშ ასე, ანანდი, რომელიც ამ წოდებას 2008 წელს დაეუფლა და ახლაც შეინარჩუნა, მომავალ მეტოქეს 2012 წლისათვის ელის. ვინ იქნება იგი? ადრე შემუშავებული, სავსებით სამართლიანი გეგმით, მოეწყობა პრეტენდენტთა ორწრიანი მატჩი-ტურნირი 8 დიდოსტატის მონაწილეობით.

აი, მათი სიაც: 1) ვესელინ ტოპალოვი, როგორც მსოფლიო პირველობის მატჩის მონაწილე. ეს უფლება რომ არ ჰქონოდა, ტოპალოვი მაინც ითამაშებდა პრეტენდენტთა ტურნირში 2010 წლის იანვრისათვის მაღალი რეიტინგის გამო. 2) მაგნუს კარლსენი — 2010 წლის იანვრისათვის მაღალი რეიტინგის გამო. 3) გატა კამსკი — 2009 წელს პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე. 4) ბორის გელფანდი — 2009 წლის გათამაშებული მსოფლიო თასის მფლობელი. 5-6) ვასილი ივანჩუკი და ლევონ არონიანი — 2008-09 წლების გრან-პრის პირველი და მეორე პრიზიორები. 7) ვლადიმირ კრამნიკი — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, თავისი მაღალი რეიტინგის გამო. 8) ეს ერთი ადგილი ფიდეს ხელმძღვანელობის განკარგულებაში რჩება. ვის მიაკუთვნებს მას?

როგორც ვხედავთ, პრეტენდენტთა მომავალი მატჩ-ტურნირის შემადგენლობა არა მარტო მეტად ძლიერია, არამედ

პასუხისმგებლობა და მოვალეობა

ქეთევან ბურნაძე
(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი)

1.

ადამიანი, როდესაც პროფესიას ირჩევს ამით გარკვეულ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე. პედაგოგი პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდა-განათლებაზე, ეკონომისტი ფინანსებზე, ექიმი ადამიანის სიცოცხლეზე. პროფესიონალია ის, ვისაც კარგად აქვს გათავისებული ეს პასუხისმგებლობა და მოვალეობის შესასრულებლად, თუ საჭირო გახდა, გვერდით დებს პირად ცხოვრებას, მიზნებსა თუ განცდებს.

სერიალი „ექიმი ჰაუსი“ დიდ პოპულარობით სარგებლობს საქართველოში (და არამარტო საქართველოში). ჰაუსი თითქმის ყველა რიგითი ექიმისაგან გამოირჩევა. არ უყვარს თეთრი ხალათი და არც იცვამს, უყვარს განსხვავებული აზრის გამოთქმა და არ ემორჩილება კანონებს. ჰაუსის ეს თვისებები კარგად გამოჩნდა ერთ-ერთ სერიაში – „უარი რეანიმაციაზე“. მუსიკოსი ჯონ ჰენრი ერთ დროს თავისუფლად უკრავდა, თავისი პროფესიონალიზმით სიამოვნებას ანიჭებდა მსმენელს. ცდა, კვლავ დაეკრა, კრახით დამთავრდა. ჰაუსმა პნევმონია დაუდგინა. მუსიკოსს ყველანაირი იმედი გადაეწურა. იგი დარწმუნებული იყო, რომ დაკვრას ვეღარ შეძლებდა, მუსიკა კი მისთვის სასიცოცხლო წყარო იყო, ამიტომ უარი თქვა ყოველგვარ რეანიმაციულ ჩარევაზე.

წამალმა, რომელიც ექიმებმა მუსიკოსს მიაღებინეს, მასზე ცუდად იმოქმედა. რომ არა ჰაუსი, იგი მოკვდებოდა. ჰაუსის მოსვლამდე სამი ექიმი მორჩილად იდგა და უყურებდა, როგორ იღუპებოდა პაციენტი. ხელმოწერილი დოკუმენტის გამო ექიმის მოვალეობას არ ასრულებდნენ. ჰაუსმა კანონები გვერდით გადადო, წინა პლანზე ადამიანის სიცოცხლე დააყენა, ამიტომაც აღმოჩნდა სასამართლოში. ეს ყველაფერი ჰაუსისათვის მეორეხარისხოვანია, ვფიქრობ, ამით იგი ერთობა კიდეც, ხალისობს ადამიანთა ქცევებზე.

წინააღმდეგობების მიუხედავად, ჰაუსმა პაციენტის გადასარჩენად იბრძოლა, მიზანსაც მიაღწია. ჯონ ჰენრიმ საავადმყოფო საკუთარი ფეხით დატოვა.

სერიალში კარგად ჩანს ექიმის, როგორც პროფესიის სპეციფიკა. ეს პროფესია ძალიან რთულია. შენ ხელშია ადამიანთა სიცოცხლე, პასუხისმგებელი ხარ მათ წინაშე. ეს უდიდესი მოვალეობა კარგად უნდა გქონდეს გათავისებული. ჰაუსმა კანონი დაარღვია პაციენტის სიცოცხლის გამო. ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

ადამიანი როდესაც ხელს ჩაიქნევს ცხოვრებაზე, შენ თავი არ უნდა დაუქნიო, პირიქით, უნდა ეცადო და ბრძოლისთვის განაწყო. სიცოცხლე უფალმა გვაჩუქა

და უფლის ნებითვე ჩამოგვერთმევა. არ გვაქვს უფლება ჩვენი სურვილით დავთმოთ ის. თუ ღმერთი ბოლომდე არ გვწირავს, ესე იგი, შანს გვაძლევს ცხოვრება განვაგრძოთ, შევქმნათ ღირებული. თუ ვმღერით, ვიმღეროთ, თუ ვწერთ, დავწეროთ, ან უბრალოდ ღირსეულად ვიცხოვროთ.

2.

გურჯი-ხათუნის შესახებ მცირე ინფორმაცია მქონდა. ჩემთვის მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ რუსუდან მეფის ქალიშვილი თამარი, გარკვეულ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, რუმის სულთანს მიათხოვეს. სამწუხაროდ, ეს ისტორიული ცნობა ამით მთავრდებოდა სასკოლო პროგრამაში. დათო ტურაშვილის ტელემოთხრობის — „გურჯი-ხათუნი“ — მეშვეობით კი ეს ძალზე საინტერესო ამბავი გაგრძელდა.

ტელემოთხრობა, ვფიქრობ, კარგი საშუალებაა მოთხრობილი უფრო მკვეთრად და ნათლად წარმოიდგინო. კადრები გეხმარება იმ ადგილებში იმოგზაურო, სადაც ეს ამბავი მოხდა. ეს კი ჩვენი ზარმაცი თაობისთვის, უხეშად რომ ვთქვათ, „მისწრებაა“, დღესდღეობით „მაუსის“ წკაპუნი უფრო გვიყვარს, ვიდრე წიგნის გვერდების ფურცვლა.

დათო ტურაშვილმა თავის გადამღებ ჯგუფთან ერთად გაიარა ის გზა, რომლითაც ცამეტი წლის ქართველი დედოფალი ჩაიყვანეს სელჯუკთა იმპერიაში. ტელემოთხრობის ყურების დროს დიდი სურვილი გამიჩნდა ჩემი თვალით მენახა ეს ყველაფერი. ამაყი ვიყავი, როდესაც მოვისმინე მონეტების მოჭრის შესახებ. პირველად მოხდა სელჯუკთა იმპერიაში ქალის გამოსახვა მონეტაზე და ეს ქალი ქართველი დედოფალი იყო. გურჯი-ხათუნი პასუხისმგებლობით მოეკიდა თავის საქმეს, სრულყოფილად ასრულებდა თავის მოვალეობას. გაჭირვებულთა ქომაგი იყო, მისი მეშვეობით გაიაფდა პური.

ისტორიიდან ვიცით, რომ სამეფო კარზე მემკვიდრეების დაოჯახება ძირითადად პოლიტიკური თვალსაზრისით ხდებოდა. არც გურჯი-ხათუნი ყოფილა გამონაკლისი. დათო ტურაშვილის თქმით, იმ დროის ცამეტი წლის გოგო მოზარდად აღარ ითვლებოდა და მოწიფულ ქალად მიაჩნდათ. სწორედ ცამეტი წლისა მიათხოვეს ქართველი უფლისწული რუმის სულთანს. გურჯი-ხათუნისთვის ეს დღე ძალიან რთული იქნებოდა. იგი მოწყვიტეს მშობლიურ მიწას და „გადაისროლეს” სხვა შეხედულებების, სხვა მრწამსის ხალხთან, მაგრამ ამან არ შეაშინა ქართველი ქალი, პირიქით, დიდი სიყვარულით მოეკიდა თავის საქმეს. დედოფალი გრძნობდა პასუხისმგებლობას როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე უცხო მიწის მიმართაც. გურჯი-ხათუნმა მოახდინა ქართული კულტურის, ჩვეულებისა და მრწამსის სინთეზიც კი სელჯუკთა ქვეყანაში. ამაზე მიგვანიშნებს XIII საუკუნეში, იხლარას ხეობაში, კლდეში ნაშენი წმ. გიორგის ეკლესია. მიუხედავად იმისა, რომ

ფრესკები ძალიან არის შელახული, კარგად ჩანს მუსლიმური და ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლები ერთად. ეს კი მსოფლიო კულტურაში იშვიათია და მიუთითებს იმ ლიბერალიზმზე, რომლის დამკვიდრებაში უდიდესი წვლილი ქართველ დედოფალს მიუძღვის.

გურჯი-ხათუნის ყველა მოქმედებაში ჩანდა ის დიდი სიყვარული მშობლიური ქვეყნისადმი, რომელიც უცვლელად შეინახა ქართველი დედოფლის გულმა. გურჯი-ხათუნმა თავის მასწავლებელს, იმ დროის მსოფლიოში ცნობილ ბრძენ მევლანას,უკანასკნელი საჩუქარი უძღვნა, საფლავზე აუგო თურბე, რომელიც ძალიან ჰგავს ქართული ეკლესიის გუმბათს. ლეგენდის თანახმად, დედოფალი გაუჩინარების წინა ღამეს აივნიდან სწორედ ამ თურბეს გაჰყურებდა...

ქართველი დედოფალი მისი სილამაზისა და სიკეთის გამო ხალხს შეუყვარდა. დღეს ქალაქ კონიის ერთ-ერთ პატარა ქუჩას გურჯი-ხათუნის სახელი ჰქვია. ეს პატარა ქუჩა ინახავს ხსოვნას გამოჩენილი ქართველი დედოფლისა, რომელმაც ქართული სახელი ღირსეულად გაიტანა ქვეყნის გარეთ. პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე რთულია. ადამიანები ხშირად გაურბიან მას, ეს მათი სუსტი ბუნების გამო ხდება. ყველა ძლიერი ვერ იქნება. გურჯი-ხათუნმა ცამეტი წლის ასაკშიც კი იცოდა თავისი დანიშნულება, იცოდა, რა ევალებოდა სამყაროში. მან დათმო თავისი ყმაწვილქალობის წლები, საყვარელი სამშობლო, ხალხი. კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ "ვისაც მეტი მიჰნიჭებია, მეტიც მოეთხოვების".

ქართველი დედოფალი არც მისი პირველი და არც მეორე ქმრის გვერდით არ განისვენებს. მისი გაუჩინარების ამბავი ლეგენდად არის ქცეული, ვფიქრობ, ეს ლეგენდა ლოგიკურად აბოლოვებს დედოფლის სიცოცხლეს. მან მოიხადა ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, იმსახურა და... ქარავანს გაჰყვა მონატრებული გურჯისტანისკენ.

3.

,,ცნობილია, რომ კითხვაზე, - ვინ არის მწერალი, თომას მანმა ასეთი პასუხი გასცა: ის, ვისი ცხოვრებაც სიმბოლოა!" – ასე იწყებს გურამ შარაძე წიგნს ,,ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება". სწორედაც, რომ ასეა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მწერალი ამ სიტყვებს ვერ გაამართლებს. ილია ჭავჭავაძემ კი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით რეალობად აქცია თომას მანის სიტყვები.

ეპოქა, რომელშიც ილია მოღვაწეობდა, ძალზე რთული იყო საქართველოსთვის. დაკარგული იყო ქართველობა, ქართული სული. ილიამ სასწავლებლად მძვინვარე თერგის წყალი ,,დალია" და უცხო ქვეყანაში წავიდა. ეს არ გაუკეთებია საკუთარი კეთილდღეობისთვის, არამედ — მხოლოდ საქართველოსთვის. მან იცოდა ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდებოდა, იცოდა რუსეთის დამოკიდებულებაც თავისი სამშობლოსადმი. სტუდენტმა ილიამ უსიტყვოდ დატოვა ქვეყანა, მაგრამ ჩამოსულმა გრძელი სიტყვა თქვა, გრძელი და ჭეშმარიტი.

როდესაც ადამიანი არის ისეთი დიდი, როგორიც ილია ჭავჭავაძეა, ბევრს საუბრობენ მასზე: ცუდს, კარგს. წერენ, იხსენებენ, ბაძავენ... საზოგადოება მეტად გიყურებს, მეტად გაკვირდება და კიდევ უფრო მეტად შურს შენი, როცა იცის რას წარმოადგენ, იცის რომ მასზე მეტი ხარ.

როდესაც ერის საქმეში დგები, კარგად უნდა გქონდეს გაცნობიერებული, რომ გეყოლება მტრები, ცრუ მეგობრები. არაკეთილისმსურველნი.

ეს ნათლად ჩანს როსტომ ჩხეიძის ,,ეკლიან და პატარა გზაში."

აღსანიშნავია ნოე ჟორდანიას სიტყვები ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. თითოეული ადამიანი არის ინდივიდუალური, გააჩნია განსხვავებული მოსაზრებები, მისწრაფებები, სურვილები, ეს ნორმალურია, მაგრამ ქვეყნის წინააღმდეგ თუ არის ეს ყველაფერი მიმართული – დაუშვებელია. ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრენი რუსული სოციალ-დემოკრატიის გავლენის ქვეშ იყვნენ. ისტორიაში ნათქვამია, რომ ამის მიუხედავად, ისინი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებელი ქართული ორგანიზაცია. ნოე ჟორდანია რევოლუციის მომხრეა – მერე რა, რომ რევოლუციას უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან?! მისთვის ეს არაფერს ნიშნავს. საფრანგეთის რევოლუციამ ქიმიკოსი ლავუაზიეც კი შეიწირა და ჩვენთვის, ქართველებისთვის რა გახდა ეს ერთი ილია?! – აი, ეს აზრი დევს ნოე ჟორდანიას სიტყვებში. მე კი უბრალოდ ვიტყოდი, რომ ის ძალიან, ძალიან ცდებოდა. ვაი, რომ ყველას არ გვაქვს ძალა ჩვენი შეცდომების დანახვისა. ,,ილია მიყვარს როგორც პოეტი და ბელეტრისტი, მაგრამ ვებრძვი როგორც პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს!" – ამბობს ჟორდანია. დაე, ებრძოლოს, მაგრამ, ბრძოლაშიც კი კაცმა არ უნდა დაკარგოს პატიოსნება, სამართლიანობა. ან დამარცხდები, ან გაიმარჯვებ – რჩეულს ორივეს ღირსეულად მიღება უნდა შეეძლოს. ვფიქრობ, ნოე ჟორდანია ილიასთან ყოველთვის დამარცხებული იყო, თავად ამბობს: ,,ხალხმა ყველაფერი იცის, ხალხს ვერაფერს გამოაპარებ!" – მართლაც, ასეა, ამიტომაცაა, რომ თანამედროვე მართლმადიდებლური საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერში შეგვიძლია შევიდეთ და სანთელი დავანთოთ წმ. ილია მართლის ხატის წინაშე. ხალხი მართლაც რომ ბრძენია...

ნიკო ხიზანიშვილის სიკვდილმა ვერაფერი დაატყო ილიას კალამს, იგი ღირსეულად აგრძელებდა თავის საქმეს. მერე რა, რომ სიკვდილის დღეს გული ცუდს უგრძნობდა, მაინც არ ჩქარობდა, მაინც გააჩერა ეტლი თავის საყვარელ წყაროსთან, ორმოცი წუთის მერე დაბრუნდა ეტლში. ილიამ კარგად იცოდა სიკვდილ-სიცოცხლის თეორია, სიცოცხლე ხომ საფუძველია იმისა, რომ მოკვდე, ამისთვის ის მზად იყო. მთავარი ხომ აღასრულა, თავისი სიტყვა თქვა ისე, რომ დღემდე ქართველი ხალხი მისი მცნებებით ცხოვრობს.

საბედნიეროდ, ილიას ეპოქაშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ასე თუ ისე გვერდით ედგნენ მას. მიუხედავად პატარ-პატარა კონფლიქტებისა, მათ სწამდათ ილიასი და იცოდნენ, რომ იგი საქართველოსთვის ცოცხლობდა. ილიამ პირობა ,,სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებას..." სრულყოფილად აასრულა. საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, რომ უცხოთათვის არ მიეცა ნება ქვეყნის სულიერების აღმოფხვრისა და ამას დღემდე განაგრძობს მის მიერ დატოვებული შემოქმედებით.

ნათია ფურცელაძე

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის მიმართულების II კურსის (IV სემესტრის) მაგისტრანტი)

1.

ადამიანი, რომელიც მხოლოდ „მოვალეობის მოხდის მიზნით“ აკეთებს საქმეს, შინაგანად ცარიელია, მისი ცხოვრება კი — უშინაარსო და უინტერესო. როცა გიყვარს შენი საქმე, მთელ სულსა და გულს დებ მასში, მაშინ პასუხისმგებლობაც მეტი გაქვს, მაგრამ პასუხისმგებლობა არ არის ის თვისება, რომელსაც შეიძენ ან ისწავლი. იგი ნიჭია ერთგვარი.

ექიმი ჰაუსი — უაღრესად საინტერესო ტიპაჟი. შეიძლება ითქვას, რომ იშვიათად იბადებიან მისნაირი ადამიანები. იგი ექიმია, მაგრამ არა — ყველასნაირი, არამედ — გამორჩეული. თითოეული ექიმი ხომ დებს „ჰიპოკრატეს ფიცს“ და მათი მთავარი მიზანი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაა. მაშ რა განასხვავებს ჰაუსს დანარჩენი ექიმებისგან? ის, რომ სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად მზადაა დათრგუნოს საკუთარი „მე“!

ექიმობა არ არის მხოლოდ მოვალეობა. ის უდიდეს პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული და ეს კარგად აქვს შეგნებული ჰაუსს (უფრო სწორად — შესისხლხორცებული), განსხვავებით თავისი კოლეგებისგან.

წყდება ცნობილი მუსიკოსის, ჯონ ჰენრის, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. იგი უარს ამბობს რეანიმაციაზე და ამას ხელმოწერით ადასტურებს. კანონის თანახმად, ცუდად გახდომის შემთხვევაში ექიმებმა მას მშვიდად სიკვდილის უფლება უნდა მისცენ. ასეც მოხდება. ექიმი ფორმანი ამჯობინებს, დაიცვას იურიდიული, მაგრამ დაარღვიოს მორალური კანონი. რა გამოდის? რომ მისთვის ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა ყოფილა მხოლოდ პროფესიული მოვალეობა, რომელსაც ხან შეასრულებ, ხან — არა.

სრულიად განსხვავებულია ექიმ ჰაუსის ხედვა. იგი მზადაა გახდეს კანონდამრღვევი, წავიდეს ციხეშიც, ოღონდ გადაარჩინოს ავადმყოფის სიცოცხლე (ამ უკანასკნელის სურვილის მიუხედავად) და ასეც იქცევა. ჰაუსის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი თავისუფალია, არ ცხოვრობს ჩარჩოებით და სიამოვნებს საკუთარი საქმე.

ჰაუსსაც ხომ შეეძლო მშვიდად შეჰგუებოდა პაციენტის სიკვდილს და ამ შემთხვევაში კანონიც მის მხარეს იქნებოდა. არც არავინ მოსთხოვდა პასუხს. მაგრამ არა! რატომ?.. იმიტომ, რომ ჰაუსი გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარი თავის წინაშე. აი, ეს არის სწორედ დასაფასებელი.

შესაძლოა, ადამიანი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს საქმეს იმიტომ, რომ ეს დაავალა ხელმძღვანელმა, დირექტორმა, მშობელმა, მასწავლებელმა და ა. შ. მაგრამ, ჩემი აზრით, როცა არავინ გავალებს, საკუთარი სინდისის წინაშე გრძნობ პასუხისმგებლობას და ისე აკეთებ, მაშინ ხარ ყველაზე ძლიერი...

2.

დათო ტურაშვილის ტელემოთხრობა „გურჯი-ხათუნი“ რომ ვნახე, მაშინვე ეს განცდა დამეუფლა — რამხელა პასუხისმგებლობა გვაკისრია, როცა ვატარებთ ქართველი ქალის სახელს, ვართ იმ ქვეყნის შვილნი, რომელშიც გურჯი ხათუნი დაიბადა.

ცამეტი წლის ასულს, რომელიც ყველამ გაწირა, საკუთარმა დედამაც კი სელჩუკთა სულთნის ცოლად გაიმეტა, წამითაც არ დავიწყნია ის უდიდესი პასუხისმგებლობა, ქართველობა რომ აკისრებდა.

ვინ იცის, როგორ ტკიოდა სული თამარს, იქნებ მის ადგილას სხვას ბოღმაც კი ჩაედო გულში, ასე როგორ მომექცნენო, მაგრამ არა! იგი საქართველოს სიყვარულით ცხოვრობდა.

ეს საიდან იცითო, შეიძლება იკითხოს ვინმემ...

საიდან? იქიდან, რომ ქართველისთვის ქრისტიანობა და ეროვნულობა განუყოფელი იყო ოდითგანვე. საქართველოსადმი უდიდესი სიყვარული ჩანს სწორედ იქიდან, რომ თავის უძვირფასეს მოძღვარს, ჯელალ ედ-დინ რუმს, გურჯმა-ხათუნმა განსაკუთრებული სიყვარულის ნიშნად ისეთი თურბე აუგო, ქართულ ეკლესიას რომ მიაგავდა. სულთნის სასახლეზე გამოსახული ბოლნური ჯვარი და იჰლარას ხეობაში, სოფელ ბელისირმასთან, წმ. გიორგის ტაძარიც ხომ მის სახელს უკავშირდება. აი, სად ჩანს სელჩუკთა დედოფლის პატარა სამშობლო (ან იქნებ ყველაზე დიდიც).

გურჯ-ხათუნს არავინ ავალებდა თუნდაც იმას, რომ სელჩუკთა იმპერიაში ქართული გუმბათი გაეცოცხლებინა, ან ბოლნური ჯვარი უკვდავეყო. იგი გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას უფლისა და ქართველობის წინაშე და ამიტომაც იქცეოდა ასე. შემთხვევით არც ის ლეგენდა გაჩნდებოდა, სელჩუკთა დედოფალი სიცოცხლის ბოლოს საქართველოში დაბრუნდაო.

უმიზეზოდ არ დაარქმევდა ასტროლოგი ბიბი მუნაჯიმე ვარსკვლავს გურჯი ხათუნის სახელს. გურჯი-ხათუნი იმიტომ არის ასე დიდი პიროვნება, რომ იგი ღირსეული დედოფალიც იყო და ქართველი ქალის სახელიც ღირსეულად ატარა.

სიმბოლური და დამაფიქრებელია ის სიტყვები, რომლითაც დათო ტურაშვილი ტელემოთხრობას ამთავრებს: გურჯი-ხათუნის „ვარსკვლავი, გადმოცემის თანახმად, ადრე უფრო დიდი და კაშკაშა იყო, ახლა კი ძნელად შესამჩნევად, ოდნავ თუ ციმციმებს. უცხო ქვეყნის სახელოვანი ქართველი დედოფლის, გურჯი-ხათუნის, ვარსკვლავი, იმედია, მაინც არ ჩაქრება, როგორც ერთი ქართველი ქალის ლამაზი ისტორია“.

ხომ არ ვეძებოთ ვარსკვლავის გამკრთალების მიზეზი საკუთარ თავში? იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ, რამხელა პასუხისმგებლობაა, ვიყოთ იმ ქვეყნის შვილები, რომელშიც გურჯი-ხათუნი დაიბადა...

3.

წერა ზოგისთვის მოვალეობაა, ზოგისთვის — დიდი პასუხისმგებლობა. ერთნი მართლაც „რაღაცისთვის“ წერენ, მაგრამ მწერლობა ხომ არ არის მხოლოდ წერა. სიტყვის შემოქმედს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია მკითხველის წინაშე. მან მხატვრულად უნდა ასახოს სინამდვილე და ისე მოიტანოს საკუთარი სათქმელი ჩვენამდე.

ვიქნები გულწრფელი. პირველად რომ წავიკითხე როსტომ ჩხეიძის „ეკლიანი და პატარა გზა“, თითქოს ვერ გავიგე, ვერ ჩავწვდი ავტორის სათქმელს. თუმცა ერთმა კი დამაფიქრა — შემთხვევით არ იყო ილია ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ადამიანი, რომელიც „სიყრმიდანვე ქართლის ბედმა აიყოლია“.

მეორედაც გადავიკითხე, ოღონდ — სხვა თვალით.

„ეკლიანი და პატარა გზის“ მოქმედი პირები XIX-XX საუკუნის შვილები არიან. ბევრს ფიქრობენ ისინი სამშობლოზე, ილიაზე, წინამურზე (იმ წინამურზე, სადაც „დიდი ეპოქა გათავდა“). ერთი შეხედვით ისინი თავიანთ ეპოქას აფასებენ. ჩემი აზრით, პერსონაჟთა მიერ თქმული არ მიემართება მხოლოდ ჩვენს წარსულს, მგონია, ნაწარმოების ავტორი ამით ჩვენს თანამედროვეობაზეც მიგვანიშნებს. მას აწუხებს დღევანდელი დღე, ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა.

ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს არც გრიგოლ რობაქიძის სიზმარი („ანგელოსი მაშინ ვიხილე, გაღვიძებისთანავე ცრემლი რომ მოვიწურე, რადგანაც გული უცნაური ძალით მიცემდა და ვერც აბურდული ფიქრი მატყობინებდა რაიმე სანუგეშოს“) და არც ივანე მაჩაბლის მონოლოგი, განსაკუთრებით ბოლო სიმბოლური ფრაზა „ჰამლეტიდან“ — „ცუდი, ძალიან ცუდი ამბებია მოსალოდნელი დანიის სამეფოში“.

ყურადღებამისაქცევია ნოე ჟორდანიას მონოლოგის დასასრული. მართალია, ამ მონაკვეთის წაკითხვა უარყოფით ემოციას იწვევს მკითხველში (კონტექსტიდან გამომდინარე), მაგრამ საინტერესოა ის ასოციაცია, რომელსაც ეს სიტყვები აღძრავს, თუ ჩვენს დღევანდელობას მოვარგებთ — „ხალხმა ყველაფერი იცის, ვერაფერს გამოაპარებ და განაჩენიც მასვე გამოაქვს. ამ განაჩენს ვერავინ შეცვლის. ისტორია? ისტორიაც ეს არის... ისტორიის მამოძრავებელი ძალა ხალხია და არა ცალკეული პიროვნებანი, მითუმეტეს, ბნელეთში თუ ჩარჩენილან.

ხალხი ბრძენია.

უსამართლოდ არაფერს გადაწყვეტს...

ხალხმა ყველაფერი იცის.

ხალხს ვერაფერს გამოაპარებ.

ხალხი...“

ამდენი მაგალითის მოყვანა იმისთვის დამჭირდა, რათა დასაწყისში დასმული საკითხი ლოგიკურად გამეგრძელებინა. ამ შემთხვევაში ჩემთვის მწერლის პოზიციაა მნიშვნელოვანი. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ავტორს „რაღაც“ ტკივა და ეს „რაღაც“ სამშობლოა. მწერალი პასუხისმგებლობას გრძნობს ქვეყნის, ქართველებისა და საკუთარი თავის წინაშეც. რომ არა პასუხისმგებლობის დიდი განცდა, ალბათ, ძნელი იქნებოდა ამგვარი ნაწარმოების შექმნა და, რაც მთავარია, სათქმელის ჩვენამდე მოტანა.

და შემდეგ?

გამგები ხომ ამ სათქმელს (მწერლის სათქმელს ვგულისხმობ) ყოველთვის გაიგებს.

„მძივი“, როგორც ცხოვრება

ღია ბარათი კოტე კაკიტაძეს

კოტე! დღეს ვახტანგმა პატარა წიგნი მოიტანა და მაგიდაზე დადო. შევათვალიერე, გარეგნულადაც მესიმპათიური; როცა ავტორი შევიცანი, გავოცდი: — რა, კოტე ლექსებს წერს? — ვკითხე. მარტო ჩემთვის კი არა, როგორც შევიტყვე, ეს ყველასთვის აღმოჩენა ყოფილა.

უნდა გამოვტყდე, პოეზია ძალიან მიყვარს. მიყვარს ნაღდი ლექსი, სუფთა და ნედლი.

წიგნი გადავფურცლე და პირველ ჯერზე შერჩევით ჩავიკითხე. გულწრფელად გეუბნები, მათში ნაჯახირალი, ნაცოდვილარი, თითიდან გამოწოვილიო რომ იტყვიან, ბნკარიც კი ვერსად აღმოვაჩინე. მერე მივუბრუნდი და ხელახლა სათითაოდ ჩავმარცვლე. არ იფიქრო, რომელიმეს დავდე წუნი, მაგრამ „მძივი“ ჩემთვის აღმოჩენა იყო. ახლა უკვე ზეპირად ვიცი და მინდა აქაც გავიმეორო:

ძუა-თვალი: ძუა-ქვა; შეკრბა, მძივი დაირქვა,
აყელყელდა, აყოჩდა, ჯავრი გულზე იყარა.
მერე გაწყდა, ძარღვიან პეშვზე ჩამოიყარა...
აღარც ძუა, აღარც ქვა, აღარც თვალი გიშერის...
მოწყენილი მეძახის უმძივებო კისერი.

მახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“... „სამი წელი — სამჯერ გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი, სამჯერ ჭორფლი და მჟავე კიტრი...“ ეს ფეხმძიმე ქალის სწორუპოვარი პორტრეტია, „მძივში“ კი — სულ რამდენიმე სტრიქონში — ადამიანის მთელი ცხოვრებაა სრულქმნილი.

ექვსი წელია, რაც ჟურნალმა „დროშამ“ არსებობა შეწყვიტა, კალამი ხელში აღარ ამიღია. კადნიერებად ნუ ჩამითვლი, და-ძმურად გთხოვ, არ შეჩერდე. დაე, ეს პატარა ლექსების კრებული იყოს შენი პოეტური გზის დასაწყისი... გოეთემ „ფაუსტი“ 80 წლისამ დაწერა, შენ კი შენი „სვეტიცხოვლის“ საძირკველი უკვე ჩაყრილი გაქვს...

ნუნუ კუპრეიშვილი

P.S. ახლა რომ რედაქციაში ვმუშაობდე, ჟურნალის ფურცლებს სიამოვნებით დავუთმობდი „წვიმის შემოქმედებას“ და თან ამ ჩემს მოკრძალებულ მინაწერსაც წარვუმძღვარებდი.

მარინე ტურავა

შინაგანი სიტყვა

ზაზა ბიბილაშვილის „წელიწადი, როგორც ერთი დღე“

პოეტი ყოველთვის, ყველა დროსა და ეპოქაში მარტოსულია, ვერასოდეს პოულობს საკუთარ „საბრძანებელს“ და „საგანდეგილოს“. მას მუდმივად საკუთარი თავი „ითრევს“, საკუთარ გრძნობებს დაკირკიტებს, აანალიზებს, სჩხრეკს. ზაზა ბიბილაშვილის პოეზიისათვის ნიშნეულია თვითანალიზი, ფიქრი, აქ გრძნობა და გონება, ცნობიერი და არაცნობიერი ერთმანეთს ხელს არ უშლის, პირიქით, ჰარმონიაშია. *„იმდენს ვფიქრობდი, ვეღარ ვიცხოვრე“, „იმდენს ვფიქრობდი, ვეღარ ვიცხოვრე, ვერც მოვიფიქრე“,* — ვეღარ იცხოვრა, რადგან ფიქრობდა, ე.ი. წერდა, წერდა ანუ არ იყო მიწაზე, მაგრამ თავისი ნაფიქრით ანუ პოეზიით მეტს ელოდება, მეტი უნდა, სულ ძიებაშია.

დღიურების სახით დაწერილი პოეტის განცდები ზოგჯერ თითო სტრიქონში ეტევა, მაგრამ მეტყველი და მრავლისმთქმელია, ავტორივით შესაგრძნობი უფრაა, ვიდრე თვალშისაცემი — *„მეც განა ვჩანვარ? — მხოლოდ ვიგრძნობი!“* ამ დღიურებში ბევრი დარდია. სევდა უფრო ინტიმურია, ვიდრე სიხარული, პოეტი ნაღვლიანია, დარდს მოუცავს — *„განა არ ვიცი? — ამოდის კიდეც. მეც ეგ არ მიკვირს? — სულ ჩასვლაზე რად მეწერება?“* ეს თავისთავად ხდება, პოზირების, თამაშის გარეშე, ბევრი მცდელობის მიუხედავად, სხვანაირად არ ეწერება, ბოლომდე თვითონაც არ აქვს გაცნობიერებული, ასე რატომ ხდება.

აზრი ნათელია, გამჭვირვალე, არ არის დამძიმებული ხელოვნური წიაღსვლებით, ქვეტექსტებით. მარტივი ფრაზებით ჩვენ თვალწინ ზაზა ბიბილაშვილის ღრმა, საინტერესო, რთული პოეტური სამყარო იხატება. მარტივად რთულის გადმოცემას კი ოსტატობა სჭირდება.

ეს ციკლი მისი სულის მატიანეა, ასე ცხოვრობს მთელი წელიწადი, „როგორც ერთი დღე“, დღიურს დღიური ემატება, განცდას განცდა. ზოგჯერ „თითქმის არ არის“, ზოგჯერ ყოფნასა და არყოფნას შორის აღმოჩენილი ირონიას უხმობს საშველად — *„სასაცილოა თავიც და ბოლოც. შუა — ყველაზე სასაცილოა.“* ამის მიუხედავად, მაინც აგრძელებს ცხოვრებას, *„ასეა, როცა სიკვდილის ცოტათი მაინც უფრო მეტად გეშინია, ვიდრე სიცოცხლის.“* უარს ამბობს თვითმკვლელობაზე — *„არც ეგ გამოდის გამოსავალი. აბა, მეორედ რომ დაგჭირდეს, რაღას მოიკლავ?“* ზოგჯერ ეს უარი მორიგ ირონიაში გადაიზრდება — *„უჟმური დღეა, აფსუს, რა დროს გაგხსენი, ყულფო!“*

არქეტიპული მეხსიერება კარნახობს პოეტს, რომ იარაღის ჟღარუნში ჩუმად უნდა იყოს, მაგრამ ნატყვიარი არ ასვენებს — *„ჩუმად ვარ, ჩუმად. ქვეყნის ქარები თუ წივიან ნატყვიარებში.“* ნატყვიარი მისი სულია და არა სხეული, იარაღის ჟღარუნიც ფიზიკურს კი არა, სულიერ საფრთხეს გულისხმობს.

პოეტებს სხვანაირად უყვართ, თუმცა ეს სხვანაირი ხშირად ძველის განმეორებას, ფერშეცვლას, რემინისცენციას მაინც გულისხმობს, რადგან ამაზე იმდენი თქმულა, იმდენი დაწერილა, ძნელია იყო ორიგინალური, გამორჩეული. *„შენი თვალები? ხერხემალში გადამამტვრევდა. გამომშაშრავდა შენი ტანი, როგორც უდაბნო. ეს — უშენობა — არა მკლავდეს, რა იქნებოდა!“* არა მარტო შეგრძნებების სიმძაფრით, მოულოდნელი ესთეტიკითაც საინტერესოა.

„განა მომწონს, რომ მგონია, რომ არა ხარ, სულ არ მომწონს, რომ მგონია, რომ არა ხარ. კიდევ უფრო ის არ მომწონს, რომ არა ხარ,“ — წინა ფრაზასავით ორიგინალურად, გამორჩეულად ვითარდება ეს ფრაზაც, თითქოს კადრი კადრს მიყვება...

„ჩვენი სიყვარული ზღაპარს ჰგავდა — უმრავლესობას — ათასერთის კი არა და — ერთი ღამისას,“ პოეტს კი ზღაპრების არ სჯერა, არ სჯერა, რადგან ეგეთი დიდი სიყვარული ოცნების სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე რეალობას, ამიტომაც მისი სიყვარული ცალმხრივია, უიმედო, და მას გულგრილობა, სულერთიას შეგრძნება უპირისპირდება. დასასრულიც ლოგიკურია – *„ჩვენ გავიყარეთ, მე და შენ გავხდით.“*

პოეტი მაინც აგრძელებს თავისი გზით სიარულს, გაუცხოების არ ეშინია, არც მარტოობის — *„რატომ კვდებიო გ ზაჯავრედინზე? იქით ბილიკიც კი არ მიდის, მე რომ მოვდივარ.“*

ზოგჯერ ამბებს გვიყვება, ორიგინალურად, საინტერესოდ: გვიყვება, როგორი მარტოსულია თავყრილობებზე, როგორ ვერ გაუძლო უმიჯნურობას, როგორია ფანტასტიკური სიყვარულის ნამდვილი მსხვერპლი. *„ჰოი, ძალაო, ხეჯიუტის ამომზიდავო უდაბნოთა ბერწი მიწიდან... ჰოი და ჰოი, თავნება ხეო, მზის ცხელ უბეში იმისათვის თავამორგულო, რომ ჯამით ჯამამდე მომთაბარე აქლემებმა გაისველონ მყრალი კბილები, და სხვებზე ზრდილმა ბედუინმა ნაკვები გვამი შენ ტოტებქვეშ შეიმსუბუქოს“* — პოეტს საჭირო სიტყვები ამოაქვს ენის გამოულევი წიაღიდან და მკითხველს თვალწინ ულაგებს არა გასაწვალებლად, არამედ სიტყვით ტკბობისათვის, მის ნამდვილ არსთან საზიარებლად.

ზაზა ბიბილაშვილის ლექსებიდან „განდევნილია ცრუპენტელა რითმა“, რადგან „პოეტური სიმართლე რითმებში არ გამოიპრანჭოს“, აზრი „არავითარ ზომაში არ არის ჩაჭედილი“, გამოცხადებულია „ვითარცა შინაგანი სიტყვა“ (გრიგოლ რობაქიძე), თუმცა მაინც არის რიტმულობა, მუსიკალურობა, ესთეტიკა, ერთგვარი ღვედი, რომელიც კრავს და აერთიანებს. ამგვარი ლექსის ტრფიალება გემოვნების საკითხია, ბევრისთვის ლექსი რითმა და რიტმიკაა, კლასიკური საზომის ერთგულებაა, მიუხედავად ამისა, ეს ნამდვილი პოეზიაა, გამოკვეთილი ფერით, გემოთი, სათქმელით, პოზიციით, დიდი პოტენციით.

...რათა ტრაგედია აღარ განმეორდეს

ფოტოგამოფენა საბჭოთა რეპრესიების ისტორიიდან

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში 18 მაისს უჩვეულო და მეტად საინტერესო გამოფენა გაიხსნა — **„საბჭოთა რეპრესიები და ქართული ფოლკლორი“.** უსასტიკესი რეჟიმით გამოწვეული ტკივილი ჯერ არ განელებულა, თუმც ახალი თაობისთვის ტოტალიტარული მმართველობის ხანა უკვე შორეული წარსულია. ექსპოზიციას ორი მოზრდილი დარბაზი უჭირავს. კედლებიდან შემოგვცქერიან უსამართლოდ დასჯილნი, ერის, მამულის სიყვარულისთვის გადასახლებულ-დახვრეტილები: ფოლკლორისტები, ლოტბარები, ქორეოგრაფები, მკვლევარები, პოეტები, მსახიობები...

ტომას ვულფი და გიორგი უშიკიშვილი

ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელს, გიორგი უშიკიშვილს თავისი საწინაო საქმეებით კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება. ამ გამოფენის მოწყობაში მას მხარში ედგნენ და დიდად შეეწეოდნენ აღიარებული ფოლკლორისტები ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული, ცენტრის თანამშრომლები: ნუნუ შველიძე, უჩა დვალიშვილი, ნანა კალანდაძე და სხვები. ერთობლივი თავდაუზოგავი შრომით გახდა შესაძლებელი არქივებსა და კერძო კოლექციებში ფოტოების, ხელნაწერების, სხვადასხვა ნივთის მოძიება. დამთვალიერებლის ყურადღებას სხვა ექსპონატებთან ერთად დიდი მეცნიერის, ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ შექმნილი სამი ქანდაკებაც იპყრობს. კედლებზე გაკრულია საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებები და იმავე სულისკვეთების გამომხატველი ლექსები: „ძირს რელიგია და სამღვდელოება!“ „ვაშა გ. პ. უ.“, „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას“... მსგავს ლოზუნგებთან კონტრასტს ქმნის სტალინის მასწავლებლის, ვასილ კარბელაშვილის წერილი ყოფილი მოსწავლისადმი: „კიდევ გთხოვ, რომ ეკლესიებისა და სარწმუნოების დევნას თავი ანებონ და ლმობიერება გამოიჩინონ“. პასუხად — დახვრეტა.

ღრმა სევდის გამომხატველი და ამავე დროს ნათელი მზერით შემოგვცქერიან ლევან რაზიკაშვილი, მიხა ხელაშვილი, ადამ ბობღიაშვილი, არჩილ კიტოშვილი, დავით კავსაძე... ყველას ვერ ჩამოთვლი. ქართული ჯიშის, ქართული გენის, განათლების, გონიერების, ზნეობის სიმბოლოდ, ნიმუშად გამოდგება თითოეული. შთამომავლობამ უნდა იცოდეს, როგორი წინაპრები ჰყავდა. მომავალ თაობას ორიენტირი რომ არ აერიოს, აუცილებლად უნდა ნახოს ეს გამოფენა.

გახსნაზე გიორგი უშიკიშვილმა აღნიშნა, რომ ამ სახით ასეთი ექსპოზიცია აქამდე არასოდეს წარმოუდგენიათ. ეს პირველი გამოფენაა, სადაც ერთადაა თავმოყრილი ყველა იმ ადამიანის ფოტო, რომლებიც იდევნებოდნენ ქართული სიმღერის, გალობის, სიტყვის გავრცელებისთვის. მან მსმენელს მოუთხრო ტრაგიკული თავგადასავალი დავით კასრაძისა, რომელიც გერმანიაში ნაცისტების მიერ დახვრეტას გადაურჩა იმით, რომ თან აღმოაჩნდა ცოლ-შვილის ფოტო, რომლითაც გერმანელები მოიხიბლნენ. მაგრამ ვერ გადაურჩა საბჭოთა ხელისუფლებას, დახვრიტეს სოჭში ბოლშევიკებმა. თბილისში ფოლკლორის ცენტრი თურმე ვახტანგ კოტეტიშვილმა დააფუძნა. დღევანდელი ცენტრი ცდილობს, განაგრძოს ძველი ტრადიციები. ბატონმა გიორგიმ გამოთქვა რწმენა, რომ ამ გამოფენას აუცილებლად ნახავენ მოსწავლეები და მათ სულიერ ფორმირებაზე ეს ექსპონატებიც მოახდენს სასიკეთო გავლენას.

როსტომ ჩხეიძემ დიდი ტრაგედიის ანარეკლი უწოდა იმდღევანდელ გამოფენას. ყალბი ისტორიის წილ უნდა შეიქმნას ნამდვილი ისტორია. წარსულისთვის კი წვრილმანი არ არსებობს, რადგან წვრილმანებში აირეკლა უსაზარლესი სამყარო. თითოეული ფოტოს უკან თითო რომანი დგას. უფრო მძიმე რეალობა წარმოუდგენელია, მაგრამ სწორედ მათ, იმ ეპოქის შვილებმა შეინარჩუნეს სულიერება და მოიტანეს დღემდე. ეს სურათები არ უნდა დარჩეს კედლებზე, უნდა გამოიცეს ფოტოალბომი, როგორც ფოტორომანი, — დაასრულა ბატონმა როსტომმა.

ზაალ სამადაშვილისთვის, რომელმაც ძალიან კარგად იცის იმ ტრაგიკული ეპოქის შესახებ ბევრი რამ, გამოფენაზე მაინც აღმოჩნდა რამდენიმე სიახლე. საბჭოთა რეჟიმს მან შემზარავი, ყოველგვარი თავისუფლების მტერი უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ იმ ეპოქას არასოდეს დავუბრუნდებით.

საზოგადოებას მიმართა რეპრესირებული ოჯახის შთამომავალმა, ელენე ვირსალაძის შვილმა, **მანანა ხიდაშელმა**. მისი ოჯახი — დედა, დეიდა, ბიძა — ნიმუშია იმისა, როგორ იდევნებოდა, ითრგუნებოდა მოაზროვნე და ზნემაღალი საზოგადოება ბოლშევიკების მიერ.

ესტონეთის ელჩმა საქართველოში ტომას ვულფმა გაიკვირვა, რომ დარბაზი გადავსებული იყო დამთვალიერებლით. მან ერთმანეთს დაუკავშირა საქართველოსა და ესტონეთში გატარებული რეპრესიები და დაასკვნა: ეს უნდა ნახოს ყველამ, რათა ტრაგედია მომავალში აღარ განმეორდეს.

პირველ დღესვე დავრწმუნდით, რომ ათდღიანი გამოფენა წარმატებით ჩაივლის და მნახველი არ მოაკლდება.

პაატა ჩხეიძე

და სხვა „ალუდა“...

კარგად დაწერა გია მურღულიამ, კარგად განმარტა „ალუდას“ ფიქრები, მაგრამ მე, სხვა „ალუდა“, ცოტა სხვაგვარად ვფიქრობ და მსურს ჩემი ფიქრებიც გაგიზიაროთ.

ადამიანებს მტრები იმიტომ ჰყავთ, რომ ადამიანები არიან, მტრობა ადამიანური თვისებაა. ადამიანს მტერი ჰყავს შიგნით, საკუთარ თავში, და გარეთ; მაგრამ ჩვენთან, „ალუდა ქეთელაურში“, ხომ ჯერ კონკრეტული, ხევსურულ-ქისტური მტრობაა დახატული და მერე ეძლევა განზოგადება. აბა, თუ კონკრეტულიდან არ დავიწყეთ, ისე როგორ განვაზოგადებთ?!

ხევსურებს მტრები გვყავს: ქისტები, ლეკები და სხვა მთიელები; იმიტომ, რომ საზღვარზე ვართ და სასაზღვრო ცხოვრებით ვცხოვრობთ; თავს გვესხმიან, გვხოცენ, გვტაცებენ, თავს ვიცავთ, ქონებას ვიცავთ, ხან დავასწრებთ და ჩვენ ვესხმით თავს, ვტაცებთ, ვხოცავთ, საქონელს გამოვირეკავთ.

საზღვარზე ვცხოვრობთ, საზღვარს ვიცავთ, ბატკნები კი არა ვართ, მგლები ვართ და მგლის ლეკვები. მგელმა მტრობა იცის იმიტომ, რომ მგელია. მტრები გვყავს იმიტომ, რომ მტრობა ვიცით, იმიტომ, რომ არ ვეპუებით, ფერს არ ვიცვლით, რჯულს არ ვიცვლით, ქართველობას არა ვთმობთ და არა გვსურს, სხვად ვიქცეთ; და ყოველივე ამას რომ კარგად ვახერხებთ, კარგად რომ ვიცავთ თავსა და ქვეყანას, კარგი ვაჟები რომ ვართ, იმიტომა გვყავს მტრები.

განა მშვიდობის ფასი არ ვიცით? — ვიცით, მაგრამ ასეთი ყოფა გვერგო, ასეთი მოვალეობა დაგვკისრებია და რა ვქნათ? განა ის არ ვიცით, რომ ჩვენსა და ქისტებს შორის მორიგება სჯობს? — ვიცით, მოვრიგებულვართ კიდეც და „ალუდა ქეთელაურშიც“ ხომ თითქმის მოვრიგდით, მაგრამ ხევისბერობის სკამს გამოკიდებულმა ბერდიამ ჩაშალა ყველაფერი.

არა, თავი არასოდეს მომწონებია, ეგება მხოლოდ ყმაწვილობაში, გონთ რომ არ ვიყავ ჯერ მოსული. თავმოსაწონი რა მაქვს ან მე და ან სხვას; კაცნი ვართ, ცოდვილნი, ნაკლულოვანნი; არც თავი მომწონებია და არც სხვა ვინმე; თავი რომ მომწონებოდა, ჩინსა და წოდებას მოვინდომებდი და მომხრეებს გავიჩენდი; არა, მაგეებს არასოდეს დავყოლივარ.

მუცალი იმიტომ მოვკალი, რომ მტერი იყო. მტერსა და მომხვდურს უნდა შეებრძოლო და შეეცადო მოკლა, თუ არა და ის მოგკლავს და აგიკლებს.

მაგრამ მუცალი შემეცოდა; შემეცოდა იმიტომ, რომ ვაჟკაცი იყო და ეს ბრძოლაში შევიცანი. ეგებ მისი ძმაც ვაჟკაცი იყო, მაგრამ პირველი გასროლით მოვკალი და მისი არაფერი ვიცი; აი, მუცალი კი...

ერთურთის პირისპირ ვიდექით, თოფის სასროლ მანძილზე, არაფერს ვეფარებოდით; აზრადაც არ მომსვლია სანგარში ჩაწოლა, დავეწიე თუ არა, ვესროლე და ერთი მოვკალი; არც მუცალი შემკრთალა და არც იმას უძებნია საფარი; ჯერ იმან მესროლა, სანამ თოფს გავტენდი, და ამაცდინა; მერე მე ვესროლე თავში და ოდნავ დამიცდა, ქუდი გავუხვრიტე; მერე მუცალმა გულში მესროლა და უთუოდ მომკლავდა, საპირისწამლე ქისას რომ არ გადავერჩინე; სროლა ეგრე არ უნდა-მეთქი, და მომდევნე ნასროლით გულის ფიცარი შევუმტვრიე; ეს არაფერი, ბევრისთვის მისვრია და ბევრსაც უსროლია ჩემთვის; მაგრამ იმას, მუცალს, ფერი არ უცვლია, სიკვდილი ვერ მოერია, მომაკვდავმა ნატყვიარში ბალახი ჩაიტენა და კიდევ მესროლა, რჯულიც კიდევ ერთხელ მიხსენა.

კარგი ყმა იყო, კარგი ვაჟკაცი! ჰო, თოფი გადმომიგდო სიკვდილის წინ, ისედაც ჩემი ნადავლი, მაგრამ თვითონ გადმომიგდო, იმიტომ კი არა, რომ მოვეწონე და მოყვრად გამიხდა, არაა! რომ შესძლებოდა, ტყვიით დამხვრეტდა, ხანჯლით ამკუწავდა; თოფი იმიტომ გადმომიგდო, რომ გამარჯვებულად, უკეთეს მებრძოლად მაღიარა და ისურვა, რომ უკეთეს მსროლელს ჰქონოდა მისი სანაქებო თოფი.

მტრები ვიყავით და მტრებად დავრჩით, ის მკვდარი და მე ცოცხალი; რომ გაცოცხლდეს, კვლავ მოვკლავ, ისიც ჩემს მოკვლას შეეცდება, მაგრამ ვაჟკაცი იყო და შემებრალა, თვალზე ცრემლი მომადგა, არც მარჯვენა მოვჭერი და არც იარაღი ავყარე; ვიფიქრე და ჩავთვალე, რომ ასე სჯობდა.

ქველობა უნდა დაფასდეს, ეს წინაპართა ნაანდერძევია და უნდა გვახსოვდეს. მუცალის ძმას იარაღი ავყარე, მარჯვენა მოვჭერი და წამოვედი. მე, ალუდა ქეთელაურს, წესი არ დამირღვევია და წინაპართა ანდერძი არ დამვიწყებია. მაშ მკლავი თუ არ მოსჭერი, როგორ უნდა გამოირჩე სხვებისაგან? როგორ განასხვავოს თემმა კარგი ყმა და უნდილი? ეგრე ხომ ყბედები დასჯდებიან საფიხვნოს თავში. სადა გვყავს მემატიანე, რომ ჩვენი გმირობა აღწეროს, მარტო ლექსის იმედად ხომ არ დავრჩებით, საბუთი ხომ უნდა გვქონდეს, რათა გაირჩეს კარგი და ავი, რათა ყველანი არ გავთანასწორდეთ.

აი, მუცალის მკლავი კი არ მინდოდა, ცოდვა იყო, დაე დააკლდეს სახელსა-მეთქი, გადავწყვიტე.

არა, მუცალი ჩემიანი არ ყოფილა, მტერი იყო, ოღონდ ღირსეული მტერი.

ვაჟკაცი, საზღვარზე მცხოვრები, მტერობას ვერ გაექცევა; თვითონაც მოჰკლავს და მასაც მოჰკვლენ, სისხლი თანა სდევს, სისხლში ცხოვრობს, სისხლში დგას და სისხლში წევს. ეგ თქვენ, ქალაქში, სამოქალაქო საზოგადოების აბსტრაქტულ ღირებულებებს გამოდევნებულნი, იგონებთ რაღაც ჰუმანისტურ იდეალებს, მე მაგეებისა არა ვიცი რა.

მაგრამ ჩემი და მუცალის ბრძოლა სხვა იყო; ამას შეეძლო გამოვეფხიზლებინეთ და წინაპართა ანდერძისაკენ მივებრუნებინეთ, ქისტებთან ზავი ჩამოეგდო, ზავი თუ არა, ეგებ პირობა მაინც გვეთქვა და ჭდე დაგვედო; რახანია უსიტყვოდ და გაბოროტებითა ვმტრობთ ერთმანეთსა.

მე ასე ვფიქრობდი. ამიტომაც შევუქე მუცალს ვაჟკაცობა, ცხონებული ვუწოდე და ფულით ნაყიდ ადგილებზე გადავუკარი სიტყვა ხევსურებს. ხევისბერი ბერდია მიმიხვდა, შეეშინდა ძალაუფლებას მართმევსო, და ლაწირაკები მომიგზავნა, ტყუილში დამდეს ბრალი. რა უნდა მეთქვა, გავჩუმდი, იმათ ხომ არ დავყვებოდი, ხელს ხომ არ გავისვრიდი და თემს ხომ არ გავხლეჩდი.

ბედად მინდია გამოჩნდა, გამომესარჩლა და სიმართლის დადგენა იდო თავსა; წავიდა, მუცალს მარჯვენა მოს-

ჭრა და მოიტანა, ჩემთვის კარგი უნდოდა და საქმისთვის ავი გამოუვიდა; ახლა ვიღა გაარჩევს ვაჟკაცსა და ლაჩარს, ქველსა და მდაბალს; ქისტებთან რაღა გვაქვს სათქმელი, ისევ იმათსავით დავქვეითდით.

დავდარდიანდი. ვდარდობდი, რომ კარგი მინდოდა და ვერ გამიგეს, წესი დავიცავი და დარღვევა დამაბრალეს; ვდარდობდი ჩემგან მოკლულ ვაჟკაცს; ავი ფიქრები მომეძალა, ეჭვი შემეპარა გულში, ეშმაკმაც დრო იხელთა და ხელი დამრია, სიზმრებით შემიშფოთა სული; მაგრამ არ გავსტყდი.



ლევან ცუცქირიძე *ალუდა*

მინდიამ რომ მუცალის მარჯვენა მომიტანა, მაშინ ავიმაღლე ხმა და შევუძახე, ვაი ეგეთას სამართალს-მეთქი; ახლა იტყვით, თემის სამართალს გმობსო; არა, სამართლის დარღვევასა ვგმობ, წინაპართა ანდერძისას, რითაც სიქველე და ზნეობა ყველაფერზე მაღლა დგას. არც ჩვენი სახელი და არც ჩვენი სახელო ზნეობაზე მაღლა არ უნდა დავაყენოთ.

მერე კიდევ ერთხელ ვცადე. ხატობას მოზვერი მივიყვანე და მუცალის დამწყალობნება მოვინდომე; რომ არ გამიგონეს, მე თავად მოვსჭერი თავი კურატს. აი, აქ კი მართლა შეშინდა ბერდია, ვერაფერი გაიგო; ეგონა ხევისბერობას ვეცილებოდი და მთელი თემი ამიმხედრა.

რა მინდოდა? რატომ არ გავჩერდი? ზნეობრივი მაგალითის ჩვენება მსურდა, სიქველის ზეობა, მთელს ფშავ-ხევსურეთს რომ მოედებოდა და ქისტებშიც გადააღწევდა; მერე რა მოხდებოდა? — არ ვიცი, მაგრამ მოხდებოდა, ვგრძნობდი.

კიდევ რა მინდოდა? სამართლებრივი პრეცედენტის დამკვიდრება; ჩვენს მამა-პაპათ ეგრე უვლიათ. თემმა ვერ გამიგო, იმიტომ, რომ, თქვენი არ იყოს, დემოკრატიის ბაცილა შეჰპარვოდა, უფლებანი აეყარა და მთელი ძალაუფლება ერთი კაცისათვის გადაებარებინა, უმრავლესობა მის გარშემო შეკრებილიყო და იდგა ის ერთი კაცი, ბერდია, და ყიმყიმებდა.

თემობა რომ ყოფილიყო, სამართალი რომ ყოფილიყო, წინაპართა ანდერძის პატივისცემა შემორჩენილიყო, განა ბერდიას მოგზავნილი ლაწირაკები შემოყეფას გამიბედავდნენ, თავს გამიტოლებდნენ?!

განა მე კი არ შემეძლო მომხრეებისათვის მეხმო, მაგრამ, ვიმეორებ, თემს ვერ გავხლეჩდი, ამბოხს ვერ მოვაწყობდი, ხევსურთა სისხლს ვერ დავღვრიდი.

ისე, კინაღამ დაიღვარა სისხლი; ნასმებმა იარაღი მოიმარჯვეს, მინდია განზე გადგა, ის იყო თავს უნდა დამსხმოდნენ... ერთმა ბალღმა გვიშველა, მუცალის მარჯვენა გაეგდებინებინა ყორანისათვის და სწორედ მაშინ მოიტანა, როცა... დრო იხელთა მინდიამ, წინ წამოდგა, შეახსენა თუ ვინ ვიყავი, შეაჩერა.

მარჯვენა ძაღლს მიუგდეს, ძაღლი ბრალით აღმუვლდა, ბერდია კვლავ შეშფოთდა, არავინ მიხვდესო და — ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო, ჩააგონა მთვრალ ხევსურებს. მეც გადავრჩი და ზოგნი ისინიც.

აკლებით კი ამიკლეს; დიდიხანია თვალი ეჭირა ბერდიას ჩემს ქონებაზე, სათემოდ გამოირეკეთო, ჰყვიროდა; ეჰ, რა თემი, რის თემი, სულაც არ ადარდებს...

გამომაძევეს, როგორც თემის სამართლის დამრღვევი; გამომაძევეს, ჯალაბი წამოვიყვანე და წამოვედი, არც კი ვიცოდი, საით მივდიოდი...

მე კი არა, ბერდიამ და მისმა ამფსონებმა დაარღვიეს კანონი; მე კი არა, ბერდიამ მოაწყო ამბოხი, ბერდია შეეცადა თემის გახლეჩას, სისხლის დაღვრაც ძალიან უნდოდა, უფრო შეაკავშირებდა თავის მომხრეებს...

ვერ გამიგეს? რა ვქნა, ეტყობა, კარგად ვერ ვუთხარი; სხვა უკეთესად ეტყვის; ხალხი ბრძენია, ერთხელაც იქნება მიხვდება, თუ როგორი უნდა იყოს თემი და მისი ზნეობა.

მინდიას მინაწერი: ყველაფერს მართალს ამბობს ალუდა, ოღონდ იმას არ იხსენებს თუ რამდენჯერ გავაფრთხილე, სხვა დრო მოდის, ჯიქურ არაფერი გამოვა, გონიერი მიდგომა უნდა; ეს ყარაყორუმელი აქ ტყუილად არ დაძვრება-მეთქი; ვერაფერი შევასმინე, ვერც ვერაფერი ვუშველე. უბედურება ის არის, რომ თემმა საუკეთესო ვაჟკაცი დაჰკარგა და, აბა, მიდი და ჰკითხე, ნაღვლობენ? ჩირადაც არ მიაჩნიათ; ეგ კიდევ რაა, თემის საფუძვლები ირღვევა და აინუნშიც არ მოსდით, სხვა ვარსკვლავს შესციცინებენ.

ბერდიას მინაწერი: დროის შეგრძნება დაჰკარგეს ამ ბრიყვმა ხევსურებმა, თუ ლაგამი არ ამოსდე და გახედნე, თავს წააგებენ. მომინდომა ალუდამ სიქველე და წინაპართა ანდერძი, ზნეობრივი მაგალითი და სამართლებრივი პრეცედენტი; მომინდომა და როდის, ჩვენს დროში, როცა ყველაფერი ერთ უდიადეს მიზანს უნდა ემორჩილებოდეს. ქისტებთან შერიგებაც მომინდომა, ის კი არ იცის, ქარი საიდანა ჰქრის; ძლივს მიზეზი გაჩნდა ჩხუბისა და კინაღამ ყველაფერი წყალში ჩამიყარა; ეს ყარაყორუმელი კაცი მაინც რა დროულად გამოჩნდა და მირჩია, როგორ მემოქმედა. იაროს ახლა ალუდამ უგზო-უკვლოდ.

* * *

გია მურღულიას „ალუდა“ სხვა იყო, ჩემი „ალუდა“ სხვაა; ორნივ ჩვენს ნაფიქრალს ვამბობთ.

ვაჟას ალუდა ნამდვილია, ის სულ სხვაა, იმას უფრო შორიდან უნდა გამავსცქირათ.

ერიკ-ემანუელ შმიტი

დაუპატიჟებელი სტუმარი

ამჯერად მან ის ნამდვილად მკაფიოდ დაინახა. უცნობმა ქალმა მისაღები ოთახის სიღრმეში გაიარა და, სანამ სამზარეულოს სიბნელეში გაუჩინარდებოდა, გაკვირვებული მზერა მიაპყრო.

ოდილი ორჭოფობამ შეიპყრო: უცნობს ფეხდაფეხ გამოდევნებოდა თუ სასწრაფოდ თავად მოეკურცხლა ბინიდან?

ვინ იყო ეს შემოხიზნული ქალბატონი? ყოველ შემთხვევაში ეს აგერ უკვე მესამე ვიზიტი გახლდათ. წინა შემოჭრები იმდენად ხანმოკლე იყო, რომ ოდილმა ერთი კვალობა ისიც კი გაიფიქრა, ეს ყველაფერი მომეჩვენა და წმინდა წყლის ჩემი წარმოსახვის ნაყოფიაო. ამჯერად ერთმანეთის სწრაფი შეთვალიერებაც კი მოასწრეს. ოდილს ისიც კი მოეჩვენა, დაუპატიჟებელმა სტუმარმა მოულოდნელობისა და გაკვირვებისაგან ყვირილი ძლივს რომ შეიკავა და შიშისგან დაბრეცილი სახით მოქუსლა.

ოდილმა ფიქრი შეწყვიტა და ყვირილით უცნობს კვალში ჩაუდგა:

— შეჩერდით, დაგინახეთ. დამალვას აზრი არ აქვს, აქედან გასასვლელს ვერ იპოვით.

ოდილი ხან ერთ ოთახში შევარდა შურდულივით, ხან მეორეში. ყველაფერი გადააქოთა. სამზარეულო, ტუალეტი და სააბაზანო ოთახიც კი. არსად უცნობის ჭაჭანება არ იყო.

შესამოწმებელი მხოლოდ ტანსაცმლის გარდერობი დარჩა დერეფნის ბოლოში.

— ახლავე გამოდით, თორემ პოლიციას გამოვიძახებ.

ოდილის მუქარას შედეგი არ მოყოლია.

— მითხარით რას აკეთებთ ჩემს სახლში? აქ როგორ შემოძვერით?

ყრუ სიჩუმე.

— კეთილი! მე თქვენ გაგაფრთხილეთ.

უეცრად ოდილის მთელი არსება პანიკამ მოიცვა: რა სურდა უცნობ ქალბატონს? აცახცახებულმა შემოსასვლელისკენ იწყო უკუსვლა; იქ ტელეფონის ყურმილს ჩააფრინდა, ერთი-ორი უშედეგო მცდელობის შემდეგ როგორც იქნა პოლიციის ნომერი სწორად აკრიფა. „ჩქარა რა, ჩქარა რა, აიღეთ ყურმილი, თორემ გამოვარდება კარადიდან და იერიშს პირდაპირ ჩემზე მოიტანს.” ელექტრო კომუტატორის ათასგვარი ჯურის მისალმებასა და განცხადებას საჯარო მოსამსახურის მოხელის კარგად დაყენებული ხავერდოვანი ხმა მოყვა.

— მეთექვსმეტე უბანი. პარიზის პოლიცია გისმენთ.

— სასწრაფოდ გამოცხადდით. ჩემთან ბინაში უცნობი ქალი შემოიჭრა. დერეფნის გარდერობშია დამალული და ცოცხალი თავით იქიდან არ გამოდის. სწრაფად! სწრაფად! გემუდარებით! ვინ იცის, იქნებ გიჟია ან კიდევ მკვლელი. იჩქარეთ! შიშისგან ლამის ჩემი დამემართოს.

პოლიციის თანამშრომელმა ჯერ ოდილის სახელი, გვარი და მისამართი ჩაინიშნა, შემდეგ კი დაარწმუნა, რომ პატრული ხუთ წუთში გამოძახების ადგილზე გაჩნდებოდა.

— ალო, ალო, ისევ ხაზზე ხართ?

— ე ე ე ე.

— როგორ გრძნობთ თავს ქალბატონო?

— . . . . .

— ყურმილი არავითარ შემთხვევაში არ დაკიდოთ. ამგვარად გექნებათ შესაძლებლობა, თუ რამე ხდება, სასწრაფოდ შემატყობინოთ. ახლა კი ხმამაღლა გაიმეორეთ, რაც ეს-ეს არის მითხარით, რათა იმ ადამიანმა კარგად გაიგოს და შეიგნოს, რომ თქვენ დაუცველი არ ხართ. მიდით, გააკეთეთ, რაც გითხარით.

— დიახ, სავსებით მართალი ბრძანდებით. რა თქმა უნდა ყურმილს არ დავკიდებ. თუ იმ ადამიანმა რამე მოიმოქმედა, თქვენ იქნებით პირველი, ვინც ამას შეიტყობს.

ოდილი ისე კიოდა ყურმილში, რომ ლამის ყურთასმენა დაკარგა. ნეტავ გამოკვეთილად და გასაგებად წარმოვთქვი? მთავარია დისტანციის, კარისა და პალტოების მიუხედავად მესიჯს ადრესატამდე მიეღწია და მისთვის არაადექვატური ქმედების სურვილი წაერთმია.

ბინის ყველა კუთხე-კუნჭულში სრულ სიჩუმესა და უმოძრაობას დაესადგურებინა. ის კია, რომ ეს სიწყნარე ოდილისთვის ნებისმიერ ხმაურზე უფრო გაუსაძლისი აღმოჩნდა.

ოდილმა ლამის ჩურჩულით შეახსენა თავი პოლიციელს.

— ისევ აქ ხართ?

— დიახ, ქალბატონო, მე თქვენ არ გტოვებთ.

— მე... მე... ცოტა არ იყოს მეშინია...

— გაქვთ რამე, იერიშის შემთხვევაში თავი რომ დაიცვათ?

— არა, არაფერი, აბა საიდან?

— ნახეთ გვერდით რამე საგანი, თავდაცვის საშუალებას რომ მოგცემთ. იმასაც შეაშინებთ თუ ვინცობაა ღმერთი გაუწყრება და აგრესიას გამოავლენს.

— არა.

— ყავარჯენი? ჩაქუჩი? ან რამე ქანდაკება? მიმოიხედეთ გარშემო.

— აჰ დავინახე. ბრინჯაოს პატარა ქანდაკება.

— მშვენიერია, აიღეთ ახლა ეს ქანდაკება და თავი მოიკატუნეთ, რომ ხელში იარაღი გიჭირავთ.

— უკაცრავად, ვერ გავიგე.

— ხმამაღლა გამოაცხადეთ, რომ ხელში მეუღლის პისტოლეტი გიჭირავთ და არაფრის არ გეშინიათ. მიდით, ოღონდ ხმამაღლა!

ოდილმა ღრმად ჩაისუნთქა და შიშნარევი ხმით იღრიალა.

— არა, ბატონო კომისარო, რისი უნდა მეშინოდეს. ჩემი ქმრის პისტოლეტი მიჭირავს ხელში.

ოდილმა ხმაურით ამოიხვნეშა. ისეთი დაზაფრული იყო, თავს ძლივს იკავებდა, იქვე რომ არ მოეშარდა.

ყურმილში ისევ გაისმა მამაკაცის ხმა.

— აბა, როგორი რეაქცია ჰქონდა?

— არანაირი!

— მშვენიერია. შეშინებულია და იმიტომ. გარწმუნებთ. სანამ ჩვენი თანამშრომლები მოვლენ, ადგილიდან არ გაინძრეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ოდილი უკვე ინტერფონზე პოლიციელებს პასუხობდა. სანამ მათ ლიფტი მეათე სართულამდე ამოიყვანდა, კარის გაღება იჩქარა და კიბის ბაქანზე გავიდა. კაბინიდან სამი ბეხლეწი გამოცვივდა.

— აი იქ. –თქვა მან. –ტანსაცმლის გარდერობში იმალება.

ოდილი თრთოლამ აიტანა, როცა ახმახმა პოლიციელებმა იარაღი დააძვრეს და დერეფანში შერგეს თავი. იმისათვის, რომ არ დასწრებოდა სცენას, რომელსაც მისი ნერვები უეჭველად ვერ გაუძლებდა, ოდილმა ამჯობინა თავი მისაღებისთვის შეეფარებინა. აქედან მის სმენას ბუნდოვნად აღწევდა სამართალდამცველთა მუქარები და ბრძანებები.

ოდილმა გაუაზრებლად მოუკიდა სიგარეტს და ფანჯარას მიუახლოვდა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ივლისის დასაწყისი იყო, გაზონებს უკვე შეპარვოდათ სიყვითლე. ხეებიდან გაჟღალებული ფოთლები ცვიოდა. ზაფხულის პაპანაქებას, ცხადია, ტროკადეროს მოედანიც ვერ დაენდო, მთელი საფრანგეთში სულთამხუთავი სიცხე ჩამოწოლილიყო. მხურვალება ყოველდღე ხვეწდა მსახვრალის მომაკვდინებელ ხელოვნებას. ტელევიზიით საინფორმაციო გამოშვებები მისი ახალი მსხვერპლის შესახებ იუწყებოდნენ. უსიცოცხლო უსახლკაროებსა და მაწანწალებს გავარვარებული გუდრონის ასფალტზე პოულობდნენ, მოხუცთა თავშესაფრებში ხანდაზმულები ბუზებივით იხოცებოდნენ, ჩვილი ბავშვები წყლის ჭარბ გამოყოფას ვერ უძლებდნენ და კვდებოდნენ. განადგურებულ ცხოველებს, ყვავილებს, ბოსტნეულსა და ხეებს ხომ ვერ მოსთვლიდით...

ოდილმა მგონი ქვემოთ სკვერში მიწაზე დაგდებულ უსულდგმულო შაშვს მოკრა თვალი. შორიდან ფეხებმომტვრეული საბრალო ფრინველი მელნით შესრულებულ ნახატს წააგავდა. რა სამწუხაროა. შაშვები ხომ ისე ტკბილად და გემრიელად გალობენ...

უეცრად ოდილს უსაფრთხოების ზომები გაახსენდა, დიდი ჭიქა პირამდე წყლით გაავსო და სულმოუთქმელად გადაკრა.

იმ დროს, როდესაც ირგვლივ გაუსაძლისი სიცხისგან ადამიანები პანტაპუნტით იხოცებოდნენ, საკუთარ თავზე მსგავსი ზრუნვა ოდილს ეგოიზმის ტიპურ გამოვლინებად ეჩვენა. ისე კი სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?

— ქალბატონო... ქალბატონო! გვაპატიეთ...

სალონის შესასვლელთან პოლიციელებს პაპანაქების მიერ დატრიალებულ უბედურებაზე ფიქრით დამძიმებული ოდილის მობრუნება რეალობისკენ ცოტა არ იყოს გაუჭირდათ; მოგვიანებით ის მოტრიალდა და დაინტერესდა:

— მაშ ვინ აღმოჩნდა ის ქალბატონი?

— აქ არავინ არ იყო, ქალბატონო.

— როგორ თუ არავინ?

— წამობრძანდით, თავად ნახეთ.

ოდილი სამ პოლიციელს ფეხდაფეხ მიჰყვა. მართალია გარდერობი სამოსითა და ფეხსაცმლის კოლოფებით იყო გამოტენილი, მაგრამ იქ შეხიზნული ქალბატონის ნაკვალევიც კი არსად ჩანდა.

— კი მაგრამ, სად არის?

— თუ გნებავთ ერთად მოვძებნოთ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

ასოცკვადრატულ მეტრიანი ბინის ყოველი კუთხე-კუნჭული პოლიციელებმა რუდუნებით შეამოწმეს. შემოჭრილი ქალბატონი არსად ჩანდა.

— ბოლოს და ბოლოს დამეთანხმებით, ალბათ, რომ ეს ერთობ უცნაურია. –გამოაცხადა ოდილმა პროტესტის ნიშნად და იქვე სიგარეტს მოუკიდა, — გეუბნებით, რომ დერეფანი გამოიარა და შემთხვევით მე გადამაწყდა. შეშინებული სამზარეულოსკენ გავარდა. კი მაგრამ, საიდან შეიძლება, რომ გასულიყო?

— სათადარიგო კარიდან.

— ის ყოველთვის გასაღებითაა ჩაკეტილი.

— მოდით, ვნახოთ.

ოთხივენი სამზარეულოში გადაბარგდნენ. კარი რომელიც სათადარიგო კიბეზე გადადიოდა, მართლაც ჩაკეტილი აღმოჩნდა.

— ხო ნახეთ, — დაასკვნა ოდილმა. — აქედან გასვლას ვერანაირად ვერ მოახერხებდა.

— თუ მეორე გასაღები ჰქონდა, მშვენივრად მოახერხებდა. აბა როგორ აღმოჩნდა აქ?

ოდილს შეაბარბაცა. პოლიციელებმა დაჯდომაში ხელი შეაშველეს. მშვენივრად ჰქონდა შეგნებული, რომ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები მართალს ბრძანებდნენ: თუ ვინმეს აქ შემოჭრა მართლა გადაეწყვიტა, აუცილებლად დასჭირდებოდა გასაღები როგორც შემოსასვლელად, ასევე გასასვლელადაც.

— საშინელებაა...

— შეგიძლიათ ის ქალბატონი აგვიწეროთ?

— ბებერი?

— უკაცრავად?

— დიახ, ბებერი ქალი, ჭაღარა თმიანი.

— როგორ იყო ჩაცმული?

— კი აღარ მახსოვს უკვე. როგორ გითხრათ, ჩვეულებრივად, როგორც ბევრი.

— კაბა ეცვა თუ შარვალი?

— მგონი კაბა.

— რასაც ბრძანებთ სრულიად არ შეესატყვისება ქურდებისა თუ გარეკილებისათვის ნიშნეულ პორტრეტს. დარწმუნებული ხართ, რომ ის ადამიანი თქვენს ნაცნობთა წრეს ნამდვილად არ განეკუთვნება, რომელიც თქვენ უბრალოდ ვერ ამოიცანით?

ოდილმა პოლიციელებს ერთგვარი ზიზღნარევი მზერა ესროლა.

— თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, შენიშვნა სრულიად ლოგიკური მესახება, მაგრამ აქვე შევნიშნავ, რომ ჯერ მხოლოდ 35 წლის გახლავართ და ამდენად ჯერჯერობით არც ბებერი მგონია თავი და არც გამოშტერებული. ფაქტია, რომ თქვენზე მეტი დიპლომის მფლობელი ვარ. ვმუშაობ როგორც დამოუკიდებელი ჟურნალისტი, ასევე გახლავართ ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ სა-

კითხთა სპეციალისტი, ვმეტყველებ ექვს ენაზე და, მიუხედავად ამ პაპანაქებისა, გადასარევ ფორმაში ვარ. მადლიერი დაგრჩებით თუ დამიჯერებთ, რომ ნამდვილად არ მავიწყდება, ვის ვანდე ჩემი ბინის გასაღები.

გაკვირვებულმა და ქალბატონის შესაძლო გაცოფებით ცოტა არ იყოს შეშინებულმა პოლიციელებმა პატივისცემის ნიშნად თავი დახარეს.

— მოგვიტევეთ, ქალბატონო, ჩვენ ყველა შესაძლო ჰიპოთეზა უნდა განვიხილოთ. ხშირად გვიწევს სუსტი ნებისყოფისა და ნერვების მქონე ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებსაც...

— უდავოდ, ამასწინათ მეც მიღალატა ცივსისხლიანობამ.

— ბინაში მარტო ცხოვრობთ?

— არა, გათხოვილი ვარ.

— სად არის თქვენი მეუღლე?

ოდილმა პოლიციელს გაოცებული მზერა შეავლო. მიხვდა, რომ ეს სრულიად მარტივი და ბანალური კითხვა — „სად არის თქვენი მეუღლე?“ — დიდი ხანია მისთვის არავის დაუსვამს.

— ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობს. ჟურნალისტია და რეპორტაჟებს ამზადებს.

პოლიციელებმა ჩარლის პროფესიისადმი პატივისცემა და მოწიწება პირის დაფჩენითა და თვალების გადმოკარკვლით გამოხატეს და ენა ჩაიგდეს. მათ შორის ყველაზე ასაკოვანი კი ჯიუტად განაგრძობდა დაკითხვას.

— იქნებ თქვენმა ქმარმა გასაღებთა აცმა ათხოვა ისეთ ადამიანს, რომელიც...

— ღმერთმა იცის ახლა რა წარმოისახეთ. როგორ გგონიათ, ასეც რომ ყოფილიყო, არ გამაფრთხილებდა?

— ვერ გეტყვით.

— არა, უეჭველად გამაფრთხილებდა.

— შეგიძლიათ დაურეკოთ, რომ ამაში ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებული ვიყოთ?

ოდილმა უარყოფის ნიშნად თავი გააკანტურა.

— არ უყვარს, ვინმე რომ უკავშირდება, როცა ქვეყნის მეორე დასალიერზე იმყოფება.

— პირველად ხდება მსგავსი რამ?

— რა მსგავსი რამ? ბებრუხანას გულისხმობთ? არა, რა თქმა უნდა; თუ არ ვცდები, მესამეჯერ მსტუმრობს.

— აგვიხსენით.

— წინა შემოჭრების დროს ჩემს თავს ჩავაგონე, კარგად ვერ გავარჩიე და მომეჩვენა-მეთქი, რომ ეს შეუძლებელი იყო. ზუსტად ისევე ვფიქრობდი, როგორც ახლა თქვენ. ახლა რაც ვნახე, ნამდვილად არ მომჩვენებია და არც სიზმარი ყოფილა: ისეთი შემაშინაა, მაგრამ არც მე დავაკელი არაფერი. კაი გვარიანად დავზაფრე.

— ერთადერთი რჩევა შემიძლია მოგცეთ, ქალბატონო ორსინი; სასწრაფოდ გამოცვალეთ გასაღებები და საკეტი. ამგვარად მშვიდად დაძინებას შეძლებთ. ერთ დღესაც თქვენი მეუღლე დაბრუნდება და შემოხიზვნის მიზეზიც სავსებით ნათელი გახდება. მანამდე კი თქვენს მშვიდ ძილს არაფერი დაემუქრება.

ოდილი დაეთანხმა პოლიციელებს, მადლობა გადაუხადა და კარამდე მიაცილა.

ოდილმა მექანიკურად გახსნა სიგარეტის ახალი კოლოფი. ჩართო ტელევიზორი და არჩევანი საყვარელ უწყვეტი ინფორმაციის არხზე შეაჩერა. შემდეგ, პრობლემის რამდენიმე კუთხიდან განხილვის მიზნით, ფიქრებში გადაეშვა.

ერთი საათის თავზე მიხვდა, რომ ვერცერთი მისი ჰიპოთეზა ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებდა.

ოდილმა ყურმილი აიღო და სპეციალისტს მეორე დღისათვის საკეტის გამოცვლაზე მოელაპარაკა.

— გარდაიცვალა 2200 ადამიანი. — აცხადებდა ჟურნალისტი ტელევიზორში. — ეს ზაფხული ნამდვილად მომაკვდინებელია.

მან გასაღები ბოლო კაბის ჯიბეში ჩაიდო. თავს დამშვიდებულად გრძნობდა, რაკიღა ახალი საკეტი მისი ბედიღბლის უსაფრთხოების გარანტად ევლინებოდა.

ოდილს გვალვის მიერ დატრიალებულ საშინელებათა ყურება და მოსმენა ლამის გარყვნილ ფიზიკურ ტკბობას განაცდევინებდა: დამშრალი მდინარეები, სილაში გაჩხერილი პირდაფჩენილი თევზები, სიცხისაგან გათანგული ჯოგები, გაცოფებული ფერმერები, წყლისა და დენის გრაფიკს დაქვემდებარებული მიწოდების შემოღება, გადატვირთული საავადმყოფოები, ექიმებად შერაცხული ახალბედა პრაქტიკანტები. კიდევ რა. დამკრძალავი ბიუროები დაკვეთებს ვერ აუდიოდნენ. მესაფლავეებს პლაჟზე განცხრომის შეწყვეტა და სამსახურში დაბრუნება მოუწიათ. გაცხარებული მწვანეები გლობალური დათბობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა აუცილებლობაზე აყვირდნენ.

ოდილი ყოველ საინფორმაციო გამოშვებას ისეთი გაფაციცებით უყურებდა, როგორც ჩამთრევი ტელესერიალის უკანასკნელ გამოშვებას... ახალ პერიპეტიებსა და კატასტროფებს მოწყურებულს, თუ მდგომარეობა სტაბილურობისკენ იხრებოდა, ლამის იმედგაცრუების განცდა ეუფლებოდა. ხშირად არც ჰქონდა შეგნებული თუ რა ვნებითა და სიამტკბილობით ითვლიდა დაღუპულთა რაოდენობას. პაპანაქება ის სპექტაკლი იყო, რომელიც მას არანაირად არ ეხებოდა, სამაგიეროდ, მის ყურადღებას იქცევდა და ართობდა, ზაფხულის სევდასა და კაეშანს უქარწყლებდა.

* * *

სამუშაო მაგიდაზე მისი რამდენიმე ტანჯვით დაწერილი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სტატია და მომავალი წიგნის ხელნაწერი იდო. ოდილი საკუთარ თავში ძალას ვერ პოულობდა მათ დასასრულებლად, მანამ, სანამ მთავარი რედაქტორები და გამომცემლები ტელეფონზე არ აიკლებდნენ და დაგვიანებისათვის კარგად არ გამოთათხავდნენ... ისე საინტერესოა, რატომ ჩაუვარდათ ხმა?რატომ ჩაიგუბა ყველამ პირში წყალი? იქნებ სიცხემ მათაც გამოაცალა არაქათი, ან კიდევ სულაც გააფრთხობინა სული?

როცა ცოტა თავისუფალ დროს მოიხელთებს ან სურვილი არ მისცემს გასაქანს, ოდილი მათ აუცილებლად დაურეკავს და თვითონვე შეახსენებს თავს.

ოდილმა ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე არაბულ არხზე გადართო. შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რომ ისინი სრულ დაუინტერესებლობას იჩენდნენ ევროპის კონტინენტზე მიმდინარე მოვლენებისადმი. ის კია, რომ მათ პაპანაქებით ნამდვილად ვერ გააკვირვებ...

სინდისის დასამშვიდებლად ოდილმა გადაწყვიტა, ერთი ჭიქა წყალი დაელია. გზად სამზარეულოსკენ მას ისევ

დაეუფლა უცნაური განცდა. დაუპატიჟებელი სტუმარი ისევ აქ იყო.

მან რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან. ირგვლივ სწრაფი მზერა მიმოავლო. არაფერი. მიუხედავად ყველაფრისა მოეჩვენა, რომ... წამის მეოთხედის განმავლობაში მოასწრო მოხუცის სახე მკაფიოდ დაენახა. როგორც ჩანს, ეს მისი ანარეკლი იყო სარკეში, ლამფის შუშაზე ან კიდევ კომოდის პრიალა გალაქულ ზედაპირზე. გამოსახულება ოდილის გონებაში ჩაიბეჭდა.

შემდეგი საათი ოდილმა მთელი ბინა გადააქოთა. შეუთვალიერებელი და შეუმოწმებელი ერთი მისხალიც კი არ დატოვა. შემდეგ კი ერთი ათჯერ მაინც დაირწმუნა თავი, რომ უცხო ძველ გასაღებებს ვერანაირად ვერ მოარგებდა ახალ საკეტს. დამშვიდებულმა დაასკვნა, მხცოვანი ქალი უბრალოდ მომეჩვენაო.

ოდილი სალონს დაუბრუნდა და ტელევიზორი ჩართო. იმ დროს, როდესაც სავარძლისკენ მიემართებოდა, შემოხიზნული დერეფანში გამოკვეთილად დაინახა, ზუსტად ისე, როგორც ბოლო ჯერზე. უცხო ქალბატონი წამიერად გაშეშდა, გვარიანად დაფრთხა, მერე კი მოქუსლა. ოდილი დივანზე გაიშხლართა და ტელეფონის ყურმილს ეძგერა. პოლიცია სწრაფ ჩარევაზე დაითანხმა.

მხატვარი კარლო ფაჩულია

ამჯერად პოლიციის მომლოდინე წინა დღისაგან სრულიად განსხვავებულმა გრძნობებმა შეიპყრო. ადრე შიშს ერთგვარი შემოსაზღვრულობა და კონკრეტულობა ახასიათებდა და გარდერობში დამალული უცნობი ქალითა და ამ უკანასკნელის ბოროტი ზრახვებით იყო განპირობებული. ამჯერად შიშს თავზარდაცემა, ტერორი ჩაენაცვლა. ოდილი ლამის ამოუხსნელი, ბურუსით მოცული საიდუმლოს პირისპირ აღმოჩნდა: რა ეშმაკის მანქანით მოახერხა უცნობმა ქალბატონმა უკან მობრუნება, როცა ჩამკეტი სისტემა მთლიანად შეიცვალა.

პოლიციელებმა აღიქვეს, რომ ოდილი ღრმა შოკში ჩავარდნილიყო. წინა დღის გამოცდილებით გათვითცნობიერებულებს აღარც უკითხავთ, რა ან ვინ უნდა ეძებნათ. ოდილს გაკვირვებისგან წარბიც არ შეუხრია, როცა პოლიციელები ჩხრეკის შემდეგ სალონში დაბრუნდნენ და მოახსენეს, მათი გარჯა ფუჭი რომ გამოდგა.

— ეს საშინელებაა, — ეცადა ოდილი ახსნა-განმარტებას, — ამ დილით კარზე ახალი საკეტი დავაყენეთ, რომლის გასაღები გამორიცხულია ჩემ გარდა ვინმეს ჰქონდეს. იმ ქალბატონმა კი შემოძრომა მაინც მოახერხა.

პოლიციელები ოდილის წინ მოეწყვნენ და მისი ჩვენების წერას შეუდგნენ.

— ქალბატონო, გთხოვთ მოგვიტევეთ დაჟინება და სიჯიუტე. დარწმუნებული ხართ, ის მოხუცი ქალი ხელმეორედ რომ იხილეთ?

— ვიცოდი, რომ ამ შეკითხვას უეჭველად დამისვამდით... თქვენ ჩემი არ გჯერათ... მეც არ დავუჯერებდი, ალბათ, საკუთარ თავს, ყველაფერი თვითონ რომ არ გადამეტანა. ვერ გისაყვედურებთ იმის გამო, რომ მე — არც მეტი, არც ნაკლები — ჭკუიდან გადამდგარი გგონივართ... ძალიან კარგად მესმის თქვენი... ძალიან კარგადაც კი... უეჭველად მირჩევთ, რომ დახმარებისთვის ფსიქიატრს მივმართო, არა, საწინააღმდეგოს თქმას ნუ ეცდებით. თქვენ ადგილას მეც ზუსტად ასე მოვიქცეოდი.

— არა, ქალბატონო, ჩვენ მხოლოდ ფაქტები გვალაპარაკებს. დღევანდელი მოხუცი ქალბატონი ნამდვილად ის იყო, გუშინ რომ იხილეთ?

— განსხვავებულად იყო ჩაცმული.

— ვინმეს ხომ არ გაგონებთ?

ოდილის ეჭვები დადასტურდა. პოლიციელებმა მისი შემთხვევა ფსიქიატრიის სფეროში გაამწესეს. შეეძლო კი ოდილს ამის გამო მათთვის საყვედური გამოეცხადებინა?

— თქვენთვის მისი აღწერა რომ გვეთხოვა, ვის მიამსგავსებდით? ოდილმა თავისთვის გაიფიქრა: ახლა რომ ვუთხრა, სადღაც ბუნდოვნად დედაჩემს მაგონებს-მეთქი, უეჭველად ჭკუაშეშლილად გამომაცხადებენ.

— არავის, მე მას არ ვიცნობ.

— და რა უნდა თქვენი აზრით?

— წარმოდგენა არ მაქვს, გიმეორებთ, არ ვიცნობ.

— რას შიშობთ მისი მხრიდან?

— ყური მიგდეთ, ძვირფასო პოლიციელო, ახლა იმ ველურ ფსიქოანალიზის მეთოდს მაინც და მაინც ჩემზე ნუ მოსინჯავთ. თქვენ არ ხართ ექიმი თერაპევტი და არც მე — თქვენი პაციენტი. ის ადამიანი, გარწმუნებთ, ნამდვილად არ არის ჩემი ქვეცნობიერის პროეცირება, არამედ დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელიც აქ შემოღწევას ჩემთვის აქამდე დაუდგენელი გზით ახერხებდა.

ოდილის გაცხარებაზე პოლიციელებმა მოსაბოდიშებელი სიტყვები ჩაილუღლუღეს. სწორედ ამ დროს გაუნათდა გონება.

— ჩემი ბეჭდები! რა იქნა ჩემი ბეჭდები?

იგი ტელევიზორის გვერდით მოთავსებული კომოდისკენ გაქანდა, უჯრიდან მომცრო ზომის ცარიელი ზარდახშა დააძრო.

— ხედავთ? ცარიელია. არა და აქ მედო ბეჭდები.

პოლიციელებს დამოკიდებულება მყისიერად შეეცვალათ. ოდილს უკვე სულიერ ავადმყოფად აღარ მიიჩნევდნენ. შემთხვევა საგამომძიებლო რუტინისთვის ნიშნეულ რაციონალურ ხასიათს იძენდა.

ოდილმა სათითაოდ ჩამოთვალა ბეჭდები, არ დაიზარა მათი დეტალური აღწერა და შეფასება. ისიც კი გაიხსენა, როდის და რა გარემოებებში ერგო ისინი ქმრისგან საჩუქრად. მონათხრობი კი ხელმოწერით დაადასტურა.

— და როდის ბრუნდება თქვენი მეუღლე?

— ვერ გეტყვით, არ მაფრთხილებს ხოლმე.

— უნდა დაგტოვოთ. არა უშავს, ქალბატონო?

— არა უშავს, დარდი ნუ გექნებათ, როგორმე გავუძლებ.

როგორც კი პოლიციელებმა შემთხვევის ადგილი დატოვეს, ყველაფერმა ისევ ყოველდღიური უინტერესო იერი შეიძინა. დაუპატიჟებელი სტუმარი, არც მეტი, არც ნაკლები, ერთი ბანალური ქურდბაცაცა აღმოჩნდა. ის კია, რომ გასაშეშებელი სისწრაფითა და თავდაჭერილობით მოქმედებდა. ბანალურობამ ოდილის ნერვებს ძირი გამოუთხარა, მან გულამოსკვნით იწყო ტირილი.

* * *

გაუსაძლისი სიცხისგან დაღუპულთა რიცხვმა 2700 მიაღწია. გამოითქვა აზრი, მთავრობა ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებს მოსახლეობას უმალავსო.

ოდილიც იმავე შეხედულებას იზიარებდა. მისი გათვლების თანახმად, მსხვერპლთა რაოდენობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო. ამ დილით ეზოში წყალსადენი მილიდან ორი ბეღურის გვამი განა საკუთარი თვალით არ იხილა?

შემოსასვლელ კართან ვიღაცამ ზარს ჩამოკრა

რახან გარეთა ინტერფონს არ მიმართეს, ეს ან ერთ-ერთი მეზობელი ან მოგზაურობიდან დაბრუნებული მეუღლე უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი გასაღები ჰქონდა, მივლინებიდან დაბრუნებისას კარზე ზარის ერთხელ ჩამოკვრა სჩვეოდა, ოდილისთვის მოულოდნელი გამოცხადებისათვის თანმხლები გაკვირვება რომ შეერბილებინა.

— ღმერთო ჩემო, ნეტავი შარლი იყოს.

ოდილმა კარი გააღო. ბედნიერებისაგან მთვრალი ლამის წაბარბაცდა.

— ო, ჩემო ძვირფასო, როგორ მიხარია, რომ ისევ გხედავ. დასაბრუნებლად უკეთეს დროს კაცი ვერც მოიფიქრებდა.

ოდილი მეუღლისკენ გაქანდა და ტუჩებზე ამბორს ეცადა. შარლმა მის განზრახვას სხეულზე ხელების შემოჭდობით უპასუხა. არა, გაწევა არ უცდია. „რა თქმა უნდა მართალია, მე ვარ გიჟი. კი მაგრამ, რამ აღმაგზნო ასე?"

— როგორ ხარ? როგორ ჩაიარა მოგზაურობამ? გამახსენე, სად იყავი?

შარლი დინჯად და უემოციოდ პასუხობდა მეუღლის კითხვებს. ოდილს კი უჭირდა მოსმენა; საინტერესო კითხვებსაც ვერ მოაბა თავი და ამის გამო დაიტანჯა. ორ-სამ შავბნელ მზერასა და ხმაურიან ხანგრძლივ ამოხვნეშაზე მიხვდა, რომ შარლს, რბილად რომ ვთქვათ, აღიზიანებდა.

სულ აემღვრა გონება. დაიბნა. მისი ქმარი ისეთი სიმპათიური იყო. შესაძლოა ასე უბრალოდ ხანგრძლივი განშორების გამო ემართებოდა. რაც უფრო აკვირდებოდა, მით უფრო სასურველი და მიმზიდველი ეჩვენებოდა.

ოცდაათი წლის შავგრემანი მამაკაცი, გარუჯული კრიალა კანით, თავზე ერთ ჭაღარა თმასაც ვერ უპოვიდი, ლამაზი ხელები ჰქონდა, გრძელთითებიანი, ჯანიანი ზურგი და ვიწრო წელი... ოო არა, ამ მხრივ ოდილს ნამდვილად გაუმართლა.

ოდილმა ცუდი ამბისგან სასწრაფოდ გათავისუფლება გადაწყვიტა.

— ჩვენ გაგვქურდეს.

— რაა?

— გაგვქურდეს, ჩემი ბეჭდები წაიღეს.

ოდილმა ხურჯინს თავი მოხსნა და მთელი პრეისტორია სხაპასხუპით ჩამოუყაჭა. ქმარი მოთმინებით უსმენდა, არცერთი კითხვა არ დაუსვამს, არც რამე დაუყენებია ეჭვქვეშ. შარლსა და პოლიციელებს მონათხრობისადმი დიამეტრულად განსხვავებული რეაქცია ჰქონდათ და ამის გამო ოდილს უკმაყოფილების განცდა დაეუფლა: „მას ყოველ შემთხვევაში სჯერა ჩემი".

ცოლი როგორც კი მოყოლას მორჩა, ქმარი უსიტყვოდ გაეშურა საძილე ოთახისკენ.

— არ გინდა წყალი გადაივლო? –იკითხა ოდილმა.

შარლი უმალ მობრუნდა უკან. ხელში პატარა ზარდახშა ეჭირა.

— აი შენი სამკაულები.

— არა!!!!!!!!!

— შევამოწმე სამი თუ ოთხი ადგილი, სადაც გჩვევია შენახვა. რა, არ გიძებნია?

— მომეჩვენა, რომ... დარწმუნებული ვიყავი, რომ... ბოლო ჯერზე მისაღები ოთახის კომოდში გადავმალე... ტელევიზორის გვერდით... ეს როგორ დამავიწყდაااااااااა.

— კარგი, კარგი, ნუ გაუბრაზდები საკუთარ თავს. ყველას რაღაცა გვავიწყდება. — ქმარი ცოლს მიუახლოვდა და ლოყაზე აკოცა. მეუღლე ფრიად გაკვირვებული ჩანდა. ჯერ ერთი იმის გამო, რომ ასეთი შტერი აღმოჩნდა. მეორეც — მის სისულელეს ქმრის ასეთი თავაზიანობა და დელიკატურობა რომ მოყვა შედეგად.

ოდილი სამზარეულოში გავარდა, რათა შარლისთვის რამე დასალევი დაესხა. ცოტა ხანში სინით ხელში დაბრუნდა სალონში. გზად შეამჩნია, რომ ქმარს ჰოლში არანაირი ჩანთა არ დაეტოვებინა.

— კი მაგრამ, ბარგს რა უყავი?

— და რატომ უნდა მქონოდა ბარგი?

— შენ ხომ მოგზაურობიდან დაბრუნდი?

— მე აქ უკვე აღარ ვცხოვრობ.

— ვერ გავიგე...

— დიდი ხანია, რომ აქ აღარ ვცხოვრობ. შენ ვერ შეამჩნიე?

ოდილმა სინი ძირს დადგა და კედელს მიეყრდნო. ეცადა გონს მოსულიყო. კი მაგრამ, შარლი რატომაა მის მიმართ ასეთი შეუწყალებელი, ასეთი მკაცრი? არა, ფაქტია, რომ ბოლო დროს იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს არ იძლეოდა იმის საბაბს ეფიქრა, ერთად უკვე რომ აღარ ცხოვრობდნენ. კი მაგრამ...

ოდილი ნელ-ნელა ძირს დაეშვა და გულამოსკვნით აქვითინდა. შარლი მიუახლოვდა. ჩაიხუტა და ისევ თავაზიანი და ყურადღებიანი გახდა.

— ნუ ტირი, საყვარელო. ცრემლებით ვერაფერს გააწყობ. და საერთოდ, არ მსიამოვნებს, რომ მსგავს მდგომარეობაში გხედავ.

— მითხარი, რა ჩავიდინე? კი მაგრამ, რა ჩავიდინე ასეთი გამოუსწორებელი? რატომ აღარ გიყვარვარ?

— მორჩი სისულელეებს. არც არაფერი ჩაგიდენია და გეუბნები, რომ ძალიანაც მიყვარხარ.

— მართლა?

— მართლა, მართლა.

— ისევე, როგორც უწინ.

შარლმა პასუხი შეაყოვნა. თვალები ცრემლებით დაენამა. ოდილს თმებზე მიეფერა.

— შესაძლოა უფრო ძლიერაც...

დამშვიდებული ოდილი შარლის ძლიერ მკერდს მიეკრა.

— მოდი ახლა წავალ, — თქვა და ოდილს წამოდგომაში წაეშველა.

— როდის დაბრუნდები?

— ხვალ... შეიძლება ორი დღის შემდეგ. ძალიან გთხოვ, ნურაფერზე ნუ სწუხარ.

— არა, არაფერზე არ ვწუხვარ.

შარლი წავიდა. ოდილს განცდისაგან გული შეეკუმშა: ნეტავი სად წავიდა? და რატომ ჰქონდა სევდიანი ადამიანის ნიღაბი მორგებული?

ოდილი სალონში დაბრუნდა. ზარდახშას დაავლო ხელი და გადაწყვიტა ამჯერად მისთვის ადგილი საძილე ოთახის კომოდში მიეჩინა. არა, ამჯერად ნამდვილად არ დაავიწყდებოდა საგანძურის ადგილსამყოფელი.

* * *

— ზაფხულის პაპანაქებამ უკვე ოთხი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

არა, ზაფხული ოდილისთვის საუცხოო თავშესაქცევი გამოდგა. ჟურნალისტურ სერიალს საკუთარი ბინიდან გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, სადაც მუდმივად იყო ჩართული კონდიციონერი. კი აღარ ახსოვდა, როდის დააყენებინა ის შარლმა. ინფორმაციის მორევში ჩათრეული სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

ოდილი დიდი ხანია კონსიერჟს მოელაპარაკა და — რა თქმა უნდა გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ — სურსათ-სანოვაგით მომარაგებაზე დაითანხმა. რამდენიმე ბანკნოტის წამატებით კი დრო და დრო სადილის მომზადებაზეც. ოდილი გადასარევი მზარეული არც არასდროს ყოფილა. შეიძლება შარლი სწორედ ამ მიზეზით გახდა ასეთი დისტანციური? რა სისულელეა...

ოდილი ცხოვრებაში პირველად დაისაჯა აგრერიგად. შარლი პარიზში კი დაბრუნდა, მაგრამ მასთან გაჩერება არ ისურვა. ბევრი იჭყლიტა ტვინი. გონებაში უახლოესი წარსული გადაქექ-გადმოქექა. მიზეზს, შარლის ქმედებას რომ გაამართლებდა, ვერა და ვერ მიაკვლია.

ეს არ გახლდათ ოდილის ერთადერთი სადარდებელი: მოხუცი ქალბატონი ისევ დაბრუნდა, თანაც რამდენჯერმე. ყოველ ჯერზე ერთი და იგივე მეორდებოდა: დაუპატიჟებელი ქალბატონის მოულოდნელი გამოცხადება და მყისიერი გაუჩინარება ერთი იყო.

სამკაულებთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო ოდილს პოლიციაში დარეკვა უკვე ვეღარ გაებედა: მაშინ უნდა ეღიარებინა, რომ ზარდახშის შიგთავსი ხელუხლებელი იყო. ცხადია მას ყველა შემთხვევაში შეეძლო პოლიცია გამოეძახებინა. რომც შემცდარიყო, არავის გამოძალვას არ აპირებდა; შარლის დაბრუნების შემდეგ სადაზღვევო კომპანიისთვის გამზადებულ განცხადებას გაქურდვაზე ნაგვის ყუთში გადაუძახა...

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ოდილი გრძნობდა, რომ პოლიციელები მას უკვე აღარ დაუჯერებდნენ;

ამას გარდა ოდილმა ბოლოს და ბოლოს დაადგინა უცხო ქალბატონის ხშირი სტუმრობის მიზეზი. ცხადია, ამის ფიქრიც კი პოლიციელებს მეტად გაუჭირდებოდათ. შემოხიზნული ქალბატონი არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენდა, არც ქურდი იყო და არც ბოროტმოქმედი, მაგრამ იმდენად უხშირა ვიზიტებს, რომ ოდილისთვის მისი სტრატეგია უკვე აღარ წარმოადგენდა საიდუმლოს: დაუპატიჟებელ სტუმარს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა — ნივთების უნებართვო, თვითნებური გადაადგილება.

დიახ, დიახ, რამდენად უცნაურიც უნდა მოგეჩვენოთ, მისი შემოჭრის ერთადერთი მიზეზი ნივთების გადაადგილების სურვილი გახლდათ. ბეჭდებს, რომლებსაც ოდილი თავიდან სამუდამოდ დაკარგულად მიიჩნევდა, რამდენიმე საათის თავზე სხვა რომელიმე ოთახში მიაგნებდა ხოლმე; მოხუცი ქალბატონი მათ გადასამალად სულ უფრო და უფრო წარმოუდგენელ ადგილებს ირჩევდა. აი მაგალითად ბოლო ჯერზე მაცივრის საყინულე ამოიღო მიზანში. „ბრილიანტები საყინულეში?! ნეტავი ერთი მაგის თავში ჩამახედა!"

ოდილმა ერთი რამ თავისთვის გაისიგრძეგანა: „დაუპატიჟებელი სტუმარი კრიმინალი თუ არა, ბოროტი უდავოდ იყო, ან ნამდვილი დასაბმელი გიჟი! გაგიგია მსგავს რისკზე წასვლა ასეთი უკბილო ხუმრობის გულისთვის? ერთხელაც კუთხეში მოვიმწყვდევ და ჩემთვის ყველაფერს ნათელი მოეფინება."

კარზე ვიღაცამ ზარს ჩამოკრა.

— შარლი!

ოდილმა კარი გააღო, კიბის ბაქანზე მართლაც შარლი იდგა.

— რა ბედნიერებაა, რომ დაბრუნდი! როგორც იქნა!

— გთხოვ მაპატიო. ისე ადრე დაბრუნება კი ვერ მოვახერხე, როგორც შეგპირდი.

— არა უშავს, ნაპატიები ხარ.

შარლის ზურგს უკან მოულოდნელად უცნობი ქალი აღმოცენდა.

— იცანი აისმინი?

ოდილმა ვერ გაბედა დაუდასტურებლობით შარლის წყენა გამოეწვია; ამ აშოლტილ შავტუხა ლამაზმანს საერთოდ ვერ იხსენებდა.

„შეიძლება ადამიანს მახსოვრობიდან ყველაფერი ასე პირწმინდად ამოგეშალოს! ფიზიონომიები კი საერთოდ!... დაწყნარდი, ოდილ, დამშვიდდიიიი, ნუ პანიკობ. ცოტა ხანში ამოგიტივტივდება გონებიდან," –გაიფიქრა თავისთვის.

— რა თქმა უნდა მახსოვს. შემობრძანდით!

იასმინი ოდილისკენ გაემართა და ორივე ლოყაზე აკოცა. გადახვევისას ოდილმა შესაძლოა მისი იდენტიფიცირება ვერ მოახერხა, მაგრამ ერთ რამეს აშკარად მიხვდა: სძულდა იასმინი.

ყველანი მისაღებ ოთახში გადაბარგდნენ და სამასლაათო თემად ზაფხულის პაპანაქება აირჩიეს. ოდილი ყოჩაღად მონაწილეობდა საუბარში, თუმცა ფიქრები დრო და დრო სადღაც გადაისროდნენ ხოლმე. „არა, ეს ნამდვილი აბსურდია. მოგვირგია ეს ბომონდური ტონი და უცხო ქალ-

ბატონის თანდასწრებით ამინდზე ვყბედობთ. არადა მე და შარლს იმდენი რამ გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი.“ უეცრად მან საუბარი განწყვიტა და შარლს დაჟინებით მიაშტერდა.

— მითხარი, იქნებ ბავშვები გაკლია?

— რა?

— დიახ, ამასწინათ ვფიქრობდი, რა მიზეზით აირია ჩვენს შორის ურთიერთობანი. ვიფიქრე, უშვილობას ხომ არ განიცდის-მეთქი. ჩვეულებისამებრ მამაკაცები უფრო ძნელად ეგუებიან მსგავს მდგომარეობას, ქალები კი პირიქით... გინდა ბავშვები?

— უკვე მყავს.

ოდილს მოეჩვენა, რომ მოესმა.

— რა თქვი?

— მყავს ბავშვები, თანაც ორი — ჟერომი და ჰიუგო.

— რამდენის არიან?

— ორის და ოთხის.

— ვისგან გყავს?

— იასმინისგან.

ოდილი იასმინისკენ შეტრიალდა. ამ უკანასკნელს ფართო ღიმილი მიაგება.

„ოდილ, გაიღვიძე, შენ ახლა ნამდვილად კოშმარები გესიზმრება, გაიღვიძე, გაიღვიძე! დაუბრუნდი რეალობას.“

— თქვენ... თქვენ ორივეს ერთად ორი ბავშვი შეგეძინათ?

— დიახ, — დაუდასტურა ინტრიგანმა და ფეხი ფეხზე ელეგანტურად გადაიდო. თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

და თქვენ ასე უსირცხვილოდ მობრძანდით ჩემთან, რათა გაბადრული სახით ეს ამბავი გეუწყებინათ? არა, ნამდვილი ურჩხულები ხართ!

რაც ამ სცენას მოყვა, ოდილს ბუნდოვნად ახსოვდა. დარდმა მთლიანად შეძრა. ხან ხმამაღლა გაჰკიოდა, ხანაც ცრემლებად იღვრებოდა; არაფერი ესმოდა, რასაც ამბობდნენ. რამდენჯერმე შარლი ეცადა გადახვეოდა, მაგრამ მის ყოველ მცდელობას ოდილი შეუწყნარებელი აგრესიით პასუხობდა.

— მოღალატევ! მოღალატევ! ჩვენს შორის ყველაფერი დასრულდა! დასრულდა! გესმის? წადი აქედან, რაღას ელოდები, წადი!

ამაოდ ცდილობდა ოდილი მეუღლის მოცილებას. შარლი ჯიუტად ებღაუჭებოდა მას.

საჭირო გახდა ექიმის გამოძახება. ოდილი ლოგინში ჩააწვინეს და ძალით ერთი სედატიური ნემსი გამოუწერეს.

— პაპანაქებით გამოწვეულ მსხვერპლთა რაოდენობამ თორმეტი ათასს მიაღწია.

— ასეც მოუხდებათ! ახია მაგათზე, — ზეიმობდა ტელევიზორის წინ სავარძელში კომფორტულად ჩაფლობილი ოდილი.

გავიდა რამდენიმე დღე. მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა: შარლმა გამოავლინა რა თავისი ხასიათის სრული სიმახინჯე, ოდილს ბინიდან სასწრაფო გადაბარგება მოსთხოვა.

— ვერ ეღირსები, — უპასუხა ტელეფონზე ოდილმა, — აქ შენს კახპასთან ერთად ვეღარასოდეს იცხოვრებ. ტყუილად გაქვს ამის იმედი. კანონის თანახმად ეს კედლები მე მეკუთვნის. არ გაბედო აქ მოსვლა. ჯერ ერთი, კარს არ გაგიღებ, მეორეც, ერთი შენი გასაღებით აქ ცხვირს ვერ შემოყოფ, საკეტი გამოვცვალე.

ის დაუპატიჟებელი სტუმარი ოდილს ერთ რამეში მაინც წაადგა. არა, ის ბებრუხანა მას ნამდვილად განგებამ მოუვლინა.

შარლი რამდენი მიადგა კარს, ბევრი რეკა, მოლაპარაკებას ეცადა. ოდილმა ყურიც კი არ შეიბერტყა. საერთოდ არ ისურვა მისი მოსმენა. სამაგიეროდ, ჯიუტმა შარლმა მკურნალი ექიმი გამოუგზავნა.

— ოდილ, თქვენ გადაქანცული ხართ, — განაცხადა ექიმმა მალანდიემ. — ნუთუ არ გიფიქრიათ, რომ დასასვენებელი სახლი ერთობ დაგამშვიდებდათ? ამას გარდა იქ გაცილებით უკეთესად მოგივლიდნენ.

— გმადლობთ, ჯერჯერობით როგორღაც ვახერხებ საკუთარ თავზე თვითონვე ვიზრუნო. აშკარაა, ამ პრობლემების გამო სტატიებს ვერა და ვერ მოვაბი თავი და მათი გადაგზავნა ძალიან დამიგვიანდა, მაგრამ ვიცი ჩემი ხასიათი, თუ თავი უკეთესად ვიგრძენი, თუ ოდნავ მაინც მოვმჯობინდი, ყველაფერს ერთბაშად მოვრჩები.

— მეც ამას მოგახსენებდით, თავი უკეთესად რომ იგრძნოთ, ვფიქრობ, დასასვენებელი სახლი თქვენთვის...

— დღესდღეობით, ექიმო, დასასვენებელ სახლებში ადამიანები ბუზებივით იხოცებიან. იქ კონდიციონერები სანატრელი გაუხდათ. აქ გრილა მაინც... თქვენ, ეტყობა, საინფორმაციო გამოშვებებს თვალყურს არ ადევნებთ. ენით აღუწერელი პაპანაქებაა... უფრო დამანგრეველი, ვიდრე ნებისმიერი ციკლონი. დასასვენებელი სახლი? ალბათ უფრო ტანჯვა-წამების. მე ვიტყოდი, სიკვდილის ან მკვდრების სახლი. იმან გამოგაგზავნათ, არა, ჩემს მოსაკლავად?

— კარგით რა, ოდილ. წარმოუდგენელ აბდაუბდას ბრძანებთ. და კონდიცირებული დასასვენებელი სახლისთვის რომ მიგვეკვლია, მაშინ...

— გინდათ წამლებით გამჭყიპოთ, ნარკომანად მაქციოთ და არარაობას დამამსგავსოთ. ჩემი ქმარი, ცხადია, ასე უფრო ადვილად ამწაპნის ბინას, რათა იქ თავის ძუკნასთან ერთად ლაღად იცხოვროს. ამას ვერ მოესწრებით. აქ არაბი კახპა თავის ნაშიერებთან ერთად? ვერ მოგართვით. თქვენ ხომ მშვენივრად იცოდით, ჩემს ბედოვლათ ქმარს ორი ბავშვი რომ გაუჩინა.

— ოდილ, თქვენი ფიზიკური უნარი თითქმის ამოწურულია. დადგება დღე, როცა თქვენი მოსაზრებით არავინ დაინტერესდება, ძალით წაგიყვანენ აქედან.

— კეთილი, შესანიშნავად მიმიხვდით სათქმელს, მე ჩემი ნებით აქედან წამსვლელი არ ვარ. ვიდრე ეს ჟამი დადგება, გარწმუნებთ, არაფერი ღირშესანიშნავი არ მოხდება. ახლა კი წაბრძანდით აქედან და უკან არ მოიხედოთ. დღეიდან იგულისხმეთ, რომ მე სხვა ექიმი მყავს.

იმ საღამოს უკიდურესად გაღიზიანებულმა და წყობიდან გამოსულმა ოდილმა რაღაც წუთს თავის მოკვლაზეც კი იფიქრა, მაგრამ იმის გაფიქრებამ, რომ მისი ამქვეყნიდან წასვლა მხოლოდ შარლისა და იასმინის წისქვილზე დაასხამდა წყალს, განზრახვაზე ხელი ააღებინა.

„არა, ოდილ, დაიმორჩილე თავი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ... რამდენის? ოცდათორმეტისა თუ ოცდაცამეტის, მეტის კი არა... ყოველთვის გავიწყდება, რომ ცხოვრება ჯერ კიდევ წინაა. უთუოდ შეხვდები სხვა მამაკაცს. შექმნი ოჯახს და გეყო-

ლება ბავშვები... ის შარლი შენი ღირსი ნამდვილად არ იყო, ამას აქამდე უნდა მიმხვდარიყავი. წარმოიდგინე, ჯიუტად რომ ჩაბღაუჭებოდი წარსულს, უთუოდ მენოპოზს აიკიდებდი...“

უცბათ ოდილს ფანისთან, თავის საუკეთესო დაქალთან ქაქანის სურვილი დაეუფლა. ისე საინტერესოა, რამდენი ხანია, რაც მას არ შეხმიანებია. ამ გაუსაძლისი სიცხისგან ხომ საერთოდ დაკარგა დროის შეგრძნება.

მიუხედავად მისი ადგილსამყოფელის სიგრილისა, ზაფხულის პაპანაქებისა და გათანგულობისაგან უფრო მეტად იტანჯებოდა, ვიდრე ვარაუდობდა? ოდილმა ბლოკნოტს დაავლო ხელი და მყისვე შორს მოისროლა.

„არ მჭირდება შემოწმება, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფანის ნომერი მაინც მახსოვს ზეპირად.“

ოდილმა ნომერი აკრიფა. ყურმილში მძინარე ხმა გაისმა.

— დიახ. გისმენთ...

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, ფანისთან მსურდა დალაპარაკება.

— ფანისთან?

— დიახ, ფანი დეპრესთან. სხვაგან მოვხვდი?

— ფანი გარდაიცვალა, ქალბატონო.

— ფანიიი! როდის?

— ათი დღის წინათ. გაუწყლოებისგან.

პაპანაქება! ვიდრე ოდილი ტელევიზორის წინ მოკალათებული სულელურად დაღუპულთა ზუსტი რაოდენობის დადგენას ცდილობდა, ერთი წამითაც არ უფიქრია, რომ მეგობარიც შესაძლოა მათ რიცხვში მოეაზრებინა. ყურმილი დაკიდა. ვერც რამის დამატება და ვერც რაიმე დეტალით დაინტერესება ვერ მოახერხა.

ტკბილი და საყვარელი ფანი, სკოლის მეგობარი, რომელსაც სხვათა შორის უკვე ჰყავდა ორი ბავშვი... ორი ჩვილი... ღმერთო, ეს რა ტრაგედია დატრიალებულა! მერე ისეთი ახალგაზრდა იყო. ისინი ხომ ერთსა და იმავე წელს დაიბადნენ. გამოდის რომ ამ მხურვალებას მარტო ბებრები და ძუძუმწოვარა ბავშვები კი არ ეწირებოდნენ, არამედ უკვე ზრდასრული, მოწიფული ადამიანებიც... კი მაგრამ, ვინ უპასუხა ტელეფონზე ფანის მაგივრად. ეს ხრინწიანი ხმა მას არ ეცნო... უეჭველად ერთ-ერთი მხცოვანი ბიძა იქნებოდა.

შეძრულმა ოდილმა წყლით სავსე მთელი ბოთლი დასცალა, შედეგ კი საძილე ოთახს მიაშურა, რათა ტირილით გული ეჯერებინა.

— თხუთმეტი ათასი გარდაცვლილი, — აცხადებდა წარბშეუხრელად დიქტორი, სახე კვადრატული ფორმის რკინის შემოსასვლელ კარს რომ მიუგავდა.

— მალე ეს ციფრი თხუთმეტი ათას ერთს მიაღწევს, — თქვა ოდილმა და სიგარეტის კვამლი ღრმად ჩაისუნთქა. — ჯერჯერობით ვერ გამირკვევია, ღირს კი ცხოვრების გაგრძელება ამ მახინჯ და საძაგელ სამყაროში?

— სინოპტიკოსები უახლოეს მომავალში ტემპერატურის დაცემას არ ვარაუდობენ. არც წვიმაა მოსალოდნელი, ჰორიზონტზე ღრუბლის ერთი ნაფლეთიც არ დაფიქსირებულა, — აზუსტებდა ჟურნალისტი.

მიწა დასკდა და დაიბზარა ტკივილებისგან.

ჯერჯერობით არც ოდილისთვის უჩანდა გამოსავალს პირი. დაუპატიჟებელი სტუმარი ახლა უკვე დღეში ორჯერ სტუმრობდა. ისე აურია ნივთები ერთმანეთში, ოდილი უკვე ვეღარაფერს აგნებდა.

კონსიერჟის შვებულებით პორტუგალიაში გამგზავრების შემდეგ, — წარმოიდგინეთ მათი იქ მოზღვავება აგვისტოს თვეში, — პროდუქტები და მზა კერძები ოდილისთვის მის დისშვილს ამოჰქონდა, თავხედ გომბიოს, ბინას ცეცხლი რომ მოკიდებოდა, ნაბიჯსაც არ აუჩქარებდა. საღეჭ რეზინას პირიდან რომ ვერ გააგდებინებდი. ჯინსებს დღეში ათჯერ უცვლიდა ქამარს. ნამდვილი ბატი იყო, ორ დალაგებულ ფრაზას ვერ მოაბამდა თავს.

შარლიც არ გამოჩენილა. უფრო სწორად, ოდილს ტელეფონზე ურეკავდა და საუბრის დასასრულს ყოველ ჯერზე მისგან ამოჩემებულ „არას” ისმენდა. სხვათა შორის შარლით უკვე აღარ იყო მისი გონება დაკავებული. ყოველ შემთხვევაში მასზე ნაკლებად ფიქრობდა. შარლმა წარსულში გადაინაცვლა. უფრო სწორად, თითქოს არც არასდროს არსებობდა. ოდილის ერთადერთი საზრუნავი ამჟამად უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლისათვის ჩაწერის განახლება იყო. ზაფხულში დაქირავებული დროებითი მოსამსახურე პერსონალის გამო ვერა და ვერ უკავშირდებოდა მისთვის სასურველ ადამიანს და ამის გამო საშინლად ღიზიანდებოდა.

ოდილი სწავლის განახლების დიდმა სურვილმა შეიპყრო. როცა უწყვეტი საინფორმაციო არხი თავს მოაბეზრებდა, საათობით მეცადინეობდა. უამრავი წიგნი გადაიკითხა ახლო აღმოსავლეთზე. ხვეწდა ენებს. სერიოზულად ფიქრობდა დისერტაციის დასრულებაზე, რომლის შესავალი უკვე დაწერილი ჰქონდა.

თემის ხელმძღვანელთან დაკავშირება კი არსებითად შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, კლიმატურ კატაკლიზმებს ქვეყნის სრული პარალიზება მოყვა შედეგად. გამართულად არაფერი ფუნქციონირებდა. არც მშობლები პასუხობდნენ ტელეფონის ზარებს. ფაქტია სიგრილის ძებნაში ზოგი სად გაიქცა და ზოგი სად.

„ვისარგებლოთ არსებული მდგომარეობით, საკუთარი თავი მთლიანად ჩვენთვის მნიშვნელოვან საქმეებს მივუძღვნათ“ — ფიქრობდა ოდილი და საათობით ხვეწდა პარაგრაფების სტრუქტურას, ზრუნავდა ფრაზების გამართულობაზე. „კიდევ ერთ კვირას ვაძლევ საკუთარ თავს და შესავალს მაგიდაზე ვდებ.”

მუშაობამ და მეცადინეობამ ოდილი ისე გაიტაცა, რომ ხშირად სითხის აუცილებელი რაოდენობის მიღებაც ავიწყდებოდა. ამას გარდა, ბოლო დროს კონდიციონერმაც ძალიან აურია: ოცდაორ გრადუსზე დაყენებული რამდენიმე საათიანი წვალებისა და ტანჯვის შემდეგ ხან ოცდაათ გრადუსამდე ავარდებოდა, ხანაც ოცდათორმეტზე. ერთხელაც სრულიად საწინააღმდეგო დამართა – თხუთმეტ გრადუსამდე ჩამოვარდა. ოდილმა ყველაფერი გადააქოთა და როგორც იქნა ექსპლოატაციის წესებსა და საგარანტიო ფურცელს მიაგნო, დაურეკა წარმომადგენლობას და ხელოსანი გამოიძახა; მან კონდიციონერს მთელი ნახევარი დღე უჩხიკინა და ბოლოს გამოაცხადა, გაუმართაობის მიზეზს მაინც ვერ მივაგენი, შეიძლება ყველაფრის თავი და თავი მოკლე ჩართვა იყოო; ყოველ შემთხვევაში დეტალდეტალ შემოწმებული აპარატი გონს მოეგო და იმ საათიდან ჩინებულად ამუშავდა. და მაინც, მეორე დღიდან ყოველი ოთახის გადამცემი სრულად განსხვავებულ და ხშირად ტემპერატურის დაუჯერებელ ცვალებადობას იუწყებოდა.

ოდილს ხელოსნის ხელმეორედ გამოძახების აუცილებლობის განცდა არ დაუფლებია. მშვენივრად ჩასწვდა გაუ-

მართაობის მიზეზს: დაუპატიჟებელი სტუმარი! ცხადია, ბებრუხანამ ინსტრუქციაში მოყვანილი მონაცემების გადაკეთება საყვარელ გართობად გაიხადა.

ოდილი გრძნობდა, რომ არაქათი გამოეცალა და ამის არაერთი მიზეზი ჰქონდა: სამუშაო, სულთმხუთავი სიცხე, წყლის არასაკმარისი მიღების გამო — დალევა უბრალოდ ავიწყდებოდა — ორგანიზმის გამოფიტვა. გადაწყვიტა დაუპატიჟებელ სტუმარს დადარაჯებოდა, დანაშაულის ადგილზე წაესწრო და მასთან ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა ანგარიში.

როცა ბინაში თავი მარტოდ იგულა, ცოცხების შესანახ კარადაში შერგო თავი, შუქი ჩააქრო და სულმოუთქმელად მიეცა ლოდინს.

რამდენი ხანი იყო მოიერიშის პოზიციაზე გამაგრებული ოდილი ნამდვილად ვერ გეტყოდათ. როგორც ჩანს, ის გადაღძუებული მიხვდა, რომ ჩაუსაფრდნენ...

რამდენიმე საათის მიწურულს წყურვილისგან ყელგამომშრალი და გათანგული ოდილი კარადიდან გამოძვრა და მისაღები ოთახისკენ გაეშურა. იქ კიდევ მხოლოდ ღმერთმა თუ უწყის რატომ, უეცრად მოუნდა პასტისი გადაეკრა. გააღო ბარი, ჭიქა პირამდე გაივსო და ერთი ყლუპი სულსწრაფად მოსვა. ამ დროს მისი ყურადღება ერთმა ფრიად უცნაურმა რამემ მიიპყრო.

ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი წიგნის შემონაჭერზე მისი სახელი და გვარი ეწერა: ოდილ ორსინი. გადმოიღო და მოულოდნელობისგან ადგილზე გაშეშდა. გარეკანზე დატანილი წარწერა მისი სადისერტაციო თემის იდენტური აღმოჩნდა: თემა, რომლის გამო ახლა ამდენს ირჯებოდა. ოთხასგვერდიანი დასრულებული ნაშრომი ერთ-ერთ პრესტიჟულ გამომცემლობას დაებეჭდა: არა, მსგავს სასწაულზე ოდილი მხოლოდ თუ იოცნებებდა.

კი მაგრამ, ვინ მოუწყო ეს ოინი?

ოდილმა სულმოუთქმელად გადაავლო პირველ გვერდებს თვალი. გაფითრდა. ადამიანის ფერი დაკარგა: ეს ხომ შესავალია, რომელზეც აგერ უკვე მერამდენე დღეა ოფლს ღვრის და ვერა და ვერ მოაბა თავი. ეს კიდევ დასრულებული ჩანდა, ბევრად უკეთესად გამართული. იგრძნობოდა, რომ ავტორი კარგად იყო საკითხში გათვითცნობიერებული.

კი მაგრამ, რა ხდება?

ოდილმა თვალი როგორც კი მოწყვიტა გამოცემას, დაუპატიჟებელი სტუმარი დაინახა. მხცოვანი ქალბატონი მას მშვიდად და აუღელვებლად ათვალიერებდა.

არა, ეს უკვე სცილდება ნებადართულ ზღვარს! ნამეტანია! ნამეტანი!

ოდილი თავქუდმოგლეჯილი სანგრისკენ გავარდა და იქიდან გოლფის ჯოხით შეიარაღებული უცხო ქალთან საქმის გასარჩევად ისევ მისაღებში შეიჭრა.

* * *

იასმინი ფანჯარასთან იდგა და ტროკადეროს ბაღებს გადაჰყურებდა. წვიმას, როგორც ჩანს, ცა და დედამიწა შეერიგებინა და სიკვდილის ტრიუმფული სვლისთვის წერტილი დაესვა.

მის უკან ბინაში თითქმის არაფერი შეცვლილა. წიგნებისგან ტევა აღარ იყო. ახლო აღმოსავლეთით დაინტერესებული აქ, სულო და გულო, ნამდვილად გაახარებდა თავის ჭიას. ვერც იასმინმა და ვერც მისმა მეუღლემ ინტერერის გადასახალისებლად და ავეჯის გამოსაცვლელად ვერა და ვერ მოიცალეს. რემონტი არაფერი საჩქარო არ არის, მოიცდისო, ფიქრობდნენ. სამაგიეროდ, ქალაქის განაპირა მდებარე პაწაწინა ბინის დატოვებასა და აქ გადმობარგებაზე ერთი წამით არ უფიქრიათ. იქ შეყუჟულებს ორ ბავშვთან ერთად ხომ სუნთქვაც კი უჭირდათ.

იასმინის ზურგს უკან სატელიტური ტელევიზიის აღმოჩენით გახარებული ჟერომი და ჰიუგო არხიდან არხზე გადახტომით იქცევდნენ თავს.

— გენიალურია, დედი, არაბული არხებიცაა!

ბავშვებს რომელიმე პროგრამაზე შეჩერებისა და ყურების სურვილი კი არ ჰქონდათ, უფრო პროგრამების შთამბეჭდავი სიუხვე ხიბლავდათ.

შინ დაბრუნებული შარლი იასმინს შეუმჩნევლად მიუახლოვდა უკნიდან და კისერზე აკოცა. იასმინი შემოტრიალდა და მკერდით შარლს მიეკრო. ისინი ერთმანეთს მიეტმასნენ.

— იცი, თქვენი საოჯახო ალბომი დავათვალიერე: გასაგიჟებლად გავხარ მამაშენს. შუაში გაჭრილი ვაშლივით.

— ნუ ამბობ ამას.

— რატომ? ეს სევდას გგვრის იმიტომ, რომ იგი ეგვიპტეში გარდაიცვალა, როცა მხოლოდ ექვსის იყავი.

— არა, ვითრგუნები იმიტომ, რომ ეს დედაჩემს მახსენებს. ხშირად მამაჩემში ვეშლებოდი... შარლსაც კი მეძახდა.

— ნუღა იფიქრებ ამაზე. მხოლოდ ის დრო გაიხსენე, როდესაც დედაშენი საღ-სალამათი იყო, ბრწყინვალე ინტელექტუალი, მახვილგონიერი, სხარტი და ენაკვიმატი. ასეთი ოდილი მე ყოველთვის მხიბლავდა. დაივიწყე ბოლო ორი წელიწადი.

— მართალი ხარ. აქ მარტოდმარტო გამოკეტილი იმ საშინელი ალცჰაიმერის ავადმყოფობის გამო საწყალი უკვე საკუთარ თავსაც ვეღარ ცნობდა. მახსოვრობა თანდათანობით ხელიდან ეცლებოდა. ვეღარაფერს იხსენებდა, თავი ახალგაზრდა ეგონა, სარკეში არეკლილ საკუთარ გამოსახულებას აქ უნებართვოდ შემოჭრილ მოხუც ქალბატონად აღიქვამდა. როგორ ეგდო ძირს გოლფის ჯოხით დამსხვრეული სარკის წინ. ალბათ დაუპატიჟებელ სტუმარს ემუქრებოდა, მისი დაშინება სურდა... შემდეგ უთუოდ თავს იცავდა... ალბათ ეგონა, რომ უცნობი დედაბერი საპასუხო დარტყმას მიაყენებდა.

— კვირას აუცილებლად მოვინახულებთ ოდილს.

იასმინი ფრანსუას ლოყაზე მიეფერა, მის ტუჩებს მიუახლოვდა და ჩურჩულით დასძინა:

— ის ახლა ნაკლებად მტკივნეულია. ოდილი ახლა გონებით იმ ეპოქაში ცხოვრობს, როცა მამაშენს ჯერ კიდევ არ იცნობდა. ახლა უკვე აღარ ერევით ერთმანეთში. რა თქვა, რამდენის ვარო?

ფრანსუამ თავი იასმინს მხარზე დაადო.

— ზოგჯერ ოცნებას მივეცემი ხოლმე და ჩემთვის ვნატრობ: „ნეტავი მალე დადგეს ის დღე, როდესაც დედაჩემი ჩვილ ბავშვად გადაიქცევა.“ ო, როგორ ჩავიკრავდი გულში და ბოლოს და ბოლოს ვეტყოდი, თუ როგორ ძლიერ მიყვარს იგი. ვაკოცებდი... ჩემთვის გამოსამშვიდობებელი კოცნა იქნებოდა, მისთვის კი პირველი.

ფრანგულიდან თარგმნა
მერაბ ფიფიამ

* * *

ისტორიას შემორჩებოდა ფრიდრიხ დიდის ფრაზა:

— აღმოსავლეთში მეფე ერეკლეა, დასავლეთში მე.

გულს მაინც მოვიოხებდით ამ სიტყვებით, თავს შევავფარებდით — ერეკლე მეორეზე მაინცდამაინც კი არ მოგვიბრუნდებოდა გული, მაგრამ მისი მეომრული ძალა და სახელი რაღაცად ხომ ღირდა, კრწანისს თუ ვერ აგარიდებდა და ვერც რუსეთის ორთავიანი არწივის კლანჭებისაგან გიხსნიდა, ეროვნული სიმხნევის განმტკიცებას როგორღაც მაინც წაადგებოდა.

სახუმაროდაც გამოდგებოდა — ვითომ რატომაც არა.

და ელგუჯა თავბერიძეს კიდევ ერთხელ რომ ჩავაკითხავდით და ქუთაისი ერთ მნიშვნელოვან კერად დამკვიდრდებოდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გზაზე, ქუთათურთა ლაღობა-მახვილსიტყვაობის ფონზე უეცრად ის ფრაზა წამომაგონდებოდა და მასპინძელს შევძახებდი: აღმოსავლეთში მე ვარ და დასავლეთში შენ-მეთქი!..

ელგუჯა იუმორს მოისაკლისებდა თუ რა, და: იყოს ნება შენიო, — დიდი სერიოზულობით დამიქნევდა თავს.

მისი პატარა ნინიკო სუფრასთან ტრიალებდა, იმ ხნისა, რომ გგონია, ამას ან რა ესმის ან რას დაიმახსოვრებსო.

აი, ელგუჯას ცოლ-შვილი თბილისში მოჰყავს და ვაჟასა და ნინიკოს უხსნის: ახლა დასავლეთში ვართ, გვირაბს რომ გავივლით, აღმოსავლეთში ვიქნებითო.

აგერ, წიფის გვირაბი უკვე გავლილია და საბაჟოზე ფულს იხდის.

მერე კვლავ განაგრძობს ექსკურსიამძღოლობას, ბავშვებს გულდასმით აცნობს ყოველ ადგილს... მაგრამ უეცრად ნინიკო შეაწყვეტინებს.

— ჩვენ ახლა აღმოსავლეთში ვართ, არა?

— ჰო, მამიკო.

— და მერე როსტომ ბიძია შენ ფულს გახდევინებს?

...პატარები არიანო, ადვილად იტყვი... პატარები არიან, დიახ, როგორ არა!..

* * *

ავტობიოგრაფიულ რომანში „ცამეტი წელიწადი კინოში“ აკაკი ბაქრაძე იხსენებს იმასაც, თუ რა წვერთაგლეჯა ატყდა კინემატოგრაფიის მთავარ სამმართველოში, როდესაც ლანა ღოღობერიძემ გადაწყვიტა გადაეღო ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“. მოითხოვდნენ, აუცილებლად ამოეგდოთ ფილმიდან ის სცენა, რომელშიც ბაბილო ვაშაყმაძე ერთ ფუთ სიმინდს ჩუქნის სოსოიასა და ხატიას. დაიჩემებდნენ: ომის დროს ხალხი შიმშილით კვდებოდა და ერთ ფუთ სიმინდს უფასოდ ვინ გაიმეტებდა. ბაბილო ანგელოზი ხომ არ იყო, ასეთი უშურველობა, ხელგაშლილობა, მოყვასის სიყვარული გამოეჩინა. ეს სცენა ყალბია და მისი დატოვება ფილმში შეუძლებელიაო.

და სცენარი უკან დააბრუნეს კატეგორიული მოთხოვნით: თუ არ ამოაგდებთ, ფილმის გადაღების ნებართვას ვერ ეღირსებითო.

რა უნდა ეღონათ?

როგორც ამჯერად ვერ შეასმინეს, ისე ვერც შემდგომ შეასმენდნენ, რომ ამ დიდი სულიერებით აღსავსე ეპიზოდის ამოკლება საგრძნობლად დააზარალებდა ფილმს.

არადა, როგორ გინდა ასეთ უხეშ ჩარევას შეეგუო?

საშველი მაინც გამოჩნდებოდა და გადამღები ჯგუფის მოკავშირე აღმოჩნდებოდა... ბიუროკრატიზმი. დიახ, სწორედ ბიუროკრატიზმი.

სცენარს უცვლელად, ისე, რომ ერთ სიტყვასაც არ გაასწორებდნენ, გაუგზავნიდნენ ხელახლა მთავარ სამმართველოს და წერილსაც აახლებდნენ: თქვენი ყველა შენიშვნა გათვალისწინებულია, სცენარი გასწორებულია და გთხოვთ, გადაღების ნება დაგვრთოთო.

უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატში არავის აღმოაჩნდებოდა სურვილი ხელმეორედ წაეკითხა „მე ვხედავ მზეს“ და შეემოწმებინა, მართლა შესრულდა თუ არა მათი განკარგულება.

ისე თუნდაც წაეკითხათ, ისე იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათი მოთხოვნა აუცილებლად აღსრულდებოდა, უკვე ვეღარც გააცნობიერებდნენ, ეს ეპიზოდი უცვლელად თუ დარჩენილიყო.

ამისთანა შემთხვევები სხვაც მოიკრიბება და საბოლოოდ ფრიად სახალისო (დღეის გადასახედიდან!) სურათიც დაიხატება. ერთი ნიმუში კი სახელდახელოდაც შეიძლება გაგვეხსენებინა.

იოსებ ჭუმბურიძე იმხანად ახალგაზრდა ჟურნალისტია და ჯერ მხოლოდ იწყებს თავის მრავალმხრივ საგულისხმო მოღვაწეობას ჟურნალისტურ თუ პედაგოგიურ ასპარეზზე. იმ პირველივე ნიმუშებში უკვე მკაფიოდ მოჩანს მისი არაორდინარულობა და მკითხველიც ცნობისწადილით ადევნებს თვალს მის ყოველ ახალ პუბლიკაციას.

გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი ოთარ იოსელიანი ავალებს სტატიას ქართული ენის დღესთან დაკავშირებით. ისიც ჩვეული მონდომებით შეასრულებს დავალებას და რედაქტორის მოწონებასაც დაიმსახურებს, მაგრამ გამაოგნებელ დავალებასაც მოისმენს: ანაწყობი ქალაქის ცენტრალურ კომიტეტში უნდა წაიღო და ნელი გურგენიძეს წააკითხო. მანამდე ვერც წარმოიდგენდა, ამ კომიტეტის მდივნები შეთავსებით ცენზორის მოვალეობასაც თუ ასრულებდნენ. და ის იმ ქვეყანაში, სადაც ცენზორები ცენზორებსაც კი არ ერქვათ და უწყინარი თიკუნის – მთავარი ლიტერატურული კომიტეტი – ქვეშ მყუდროდ გრძნობდნენ თავს.

ახლა კი დარწმუნდებოდა, რომ სტატიის წარდგენა ქალაქკომში სულაც არ ყოფილა ფორმალობა და ქალბატონი

ნელი – ვინც, სხვათა შორის, საკმაოდ გათვითცნობიერებულიყო ლიტერატურულ პროცესში და ისეთ მწერლებსაც დიდად აფასებდა, რომელთაც ნომენკლატურული კრიტიკა ან ჩამოთვლაში მიაყოლებდა ან „და სხვა“-ში გულისხმობდა – საკმაოდ აუჭრელებდა ტექსტს.

რასაც საბჭოური ნორმები ვერ იგუებდა, ქალაქის ოფიციალური გაზეთის ფურცლებზე არც უნდა გაეღწია.

იოსებ ჭუმბურიძე დაძმარებული ბრუნდება რედაქციაში და ჩახაზულ სტატიას მაგიდაზე დაუდებს რედაქტორს. ის ახლა დაავალებს, თვითონვე შევიდეს სტამბაში და შესაფერისადაც გადააკეთოს უკვე დაკაბადონებული ტექსტი. ეს შესვლით კი შევა, მაგრამ სულ უფრო და უფრო დაენანება ის ფრაზები და: რაც მომივა, მომივაო, – ასოთამწყობს მხოლოდ კორექტურულ შეცდომებს ჩაასწორებინებს.

გაზეთი გამოვა.

სტატია იმ თავდაპირველი სახითაა, თითქოს ქალაქკომში არც ემოგზაუროს.

იოსებ ჭუმბურიძე ყოველდღე მოელის გამოძახებას და პასუხის მოთხოვნას ასეთი თვითნებობისათვის.

არადა, ყველაფერი წყნარად ჩაივლის, გაივლის...

ლამის მეოთხედი საუკუნის შემდეგ გაახსენებს ამ ამბავს ნელი გურგენიძეს და სიცილით დასძენს: მაშინ რომ ვერ მიხვდითო.

– ეგ შენ გგონია, რომ ვერ მივხვდი, – ის ჩაიღიმებს, – ეგ არის, ისეთი გულისტკივილით წაგიშალე ის ფრაზები, კიდეც გამეხარდა, გაზეთში რომ ვიხილე.

სხვა კი არავინ გამოდევნებია, არც ჩაკვირვებიან იმ მოტივით: რა შემოწმება უნდა, ისეთ წნეხში იქნება გამოვლილიო.

* * *

მოსკოვს მიემგზავრებიან რეზო ჭეიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე და ლევან მალაზონია. მანქანით მგზავრობა უმჯობინებიათ და აგერ, დარიალის ხეობაშიც შეურგავთ თავი. რეზო ჭეიშვილი მართავს მანქანას და თანამგზავრებს უეცრად ასეთი შეკითხვით მიმართავს:

– ხომ ვართ სამოციანელები?

– ვართ, ვართ, მაშ არა ვართ! – უდასტურებს ორივე.

– და ბარემ თერგდალეულებიც ვიყოთ, – შესთავაზებთ და ადგილის ძებნას შეუდგება, საიდანაც შეიძლება მდინარის პირას დაშვება.

მხატვარი ბადრი გაგნიძე

თუ ვინმეს შერქმეოდა უპირველესი თერგდალეული, ილია ჭავჭავაძეს შერქმეოდა, მიუხედავად იმისა, რომ იმას წინდაწინვე ეფრთხილა და თერგის ხიდი ისე გადმოევლო ტფილისისაკენ მომავალს, არამცთუ წყალი არ გაუსინჯავს გემოთი, თვალიც არ აუხელია: ვაითუ თერგდალეულობა დამწამონო.

ეს სახელი მაშინ საზოგადოებაში რაღაც საშიშს რომ უკავშირდებოდა, ილია „მგზავრის წერილებში“ ამის თაობაზე სარკასტულადაც ჩაიცინებდა („ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთიც აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-დალეულები მართლა-და თერგ-დალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორედაც თერგ-დალეულები არიან, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას“).

არადა, რაღაც საშიშს იმიტომაც უკავშირდებოდა, თერგდალეულთა გუნდი ლიბერალურ იდეებს რომ მოეზიდებოდა ამ ხეობით საქართველოში და ამ იდეების კვალობაზე ლამობდა მშობლიური ქვეყნის გარდაქმნას.

მოგვიანებით ილია უკვე აღარ გაიცინებდა თვისტომთა ამ შიშსა თუ შეფიქრიანებაზე, ეს მაშინ, როდესაც მკვეთრად განუდგებოდა ამ მოძრაობას და კონსერვატიზმში დაიწყებდა სამშობლოს გადარჩენის სახსრის ძიებას.

თერგდალეულის სახელს ვეღარასოდეს მოიცილებდა, თუნდაც სწორედ იმ განდგომას შესწიროდა.

არამცთუ დალევა, თვალიც არ აუხელიაო...

ესენი არ დაგიდევდნენ „მგზავრის წერილების“ იმ პასაჟს, არც ილიას სრულ ფერისცვალებას და, თვალებით რომ ჭამდნენ თერგს, მისი წყლის დაგემოვნებაც მოენდომებინათ.

აგერ მდინარის პირას ჩასასვლელი.

მიგნებით მიაგნებდნენ და ჩასვლითაც ჩავიდოდნენ, მაგრამ ნაგავს ისე წაელეკა იქაურობა, სასწრაფოდ გამოშორდებოდნენ იმ იმედით, კიდევ რამდენი იქნება ასეთი ჩასავლელი და მათგან საუკეთესოს შევარჩევთო.

და რამდენსაც მიადგებოდნენ, თანდათან ჩაებჟუტებოდათ იმედი, რაკიღა უკეთესი ყოფა არსად დახვდებოდათ.

ყველგან ნაგავი, ნაგავი, ნაგავი...

და ბოლოსდაბოლოს შეეგუებოდნენ ბედს, რომ თერგდალეულებს ვერ დაირქმევდნენ.

თუმც ილიასაც როდი დაელია თერგიდან ერთი პეშვიც კი!..

უნიგნური შექსპირი

ახალგაზრდა ქართველი თავადიშვილი, გვარად ნიჟარაძე, კიევის უნივერსიტეტში სწავლობდა. ღმერთმა უწყის, საიდან და როგორ საზრდოობდა მშობლიურ კერას მოწყვეტილი და უმაღლეს განათლებას დაწაფებული ხელმოკლე სტუდენტი. სახუმაროდ როდი ჰქონდა საქმე, მაგრამ მარადიული ქართული ოპტიმიზმით იყო ცხებული და უდარდელად ხუმრობდა, აქლემივით ძაღმიძს თვეობით ვიმარხულო, წელიწადში სამჯერ ხსნილი ხომ მიწევს და ესეც მეყოფაო.

თავისი ღვთივკურთხეული სამშობლოდან წელიწადში სამჯერ — სააღდგომოდ, თავის დღეობაზე (აგვისტოში) და საშობაოდ მუდამ მოსდიოდა გულუხვი ნობათით სავსე კალათები, სადაც ელაგა ცხვრის ხორცი და გამოყვანილი ლორი, უგემრიელესი ნაზუქები, ყურძენი, ბადრიჯანი, ჩურჩხელები და, რაც მთავარია, ტიკები, მაგარი და სურნელოვანი ღვინით რომ იყო გატიკნული.

თავადი ნიჟარაძე თავის რომელიმე ამხანაგთან მართავდა ლხინს (თავად უბინაო იყო), სადაც მუსრს ავლებდნენ ბარაქიანი საქართველოს მადლიან ნობათს, მღეროდნენ მრავალჟამიერს, ქანცის გაწყვეტამდე ცეკვავდნენ ლეკურს, ჰაერში ატრიალებდნენ დანებს და ტოლუმბაშად არჩეული ნიჟარაძე თავისი ელვარე იმპროვიზაციებით ატკბობდა თანამეინახეთა სმენას.

...ზემოთქმული პასაჟები გვხვდება გამოჩენილი რუსი მწერლის ალექსანდრე კუპრინის საუცხოო რომანში, რომელსაც ჰქვია „ორმო“ და რომელშიც მოთხრობილია ერთი რევოლუციამდელი სოროსკიპოს ბინადართა და იქ მოსიარულე სტუდენტების ასავალ-დასავალი.

კუპრინი აღნიშნავს, რომ თავადი ნიჟარაძე ლაპარაკის დიდოსტატი იყო და აღგზნებულს შეეძლო წუთში წარმოეთქვა სამასი სიტყვა. რუსი მწერლის გადმოცემით, კავკასიური აქცენტი ჩრდილს კი არ აყენებდა ჭეშმარიტი ოქროპირის მეტყველებას, არამედ ამშვენებდა კიდეც. და რაზედაც არ უნდა ელაპარაკა კიევში სასწავლებლად ჩასულ ქართველ თავადიშვილს, თავის მონოლოგს უსათუოდ მიიყვანდა ხოლმე საყვარელ სამშობლომდე და აცხადებდა, რომ ამქვეყნად არსებობს მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი, ყველაზე ბარაქიანი, ყველაზე განათლებული, ყველაზე მონინავე, ყველაზე რაინდული და, იმავდროულად, ყველაზე დაჩაგრული ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია.

და მერე ხმამაღლა, გამოთქმით, წარმოთქვამდა სტრიქონებს ქართველი პოეტის რუსთველის პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“ და ამტკიცებდა, რომ „ეს პოემა ათასჯერ მაღლა დგას, ვიდრე შექსპირი, გამრავლებული ჰომეროსზე“.

საფიქრებელია, რომ ნიჟარაძის პორტრეტი უშუალოდ ნატურიდან გადმოუხატავს რუს მწერალს. ამას ადასტურებს როგორც მთელი ანტურაჟი, ასევე ქართული ხასიათის ნიშანდობლივი შტრიხები და შეურყვნელად დამოწმებული ქართული სიტყვები (სხვათა შორის, კუპრინი „ტოლუმბაშს“ რომ ახსენებს, იქვე შენიშნავს: თუ, მგონი, „თამადა“ ჰქვიაო?).

აი, ერთი ძალზე საგულისხმო ფაქტი რომანის ქართველი პერსონაჟის წარმოსადგენად:

თავადი ნიჟარაძე, როგორც ჭეშმარიტ ქართველ ვაჟკაცს შეჰფერის, ქალების დაუოკებელი მუსუსი ყოფილა, მაგრამ დედის ძუძუდან ჰქონდა შეწოვილი უსასტიკესი ტაბუ, ცოცხალი თავით რომ ვერ დაარღვევდა, — ძმაკაცის ცოლი ხელშეუხებელი არისო. ოდინდელი ქართველია, მა რა არი, დღევანდელი ნუ გეგონებათ!

რუსი მწერლის ამჟამად არცთუ პოპულარულ რომანში ქართველი თავადის მიერ გამოთქმული მოსაზრება რუსთველის უდავო უპირატესობის შესახებ ერთად აღებულ შექსპირსა და ჰომეროსზე, ჩვენს მტერს რომ შესაძლოა უსაფუძვლო კვეხნად მოეჩვენოს, ერთი საუკუნის შემდეგ, ოდნავ შეცვლილი ელფერით, მთელი მსოფლიოს გასაგონად გახმიანდა რუსთველის იუბილეზე, რომელსაც დასავლეთიც ზეიმობდა და აღმოსავლეთიც, ე.წ. პროგრესული სამყაროც და ე.წ. რეაქციულიც.

პურმარილი იყო არნახული და გაუგონარი. სმა-ჭამა დიდად შესარგიო, როგორც ბრძანებს თვით რუსთველი. საქართველოში დადგმულ გრანდიოზულ სანახაობას ერთმა აღფრთოვანებულმა სტუმარმა „რუსთველური თამაშები“ უწოდა (ოლიმპიური თამაშების ანალოგიით).

ერთი სიტყვით, 1966 წლის შემოდგომაზე მთელი მსოფლიოს სიტყვისა თუ საქმის ოსტატებმა მოიყარეს თავი თბილისში და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ხატოვან ხოტბას შეასხამდა ქართული გენიის უკვდავებას.

ყველაზე მეტად ინგლისელებმა იმარჯვეს.

იმდროინდელ საბჭოეთში ფრიად სახელმოხვეჭილი ინგლისელი პროზაიკოსი ჯეიმს ოლდრიჯი თავგამოდებით გვარწმუნებდა, რუსთველი უფრო მაღლა დგას, ვიდრე დანტე და შექსპირიო, ვინაიდან ისინი მარტოოდენ პოეტები იყვნენ, რუსთველი კი ფილოსოფოსიც გახლდათო! მერე ფამილარულად დასძენდა: რუსთველს, ჩემსავით, ღვინო და ქალები უყვარდა, ამიტომაც თქვენი რუსთველი ჩვენს შექსპირზე გაცილებით მეტად მიყვარსო.

ასეთი ტექსტი წარმოთქვა ინგლისელმა სტუმარმა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გაჩახჩახებული სცენიდან და გადაჭედილი დარბაზი გასუსული უსმენდა უბადლო სადღეგრძელოს.

ეგება ბრძანოთ, ჯეიმს ოლდრიჯი, რომელსაც საბჭოეთში უფრო იცნობდნენ, როგორც მწერალს, ვიდრე მშობლიურ ინგლისში, წაიკომუნისტებდა კიდეც და, კრემლის ხათრით, რუსთველიც შეუყვარდებოდა, აბა რაო! კეთილი და პატიოსანი, გული რომ არ დაგწყვიტოთ, ახლა სხვა სტუმარსაც ვათხოვოთ ყური.

იმავე ღირსსახსოვარ იუბილეზე დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა, მწერალმა ემრიზ ჰიუზმა განაცხადა: „მე აქ გამოვდივარ შექსპირის სამშობლოს სახელით. მთელი მსოფლიოს სწავლულნი, უკვე სამი საუკუნე იქნება, გაცხარებით დაობენ იმის თაობაზე, თუ ვინ იყო სინამდვილეში შექსპირი — უმეცარი კაცი, ვისაც საკუთარი გვარის ხელმოწერაც კი უჭირდა თუ დიდად განათლებული პიროვნება, ნაზიარები ანტიკურ მწერლობასა და ფილოსოფიას. დიახ, გაცხარებით დაობენ და დაობენ დღემდე, მე კი ვფიქრობ, რომ ორთავე შემთხვევაში შექსპირს, უდავოდ, უნიგნური უნდა ვუწოდოთ, რადგანაც მას არ ჰქონდა წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“.

ამას ამბობდა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი. დიახ, წევრი იმ პარლამენტისა, რომელიც ლამის ადამის დროიდან ევროპული დემოკრატიის აკვნად და ბურჯად ითვლება, და, რაც მთავარია, არასოდეს სათოფეზე არ გაუკარებია ავადსახსენებელი კომუნისტები.

ნეტავი მოსწრებოდა რუსთველის იუბილეს კუპრინი და თავისი ყურით მოესმინა ემრიზ ჰიუზისათვის, რომელიც თავისებურად იმეორებდა დარდიმანდი ქართველი თავადის მოხდენილ აფორიზმს, თუმცა თავის სიცოცხლეში არც ნიჟარაძე სმენოდა და არც მისი ლიტერატურული ძიებანი.

დიეგოს რომ გაეგო

ბოლოს და ბოლოს მექსიკამ შეიკედლა ლევ ტროცკი — უსახლკარო ლტოლვილად ქცეული მედროშე „პერმანენტული რევოლუციისა“, ვისაც ევროპის ყველა ქვეყანამ ერთსულოვნად გამოუკეტა კარი, ხოლო უინსტონ ჩერჩილმა საჯაროდ უწოდა „კაციჭამია რუსეთიდან“.

და აი, 1937 წლის იანვარში ტროცკიმ, მეუღლესთან ერთად, ფეხი დაადგა მექსიკის მიწას. სახელგანთქმულმა მექსიკელმა მხატვარმა, კომუნისტმა დიეგო რივერამ შეიხიზნა ოქტომბრის რევოლუციის მთავარი ორგანიზატორი და უანგაროდ დაუთმო თავისი „ცისფერი სახლი“. ეს იყო ნამდვილი სასახლე — მზით გაჩახჩახებული, მორთული აუარებელი ნახატებით, ყვავილებითა და მექსიკური ხელოვნების ნივთებით. ამ სახლში ტროცკი და მისი მეუღლე ცხოვრობდნენ ორი წლის განმავლობაში. მაგრამ 1939 წლის დამდეგს რივერასთან კონფლიქტის გამო ტროცკი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა იქაურობა და სახლი დაექირავებინა მეხიკოს გარეუბანში, სადაც ტრაგიკული აღსასრული ელოდა.

კონფლიქტის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ ტროცკის მიერ ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნებულ მანიფესტს, რომელიც ქადაგებდა ხელოვნების თავისუფლებას. კომუნისტი რივერა, ბუნებრივია, არ დაეთანხმა ამ მანიფესტის დებულებებს და სკანდალიც ამან გამოიწვიაო. მიუთითებენ სხვა მიზეზსაც — თითქოსდა ტროცკი განრისხდა იმის გამო, რომ რივერა საარჩევნო პროპაგანდას ეწეოდა პრეზიდენტ კარდენასის წინააღმდეგ, ვისგანაც ტროცკი დიდად იყო დავალებული — მექსიკის კარი ხომ სწორედ მან გაუღო ლტოლვილს.

მაგრამ როგორც აღნიშნავენ, ამგვარი წვრილმანი შეხლა-შემოხლა ადრეც ჰქონიათ და საქმე განხეთქილებამდე როდი მისულა. ტროცკისა და რივერას შორის ურთიერთობის გაწყვეტის ნამდვილ მიზეზად მიუთითებენ ტროცკის რომანს რივერას მეუღლესთან.

დიეგო რივერა და ფრიდა კალო, რომელიც ქმარზე არანაკლებ სახელმოხვეჭილი მხატვარი გახლდათ, დასახლდნენ „ცისფერი სახლის“ მეზობლად და თითქმის ყოველდღე სტუმრობდნენ თავის მდგმურებს. ტროცკი ნახევრადხუმრობით ასე მიმართავდა ფრიდას: „ლავ, მაი ლავ!“ (29 წლის ფრიდა კალო, როგორც იტყვიან, შვილად ეკუთვნოდა 58 წლის ტროცკის).

მიწერ-მოწერაც გააჩაღეს. ამასაც თითქოსდა ხუმრობის ელფერი ედო. ტროცკი ჩადებდა ბარათს წიგნში და ატანდა ფრიდას. ისიც ამგვარად პასუხობდა. ყოველივე ეს ხდებოდა დიეგოსა და ნატალია სედოვას (ტროცკის მეუღლე) თვალწინ, რომელთაც აცბუნებდათ მათი მეორე ნახევრების ელეგანტური არშიყობა.

1937 წლის 7 ივლისს ტროცკი დასასვენებლად, სანადიროდ (ნადირობის ტრფიალი გახლდათ) და თავისი საყვარელი კაქტუსების შესაგროვებლად გაემგზავრა მეხიკოდან 130 კილომეტრით დაშორებულ აგარაკზე, რომელიც დიეგოს დაექირავებინა თავისი ძვირფასი სტუმრებისათვის. 11 ივლისს მას შეუერთდა ფრიდა — ცხადია, უქმროდ.

მეხიკოში ეულად დარჩენილი მეუღლე ტროცკისა უკვე ეჭვიანობდა და შფოთავდა. მაგრამ დიეგოს, ალბათ, ვერც წარმოედგინა, რომ სათაყვანო სტუმარი სტუმართმოყვარე მასპინძელს ასე გადაუხდიდა სამაგიეროს.

ტროცკი აგარაკიდან ყოველდღე, ზოგჯერ დღეში ორჯერაც კი, სწერდა წერილს საყვარელ მეუღლეს.

„როგორ მიყვარხარ, ნატაშა, ჩემო ერთადერთო, ჩემო მარადიულო სატრფოვ, ჩემო ერთგულო, ჩემო სიყვარულო, ჩემო მსხვერპლო... ო, რომ შემეძლოს მცირეოდენი სიხარული მაინც შევიტანო შენს ცხოვრებაში. როცა ამას ვწერ, ორი-სამი სტრიქონის შემდეგ ფეხზე წამოვხტები, ბოლთას ვცემ ოთახში და ვტირი შენდამი მადლიერების ცრემლით. და ვტირი იმის გამოც, რომ სიბერე უეცრად დაგვატყდა თავს“.

ცოლი თავის წერილებში ქმრისადმი ცდილობდა თავშეკავებას, მაგრამ ტექსტი თვალნათლივ ღაღადებდა იმას, რომ ეჭვიანობის მწვანე ურჩხული ძალუმად დაუფლებოდა მის სულსა და გულს.

ტროცკი მოთმინებით ამშვიდებდა: „გევედრები, მოეშვი შეჯიბრს იმ ქალთან, ვინც ესოდენ ცოტას ნიშნავს ჩემთვის... მრცხვენია და მძულს ჩემი თავი“.

და ხელს ასე აწერდა: „შენი ბებერი და ერთგული ძაღლი“.

იმოწმებდა ლევ ტოლსტოის მოგონებას — თუ როგორ ბრუნდებოდა ცხენით სეირნობიდან სამოცდაათი წლის მწერალი და სწყუროდა ცოლის ალერსი. ტროცკი დასძენდა: მეც ასევე ვარ, მეც მწყურიხარო. უკიდურესად გაშიშვლებული ანუ უცენზურო ტექსტით გამოხატავდა თავის წყურვილს და მორცხვად შენიშნავდა: „მრცხვენია, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად დავწერე ასეთი სიტყვები ქაღალდზე. ვაი რომ, უმწიფარი ყმაწვილივით ვიქცევი“.

დიეგო რივერა უსაზღვრო თაყვანს სცემდა და ღამის აღმერთებდა ლევ ტროცკის, მაგრამ ამაყი მექსიკელი ესოდენ ძვირფას სტუმარსაც კი ვერ აპატიებდა უპატიებელს.

ტროცკის ერთი ბიოგრაფი ირონიულად შენიშნავს: როცა მხურვალე რომანი იყო გაჩაღებული, რივერას მაშინვე რომ გაეგო ეს ამბავი, ტროცკის აღარ დასჭირდებოდა თავისი მკვლელის — რამონ მერკადერის ლოდინი. ამ ცრუ და მუხთალ წუთისოფელს 1940 წლის ნაცვლად 1937 წელსვე გამოესალმებოდაო.

საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიმართა შეხვედრა ეთერ თათარაიძესთან. ლიტერატურულ თავყრილობას უძღვებოდა პოეტი ერეკლე საღლიანი. სიტყვით გამოვიდნენ: ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე და მსახიობი გია ჯაფარიძე. თავისი განუყრელი გარმონითა და ფანდურით მონაწილეობდა მომღერალი ლელა თათარაიძე, აგრეთვე ხალხური სიმღერების შემსრულებელი ნუგზარ ფსუტური.

გაიმართა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის დიალოგი პოეტთან, რაც მოიცავდა ჩვენი სამწერლო და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვან თემატიკასა და სატკივარს და მეტად საგულისხმო გახლდათ მოსაზრებანი იმ შემოქმედისა, რომელიც ყოველთვის გულღიად საუბრობს მწვავე პრობლემებზე.

მისი პოეტური გზის დასაწყისში ხშირად გაისმოდა საყვედურები თუშური კილოკავის სალიტერატურო ენის რანგში აყვანისათვის. თუმც თანდათანობით ნათელი გახდა, რომ ეთერ თათარაიძე ქმნიდა იმ მხატვრულ სტილისტიკას, რაც მისი პოეტური ნატურისათვის ყველაზე ბუნებრივი და სიღრმისეულია. და თუ, ვთქვათ, იტალიურ პოეზიაში არავის ეხამუშება დიალექტური ლირიკული ნაკადი, რატომ უნდა აკრძალულიყო ის ჩვენს ლიტერატურაში?

ყველაზე უკეთ ეს კამათი მოაგვარა ეთერ თათარაიძის ჩინებულმა პოეტურმა მიღწევებმა, რადგანაც უიმისოდ სრულიად წარმოუდგენელია ჩვენი პოეზიის მდინარება.